უცნობი პუტინი

უცნობი პუტინი

გამომცემელი:
სსიპ „ისტორიული მემკვიდრეობა“ ©
თბილისი, 2013 წელი

UDC (უაკ) 32(470)(032) + 342.511(470)
ა_757

ISBN 978-9941-0-5923-0

© „ღვასაბაძეს ტყე ესპანეთსაფლე“

წინათქმა

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საინფორმაციო სივრცეში ვლადიმერ პუტინს უცხოელ პოლიტიკოსთაგან ყველაზე ხშირად ახსენებენ, მის შესახებ ფართო საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცის ან მხოლოდ ის გაუგია, რაც პროპაგანდის იარაღად ქცეულმა სააკაშვილის ტელევიზიებმა მოახვიეს თავს. მეზობელი ქვეყნისა და მისი მეთაურის მტრად გამოცხადებამ კი საბოლოოდ უმძიმესი შედეგები მოუტანა საქართველოს. წინამდებარე წიგნი მიზნად ისახავს, მკითხველს პუტინის პიროვნებასა და მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე რეალური წარმოდგენა შეუქმნას, რომლის გარეშეც, ვფიქრობთ, საკუთარი აწმყოს აღქმა და მომავლის განსაზღვრა შეუძლებელი იქნება. პუტინი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტია და, სავარაუდოდ, კიდევ ათი წელი იქნება ამ პოსტზე. მასთან ურთიერთობის გარეშე საქართველოს პრობლემებს ვერც პოლიტიკოსები მოაგვარებენ და ვერც საზოგადოება შეიქმნის მართებულ აზრს.

ვლადიმერ პუტინის ირგვლივ ვნებები ყოველთვის დუღდა, მაგრამ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით აღელდა დასავლეთი; ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილ თანამშრომელ ედვარდ სნოუდენისთვის თავშესაფრის მიცემამ აშშ-ის ოფიციალურ წრეებში ჯერ დაბნეულობა, შემ-

დეგ კი სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. სნოუდენმა, პრაქტიკულად, ნიღაბი ჩამოხსნა ამერიკულ დემოკრატიას, როცა საჯაროდ გამოიტანა ინფორმაცია საყოველთაო თვალთვალისა და მიყურადების თაობაზე.

ქართველ მკითხველს კარგად ახსოვს მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელი ინტერვიუ, რომელშიც იგი ადასტურებდა, რომ ამერიკელები მართლაც ყველას უსმენენ. მან განაცხადა, რომ პუტინთან სატელეფონო საუბრის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს დაურეკა, რომელმაც უპასუხა, რომ საუბრის შინაარსი უკვე იცოდა. ამით სააკაშვილმა ერთგვარად გაამართლა ხელისუფლების მიერ საკუთარი მოსახლეობის ტოტალური კონტროლი, ხოლო ამერიკელ მეგობრებს ნათლად მიანიშნა, რომ, თუ არ დაიცავენ, კიდევ ბევრ რამეს იტყვის მათ შესახებ.

სპეცსამსახურების ყოფილ თანამშრომელს თვეზე მეტი მოუწია „შერემეტიევოს“ აეროპორტის სატრანზიტო ზონაში ყოფნა, ხოლო ვლადიმერ პუტინმა გარკვევით განაცხადა, რომ თავშესაფარს იმ შემთხვევაში მისცემდა, თუ რუსეთის პარტნიორის — აშშ-ის ინტერესების საწინააღმდეგოდ არ იმოქმედებდა. ამის მიუხედავად, ვაშინგტონი დაჟინებით ითხოვდა მის გადაცემას. რთული წარმოსადგენი არ არის, რა ბედი ეწეოდა მას ამერიკული მხარისთვის გადაცემის შემთხვევაში. „დემოკრატიის შუქურები“ გუანტანამოსა და აბუ-გრეიბის სახით ხომ, პრეზიდენტ ობამას დაპირებების მიუხედავად, დღე-

© „ღვასარბიჩენი ანსაფარი“

საც გაუსამართლებელი, ბორკილდადებული ტუსაღებით არის სავსე!

კიდევ ერთი ისტერიკა დასავლეთში ვლადიმერ პუტინის მიერ ხელმოწერილ გეიპროპაგანდის ამკრძალავ კანონს მოჰყვა. დასავლეთი, სადაც ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების პარადი მიმდინარეობს, მტკივნეულად განიცდის, რომ რუსეთში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პირებს სათბურის პირობებს არ უქმნიან. ფინეთში ვიზიტისას ვლადიმერ პუტინმა მკაფიოდ განაცხადა, რომ პრიორიტეტი ბავშვთა უფლებებია და რუსეთი არ დაუშვებს თავსმოხვეულ „ფასეულობებს“.

ფაქტობრივად, მუხლებზე დაჩოქილი რუსეთის წამოყენების შემდეგ ვლადიმერ პუტინი თანდათან ერთ-ერთ ყველაზე ანგარიშგასაწევ ლიდერად ჩამოყალიბდა. რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევას შეჩვეულმა დასავლეთმა დღეს აღმოაჩინა, რომ მასზე ზეგავლენას ვეღარ ახერხებს, ხოლო პუტინი დასავლური „ფასეულობების“ მახინჯ გამოვლინებასთან მებრძოლი ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანია.

რუსეთის პრეზიდენტი უყვართ ან სძულთ, მაგრამ ანგარიშს ყველა უწევს. მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი აღმოჩნდა ის უგუნური მმართველი, რომელიც დასავლეთის იმედად რუსეთს დაუპირისპირდა. სააკაშვილი ყოველთვის ცდილობდა, ისე წარმოეჩინა ვითარება, თითქოს პუტინი მის მიმართ კი არა, ქართველი ხალხისადმი იყო უარყოფითად განწყობილი. ქართველი ხალხისადმი პუტინის დამოკიდებულებას ნათ-

ლად და მკაფიოდ ასახავს 2006 წელს ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მის მიერ ნათქვამი ფრაზა: „Грузины наиболее близкий нам народ“. მითის გასაფანტავად, თითქოს რუსეთის პრეზიდენტს ქართველების მიმართ არასახარბიელო დამოკიდებულება აქვს, ორი დიდი ქართველის, ილია ჭავჭავაძისა და პეტრე ბაგრატიონის, შესახებ ვლადიმერ პუტინის გამონათქვამებიც კმარა.

ბოროდინოს ბრძოლის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა: **„ჩვენი სამშობლოს ისტორიაში არც თუ ისე ცოტა ტრაგედია და ომი იყო, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ორს ეწოდა სამამულო. სწორედ ასე ჩაიბეჭდა ისინი ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში. ერთშიც და მეორეშიც წყდებოდა რუსეთის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს ბედი... ორი საუკუნე გავიდა, მაგრამ ბოროდინოს გმირები — სხვადასხვა წარმომავლობისა და ჩინის ადამიანები — დღემდე იწვევენ ჩვენში აღფრთოვანებას და თაყვანისცემას იმსახურებენ. თითოეული მათგანი სამშობლოს გადამრჩენი იყო, ათასობით — დაკრძალულია ამ წმინდა ველზე.**

მათ შორისაა თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი — ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი მხედართმთავარი. ის გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი გაბედულებით, სიმამაცით, მონაწილეობდა 20 ლაშქრობასა და 150 ბრძოლაში, თავი შესწირა

© „ღვანლმოსილნი“

სამშობლოს — რუსეთს. სწორედ მისი სახელი ეწოდა ჩვენი ჯარების წარმატებულ ოპერაციას დიდ სამამულო ომში. მაშინ გათავისუფლდა ბელორუსია, ლიტვისა და პოლონეთის ნაწილი“.

2012 წლის 26 ნოემბერს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში მუშაობა დაიწყო სამეცნიერო-კულტურულმა ფორუმმა „ილია ჭავჭავაძის დღეები სანკტ-პეტერბურგში. დაბადებიდან 175 წლის აღსანიშნავად“. იგი ილია ჭავჭავაძეს, დიდ ქართველ მწერალს, მოაზროვნეს, საზოგადო მოღვაწეს მიეძღვნა, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, როგორც ილია მართალი.

ფორუმის საზეიმო გახსნაზე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის საკითხებში და საგანგებო დავალებათა ელჩმა მიხეილ შვიდკოიმ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიმართვა გააცნო დამსწრე საზოგადოებას.

„ფორუმი ქართველი ხალხის დიდი შვილის, საზოგადო მოღვაწის, მოაზროვნის, პოეტის, მეცენატის — ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 175 წელს ეძღვნება. მისი სახელი და ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთთან. აქ, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში, მიიღო მან უმაღლესი განათლება და ჩამოყალიბდა პიროვნებად. თავისი შემოქმედებითა და მრავალმხრივი მოღვაწეობით ილია ჭავჭავაძემ მართლაც უდიდესი წვლილი შეიტანა რუსული კულ-

ტურის, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ტრადიციის განვითარებაში, რომელიც ოდითგანვე აკავშირებდა ჩვენს ხალხებს. მნიშვნელოვანია, რომ რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეთა დღევანდელი თაობები პატივს მიაგებენ საკუთარი წინაპრების ხსოვნას. ბევრს აკეთებენ ჰუმანიტარული კონტაქტების, ადამიანებს შორის ნდობის გამყარებისთვის, რაც ხელს უწყობს სახალხო დიპლომატიის ინსტიტუტების განვითარებას“, — ნათქვამია მიმართვაში.

უამრავი მითი, რომელთაც ვლადიმერ პუტინს მიაწერენ, ან სიყალბეა, ან გაზვიადება, ან სულაც დაუფარავი სურვილი, რუსეთს რაც შეიძლება მალე ჩამოაცილონ ეროვნული ლიდერი. რუსეთის დაშლის სურვილი, რომელსაც ჩვენებური „ლიბერალები“ ხშირად ვერ მალავდნენ, სულაც არ არის საქართველოში მოფიქრებული. ამ გეგმის ავტორები აქედან შორს სახლობენ, ხოლო საკუთარ ჩანაფიქრს მათგან მართვად მარიონეტებს ახმოვანებინებენ. ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ ვლადიმერ პუტინის პიროვნების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მოგაწვდით, მაგრამ უამრავ საინტერესო და დღემდე უცნობ დეტალს მისი ბიოგრაფიიდან ნამდვილად გპირდებით.

© „ღვასტაბაძეს ენე ანანასტაფლი“

შტრიხები პორტრეტისთვის

მთელი ინფორმაცია, რომელსაც ქართულ „ვიკიპედიაში“ ვლადიმერ პუტინის შესახებ ვკითხულობთ, ასე გამოიყურება:

ვლადიმერ პუტინი

ვლადიმერ პუტინი (რუს. Владимир Владимирович Путин; დ. 7 ოქტომბერი, 1952, ლენინგრადი, რუსეთის სფსრ) — რუსი პოლიტიკოსი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი 2000-2008 წლებში. ამ პოსტზე შეცვალა ბორის ელცინი 1999 წლის 31 დეკემბერს. 2008 წლის 8 მაისს გახდა რუსეთის პრემიერმინისტრი. 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კვლავ დაბრუნდა პრეზიდენტის პოსტზე.

არც ვიკიციტატაა მდიდარი პუტინის ციტატებით და მათი შერჩევაც აშკარად ტენდენციურ ხასიათს ატარებს. აი, ისიც:

Мы будем преследовать террористов везде, где бы они ни находились, в аэропорту — в аэропорту... Если мы найдем их, вы уж меня извините, в туалете — и в сортире замочим, в конце концов.

შინაარსობრივი თარგმანი: ჩვენ ტერორისტებს ყველგან განვდევნით, სადაც არ უნდა იყვნენ, აეროპორტში — აეროპორტში თუკი ვიპოვით, უკაცრავად, მაგრამ, ტუალეტში — საპირფარეშოშიც მივასიკვდილებთ (სტილი დაცულია).

სექტემბერი, 1999 წ.

• Пыталовский район Псковской области? От мёртвого осла уши им, а не Пыталовский район.

• *შინაარსობრივი თარგმანი*: ისინი, პიტალოვის ოლქს კი არა, მკვდარი ვირის ყურებს მიიღებენ.

პასუხი ლატვიის ტერიტორიულ პრეტენზიებთან დაკავშირებით.

• Если вы хотите совсем уж стать исламским радикалом и готовы пойти на то, чтобы сделать себе обрезание, я порекомендую ...сделать операцию таким образом, чтобы у вас уже ничего не выросло.

• *პირდაპირი თარგმანი*: **თუ კი მართლა გსურთ, გახდეთ ისლამური რადიკალი და მზად ხართ, წინადაცვეთა გაიკეთოთ, გირჩევთ... ოპერაცია ისე გაგიკეთონ, რომ არაფერი აღარ ამოგივიდეთ.**

ევროსაბჭოს სამიტზე ბრიუსელში

• Ты должен всегда подчиняться закону, а не только когда схватили за яйца.

• *თარგმანი:* კანონს ყოველთვის უნდა დაემორჩილო და არა მარტო მაშინ, როდესაც ერთ ადგილას წაგავლებენ.

პასუხი უცხოელ ჟურნალისტებს მიხეილ ხადარკოვსკის საკითხზე; 4 ნოემბერი, 2003.

© „ღვასკვანები ეროვნებზე“

ვცადოთ ამ „ესკიზის“ შევსება, მით უფრო, რომ არც საქართველოს „ნაციონალური“ ხელისუფლება გამოირჩეოდა მისი, როგორც თავად აცხადებდა, „მტრის“ ბიოგრაფიისა და პირადი თვისებების ცოდნით. რა მოიტანა მსგავსმა უცოდინრობამ, უკვე ვნახეთ. მაშ ასე, ვინ არის ვლადიმერ პუტინი, გარდა იმისა, რომ პრეზიდენტი, ყოფილი პრემიერმინისტრი, მართლმადიდებელი და რუსია?

* * *

როდესაც 1999 წლის უკანასკნელ დღეს, 31 დეკემბრის შუადღისას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა, გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება, ეს თითქმის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა არა მარტო რუსეთის მოქალაქეების, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისა და დასავლეთისთვისაც. ელცინმა ბოდიში მოუხადა რუს ხალხს საკუთარი შეცდომებისთვის და განაცხადა: „ახალ ათასწლეულში ქვეყანა ახალი პოლიტიკოსებით, ახალი სახეებით უნდა შევიდეს, ახალი ჭკვიანი, ძლიერი და ენერგიული ადამიანებით“. **რუსეთის კონსტიტუციის 92-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას პრემიერმინისტრი ვლადიმერ პუტინი შეუდგა.**

მიმართვა გადადგომის შესახებ ელცინმა კრემლში დილით ჩაწერა. მისი გადაწყვეტილების შესახებ მისი ქალიშვილის, ტატიანას, გარდა, მრჩეველთა უახლოესმა წრემ და ახლა უკვე ტელევიზიის თანამშრომლებმაც შეიტყვეს. ჩაწე-

რის დასრულების შემდეგ ელცინი შეტრიალდა და ცრემლი მოიწმინდა, შემდეგ შამპანურის ბოთლი გახსნა, ყველა იქ მყოფს დაუსხა და სულმოუთქმელად დალია. თეჯირს მიღმა კი მისი მემკვიდრე პუტინი უკვე ემზადებოდა საახალწლო მიმართვის ჩასაწერად.

დღის ორ საათზე ვლადიმერ პუტინს „ბირთვული ჩემოდანი“ გადასცეს. შემდეგ მან მინისტრთა კაბინეტის ხუთწუთიანი თათბირი ჩაატარა, რომელსაც უშიშროების საბჭოს ხანგრძლივი სხდომა მოჰყვა. საღამოს 6 საათზე პუტინმა ხელი მოაწერა თავის პირველ ბრძანებულებას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის რანგში, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის — ბორის ელცინისა და მისი ოჯახის წევრებისთვის ხელშეუხებლობის გარანტიებს ასახავდა.

ამის შემდეგ ვლადიმერ პუტინი საკვანძო მი-

© „ღვასაბაძეების ოჯახური“

ნისტრებს პირისპირ ესაუბრა და კრემლიდან პრეზიდენტის კორტეჟით ვნუკოვოს აეროპორტისკენ გაეშურა. იმ ღამით იგი ჩეჩნეთში შვეულმფრენით გაფრინდა, მაგრამ უამინდობის გამო მეზობელ დაღესტანში დაეშვა. ამ დროს ხალხი ახალ წელს ხვდებოდა და სატელევიზიო ეთერში პუტინის წინასწარ ჩაწერილი საახალწლო მიმართვა გადიოდა. გამოსვლა მოკლე და საქმიანი იყო. მან განაცხადა, რომ ხელისუფლების ვაკუუმი არ იქნება. სიახლე იყო ისიც, რომ მან წინამორბედის მიმართ პატივისცემა გამოხატა. ვლადიმერ პუტინის პოლიტიკური დაპირება კი ასე ჟღერდა: **„სიტყვის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, საკუთრების უფლება — ცივილიზებული საზოგადოების ეს ფუძემდებლური ელემენტები სახელმწიფოს მიერ საიმედოდ იქნება დაცული“.**

* * *

ვლადიმერ პუტინი 1952 წლის 7 ოქტომბერს ლენინგრადში დაიბადა. დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან მხოლოდ 7 წელი იყო გასული. ქალაქი ბლოკადის შემდეგ ფერფლიდან იწყებდა აღდგენას. მაშინ პუტინების ოჯახი, როგორც ლენინგრადელების უმეტესობა, კომუნალურ ბინაში ცხოვრობდა. მათ ერთი ოთახი ჰქონდათ, „მთელი“ 20 კვადრატული მეტრი მეოთხე სართულზე, დანარჩენი ყველაფერი საერთო იყო. დასაბანად კვირაში ერთხელ აბანოში დადიოდნენ. ყველაზე კარგად ბიჭი უცხო ენებს ითვისებ-

და. 11 წლის ასაკში ჭიდაობის სექციაში შევიდა. შეისწავლა სამბო და ძიუდო. გახდა სპორტის ოსტატი და ლენინგრადის ჩემპიონი.

ვლადიმერ პუტინი საკუთარი ბავშვობის შესახებ ვრცლად ესაუბრა წიგნის „პირველი პირისგან“ ავტორებს. ამ წიგნის შესაქმნელად სამი ჟურნალისტი — ნატალია გევორქიანი, ნატალია ტიმაკოვა და ანდრეი კოლესნიკოვი — ექვსჯერ ესაუბრა პუტინს რამდენიმე საათის განმავლობაში. მათ შორის მხოლოდ ერთხელ — კრემლში, მის კაბინეტში. ამ ვრცელ წიგნში არც ერთი საავტორო სიტყვა არ არის, შეკითხვების გარდა. მთლად სამზარეულოში არა, მაგრამ, როგორც წესი, სუფრასთან საუბრობდნენ. ზოგჯერ პუტინი პასუხის ნაცვლად ამბობდა: „ეს ძალიან პირადულია“ და დიქტოფონის გამორთვას სთხოვდა. საუბარი არც ერთხელ არ შეწყვეტილა პუტინის ინიციატივით. მხოლოდ ერთხელ, როცა შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, იკითხა: „უკვე ყველაფერი მკითხეთ თუ კიდევ ვისაუბროთ?“ ზოგჯერ იგი პაუზას აკეთებდა, მაგრამ პასუხს მაინც სცემდა. და მხოლოდ ერთხელ, როცა ჰკითხეს, უღალატიათ მისთვის თუ არა, პაუზის შემდეგ უპასუხა: „არა“ და იქვე დაამატა: „მეგობრებს ჩემთვის არ უღალატიათ“.

ვ. პუტინი: — მამის ნათესავებზე მეტი ვიცი, ვიდრე დედისაზე. მამის მამა პეტერბურგში დაიბადა, მზარეული გახლდათ. ძალიან უბრალო ოჯახი იყო. როგორც ჩანს, კარგად ამზადებდა კერძებს, რაკი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოსკოვის გარეუბანში, გორკებში მიიწვიეს, სა-

© „ღასაბუნებელ სანაცვალი“

დაც ლენინი და ულიანოვების ოჯახის სხვა წევრები ცხოვრობდნენ. ლენინის სიკვდილის შემდეგ სტალინის აგარაკზე გადაიყვანეს, სადაც დიდხანს იმუშავა. სტალინის სიკვდილს მოესწრო და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა მოსკოვის პარტიის ქალაქკომის ილინსკის კულტურის სახლში.

— ბაბუაზე მშობლები გიყვებოდნენ?

ვ. პუტინი: — რატომ? მე თვითონ მახსოვს. ჩავდიოდი ილინსკში და ვნახულობდი, ოღონდ თავის ცხოვრებაზე არ ლაპარაკობდა, რაღაცნაირად არ იყო ეს მიღებული.

ეს თვისება, არ ელაპარაკა ოჯახსა და პირად ცხოვრებაზე, ვლადიმერ პუტინს დღემდე მოჰყვება. ჟურნალისტები და პოლიტიკოსები მუდამ ცდილობენ, გაარკვიონ იმაზე მეტი, ვიდრე თავად პუტინი ამბობს, მაგრამ იგი, უმაღლესი პო-

ლიტიკური თანამდებობების მიუხედავად, მაინც ახერხებს, დაიცვას საკუთარი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. მისი ბავშვობის შესახებ ჟურნალისტები ინფორმაციას ნამცეც-ნამცეც აგროვებდნენ; მეზობლებს, პედაგოგებს, კლასელებსა და ყოფილ თანამშრომლებსაც ესაუბრებოდნენ.

ვერა გურევიჩი, პუტინის კლასის დამრიგებელი IV—VIII კლასებში, იხსენებს: „მის მშობლებს მძიმე ცხოვრება ჰქონდათ გამოვლილი. წარმოგიდგენიათ, როგორი სიმამაცე იყო საჭირო, რომ მაშინ 41 წლის ასაკში ბავშვი გაგეჩინა? ვალოდია გვიანი შვილია. ერთხელ მამამისმა მითხრა: — ერთი ჩვენი შვილი დღეს თქვენი ხნის იქნებოდაო. ეტყობა, ომის დროს დაეღუპათ. მეუხერხულებოდა ამის კითხვა“.

თავად ვლადიმერ პუტინი იმ პერიოდის შესახებ ასე ყვება: „1932 წელს მშობლები ლენინგრადში დაბრუნდნენ. ქალაქგარეთ, პეტერგოფში ცხოვრობდნენ. დედამ ქარხანაში დაიწყო მუშაობა, მამა ჯარში გაიწვიეს, წყალქვეშა ფლოტში მსახურობდა. როცა დაბრუნდა, ერთმანეთის მიყოლებით ორი ვაჟი გაუჩნდათ. ერთი რამდენიმე თვის ასაკში დაეღუპათ. როცა ომი დაიწყო, მამა მოხალისედ წავიდა. დედა პეტერგოფში დარჩა. როცა უკვე ძალიან გაჭირდა, ბიძაჩემმა, საზღვაო ოფიცერმა, პიტერში წაიყვანა. ბავშვთან ერთად დაბომბვისა და სროლის ქვეშ გამოიყვანა.

— მზარეული ბაბუა არ დახმარებია?

ვ. პუტინი: — მაშინ არავინ არავის სთხოვდა დახმარებას. ბაბუაჩემს ბევრი შვილი ჰყავდა და

© „ღვასაბაძეს ცხენაფაფი“

ყველანი ფრონტის ხაზზე იყვნენ. ყველა როდი დაბრუნდა...

— გამოდის, რომ პეტერგოფიდან ბლოკირებულ ლენინგრადში აღმოჩნდა დედათქვენი...

— ასე გამოვიდა. დედა მიყვებოდა, რომ ლენინგრადში სპეციალური ბავშვთა სახლები შექმნეს მათ გადასარჩენად. ასეთ ბავშვთა სახლში მეორე შვილს დიფთერია შეხვდა და ისიც დაიღუპა.

— თვითონ როგორ გადარჩა?

— ძმა ეხმარებოდა, საკუთარ ულუფას უყოფდა. იყო მომენტი, როცა იგი სადღაც გადაიყვანეს და დედაჩემი სიკვდილის პირას აღმოჩნდა. არ ვაზვიადებ, ერთხელ შიმშილისგან გული წაუვიდა და ჩათვალეს, რომ მოკვდა. მიცვალებულებთან დააწვინეს. კიდევ კარგი, გონზე მოვიდა და დაიკვნესა. ერთი სიტყვით, სასწაულად გადარჩა. მთელი ბლოკადა გაიარა.

— მამა ამ დროს სად იყო?

— იბძოდა. НКВД-ს გამანადგურებელ რაზმში იყო, რომელიც გერმანელების ზურგში დივერსიებს აწყობდა. ჯგუფში 28 მებრძოლი იყო. ერთ ასეთ ოპერაციაში, კინგისეპთან მათ საბრძოლო მასალების საწყობი ააფეთქეს, მაგრამ საკვები გაუთავდათ. ადგილობრივ ესტონელებს დაუკავშირდნენ, ისინი პროდუქტით დაეხმარნენ, თუმცა შემდეგ გერმანელებს ჩააბარეს. გადარჩენის შანსი თითქმის არ იყო. გერმანელებმა ალყაში მოაქციეს. მხოლოდ რამდენიმემ შეძლო გამოღწევა, მათ შორის, მამაჩემმა. გერმანელები მოსდევდნენ. გზაში კიდევ რამდენიმე მებრძოლი დაკარ-

გეს. მამაჩემმა ჭაობში ჩაყვინთა და ლერწმის ღეროთი სუნთქავდა, ვიდრე ძაღლები არ გაეცალნენ. 28 კაციდან მხოლოდ 4 გადარჩა“.

დაუვიწყარი საბჭოთა კომუნალური ბინების ყოფა კარგად ჩანს ვლადიმერ პუტინის მოგონებებში: „ჩვენს კომუნალურ ბინაში ერთი ოთახი ებრაულ ოჯახს ეკავა. მოხუცი ცოლ-ქმარი და მათი ქალიშვილი ხავა, მოწიფული ქალი იყო, მაგრამ უფროსები ამბობდნენ, რომ ცხოვრება ვერ მოიწყო, ვერ გათხოვდა და მშობლებთან ცხოვრობდა. მამამისი მკერავი იყო და, იმის მიუხედავად, რომ მაშინ ღრმად მოხუცი მეგონა, მთელი დღეები საკერავ მანქანაზე რაღაცას ალიანდაგებდა. მორწმუნე ებრაელები იყვნენ — შაბათობით არ მუშაობდნენ, ბერიკაცი კი მთელი დღე თალმუდს კითხულობდა. ერთხელ ვკითხე, რას ბუტბუტებდა და ამიხსნა, რა წიგნიც იყო. მაშინვე დავკარგე ინტერესი.

როგორც კომუნალურ სამზარეულოებში ხდება ხოლმე, ჩხუბი და შელაპარაკება ჩვენთანაც იყო. მე ყოველთვის მინდოდა, ჩემი მშობლები დამეცვა. მოხუცებთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მათ ოთახში ხშირად ვთამაშობდი. ერთხელაც, ჩხუბის დროს ჩარევა გადავწყვიტე. მშობლების რეაქცია ჩემთვის სრულიად მოულოდნელი და გაუგებარი იყო. ძალიან გაბრაზდნენ. ამან გამაოგნა. მე მათ ვიცავ, ისინი კი მეუბნებიან — „ნუ ერევი, შენი საქმე არ არის“! ვერაფერი გავიგე.

მშობლებს მიაჩნდათ, რომ მოხუცებთან ჩემი კარგი ურთიერთობა, მათი ჩემდამი სიყვარული

© „ღვასტრამიწერები ისრაელზე“

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო წვრილმან შელაპარაკებასთან შედარებით. იმ შემთხვევის შემდეგ მათ ურთიერთობაში აღარ ჩავრეულვარ. თუ რაიმეზე ჩხუბობდნენ, მე ან ჩვენს ოთახში გავდიოდი, ან მოხუცებისაში.

ჩვენს ბინაში კიდევ პენსიონერები ცხოვრობდნენ. ანია ბებო მორწმუნე იყო, ეკლესიაში დადიოდა. როცა დავბადებულვარ, სწორედ მან დაარწმუნა დედა და მამისგან უჩუმრად მომნათლეს. მამა პარტიის წევრი იყო, საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი და დაუმალეს. დიდი ხნის შემდეგ, 1993 წელს, როცა ლენინგრადის ქალაქის საბჭოში ვმუშაობდი, ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში ისრაელში მომიწია წასვლა. აი, მაშინ მომცა დედამ ნათლობის ჯვარი, რომ მაცხოვრის საფლავზე მეკურთხებინა. მას შემდეგ აღარც მომიხსნია“.

ვერა გურევიჩი: „ერთმანეთი მაშინ გავიცანით, როცა ვალოდია IV კლასში სწავლობდა. მათმა დამრიგებელმა, თამარა ჩიჟოვამ, მითხრა: „აიყვანეთ ჩემი კლასი, კარგი ბავშვები არიან“. გერმანული ენის ჯგუფი ჩამოვაყალიბე. 10-12 ბავშვი მოვიდა. თამარა პავლოვნამ მერე მკითხა, თუ ვინ მოვიდა. მე ჩამოვუთვალე. „პუტინიც მოვიდა? — გაუკვირდა მას, — სულ არ ჰგავს მის საქციელს! მოიცადე, ეგ კიდევ გაჩვენებს სეირს“. მე გავიკვირვე, მან კი ამიხსნა, რომ ვალოდია მეტისმეტად ცელქი და არაორგანიზებული იყო. პიონერიც კი არ ყოფილა. ყველას მესამე კლასში იღებდნენ პიონერულ ორგანიზაციაში, მაგრამ ამ თვისებების გამო არ მიიღეს. ენის მი-

მართ ინტერესი გამოამჟღავნა, სწრაფად და იოლად ითვისებდა. კარგი მეხსიერება და მოქნილი გონება ჰქონდა. VI კლასამდე მაინც სულ ცელქობდა, სწავლას ნაკლებ დროს უთმობდა. VI კლასში კი შეიცვალა, როგორც ჩანს, რაღაც მიზანი დაისახა. მიხვდა, რომ ცხოვრებაში რაღაცას უნდა მიაღწიოს. მაშინ მიიღეს პიონერებში და მაშინვე რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე გახდა“.

ჟურნალისტებმა ამ საკითხში გარკვევა სცადეს და პუტინს მის „დაგვიანებულ“ პიონერულ წარსულზე ჰკითხეს:

— მართალია, რომ პიონერთა რიგებში დიდხანს არ გღებულობდნენ?

ვ. პუტინი: — მართალია, მე ხომ ხულიგანი ვიყავი.

— **კეკლუცობთ?**

— რას ამბობთ, მართლაც „შპანა“ ვიყავი.

ეს „შპანა“ სრულიად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ჭიდაობის სექციაში დაიწყო სიარული. პუტინის სპორტით გატაცებაზე ოპონენტები ხშირად ქილიკობენ, თუმცა კარგი ფიზიკური ფორმა პუტინს მომავალში საუკეთესო სამსახურს გაუწევს.

რომ არა სპორტი, არავინ იცის, რა გზას გაუყვებოდა მოზარდი. თავად ვლადიმერ პუტინი იხსენებს: „სპორტით 10-11 წლის ასაკში დავკავდი, როცა ნათელი გახდა, რომ მხოლოდ მოჩხუბარი ხასიათი არ კმარა ეზოსა და სკოლაში პირველობისთვის. ჯერ კრივის სექციაში მივედი, მაგრამ დიდხანს არ გავჩერებულვარ. ძა-

© „ღვინისგბილნი ხანისაფაფი“

ლიან მალე ცხვირი გამიტეხეს. საშინელი ტკივილი იყო — ცხვირზე ხელს ვერ ვიკიდებდი, მაგრამ ექიმთან არ წავედი, თუმცა ყველა მეუბნებოდა, რომ ოპერაცია იყო საჭირო. ვთქვი: რა საჭიროა ექიმი, თვითონ შეხორცდება-მეთქი და შეხორცდა კიდეც. მაგრამ კრივზე სიარულის სურვილი საბოლოოდ გამიქრა.

გადავწყვიტე, სამბოზე მევლო. ჭიდაობა მაშინ ძალიან პოპულარული იყო. ძალიან კარგი მწვრთნელი მყავდა — ანატოლი რახლინი. ახლაც ავარჯიშებს ბავშვებს. მწვრთნელმა ჩემს ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. სპორტი რომ არა, გაურკვეველია, როგორ წავიდოდა ჩემი ცხოვრება. სწორედ რახლინმა მომწყვიტა ეზოს. ჯერ სამბოზე დავდიოდი, მერე — ძიუდოზე. ესეც მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო. მთელი ჯგუფი ძიუდოზე გადავერთეთ.

ძიუდო ხომ მხოლოდ სპორტი არ არის — ეს ფილოსოფიაა. ეს არის უფროსის, მეტოქის პატივისცემა. იქ სუსტები არ არიან. ძიუდოში ყველაფერი, დაწყებული რიტუალით და დამთავრებული წვრილმანებით, აღმზრდელობით ხასიათს ატარებს. გამოდიან ხალიჩაზე, თავს უხრიან მისალმების ნიშნად... არადა, შეეძლოთ პირდაპირ დატაკებოდნენ ერთმანეთს. ვისთან ერთადაც ძიუდოში ვვარჯიშობდი, ახლაც ვმეგობრობ“.

ლენინგრადში, ბასკოვის შესახვევის მე-12 სახლი ლენინგრადის თავდაცვის სარტყელის სამხედრო საჰაერო ძალების შტაბის გვერდით იდგა და ომის დროს დაიბომბა. ხუთსართულიანი

სახლის ნახევარი დანგრეული იყო და ბავშვები ამ ნანგრევებში სიამოვნებით თამაშობდნენ დამალობანას. ბლოკადაგამოვლილ 15-16 წლის ბიჭებს თავიანთი წრე ჰქონდათ და უმცროსებს არ იკარებდნენ. მათ მხოლოდ რაიმეს ავალებდნენ. თუ ისინი მშობლებთან უფროსი ბიჭებისგან შევიწროებაზე დაიჩივლებდნენ, სამუდამოდ გაირიყებოდნენ.

პუტინის ყველაზე ახლო მეგობარი, სერგეი ბოგდანოვი, იხსენებს, რომ ვოვა ცელქი ბავშვი იყო. დედა — მარია იძულებულიც კი გახდა, საბავშვო ბაღში მუშაობისთვის თავი დაენებებინა და მეეზოვეობა დაეწყო, რათა მოუსვენარი შვილი სულ თვალწინ ჰყოლოდა. „ბავშვობაში ყველას მზვერავობა გვინდოდა, — **იგონებს სერგეი ბოგდანოვი**, — ერთხელ უფროსმა მეგობარმა „ტომ სოიერი“ გვაჩუქა. წავიკითხეთ და ხის ტივი შევკარით, დატბორილ სარდაფებში დავცურავდით. ერთხელაც აუფეთქებელი ნაღმი ვიპოვეთ. ვოვკამ მაშინვე ხელი სტაცა: „მინდა, ჩემზე გაზეთში დაწერონო“ და ნაღმი მილიციაში წაათრია. „ჩემზე გაზეთში დაწერენ“? — ჰკითხა მილიციელებს და ნაღმი მაგიდაზე დაახეთქა. მათ კინაღამ გული წაუვიდათ, სულ ხულიგნები გვიძახეს. მამამისმა რომ გაიგო, რა თქმა უნდა, დასაჯა. მეორედ ტყეში წავედით ღამისთევით. მშობლებმა ყველაფერი გადაატრიალეს, მაგრამ რას გვიპოვიდნენ? როცა დავბრუნდით, დეიდა მარუსიამ გულში ჩაიკრა ვოვა და ატირდა: „მადლობა ღმერთს, ცოცხალი ხარ“!

ვოვკას იდეა-ფიქსი ჰქონდა, რომ ნამდვილი

© „ღვასაბაძეების ოჯახური“

მზვერავი ვერ გახდები, თუ არ გაკაჟდები. ზამთარში თოვლში გვახტუნავებდა, მერე ყველა ანგინით ვიწექით, ვოვას კი მამა მკაცრად სჯიდა. ერთხელაც ვოვკამ მე და ჩემი ძმა ყინულიან წყალში საცურაოდ წაგვიყვანა. გაზაფხული იყო, ნევაზე ყინული დაიძრა. გავიხადეთ და ტრუსების ამარა გადავხტით. ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო დიდხანს გაძლებდა მცურავ ყინულზე.

1961 წელს სტალინის პორტრეტების გადაყრა დაიწყეს. მე და ვოვკამ სკოლიდან გადაგდებული პორტრეტი წამოვიღეთ და საღამოს ვოვკამ ჩვენს სახლზე დაკიდა. საშინელი სკანდალი იყო!

დრო გადიოდა. ბიჭებს ინტერესები ეცვლებოდათ, მარტო პუტინი ოცნებობდა ისევ მზვერავობაზე. ვოვკა მამამისის „უშანკას“ და ძველ კიტელს ატარებდა. როცა პირველად ნახა ფილმი „ფარი და მახვილი“, სიხარულისგან კინაღამ გაგიჟდა! ჩვენც კომპლიმენტებს ვუკეთებდით: „ისეთივე ქოჩორი გაქვს, როგორც კინოში გადაღებულ მზვერავს“! ამის შემდეგ თმის გაკრეჭაზე უარი თქვა“.

პუტინის სკოლის მეგობრებიც ადასტურებენ, რომ მას მზვერავობა უნდოდა. როცა სკოლაში სწავლობდა, უშიშროებაში მისულა და უკითხავს: „რა უნდა გავაკეთო, რომ მზვერავი გავხდე?“ იქ, რა თქმა უნდა, უპასუხეს: „კარგად უნდა ისწავლო!“ ამის შემდეგ მართლაც დაიწყო მეცადინეობა, მანამდე სწავლით თავს არ იკლავდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ისევ მივიდა უშიშროებაში: „ახლა რა უნდა გავაკეთო?“ ურ-

ჩიეს, ან ჯარში წასულიყო, ან იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაებარებინა. პუტინმა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლადამთავრებულებზე ადგილების მხოლოდ 10 პროცენტი იყო გამოყოფილი, მან ერთ ადგილზე 40-კაციან კონკურსში გაიმარჯვა. „უპატრონო“ ბიჭისთვის ეს მართლაც სერიოზული წარმატება იყო.

ერთხელაც იურიდიული ფაკულტეტის დეკანატში კომიტეტის თანამშრომლები მივიდნენ: „ხუთი კაცი უნდა შევარჩიოთ, რომლებიც კარგად სწავლობენ, არ სვამენ, ქალებს არ დასდევენ“. იმ ხუთეულში ვ. პუტინიც აღმოჩნდა. „კარგად თუ ისწავლით, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოდით ჩვენთან გასაუბრებაზე“, — უთხრეს ამ ხუთ ახალგაზრდას. უნივერსიტეტის დამთავრებამდე პუტინი მათ დარიგებას მიჰყვებოდა — არ სვამდა, არ ეწეოდა, ქალებს არ დასდევდა, გულდასმით მეცადინეობდა.

სერგეი ბოგდანოვი იხსენებს, რომ ისინი მუსიკაზეც ერთად დადიოდნენ და, როდესაც კულტურის სახლ „ჟდანოვოში“ მოსმენაზე გავიდნენ, სერგეი არ მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ინსტრუმენტზე უკრავდა, უთხრეს, რომ სმენა არა აქვს. სმენა არც ვ. პუტინს ჰქონდა, მაგრამ მიიღეს. „ისეთი ჯიუტი და მონდომებულია, რომ ყველაფერი გამოუვაო“, — თქვეს. ყველაფერში პირველობა უნდოდა; ეს თვისება მამამ გამოუმუშავა. „სამბოზეც იმიტომ შევიდა, რომ ეზოში არავის დამორჩილებოდა. მეც მიცავდა.

© „ღვასაბაძეების ოჯახური“

როგორც კი ცემას დამიპირებდნენ, ვოვკასკენ გავრბოდი. მაშინ უკვე იცოდა საბრძოლო ილეთები. საბოლოოდ ეზოში მისი ეშინოდათ. გვეგონა, მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებოდით, როგორც ტომ სოიერი და ჰეკლბერი ფინი, მაგრამ მან მარტოსული შტირლიცის როლი არჩია“...

უნივერსიტეტში სწავლისას სხვა სტიმულები, სხვა ღირებულებები გაუჩნდა. ძირითადად სწავლას უთმობდა ყურადღებას, სპორტმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა. რეგულარულად ვარჯიშობდა, საკავშირო შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა, მაგრამ, მისივე სიტყვებით, უფრო ინერციით.

* * *

თავად ვ. პუტინი უშიშროებაში მისვლას ასე აღწერს: „მეცხრე კლასში რომ გადავედი, უშიშროების კომიტეტის სამმართველოს სამოქალაქო მისაღებში მივედი. ვიღაც კაცი გამოვიდა და მომისმინა. ავუხსენი, რომ მათთან მუშაობა მინდოდა. „სასიხარულოა, მაგრამ აქ რამდენიმე მომენტია. ჯერ ერთი, საკუთარი ნებით მოსულები არ აგვყავს; მეორეც, მხოლოდ ჯარში სამსახურის ან უმაღლესის დამთავრების შემდეგ ვღებულობთ“. ვკითხე, რომელი სპეციალობა უნდა დამემთავრებინა. როგორც ჩანს, ჩემი თავიდან მოცილება უნდოდა და მიპასუხა, რომ სულერთია. მე ჩავეკითხე — „მაინც რომელი ჯობია?“ მან მიპასუხა, რომ იურიდიული. სწორედ მაშინ გადავწყვიტე იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება.

— სტიპენდია გყოფნიდათ?

— არა. პირველ ხანებში მშობლების კისერზე ვიჯექი. ზაფხულობით სტუდენტურ რაზმებში კი გვიგროვდებოდა ფული, მაგრამ რა ხეირი? კომის ავტონომიაში ტყეს ვჭრიდით, სახლებს ვარემონტებდით. სამუშაო რომ დავამთავრეთ, დაახლოებით ათასი მანეთი გამოგვივიდა თითოეულს. მაშინ მანქანა სამ-ნახევარი ათასი ღირდა, ჩვენ კი თვე-ნახევარში ათას-ათასი ავიღეთ! მე და ჩემი ორი მეგობარი პირდაპირ გაგრაში წავედით. პირველივე დღეს პორტვეინით დავთვერით და მწვადი დავაყოლეთ. სად უნდა გაგვეთენებინა? სასტუმროზე არც ვოცნებობდით. გვიან ღამით კერძო სექტორში ვიღაც მოხუცმა ქალმა შეგვიფარა.

რამდენიმე დღე ვბანაობდით, მზეს ვეფიცხებოდით, ვისვენებდით. ამასობაში ფულიც შემოგვეხარჯა. შინ ხომ უნდა დავბრუნებულიყავით? ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და ყველაზე იაფი ვარიანტი ავირჩიეთ — გემბანის ადგილები თბომავალზე. თბომავალი ოდესამდე მიდიოდა, იქიდან კი ლენინგრადამდე პლაცკარტით ვიმგზავრებდით. უკვე რაღაც გროშები დაგვრჩა და „ტუშონკის“ ყიდვა გადავწყვიტეთ. ერთ-ერთი ჩვენგანი უფრო მომჭირნე იყო და ფულიც ჩვენზე მეტი დარჩა. ახლა ის ორნი ადვოკატურაში მუშაობენ. ჰოდა, იმ ერთმა განაცხადა, რომ „ტუშონკა“ მძიმე საკვებია და კუჭს არ უხდება. ფულიც არ დადო. ჩვენ ორმა ვიყიდეთ — ორი დღე რაღაც ხომ უნდა გვეჭამა!

როცა თბომავალთან მივედით, უზარმაზარი

© „ღვანცარმაზე ენგი ანანიაცაფი“

რიგი დაგვხვდა. გვითხრეს, რომ მხოლოდ კაიუ-ტის მგზავრებს უშვებენ, გემბანისას კი მერე აუშვებენო. „ტუშონკაზე“ უარის მთქმელმა გვითხრა: „რაღაც არ მომწონს ეს ამბავი. გაურ-კვეველი ეჭვი მაწუხებს, რომ შეიძლება გემზე ვერ მოვხვდეთ. მოდი, ახლავე ვცადოთ ასვლა“.

ჩვენი ბილეთები, იმის გამო, რომ თბომავალ-ზე და მატარებელზე ერთად ავიღეთ, ისეთივე იყო, როგორც კაიუტის მგზავრებისა, ხოლო გემბანის მგზავრებს პატარა მუყაოს ტალონე-ბი ჰქონდათ. მე მომერიდა, — უხერხულია, მო-დით, დავიცადოთ-მეთქი; ის კი მომიბრუნდა და მითხრა: „ჰოდა, თუ გეუხერხულება, აქ იდექი, ჩვენ კი ავალთო“. წავიდნენ და მეც გავყევი, აბა, ხომ არ დავრჩებოდი! კონტროლიორი გვე-კითხება: „თქვენ როგორი ბილეთები გაქვთ?“ ვაჩვენეთ მოზრდილი ბილეთები და გაგვატარა.

ამ დროს ვიღაცამ დაიყვირა: „არიან კიდევ წესიერი მგზავრები?“ სიჩუმე ჩამოვარდა. იმ ვიღაცამ კიდევ ერთხელ იკითხა. ნაპირზე დარჩენილებმა, იმ იმედით, რომ აუშვებდნენ, დაიყვირეს: „კი, ოღონდ გემბანის ბილეთებით“. ამის პასუხად გაისმა: „აწიეთ ტრაპი!“ რომ არ ავსულიყავით, ჩვენც ნაპირზე დავრჩებოდით.

სამაშველო ნავში მოვთავსდით, რომელიც წყალზე ეკიდა. ისე მივცურავდით, როგორც ჰამაკში. ორი ღამე ცაში ვიყურებოდი, თვალს ვერ ვაცილებდი. ჩვენ მივცურავდით, ვარსკვლავები კი ერთ ადგილზე ეკიდა. მეზღვაურებმა ეს ძალიან კარგად იციან, ჩემთვის კი ეს აღმოჩენა იყო. საღამოობით კაიუტის მგზავრებს ვათვალიერებდით. ცოტა სევდა გვერეოდა, როცა მათ ლამაზ ცხოვრებას ვუყურებდით. ჩვენ კი მხოლოდ ნავი, ვარსკვლავები და „ტუშონკა“ გვქონდა.

იმ ჩვენს მომჭირნე მეგობარს კი „ტუშონკაც“ არ ჰქონდა. ველარ მოითმინა და რესტორანში წავიდა. იქ ისეთი ფასები დახვდა, რომ უკან მობრუნდა და გვკითხა: „აბა, სად არის თქვენი ტუშონკა?“ მეორე ჩვენმა მეგობარმა, რომელიც მაშინაც მკაცრი ხასიათით გამოირჩეოდა, უპასუხა: „იცი, რა? ჩვენ შენს კუჭზე უნდა ვიზრუნოთ. მისთვის „ტუშონკა“ მეტისმეტად მძიმე საკვებია“. ასე რომ, ერთი დღე-ღამე სრულ მარხვაზე იყო. მკაცრად, მაგრამ სამართლიანად მოვექეცით.

მთელი ეს წლები უნივერსიტეტში სულ ველოდი, როდის გამიხსენებდა ის კაცი უშიშროებიდან, რომელსაც სკოლის პერიოდში ველაპარა-

© „ღვინისფერი ცისკარი“

კე. რა თქმა უნდა, ჩემ შესახებ დაივიწყეს. მე კი მახსოვდა, რომ საკუთარი ნებით მისულებს არ იღებდნენ და თავი აღარ შემიხსენებია. ოთხი წელი გავიდა. სრული სიჩუმე. მე დავიწყე შრომით მოწყობაზე ფიქრი. ორი ვარიანტი იყო — სპეცპროკურატურა (იგი ახლაც მუშაობს სარეჟიმო დაწესებულებებში) და ადვოკატურა. ეს მაშინ პრესტიჟული განაწილება იყო. მაგრამ მეოთხე კურსზე ერთი კაცი დამიკავშირდა და შეხვედრა მთხოვა. მართალია, არ უთქვამს, ვინ იყო, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რადგან მითხრა: „საქმე თქვენს განაწილებას ეხება და ამ თემაზე მინდა თქვენთან ლაპარაკი. ჯერ არ მინდა დაზუსტება, თუ — სად“.

აი, აქ მივხვდი: თუ არ ამბობს — სად, ესე იგი — „იქ“. ფაკულტეტის ვესტიბიულში შევხვდი. მივედი, დაახლოებით ოცი წუთი ველოდე. ვიფიქრე, რომ მომატყუა ან ვიღაც გამეხუმრა. მან კი ქოშინით მოირბინა და ბოდიში მომიხადა. ეს მომეწონა.

„წინ კიდევ დიდი დროა, მაგრამ რას ფიქრობ ორგანოებში მუშაობაზე?“ — მკითხა მან. მე არ ვუთხარი, რომ ბავშვობიდან ვოცნებობდი ამაზე, რადგან ძალიან კარგად მახსოვდა ეს ფრაზა: „საკუთარი ნებით მოსულები არ აგვყავს“!

* * *

3. პუტინი: „ექვსი თვე კონტრდაზვერვაში ვიმუშავე. როგორც ჩანს, საგარეო დაზვერვის თანამშრომლებმა ყურადღება მომაქციეს. რამდენიმეჯერ გამესაუბრნენ. რა თქმა უნდა, დაზვერ-

ვაში მინდოდა. მზვერავები „თეთრ საყელოიანებად“, ანუ ყველაზე ინტელექტუალურ ნაწილად მიიჩნეოდნენ ორგანოებში. ძალიან მალე ერთწლიანი სპეცმომზადება გავიარე მოსკოვში და ისევ ლენინგრადში დავბრუნდი. პირველი მთავარი სამმართველო დაზვერვას წარმოადგენს. იქ ოთხწელიწად-ნახევარი ვიმუშავე. ამის შემდეგ ისევ მოსკოვში, უშიშროების (ახლა — ანდროპოვის სახელობის) ინსტიტუტში გამაგზავნეს. დღეს მას რუსეთის საგარეო დაზვერვის აკადემია ჰქვია.

მიხეილ ფროლოვი, ვ. პუტინის პედაგოგი უშიშროების წითელდროშოვან ინსტიტუტში, იხსენებს: „ვლადიმერ პუტინი ჩემთან ლენინგრადის სამმართველოდან მაიორის წოდებით მოვიდა. ჩემთან სამეულ-კოსტუმში გამოცხადდა, თუმცა გარეთ 30-გრადუსიანი სიცხე იყო და მე თვითონ მოკლესახელოებიან პერანგში ვიჯექი. მას მიაჩნდა, რომ უფროსთან მხოლოდ ასე შეიძლებოდა მისულიყო. ხშირად სამაგალითოდ მომყავდა სხვებისთვის: „შეხედეთ ამხანაგ პლატოვს“! იქ საკუთარი გვარით არავის მოიხსენიებდნენ, გვარის მხოლოდ პირველ ასოს ვინარჩუნებდით. მე, მაგალითად, სადაზვერვო სკოლაში ფილიმონოვად მიცნობდნენ.

ჩვენს ინსტიტუტში მხოლოდ დაზვერვას და კონტრდაზვერვას როდი ასწავლიდნენ; ლომის წილი იმაზე მოდიოდა, რომ ვსწავლობდით თავად მსმენელს, მის პროფესიულ ვარგისიანობას, პიროვნულ თვისებებს. საბოლოოდ უნდა გაგვერკვია, ივარგებს თუ არა მსმენელი დაზ-

ვერვაში სამუშაოდ. ჩვენს ინსტიტუტში სწავლა ერთგვარი პოლიგონია. მე დაზვერვის ხელოვნებას ვასწავლიდი. რას ნიშნავს ეს? ეს არის ადამიანებთან კონტაქტში შესვლის, ჩვენთვის საჭირო ადამიანების შერჩევის უნარი, იმ კითხვების დასმის უნარი, რომლებზეც პასუხები ჩვენს ქვეყანას და მის ხელმძღვანელობას სჭირდება, თუ გნებავთ, ფსიქოლოგის უნარ-ჩვევები. ამიტომ მსმენელი ისე ზედმიწევნით უნდა შეგვესწავლა, რომ მისი თავმდებობა შეგვძლებოდა. წლის ბოლოს ყველა მსმენელის დახასიათება მზადდებოდა, რომელიც მათ ბედს წყვეტდა.

ყველა პედაგოგი, კონტრდაზვერვის კათედრით დაწყებული და ფიზკულტურის კათედრით დამთავრებული, წერდა საკუთარ აზრს მსმენელზე. შემდეგ ეს ყველაფერი თავს იყრიდა სას-

წავლო განყოფილების ხელმძღვანელთან, რომელიც ამ ყველაფერს შეაჯერებდა და ვრცელ, დაწვრილებით დახასიათებას ადგენდა. ეს ჯოჯოხეთური შრომა იყო, რომელიც საბოლოოდ ოთხი ნაბეჭდი გვერდის მოცულობაში უნდა ჩატეულიყო. ყველაფერი იყო განხილული: პიროვნული და პროფესიული თვისებები. ერთი ან ორი კვირით ვიკეტებოდით და ვწერდით, ვაანალიზებდით... დახასიათების ბოლოს დასკვნა კეთდებოდა მსმენელის ვარგისიანობის შესახებ დაზვერვაში სამუშაოდ.

მაგალითად ერთი ისტორია შემიძლია მოვიტანო. ერთი ჩვენი მსმენელი მის წინაშე დასმულ ოპერატიულ ამოცანებს უმარტივესად წყვეტდა. ზოგჯერ იფიქრებდი, რომ პასუხები წინასწარ იცოდა. მისი ნათელი ანალიტიკური გონება კარგი გადაწყვეტილებების პოვნას სწრაფად ახერხებდა, მაგრამ თავისთავად ოპერატიული ამოცანების გადაჭრა პრიორიტეტული არ იყო. სწავლების დასრულებისას ისეთი დახასიათება შევადგინე, რომელიც მას დაზვერვაში გზას უკეტავდა. გადამწყვეტი როლი მისმა პიროვნულმა თვისებებმა შეასრულა — იგი კარიერისტი და მეგობრებთან არაგულწრფელი იყო.

მე თვითონ მიმუშავია რეზიდენტურაში და ჩემთვის ადვილი წარმოსადგენი იყო, რა მოხდებოდა იქ, თუ ასეთი თანამშრომელი გაჩნდებოდა. იგი ყველას დააპირისპირებდა, ნერვიულ სიტუაციას შექმნიდა და სამუშაო ვითარება ნამდვილად გაფუჭდებოდა, ამიტომ დავწერე მასზე უარყოფითი დასკვნა.

© „ღვასუბაუნეგნე ესნაოფაფე“

აი, ვ. პუტინზე ვერ ვიტყვი, რომ კარიერისტია, თუმცა დახასიათებაში ზოგიერთი უარყოფითი თვისება აღვნიშნე. ჩემი აზრით, ის დახურული, გულჩათხრობილი ადამიანია. სხვათა შორის, ეს როგორც უარყოფით, ისე დადებით თვისებად შეიძლება ჩაითვალოს. მსმენელის შემდგომ ბედს ზემდგომი კომისია წყვეტდა. ვ. პუტინი უშიშროების გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობას მიამაგრეს“.

თავად ვ. პუტინი კი იმ წლებს ასე იხსენებს: „ჩემი წარმოდგენები კგბ–ზე მზვერავების შესახებ რომანტიკული ნაამბობის საფუძველზე ჩამოყალიბდა“. ლენინგრადის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ იგი ჯერ სამმართველოს სამდივნოში მიიღეს, შემდეგ კი — კონტრდაზვერვის ქვედანაყოფში. იქ ხუთი თვე იმუშავა. შემდეგ ოპერატიული შემადგენლობის გადამზადების კურსები იყო. კიდევ ექვსი თვე კონტრდაზვერვაში იმუშავა. სწორედ მაშინ მიაქციეს მას ყურადღება საგარეო დაზვერვის თანამშრომლებმა.

„საკმაოდ მალე მოსკოვში სპეცმომზადებაზე გავემგზავრე. იქ ერთი წელი დავყავი. მერე ისევ ლენინგრადში დავბრუნდი. პირველ განყოფილებაში ვმუშაობდი. ამ სამმართველოს საბჭოთა კავშირის მსხვილ ქალაქებში, მათ შორის ლენინგრადში, ქვედანაყოფები ჰყავდა“, — იხსენებს ვ. პუტინი.

შემდეგ ისევ მოსკოვი და ინსტიტუტი, რომელშიც გერმანიაში მუშაობისთვის ამზადებდნენ. 1985 წელს იგი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გააგზავნეს, სადაც 1990 წლამ-

დე იმუშავა, თუმცა გამგზავრებამდე მის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა.

ერთხელ მას მეგობარმა დაურეკა და თეატრში, არკადი რაიკინის წარმოდგენაზე დაპატიჟა. ბილეთები უკვე ჰქონდა და გააფრთხილა, რომ გოგონები იქნებოდნენ. ასე გაიცნო პუტინმა მომავალი მეუღლე — **ლუდმილა შკრებნევა**. იგი სტუარდესად მუშაობდა შიდა ხაზებზე და მეგობარ გოგონასთან ერთად ლენინგრადში სამი დღით ჩავიდა.

„მეორე დღესაც წავედით თეატრში. ამჯერად ბილეთები მე ვიშოვე. მესამე დღესაც იგივე იყო. დავმეგობრდით და ლუდასთან შეხვედრა დავიწყე“, — იხსენებს პუტინი. თავად ლუდმილა კი ასე იგონებს იმ პერიოდს: „როგორც ჩანს, ვალოდიაში იყო რაღაც ისეთი, რაც მიზიდავდა. სამიოთხი თვის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ის ადამიანია, რომელიც მჭირდება“. სამი წლის შემდეგ ისინი დაქორწინდნენ. „მივხვდი, რომ, თუ ახლა არ მოვიყვან ცოლს, მერე ამას აღარასოდეს გავაკეთებ. მარტო ცხოვრების ჩვევა უკვე გამომუშავებული მქონდა, მაგრამ ლუდმილამ ეს ჩვევა ამოძირკვა“, — ამბობს პუტინი.

ხელი 1983 წლის 28 ივლისს მოაწერეს. 1985 წელს, გერმანიაში წასვლამდე მათ პირველი ქალიშვილი — მარია გაუჩნდათ. 1986 წელს უკვე გერმანიაში, დრეზდენში უმცროსი — კატერინა დაიბადა. ორივე გოგონას ბებიების სახელები დაარქვეს: მარია ივანოვნა პუტინას და ეკატერინა ტიხონოვნა შკრებნევას საპატივცემულოდ.

© „ღვასტრამაზეზ ენგ ასნაოსტაფლი“

დედის — ლუდმილას აზრით, პუტინს ისინი ძალიან უყვარს: „ყველა მამაკაცს როდი აქვს ასეთი ფაქიზი დამოკიდებულება შვილების მიმართ, როგორც ვალოდიას. ყოველთვის ანებივრებდა, აღზრდა კი მე მიწევდა“.

მრავალი წლის შემდეგ, ლარი კინგმა თავის თოქ-შოუში იმჟამად პრემიერმინისტრ ვლადიმერ პუტინს მოულოდნელი შეკითხვა დაუსვა:

— **რატომ უფრთხილდებით ასე თქვენს ოჯახს?**

ვ. პუტინი: — თქვენ იცით, რომ ჩვენ ტერორიზმთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა გვაქვს და უბრალოდ ვალდებულნი ვართ, ვიფიქროთ ოჯახის წევრების, უპირველესად, შვილების უსაფრთხოებაზე. ისინი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ, უნივერსიტეტში სწავლობენ, კმაყოფილი არიან, მაგრამ საზოგადო-

ებრივ სცენაზე მათი გამოყვანა საჭიროდ არ მიმაჩნია და არც მათ უნდათ ეს“.

და უცებ, თითქოს ამოწმებდა ვ. პუტინს, ლარი კინგმა სასხვათაშორისოდ დაუსვა კითხვა, რომელზეც აუცილებლად წამოეგებოდა კაცი, პრემიერმინისტრის პოსტზეც კი საკუთარი თავი პრეზიდენტად რომ მიაჩნია:

— თქვენს მეუღლეს მოსწონს, რომ პირველი ლედია?

პუტინი მშვიდად უპასუხებს:

— იგი არ არის პირველი ლედი. პირველი ლედი ჩვენთან პრეზიდენტის მეუღლეა.

ლარი კინგს შესწორება შეაქვს**:** — **უფრო სწორად, მოსწონდა მას ეს თუ არა?**

ვ. პუტინი: — პრინციპში, საჯარო ცხოვრების დიდი მოყვარული არ არის. ვფიქრობ, მან ღირსეულად ატარა ეს ტვირთი და საკუთარ მოვალეობებს თავი გაართვა.

© „ღვასრულიერი ეროსი“



პირადი ცხოვრება

მეუღლე **ლუდმილა პუტინა** 1958 წლის 6 იანვარს კალინინგრადში დაიბადა. ვლადიმერ პუტინთან ქორწინებიდან სამი წლის შემდეგ, 1986 წელს ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა ფილოლოგ-რომანისტის სპეციალობით. ფლობს გერმანულ, ესპანურ, ფრანგულ ენებს.

1986-1990 წლებში მეუღლესთან ერთად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცხოვრობდა.

1990-1994 წლებში ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელთა დახელოვნების კათედრაზე გერმანულ ენას ასწავლიდა. არის რუსული ენის განვითარების ცენტრის შექმნის ინიციატორი.

ლუდმილა პუტინა 2002 წელს იაკობ გრიმის პრემიის „გერმანული ენის პოპულარიზაციისთვის“ ლაურეატი გახდა.

ლუდმილა პუტინა გატაცებულია თეატრალური ხელოვნებით, მუსიკით, უყვარს რომანსები. მისდევს ჩოგბურთს, სამთო-სათხილამურო სპორტს.

2013 წლის 6 ივნისს ვლადიმერ პუტინი და პირველი ლედი კრემლში ბალეტ „ესმერალდას“ დაესწრნენ. ისინი სპექტაკლის დროს აბსოლუტურად მშვიდად გამოიყურებოდნენ, დარბაზი ერთად დატოვეს. ლუდმილა პუტინა როგორც შესვლისას, ისე გამოსვლისას ილიმებოდა. იმავე დღეს მათ გაყრის შესახებ გააკეთეს განცხადება. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის და ლუდმილა გაყრის შემდეგ მეგობრებად დარჩებიან. ლუდმილა პუტინამ დაამატა: „ჩვენ, ყველას ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს და მე მადლობელი ვარ, რომ მეც და შვილებსაც გვეხმარება. შვილებზე ძალიან ზრუნავს და ისინი ამას გრძნობენ“.

პრეზიდენტის პრესმდივანმა, დიმიტრი პესკოვმა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ განქორწინება დოკუმენტურად ჯერ არ არის გაფორმებული, თუმცა ამას პირველები სწორედ ჟურნალისტები შეიტყობდნენ და პრესმდივნის პასუხმა უფრო ის გაამჟღავნა, რომ პრეზიდენტის გაყრის შესახებ პესკოვიც არ იყო ინფორმირებული. მან აღნიშნა, რომ პუტინის სამუშაო გრაფიკი და მისი მოგზაურობის ვრცელი გეოგრაფია საყოველთაოდ ცნობილია. ამასთანავე, ცოლ-ქმარი, უკვე გარკვეული ხანია, ერთად

© „ღამისფრთიანი ფრინველი“

აღარ ცხოვრობს. კითხვაზე, მოსკოვში დარჩება თუ მშობლიურ კალინინგრადში დაბრუნდება ლუდმილა შკრებნევა, პესკოვმა უპასუხა: „უფლება არ მაქვს, ჩავერიო მის პირად ცხოვრებაში ან კომენტარები გავაკეთო“.

მოგვიანებით, Россия 24-ის ეთერში პუტინმა ჟურნალისტებს უთხრა: „მთელი ჩემი საქმიანობა საჯარო სფეროს განეკუთვნება. ვიღაცას ეს მოსწონს, ვიღაცას — არა, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც საჯაროობასთან შეუთავსებელნი არიან. ლუდმილამ უკვე იმორიგევა 8, არა, უკვე 9 წელი“.

საინტერესოა რუსი პოლიტოლოგების შეფასებები ვ. პუტინის განქორწინების თაობაზე.

ევგენი მინჩენკო: „ეს ვლადიმერ ვლადიმერის ძის პირადი საქმეა. მისი განცხადება გაყრის შესახებ მის რეიტინგზე თუ აისახება, მხოლოდ დადებითად. რუსეთი საერო სახელმწიფოა, შემწყნარებლობის მაღალი დონით, განქორწინებები არცთუ იშვიათია, ბევრმა გაიარა ეს“.

პოლიტოლოგი, პოლიტიკური ინფორმაციის ცენტრის გენერალური დირექტორი ვლადიმერ სლატინოვი: „უნდა ითქვას, რომ პუტინმა ადამიანური სიმამაცე გამოამჟღავნა. როგორც ჩანს, ეს არ იყო მისთვის იოლი გადასაწყვეტი, რადგან პუტინი ის პოლიტიკოსია, რომლისთვისაც პირადი ცხოვრების თემა ყოველთვის დახურული იყო. ახლა განმტკიცდება ისეთი პრეზიდენტის სახე, რომელიც მუშაობს ქვეყნისთვის, ფიქრობს ქვეყანაზე და მასთან არის ქორწინებაში...

ეს მოვლენა პუტინის მიმართ ქალთა აუდიტორიის დაინტერესებას გაზრდის და პოზიტიურად აისახება მის რეიტინგზე“.

სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი დიმიტრი აბზალოვი: „პირად ცხოვრებას ელექტორალურ რეიტინგში მცირე პროცენტი უკავია. პუტინის რეიტინგზე ეს თითქმის არ იმოქმედებს. პრეზიდენტმა პუტინმა გაყრის შესახებ განცხადებით მამაკაცური, პატიოსანი საქციელი აჩვენა. კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი ძლიერი პოზიციის პოლიტიკოსია. თანამედროვე პოლიტიკურ სცენაზე არსებობს პოზიცია, როცა ამას უკანასკნელ მომენტამდე მალავენ. სინამდვილეში, შეძლო, ისე წახვიდე, რომ შეურაცხყოფა არ მიაყენო მეუღლესა და შვილებს, არამედ გააკეთო ეს ცივილიზებულად, სერიოზულად და ღიად – ეს ძლიერი პოლიტიკოსის პოზიციაა. სხვათა შორის, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო. დღეს სიტუაცია მსოფლიოში უფრო გახსნილია და ამ-ომრჩეველიც უპირატესობას გულწრფელობას ანიჭებს“.

რუსეთის პრეზიდენტის გაყრამ უამრავი გამოხმაურება გამოიწვია დასავლურ მედიაში. შეფასებები განსხვავებულია, თუმცა ყურადღებას პუტინის პირადი ცხოვრების ირგვლივ იდუმალებაზე ამახვილებდნენ, ასევე იმაზეც, რომ 2008 წლიდან მეუღლე ძალიან იშვიათად ჩნდებოდა ექსპრემიერის გვერდით. ამერიკულმა გაზეთმა The New York Times-მა პუტინების წყვი-

© „ღამისფრთიანი ფანატიკოსი“

ლის მიერ გამოცხადებულ გადაწყვეტილებას განქორწინების შესახებ „გულდასმით მომზადებული, მაგრამ მაინც საკმაოდ უცნაური“ უწოდა.

The New York Times-ის მარადიული მეტოქე, გაზეთი The Washington Post კიდევ უფრო იქედნური იყო თავის კომენტარებში. გამოცემის კოლუმნისტმა ეჭვი შეიტანა იმაში, რომ ლუდმილა პუტინას არ უყვარს თვითმფრინავით ფრენა (რაც გაყრის ერთ-ერთ მიზეზად იქცა), რადგან ახალგაზრდობაში იგი „აეროფლოტის“ შიდა ხაზებზე მუშაობდა: „სავარაუდოდ, ეს მხოლოდ თავაზიანი ჟესტია, რომელიც ყველას მისცემს საშუალებას, ღირსეულად გამოვიდეს შექმნილი სიტუაციიდან“.

კიდევ უფრო კრიტიკული იყო გავლენიანი The Los Angeles Times, რომლის სტატიის ავტორებმა ნაკლები ყურადღება დაუთმეს განცხადებას გაყრის შესახებ და ყურადღება ამგვარი ნაბიჯის მიზეზთა ანალიზზე გაამახვილეს. ჟურნალისტების აზრით, ქორწინების კრახზე პასუხისმგებელი პრეზიდენტია, რომელიც ცოლთან უხეში იყო. ისინი ოლეგ ბლოცკის წიგნს ეყრდნობიან „ვლადიმერ პუტინი: გზა ძალაუფლებისკენ“.

ლიბერალური ბრიტანული The Guardian გაყრის მიზეზებს სხვა ქალებში ხედავს. გაზეთმა ისევ გააკრიტიკა კრემლი ვ. პუტინის ოჯახური ცხოვრების მეტისმეტი გასაიდუმლოების გამო. „რამდენიმე თვის განმავლობაში ლუდმილა პუტინა საზოგადოებაში არ გამოჩენილა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იგი უცხოპ-

ლანეტელებმა გაიტაცეს. დამაჯერებელი ინ-ფორმაციის ვაკუუმს ყოველთვის უაზრო ჭორე-ბი, მინიშნებები და ხმები ავსებს“, — ხაზი გაუს-ვა სტატიის ავტორმა.

Daily Telegraph-ის ავტორმა მიუთითა აშკარა ნევროზულობასა და მღელვარებაზე, რომლი-თაც მეუღლეებმა დაშორების შესახებ გააკეთეს განცხადება. მისი აზრით, გაყრა მხოლოდ გა-აცხოველებს ინტერესს ვ. პუტინის პირადი ცხოვრების მიმართ, რომლის შესახებაც ბევრი არაფერია ცნობილი. გამოცემამ იმაზეც დაწე-რა, რომ დადის ხმები, თითქოს რუსეთის პრეზი-დენტის მეუღლე მონაზვნად აღიკვეცა.

ყველაზე თავშეკავებული ფრანგული Le Monde და Le Figaro აღმოჩნდნენ. კონსერვატი-ული Le Figaro რუსული ტელეკომპანია „როსსია 24“–ის ტრანსლაციის აღწერით შემოიფარგლა, ხოლო Le Monde-მ ამ მოვლენას საინფორმაციო შენიშვნა მიუძღვნა.

* * *

ოლეგ ბლოცკის 2002 წელს გამოცემულ წიგ-ნში „ვლადიმერ პუტინი: გზა ხელისუფლების-კენ“ ლუდმილა პუტინა იგონებს: „შესანიშ-ნავად მახსოვს ვლადიმერ ვლადიმერის ძის მშობლებთან პირველი შეხვედრა. ის-ის იყო, იყიდა იმ დროს მოდური სტერეოსისტემა „რო-სია“ და ამის აღსანიშნავად მე და კიდევ ორი მეგობარი დაგვპატიჟა. სამზარეულოში გავე-დი. იქ დედამისი — მარია ივანოვნა იყო. რა-ღაცაზე დავიწყეთ ლაპარაკი, ამ დროს ალექ-

© „ღუსუდუნეგ ეუსაფუფ“

სეი (რომელმაც ერთმანეთი გააცნო ვლადიმერსა და ლუდმილას. — რედ.) შემოდის და მარია ივანოვნას ეკითხება: „როგორ მოგწონთ ლუდა?“ მანაც უპასუხა: „რა უჭირს. თუმცა მას უკვე ჰყავდა ერთი ლუდა. კარგი გოგო იყო“.

კინაღამ ცრემლები წამსკდა. არ დაგიმალავთ, ძალიან არ მესიამოვნა. მტკივნეული და საწყენი იყო...

ჩვენი ურთიერთობა წყნარად ვითარდებოდა. შეიძლება ყოველთვის ლაჟვარდოვანს არ ჰგავდა, მაგრამ, სამაგიეროდ სტაბილური იყო. თუმცა მათში ერთი კანონზომიერება იჩენდა თავს: ერთი-ორი თვე ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მერე — რაიმე ნეგატივი, შემდეგ ისევ ყველაფერი კარგად იყო.

თუ გრძნობებზე ვილაპარაკებთ, ეს არ იყო რაღაც წამიერი გატაცება. ხომ იცით, როგორც ხდება: შეხვდები ადამიანს და მაშინვე შეგიყვარდება. ასე არ იყო. ჩემს ცხოვრებაში პირველად შემიყვარდა ადამიანი თანდათან. ნელ-ნელა შევეჩვიე და შემიყვარდა.

პაემნები განსაკუთრებული ისტორიაა. მე არასოდეს ვაგვიანებდი, ვლადიმერ ვლადიმერის ძე კი — ყოველთვის. საათ-ნახევარი ჩვეულებრივი ამბავი იყო. ვფიქრობდი, იქნებ დღეს დროზე მოვიდეს. თუმცა მის დაგვიანებებს, დღევანდელი დღის ჩათვლით, შევეგუე.

მახსოვს, მეტროში ვდგავარ. დაგვიანების პირველ თხუთმეტ წუთს ნორმალურად ვუძლებ, ნახევარი საათი — თითქოს არა უშავს, მაგრამ როდესაც ერთი საათი გადის, ის კი არ ჩანს, უბრა-

ლოდ, წყენისგან ტირი. საათ-ნახევრის შემდეგ კი უკვე არანაირი ემოცია აღარ გაქვს.

როცა ბოლოსდაბოლოს გამოჩნდებოდა, არასოდეს ვარკვევდი ურთიერთობას. ამ საათ-ნახევარში იმდენ რამეს გადავიტანდი ხოლმე, რომ არაფრის ძალა აღარ მრჩებოდა... დაგვიანება ყოველთვის სამსახურით აიხსნებოდა, რომელშიც იგი ყოველთვის პუნქტუალური იყო, პირად ცხოვრებაში კი თავს მოდუნების უფლებას აძლევდა. სხვაგან სად შეძლებდა ამას?

ვლადიმერ ვლადიმერის ძე ყოველთვის ასეთი იყო: არასოდეს თამაშობდა იმას, რასაც არ წარმოადგენდა. არასდროს ბრავირებდა თავისი ქცევით, პრინციპებით და იმით, რომ ასეთია. უბრალოდ, ასეთი იყო და მორჩა. თვითონ ამაზე არასოდეს ლაპარაკობდა, მაგრამ მესმოდა, რომ ის ასეთია და სხვანაირი არასოდეს გახდება. მისი ქცევა პატიოსანი იყო.

ვფიქრობ, ლენინგრადმა თავისი დაღი დაასვა მას. ჩემს ქმარს აქვს რაღაც ჩაკეტილობა, რომელიც მის მშობლებსაც ახასიათებდათ.

ერთხელ სტუმრად წავედით. მე, როგორც ჩანს, ძალიან თამამად მოვიქეცი: ვცეკვავდი, ვმხიარულობდი, ვიცინოდი. ვლადიმერ ვლადიმერის ძეს ეს არ მოეწონა და მკაფიოდ მითხრა, რომ ჩვენი შემდგომი ურთიერთობა შეუძლებელია. იმ მომენტში მივხვდი, რომ უნდა წავსულიყავი. კამათიც არ დამიწყია, ისე დამაჯერებლად იყო ნათქვამი. მით უფრო, რომ მე იმ ადამიანებს ვეკუთვნი, რომელთაც სიტყვა, მისი

© „ღვასაბაძეების ოჯახური“

წონა ესმით. წყენა ნათქვამის გამო არ მქონია, რადგან პატიოსნად მომექცა — ყველაფერი პირში მითხრა.

კალინინგრადში გავემგზავრე. არ დავფარავ, ეს ჩემთვის ძალიან მძიმე იყო. ძალიან! ორი კვირის შემდეგ კი ბინის კარზე დამაგრებული ბარათი დამხვდა: „Да, дружочек, это я“ და ტელეფონის ნომერი იყო მიწერილი.

შემდეგ იგი ყვებოდა, რომ ჩამოსვლა სამსახურის გამო მოუწია და, რაკი ჩამოვიდა, რატომაც არ უნდა ვენახე. მახსოვს, შეხვედრისას ვტიროდი, სიყვარულს ვუხსნიდი, ვეუბნებოდი, რომ მის გარეშე არ შემიძლია. მერე გავაცილე, თუმცა ჩვენი ურთიერთობა ისევ გაურკვეველი იყო.

ის, რომ მთელი ერთობლივი ცხოვრების განმავლობაში მცდიდა, უეჭველია. სულ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მაკვირდებოდა — რა გადაწყვეტილებას მივიღებდი, სწორს თუ არა, გავუძლებდი თუ არა ამა თუ იმ გამოცდას.

მახსოვს, 1981 წელს სამთოთხილამურებით სრიალი დავიწყეთ. უბრალოდ, რომელიღაც მომენტში მან ეს შემომთავაზა, თუმცა არც შემოუთავაზებია, ჩემი აზრი არ უკითხავს. მისთვის თავისთავად იგულისხმებოდა, რომ თხილამურებით ვისრიალებდით.

მაშინ სათხილამურო კოსტუმები დეფიციტი იყო, ამიტომ მის გარეშე ვსრიალებდით და საშინლად გამოვიყურებოდით. კაგოლოვოში მივდიოდით — ჯერ ტრამვაით, მერე მეტროთი და ბოლოს მატარებლით. სახლიდან ბაზამდე გზას საათ-ნახევარს ვუნდებოდით. ინსტრუქტორი არ

გვყავდა. თვითონ ვსწავლობდით. ეკიპირება ძვირი იყო. იმ მომენტიდან მთელი ფული ამ გატაცებაზე იხარჯებოდა. ზოგჯერ თეატრის ბილეთებზეც აღარ გვყოფნიდა...

ვლადიმერ ვლადიმერის ძეს ყოველთვის ჰყავდა მანქანა, როცა გავიცანი, ეს „ზაპოროჟეცი“ იყო. რომელიღაც მომენტში მანქანას მაყუჩი არ ჰქონდა და ასე ღამის ორ საათზე პიტერის ქუჩებში მანქანით დავდიოდით. ვლადიმერ ვლადიმერის ძეს, როგორც ჩანს, ძალიან უნდოდა, ღამის ქალაქი ეჩვენებინა და თანაც პირადი ავტომობილიც „წარედგინა“ ჩემთვის, რაც მაშინ ერთობ პრესტიჟული იყო. ასე რომ, ის მაშინაც მაგარი ბიჭი იყო.

ჩემი აზრით, მაყუჩის ისტორია უაზროდ გამოიყურებოდა. წარმოიდგინეთ, ჩამოვედი სულ ოთხი დღით და ვალოდიასთან ყოფნა მინდა. ამ დროს სრულიად არ მაინტერესებს, იქნება „ზაპოროჟეცი“ თუ არა. მაგრამ მას, როგორც ჩანს, მანქანით ჩემი გასეირნება უნდოდა და მთელი დღე მაყუჩის ძებნაში გაატარა. მე კი ამის გამო მთელი დღე სასტუმროში ვიჯექი. ძალიან საწყენი იყო: ოთხიდან ერთი დღის გაცდენა, რათა ღამით ისევ უმაყუჩო მანქანით გვევლო...

მერე „ზაპოროჟეცი“ და ავტოფარეხი გაყიდა და ამ ფულით „ჟიგული“ — „ოთხიანი“ იყიდა. ამ მანქანით საქორწინო მოგზაურობაში წავედით მეგობრებთან ერთად. იმ წყვილსაც ჰყავდა მანქანა. აი, მაშინ აღმოვაჩინე, რომ **ვლადიმერ ვლადიმერის ძეს კოლექტივში პირველობის პრეტენზია არ აქვს. ლიდერობას უფ-**

© „ღვინისფერი ცისკარი“

რო აქტიურ ადამიანს უთმოგდა. საშა სწორედ ასეთი იყო და დღეს იგი გეგმავდა, ვლადიმერ ვლადიმერის ძე კი სიამოვნებით ემორჩილებოდა. შეიძლება ამიტომაც, ის თვე ყოველგვარი უსიამოვნების გარეშე გავატარეთ. მშვიდად და კეთილგანწყობით...

შავ ზღვაზე პირველად 1981 წელს სუდაკში წავედით. სადილებს მე ვამზადებდი, რადგან ვლადიმერ ვლადიმერის ძემ სასადილოში კვებაზე უარი განაცხადა. მაშინ მაღაზიები ცარიელი იყო და პროდუქტის ყიდვა ბაზარში მიწევდა. ყველაფერი ძვირი იყო და დიდი მოხერხება მჭირდებოდა, რომ იოლად გამოვსულიყავი. ორ კაცზე ვამზადებდი, მაგრამ ხანდახან ვლადიმერ ვლადიმერის ძის მეგობრები — ვლადიკი და ვიქტორი შემოივლიდნენ. დიასახლისი ბრაზობდა — ჩვეულებრივ ოთახს სამზარეულოში სადილების კეთების ნებართვის გარეშე აქირავებდნენ.

ვლადიმერ ვლადიმერის ძემ ზღვაზე თან წამოიღო წყალქვეშა თოფი, ლასტები, ნიღაბი და ლეიბი. ზღვა ბინიდან შორს იყო — ფეხით ნახევარი საათი ვუნდებოდით. იქ პატარა ნახევარკუნძული იყო, ნაპირით საკმაოდ რთული მისასვლელი, ცურვით უფრო იოლად მიუდგებოდი. არადა, მაშინ მხოლოდ წყალზე გაჩერება შემეძლო, ცურვა მოგვიანებით ვისწავლე. ჰოდა, ლეიბზე, სიცოცხლის რისკით მივცურავდი, ვალოდია კი გვერდით ცურვით მომყვებოდა.

დღისით მზე საშინლად აცხუნებდა, თავს კი ვერსად შეაფარებდი — გარშემო მხოლოდ ქვები იყო. ძალიან დავიწვი, მხრებზე კანი გადამძ-

ვრა, ვლადიმერ ვლადიმერის ძემ კი თოფით ხელში წყალქვეშ საათზე მეტი გაატარა, ვიდრე კანკალი არ დააწყებინა. ცდილობდა, თევზი მოენადირებინა.

უცებ ვხედავ: ამოყვინთა ბედნიერმა, ხელში ისარი უჭირავს, რომელზეც ოცსანტიმეტრიანი თევზია წამოგებული. გამარჯვებულის იერი აქვს, მაგრამ წყალქვეშ თევზი გაცილებით უფრო დიდი ჩანს, ვიდრე სინამდვილეში. მერე ამ თევზისგან „უხა“ მოვხარშე. აი, ასეთი ნადავლი გვქონდა.

აღარ მახსოვს, როგორ მოხდა, მაგრამ უკან მარტო გამოვცურე. ვალოდია ნაპირით წავიდა, მე კი შემეშინდა, რადგან კლდეებს შორის ძალიან ვიწრო ნაპრალი იყო. ეტყობა, ვთქვი, რომ გავცურავ. მაშინ ვალოდიამ თოფი გამომიწოდა და მკითხა: „გაცურავ“? წყალში თოფი მსუბუქი მეჩვენა.

„კი-მეთქი“, — ვუპასუხე, მაგრამ, როცა რის ვაი-ვაგლახით გავცურე თავზემოთ აწეული თოფით, მივხვდი, რომ ის ჩემთვის საკმაოდ მძიმე იყო და შეიძლება ნაპირამდე ვერ გამეღწია. იმ მომენტში ისეთი პანიკა დამეუფლა, რომ, არც კი მახსოვს, როგორ გამოვცურე.

ასე რომ, ყოველთვის ისეთ ვითარებაში ვიყავი, რომ მოდუნების საშუალება არ მქონდა. ყოველთვის რაღაცასთან ბრძოლა იყო საჭირო: თხილამურებთან, მთებთან, წყალთან...

გაცნობიდან სამწლი-ნახევრის შემდეგ ვიქორწინეთ — 1983 წლის 28 ივლისს. სიტყვამ მოიტანა და მას შემდეგ ქორწინების წლისთავი არც ერ-

© „ღვასაბაძეების ოჯახი“

თხელ არ აღგვინიშნავს... ქორწინებაზე არასოდეს მიმინიშნებია. ძალიან კარგად გვესმოდა, რომ ადრე თუ გვიან უნდა ჩამოვყალიბდეთ ან დადებით, ან უარყოფით მხარეს.

თუმცა ვლადიმერ ვლადიმერის ძე არ აიტანდა, რომ ქალს მასზე ზეწოლა მოენდომებინა ან ლაპარაკი ჩამოეგდო ამ თემაზე. თუ საუბარი ამ თემას შემთხვევით შეეხებოდა, იგი მაშინვე წყვეტდა მას. იგი ირონიით ეკიდებოდა ამგვარ საუბრებს და მიაჩნდა, რომ გადაწყვეტილება მამაკაცმა უნდა მიიღოს.

ხელი ყველა წესის დაცვით, კლასიკურად მთხოვა: სიყვარული ამიხსნა და ქორწილის თარიღის ივლისში დანიშვნა შემომთავაზა. ყველაფერი ფორმის დაცვით მოხდა, თითქოს ცოტა ხელოვნურადაც კი.

მახსოვს, როგორ მოხდა ეს. ვალოდიას ოთახში ვიჯექით, როცა უცებ მითხრა: „აი, მეგობარო, შენ იცი, რომ საკმაოდ მძიმე ხასიათი მაქვს. და ახლა, პრინციპში, უნდა ჩამოყალიბდე“.

შიგნეული გამეყინა.

ასე რომ დაიწყო ლაპარაკი, ვიფიქრე, ურთიერთობის გაწყვეტა უნდოდა, მაგრამ ამ მომენტშიც კი ის ვუპასუხე, რასაც ვფიქრობდი:

— მე უკვე ჩამოყალიბებული ვარ — მჭირდები.

მაშინ ვალოდიამ მითხრა: — რაკი ასეა, გამომყევი ცოლად. მე შენ მიყვარხარ. თანახმა ხარ?

— კი, თანახმა ვარ, — ვუპასუხე.

— თუ წინააღმდეგი არ ხარ, ქორწილი სამი თვის შემდეგ, 28 ივლისს დავნიშნოთ.

ასე ამიხსნა სიყვარული აპრილის დამლევს.

ნამდვილად არ მახსოვს, ყვიროდნენ თუ არა ქორწილში „Горько!“, ალბათ, ყვიროდნენ. და არ მახსოვს, როგორ ვაკოცეთ ერთმანეთს...

ვლადიმერ ვლადიმერის ძე სამსახურზე არასოდეს მიყვებოდა. ჩემს მორიგ შეკითხვას „დღეს რას აკეთებდი?“ იგი ჩვეული ხუმრობით პასუხობდა: „სადილამდე ვიჭერდით, სადილის შემდეგ — ვუშვებდით!“ სულ ეს იყო...

სხვათა შორის, თვითონ არ უთქვამს, რომ კგბ-ს ოფიცერი იყო. როცა ერთმანეთი გავიცანით, მითხრა, რომ სისხლის სამართლის სამძებროში მუშაობს და წელიწად-ნახევარი ეს მჯეროდა...

მეგობარი მყავდა, ვლადიმერ ვლადიმერის ძის ამხანაგის ცოლი და მისგან გავიგე, რომ კგბ-ში მსახურობდა. ვფიქრობ, მან ეს მისი დავალებით მითხრა. რაღაცნაირად ვლადიმერ ვლადიმერის ძე ხომ უნდა გამოსულიყო შექმნილი ვითარებიდან! ეტყობა, ეს გზა აირჩია, თუმცა ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ.

ამ სიახლის შემდეგ არცთუ სასიამოვნო შეგრძნება მქონდა. იმ მომენტში ეს იყო სიგნალი, რომ ბოლომდე ჯერ არ მენდობიან. მეგობართან იმ საუბრის მერე ვკითხე — ასეა თუ არა? მან მიპასუხა, რომ ასეა. მერე ერთი შემთხვევა მოხდა, რომელიც დღემდე მახსოვს. მე და ვლადიმერ ვლადიმერის ძემ მოვილაპარაკეთ, რომ საღამოს შვიდ საათზე დავურეკავდი. კომუნალურ ბინაში ტელეფონი არ იყო და ავტომატიდან ვურეკავდი. საათ-ნახევარი დავდიოდი და ვურეკავდი. დაბინდდა. კიდევ ერთხელ გავედი დასარეკად, ისევ უშედეგოდ და უკან დავბრუნდი. უცებ

© „ღვანცარმაზრ ენგ ინანაცარაფი“

ვხედავ, ახალგაზრდა კაცი მორბის ჩემსკენ. ქუჩა ცარიელია, მე კი თაღში უნდა გავიარო, რომლის მერეც ჭასავით ეზოა და მხოლოდ შემდეგ მოვხვდები სადარბაზოში. ის ყმაწვილი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა, მეც ავუჩქარე ნაბიჯი. მერე გამოიქცა და მეც გავიქეცი.

ამ დროს მიყვირის: „ქალიშვილო, გაჩერდით, მხოლოდ დალაპარაკება მინდა. სულ ორი წამი“! თანაც ისე გულწრფელად ყვირის, როგორც ამბობენ, გულიანად.

გავჩერდი, მან მოირბინა და მითხრა: „ეს ბედია! როგორ მინდა, გაგიცნოთ!“

„რას ამბობთ, რის ბედი?!“

„ძალიან გთხოვთ, მომეცით თქვენი ტელეფონი!“

„ტელეფონი არ მაქვს!“

„მაშინ ჩემი ნომერი ჩაიწერეთ!“

„არ ჩავიწერ. ვწუხვარ, მაგრამ ეს ბედისწერა არ არის!“

„იქნებ მაინც ბედია? ჩაიწერეთ, ყოველი შემთხვევისთვის!“

„არანაირი შემთხვევა არ იქნება!“

გამოვტრიალდი და წამოვედი.

მაშინ სულაც არ მიფიქრია, რომ ეს შეიძლება შემოწმება ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ, როცა გავიგე, რომ ვლადიმერ ვლადიმერის ძე უშიშროებაში მუშაობს, ეს შემთხვევა გამახსენდა. არაერთხელ ვკითხე, მაგრამ პასუხს გაურბოდა. დღემდე არ ვიცი, რა იყო ეს — შემოწმება თუ ახალგაზრდა კაცის მცდელობა, გავეცანი.

ადამიანების ასეთ სიტუაციაში შემოწმება ამორალურად არ მიმაჩნდა. რაღაცნაირად ხომ უნდა გაერკვიათ ადამიანის მორალური პრინციპები. ვინ იცის, იქნებ გათხოვებისთანავე ქუჩაში პირველივე შემხვედრი გამეცნო! თუმცა იმ დროს რაღაც შემოწმებებზე არც დავფიქრებულვარ. შემამოწმონ, თუ უნდათ!

სამსახურის გამო ვლადიმერ ვლადიმერის ძეზე არასოდეს ვბრაზობდი. სამსახური სამსახურია. ვბრაზობდი, მწყინდა და არ მესმოდა, როგორ შეიძლებოდა მას ეთქვა, რომ მოვა საღამოს 9 საათზე და არ მოსულიყო.

თუმცა ეს კიდევ ნახევარი უბედურება იყო. ქმარი არასოდეს მირეკავდა, რომ ეთქვა, რამდენად დააგვიანდებოდა. მე ხომ საღამოსთვის რაღაც გეგმები მქონდა. შესაძლოა, ისეთი მნიშვნელოვანი არა, როგორც მას, მაგრამ ჩემი გეგმები ყოველთვის მქონდა. და, თუ ქმარმა თქვა,

© „ღვასაბაძეების ოჯახური“

რომ მოვიდოდა 9 საათზე, სინამდვილეში კი ღამის 12 საათზე მოდიოდა, მე ადგილს ვერ ვპოულობდი მთელი სამი საათი, ველოდი. არადა, არაფერია ისე დამღლელი, როგორც ლოდინი.

ველი. რა თქმა უნდა, ვღელავ, სულ მასზე ვფიქრობ. ვბრაზობ, წყენა მახრჩობს, ხასიათი მიფუჭდება. ამ დროის განმავლობაში უამრავ ემოციას განვიცდი. მით უფრო, რომ ერთობლივი ცხოვრების განმავლობაში ვერაფრით ვისწავლე სხვა საქმეზე გადართვა. მხოლოდ იმას ვაკეთებ, რომ მას ველი. სხვანაირად არ შემიძლია.

ფაქტობრივად, ყოველთვის ვლადიმერ ვლადიმერის ძეს ვემორჩილებოდი. სწორედ მან მირჩია, ესპანური ენის განყოფილებაზე შევსულიყავი. მერე მითხრა: „ბარემ მანქანაზე ბეჭდვის კურსიც გაიარე“. წავედი ამ კურსზეც. არადა, მაშინ მეოთხე კურსზე ვიყავი და უკვე მაშაზე ვიყავი ფეხმძიმედ...

როცა მაშა დაიბადა, მეორე თუ მესამე დღეს დავურეკე, რათა მისი აზრი გამეგო ბავშვის სახელზე. მე ყოველთვის მინდოდა, გოგონასთვის ნატაშა დამერქმია. მეგობარი მყავდა ნატაშა და, საერთოდაც, მომწონდა ეს სახელი. ვალოდიამ კი მითხრა: „არა, ის მაშა იქნება“!

ცრემლები წამსკდა. მე ნატაშა მინდოდა. მერე მივხვდი, რომ არჩევანი არა მაქვს და ბავშვს მაინც მაშა ერქმევა. ჩემთვის ვიფიქრე: „კარგი. ჩემს საყვარელ დეიდასაც ხომ მაშა ჰქვია“...

სამი დღის შემდეგ ვლადიმერ ვლადიმერის ძე მივლინებაში წავიდა. რაკი იგი საოჯახო საქმეებში არასოდეს მეხმარებოდა, მისი გამგზავრე-

ბა იოლად გადავიტანე. ისე ორ ადამიანზე უნდა მეზრუნა — ქმარზე და შვილზე, ახლა კი მარტო მაშა მყავდა მისახედი.

როცა დრეზდენში ჩავედი, მეშვიდე თვეზე ვიყავი ფეხმძიმე. ექიმთან არც ერთხელ არ მივსულვარ — დრო არ მქონდა. როცა ბოლოს ექიმთან მივედით, მან ჩხუბი დამიწყო. გაირკვა, რომ ძალიან დაბალი გემოგლობინი მქონდა. მაღალი საიდან მექნებოდა?

წარმოიდგინეთ: კატიაზე ფეხმძიმედ ვარ, ერთ ხელში მაშა მიჭირავს, მეორეში — პროდუქტებით სავსე ჩანთა და ფეხით ავდივარ მეექვსე სართულზე.

მეორე სართულის კიბის უჯრედზე ცოლ-ქმარი გამოდის და მიყურებენ, როგორ მივბობღავ კიბეზე მაღლა. მუნჯი სცენაა. მამაკაცს თვალები უფართოვდება, ერთადერთი, რასაც ახერხებს, მეუბნება: „ლუდა, ასე როგორ შეიძლება?“ მერე მაშას სტაცებს ხელს, ჩანთას მართმევს და მეექვსე სართულზე ადის. მე კი ასე დღეში სამჯერ ავდიოდი.

მეზობელმა ჩემს ქმარს რამდენიმეჯერ უთხრა: „ვალოდია, უნდა დაეხმარო!“ თუმცა ამას რაიმე შედეგი არ გამოუღია, რადგან ვლადიმერ ვლადიმერის ძეს ასეთი პრინციპი ჰქონდა: ქალმა ოჯახში ყველაფერი თვითონ უნდა აკეთოს, ამიტომ საოჯახო საქმეებში არასოდეს მონაწილეობდა...

სიმართლე გითხრათ, საჭმლის მომზადება არც მაშინ მიყვარდა და არც ახლა. ვლადიმერ ვლადიმერის ძე კი საჭმლის მიმართ მომთხოვნია. თუ

© „ღვანცარაძიანი ეროვნული“

რომელიმე კერძი მის წარმოდგენებს არ პასუხობს, ურჩევნია, უარი თქვას მასზე. ყველაფერს არ შეჭამს და არც ქებას დაგიწყებს. არის მამაკაცების კატეგორია, რომლებიც მადიანად მიირთმევენ, ცოლს აქებენ: — რა გემრიელია, როგორი არაჩვეულებრივი! და დამატებასაც ითხოვენ.

ყოველთვის მინდოდა, რომ სწორედ ასეთი ქმარი მყოლოდა და მშურდა იმ ქალების, რომლებსაც ასეთი ქმრები ჰყავდათ. ჩვენს ოჯახში ყველაფერი სხვაგვარად იყო. მოდის ვალოდია, მაგალითად სადილზე. სუფრას ვშლი. ქმარი სადილობს. მე გულშეკუმშული ველი მის რეაქციას. რეაქცია კი არ არის.

— ხორცი როგორია? — ველარ ვძლებ მე.

— ცოტა არ იყოს, მშრალია.

თითქოს დანა ჩამარტყეს; ისე ვცდილობდი, ხორცის საყიდლად საგანგებოდ წავედი, მერე ვამზადებდი. შეიძლება ითქვას, მთელი სული და გული ჩავდე და — მშრალიაო!

ასე ნელ-ნელა შემძულდა სამზარეულო. ალბათ, იმიტომაც, რომ არასოდეს შევუქივარ. თუ მართლაც გემრიელი იყო, დასკვნა ასე ჟღერდა: — არა უშავს. თუმცა, მეორე მხრივ, არის ცნობილი ფრაზა: ნუ აქებ ქალს, რომ არ გააფუჭო. ასე რომ, ვლადიმერ ვლადიმერის ძე მუდმივად მწვრთნიდა, ასე ვთქვთ, ტონუსში ვყავდი...

უშიშროებასა და დემოკრატებს შორის

დრეზდენში ვ. პუტინი ტერიტორიულ სადაზვერვო წერტილში მსახურობდა. „სამუშაო კარგად მიდიოდა. ითვლებოდა, რომ უცხოეთში მივლინებისას ერთი წოდების მომატება უკვე კარგი შედეგი იყო. მე ორჯერ დამაწინაურეს“, — ამბობს ვ. პუტინი.

რას აკეთებდა ვ. პუტინი გდრ-ში?

„ჩვეულებრივი დაზვერვითი საქმიანობა: ინფორმაციის წყაროების გადაბირება, ინფორმაციის მიღება, დამუშავება და ცენტრში გაგზავნა. ლაპარაკი იყო პოლიტიკურ პარტიებზე, ტენდენციებზე პარტიების შიგნით, ლიდერებზე — იმჟამინდელზე და შესაძლო მომავალ ლიდერებ-

ზე, ადამიანების გადაადგილებაზე სხვადასხვა პოსტზე პარტიებსა და სახელმწიფო აპარატში.

მნიშვნელოვანი იყო, გვცოდნოდა, ვინ, რას და როგორ აკეთებს, რა ხდება ჩვენთვის საინტერესო ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში, როგორ აგებს იგი საკუთარ პოლიტიკას სხვადასხვა საკითხში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში; ან როგორი იქნება ჩვენი პარტნიორების პოზიცია მოლაპარაკებებზე, მაგალითად, განიარაღების საკითხებზე. რა თქმა უნდა, ასეთი ინფორმაციის მისაღებად ინფორმაციის წყაროებია საჭირო, ამიტომ პარალელურად წყაროების გადაბირება და ინფორმაციის მოპოვება, მისი დამუშავება და ანალიზი ხდებოდა. სრულიად რუტინული სამუშაო“.

ეს ფასდაუდებელი გამოცდილება ვ. პუტინს დიდ პოლიტიკაში მოსვლისას გამოადგა. იქნებ სწორედ ამიტომ ვერ მოახერხა ვერც ერთმა პოლიტიკურმა ოპონენტმა მისი არათუ დამარცხება, არამედ მისი ავტორიტეტის მეტ-ნაკლებად შელახვა.

1990 წელს ვ. პუტინი ლენინგრადში ბრუნდება. 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში პირველი დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ანატოლი სობჩაკი იყო. პუტინი მას ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას იცნობდა, მაგრამ ახლოს 1990 წელს გაიცნო, თავად შესთავაზა მასთან მუშაობა. სობჩაკმა უშიშროების პოლკოვნიკი თანაშემწედ მიიღო. ვ. პუტინი ლენინგრადის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის,

რეგიონთაშორისი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის, ანატოლი სობჩაკის, მრჩეველი ხდება.

სობჩაკისა და პუტინის ტანდემი ერთნაირად გამაღიზიანებელი იყო პოლიტიკური პროცესის ყველა მონაწილისთვის. ჩეკისტები ამას ღალატად აღიქვამდნენ, რადგან სობჩაკი „თბილისის მოვლენების“ შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე იყო, რომელმაც, მათი აზრით, ცილი დასწამა ჯარსა და უშიშროების კომიტეტს. თავის მხრივ, დემოკრატებს არ ესმოდათ, როგორ შეეძლო სობჩაკს, „ძველ რეჟიმთან შეურიგებელ მებრძოლს“, თანაშემწედ კგბ-ს პოლკოვნიკი მიეღო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ვ. პუტინი არა მარტო პეტერბურგის ჩრდილოვანი პრემიერმინისტრი გახდა, არამედ ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც სობჩაკი თავისი მმართველობის მთელი პერიოდის განმავლობაში სრულიად ენდობოდა.

სხვადასხვა ჭორი დადიოდა: ზოგს მიაჩნდა, რომ ვ. პუტინი, როგორც უშიშროების გამობრძმედილი კადრი, საკუთარი ინიციატივით ვერ მივიდოდა სობჩაკთან და იგი უშიშროებამ მიუჩინა იმხანად პოპულარულ დემოკრატიულ ლიდერს. სხვები ფიქრობდნენ, რომ ვ. პუტინს მასზე კომპრომატი აქვს და ამით მოიპოვა გავლენა სობჩაკზე. სინამდვილეში კი მისი ბიოგრაფიის ეს ეპიზოდი სრულ თანხმობაშია იმასთან, თუ როგორ გადაწყვიტა მზვერავობა და პირდაპირ უშიშროებაში მივიდა, როგორ გადაწყვიტა ამ მიზნის მისაღწევად იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება და თავისას მიაღწია.

© „ღვასტრამბიჩ ფმ ეანსაოსტფ“

უაღრესად მნიშვნელოვანია ვ. პუტინის ხასიათის ერთი თვისება: უშიშროების პოლკოვნიკი, ფაქტობრივად, სუფთა ფურცლიდან იწყებს ახალ ცხოვრებას და თანაშემწედ იწყებს მუშაობას, რაც მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მისთვის გადაწყვეტილების მიღებისას ამბიციური პარადიგმა არ არსებობს. ეს თვისება მომავალშიც გამჟღავნდება, როცა პუტინი მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პრემიერმინისტრის პოსტზე ინაცვლებს და ამ შემთხვევაშიც მას დისკომფორტი არ აქვს. თუმცა ამაზე მოგვიანებით.

და კიდევ ერთი — **ჯერ კიდევ სობჩაკთან მუშაობისას მან, როგორც ჩანს, პირველად გააცნობიერა, რა მნიშვნელოვანია პოლიტიკაში ტანდემში მუშაობის უნარი. კიდევ ერთი ათწლეულის შემდეგ იგი ახალ ტანდემს ქმნის, რომლის შესახებაც ბევრს ილაპარაკებენ, გააკრიტიკებენ, მაგრამ ვ. პუტინი კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ ახალი ტანდემი მხოლოდ სტაბილურობისა და ძლიერების საწინდარია.**

1990 წელს, როდესაც პოდპოლკოვნიკი ვ. პუტინი ჟდანოვის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაბრუნდა, დიმიტრი მედვედევი სამოქალაქო სამართლის კათედრის პედაგოგი იყო. იმავე წელს დ. მედვედევი ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის, სობჩაკის, მრჩეველი ხდება, ხო-

ლო შემდეგ — სანკტ-პეტერბურგის მერიის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ექსპერტი, რომელსაც ვ. პუტინი ხელმძღვანელობდა.

რთული სათქმელია, სად გაიცნეს მათ ერთმანეთი — უნივერსიტეტში თუ კომიტეტში, მაგრამ 1999 წელს, როგორც კი პრემიერმინისტრად დაინიშნა, ვ. პუტინმა დ. მედვედევი მიიწვია რუსეთის მთავრობის აპარატის უფროსად. სწორედ ეს იყო დ. მედვედევისთვის სასტარტო მოედანი პრეზიდენტის პოსტისკენ. მთელი ამ დროის განმავლობაში იგი იყო ვ. პუტინისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ამ ტანდემში განხეთქილება შეეტანათ, დ. მედვედევმა ყველა ცდუნებას გაუძლო და არც ერთ ხაფანგში არ გაება, რომელსაც მას უცხოელი „მეგობრები“ უგებდნენ. გავრცელებული იყო აზრი, რომ დ. მედვედევი უფრო ლიბერალური და უფრო ცივილიზებულია, ვიდრე ვ. პუტინი. 2012 წლის აპრილის დამლევს, როდესაც „ედინაია როსიაში“ გაწევრიანების გადაწყვეტილება მიიღო, პრეზიდენტმა დ. მედვედევმა ეს მითი დაანგრია. „არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იარლიყების მიწებება. არავითარ ლიბერალებს არა აქვთ მონოპოლია თავისუფლებაზე. ხშირად მეუბნებოდნენ: თქვენ ხომ ლიბერალი ხართ! გულწრფელად შემიძლია გითხრათ: ჩემი შეხედულებებით ლიბერალი არასოდეს ვყოფილვარ. მე კონსერვატიულ ფასეულობებს ვაღიარებ“, — განაცხადა დ. მედვედევმა მმართველი პარტიის აქტივთან შეხვედრაზე.

© „ღუსუბაძეების ასოციაციები“

1990 წელს ერთ-ერთმა უნივერსიტეტელმა მეგობარმა ვ. პუტინს უთხრა, რომ ლენსოვეტის თავმჯდომარეს თანაშემწე სჭირდება, რადგან საბჭოთა ნომენკლატურის მემკვიდრეობით მიღებული კადრები არ აკმაყოფილებს. „მე და პუტინის ყველა ბიოგრაფს აინტერესებს, რატომ შეაჩერა არჩევანი ულტრალიბერალმა სობჩაკმა კგბ-ს კადრის ოფიცერზე, რომელსაც მანამდე არ იცნობდა, — წერს არაერთი ბესტსელერის ავტორი ლევ სირინი, — თავად სობჩაკი პასუხობდა, რომ პუტინი მისი მოწაფე იყო, თუმცა ეს ფორმალური სიმართლე იყო.

სობჩაკი მას ლექციებს 1970-იან წლებში უკითხავდა, როცა ვერც ერთი სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა, როგორი მომავალი ელოდა. უფრო სავარაუდოა, რომ სობჩაკს გარემოცვაში თავისი ხალხი სჭირდებოდა. ვ. პუტინი მოეწონა, ხოლო იმაზე, რომ ის უშიშროებაში მსახურობდა, ხელი ჩაიქნია. თავად ვ. პუტინი ამას ასე აღწერს:

„— არის ერთი გარემოება, რომელიც, ალბათ, ხელისშემშლელი იქნება ჩემი გადმოსვლისთვის.

— რომელი?

მე ვუპასუხე: — უნდა გითხრათ, რომ რექტორის თანაშემწეობის გარდა კგბ-ს კადრის ოფიცერი ვარ.

დაფიქრდა. ეს მისთვის მართლაც მოულოდნელი იყო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს თქვა: — ერთი მაგის!..“

თავად ვ. პუტინი იხსენებს, რომ ლენინგრადის ქალაქის საბჭოს დეპუტატები ხშირად აწუხებდ-

ნენ: „ძალიან მალე ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ წასვლაზე ფიქრი დავიწყე. დეპუტატებთან ურთიერთობა არც ისე იოლი აღმოჩნდა. უპირველესად იმიტომ, რომ ხშირად ისინი ვიღაცის ინტერესებს ლობირებდნენ. ერთი დეპუტატი მოვიდა და მითხრა: „იცი, ერთ ვიღაცას უნდა დავეხმაროთ. ხომ არ შეგიძლია ესა და ეს გააკეთო“...

ერთხელ მოვიშორე, მეორედ, მესამედ კი გამომიცხადა: „ვიღაც მტრებმა გაარკვიეს, რომ სინამდვილეში უშიშროების თანამშრომელი ხარ. ეს ინფორმაცია სასწრაფოდ უნდა დაიბლოკოს. მზად ვარ, ამაში დაგეხმარო, მაგრამ შენც სამსახური გამიწიე“. მივხვდი, რომ თავს არ დამანებებდნენ და მაშინ მივიღე ჩემთვის არცთუ იოლი გადაწყვეტილება — პატაკი დავწერე გათავისუფლების შესახებ. მომბეზრდა ეს თავხედური შანტაჟი.

ჩემთვის ეს მძიმე გადაწყვეტილება იყო, თუმცა უკვე ერთი წელიწადი აღარ ვმუშაობდი ორგანოებში, მაგრამ მაინც მთელი ჩემი ცხოვრება მათთან იყო დაკავშირებული. 1990 წელი იყო; საბჭოთა კავშირი ჯერ არ იყო დაშლილი, აგვისტოს პუტჩიც წინ იყო, ანუ ჯერ კიდევ არ იყო ნათელი, საით წავიდოდა ქვეყანა. სობჩაკი, უდავოდ, ნიჭიერი ადამიანი და გამოჩენილი პოლიტიკური ლიდერი იყო, მაგრამ მასთან საკუთარი მომავლის დაკავშირება სარისკო საქმეს წარმოადგენდა. ყველაფერი ერთ წუთში შეიძლებოდა შეტრიალებულიყო“.

ცოტა ხნით ადრე ვ. პუტინს მოსკოვში, ცენტრალურ აპარატში შესთავაზეს მუშაობა, მაგრამ

© „ღვასაბაძეების ეროვნული“

მან უარი თქვა: „მე ხომ მესმოდა, რომ ამ სისტემას მომავალი არა აქვს, ხოლო სისტემის შიგნით ყოფნა და იმის ლოდინი, როდის დაიშლება“...

ვ. პუტინი თავად აღიარებს, რომ ეს უბრალო დისკომფორტი კი არა, მისთვის მტანჯველი მდგომარეობა იყო: „ორგანოებში სტაბილური მდგომარეობა მქონდა, კარგად მიყურებდნენ. ამ სისტემაში წარმატებული ვიყავი და მაინც წასვლა გადავწყვიტე. რატომ? რისთვის? ეს მტანჯავდა. უნდა მიმეღო, ალბათ, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული გადაწყვეტილება. დიდხანს ვფიქრობდი, მერე თავი ხელში ავიყვანე, დავჯექი და პატაკი დავწერე“.

ამის შემდეგ პირველი, რაც ვ. პუტინმა გააკეთა, იყო გადაწყვეტილება, საჯაროდ მოეთხრო უშიშროებაში საკუთარი მუშაობის შესახებ. მან რეჟისორ იგორ შადხანს მიმართა, რომელიც ლენინგრადის ტელევიზიაში მუშაობდა. შადხანმა ვრცელი ინტერვიუ ჩაწერა მასთან, რომელშიც კგბ-ზე და დაზვერვაზე ისაუბრეს.

ინტერვიუ მაშინვე გავიდა ლენინგრადის ტელევიზიის ეთერში და ვ. პუტინის სიტყვებით, როდესაც მას ისევ მიანიშნეს წარსულზე, მან უბრალოდ უპასუხა: „ეს აღარ არის საინტერესო. ამის შესახებ უკვე ყველამ იცის“.

თუმცა უშიშროების კომიტეტში მისი პატაკისთვის მსვლელობა არ მიუციათ. შესაძლოა, მიიჩნიეს, რომ ასეთი კადრი, რომელიც ქვეყნის მეორე ქალაქის თავის მოადგილედ მუშაობდა, დროთა განმავლობაში კიდევ გამოადგებოდათ. მაგრამ ამასობაში ГКЧГ მოხდა. „როგორც კი პუტ-

ჩი მოხდა, მე მაშინვე გადავწყვიტე, რომელ მხარეს ვარ. ზუსტად ვიცოდი, რომ პუტჩისტების ბრძანებით არსად წავიდოდი და მათ მხარეს არ დავიჭერდი. მშვენივრად მესმოდა, რომ ეს შეიძლება, სულ ცოტა, თანამდებობრივ დანაშაულად შეფასებულიყო, ამიტომ 20 აგვისტოს ხელმეორედ დავწერე განცხადება ორგანოებიდან გათავისუფლების შესახებ“.

რთული არ არის იმის წარმოდგენა, თუ როგორი დისკომფორტი ექნებოდა სამხედრო დისციპლინას მიჩვეულ ადამიანს იმ პერიოდში; იგი თან ქალაქის საბჭოში მაღალ თანამდებობას იკავებს, მაგრამ ფორმალურად ჯერ კიდევ უშიშროებაში ირიცხება. თითქოს წამოსულია, მაგრამ მისი წასვლა არავის დაუდასტურებია! აქაც სობჩაკი დაეხმარა. მან 19 აგვისტოს პირადად დაურეკა უშიშროების მინისტრ კრიუჩკოვს და ვ. პუტინის გათავისუფლება მოსთხოვა. ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ გავლენიან პოლიტიკოსს ანგარიში გაუწია. ისედაც ყელამდე იყო ჩაფლული საქმეებში. იგი მეგობრებთან ერთად ქვეყნის გადარჩენას ლამობდა. იმ მძიმე დღეებში პუტინმა სერიოზული როლი შეასრულა; სობჩაკმა აშკარად გაილაშქრა ГКЧП–ს წინააღმდეგ და ამ პირობებში ლენინგრადის კგბ-ს ნეიტრალიტეტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მოლაპარაკებებში მას სწორედ ვ. პუტინი ეხმარებოდა.

სწორედ 1991 წლის აგვისტოს სამი დღე იქცა ვ. პუტინის ფსიქოლოგიური ტრანსფორმაციის დასკვნით ეტაპად. მაშინ მან, ფაქტობრივად,

© „ღამისფრთიანი ფრინველი“

გადაარჩინა მოსკოვიდან ჩამოფრენილი სობჩაკი, პირადად მიაყენა მანქანა თვითმფრინავის ტრაპთან და „პულკოვოს“ აეროპორტში გაძლიერებული დაცვა უზრუნველყო. მანვე, სობჩაკთან ერთად, ორგანიზება გაუწია მიტინგს და ლენინგრადში ჯარის შეყვანა დაბლოკა. ეს იყო ვ. პუტინის მიერ საკუთარი საბჭოთა წარსულისთვის წერტილის დასმა.

როდესაც 1992 წელს სანკტ-პეტერბურგი შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდა, ელცინმა სობჩაკს სამხედრო საწყობებში დაცული სტრატეგიული მარაგების გახსნის ნებართვა მისცა. ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი და სობჩაკმა აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსა და გერმანიის კანცლერ ჰელმუტ კოლს პირდაპირ მიმართა დახმარებისთვის. დასავლეთ გერმანიის ნატოს ბაზებიდან სურსათის ათეულობით ტონა დაიძრა სანკტ-პეტერბურგისკენ. შესაძლოა, **ვ. პუტინმა სწორედ მაშინ იგრძნო ის დამცირება, რომელშიც ერთ დროს ზესახელმწიფო აღმოჩნდა და მიხვდა, რომ არასოდეს უნდა იყო სხვაზე დამოკიდებული, თუ გინდა, პატივს გცემდნენ.**

ბელადი თუ ეროვნული ლიდერი?

1996 წელს ვ. პუტინი ოჯახით მოსკოვში გადავიდა, სადაც მას რუსეთის პრეზიდენტის საქმეთა მმართველის მოადგილის პოსტი შესთავაზეს. „ვერ ვიტყვი, რომ მოსკოვი არ მიყვარდა. უბრალოდ, უფრო მეტად პიტერი მიყვარდა“, — ამბობს ვ. პუტინი. მისი კარიერა თავბრუდამხვევი ტემპით განვითარდა. 1997 წლის მარტში იგი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, პრეზიდენტის მთავარი საკონტროლო სამმართველოს უფროსი ხდება, იმავე წელს სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო სამთო ინსტიტუტში საკანდიდატო დისერტაციას იცავს ეკონომიკის დარგში, 1998 წლის მაისში ვ. პუტი-

© „ღვასაბაძეების ასოციაციები“

ნი უკვე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილეა, ივლისიდან ინიშნება უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორად, 1999 მარტიდან რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანია. ამავე წლის აგვისტოში კი ვლადიმერ პუტინი რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე ხდება. მას ეს პოსტი ბორის ელცინმა შესთავაზა.

ვ. პუტინი ასე იხსენებს იმ დღეს: „ბორის ნიკოლოზის ძემ მიმიწვია და მითხრა, რომ აქვს იდეა, პრემიერმინისტრის პოსტი შემომთავაზოს... სხვათა შორის, ჩემთან საუბრისას სიტყვა „მემკვიდრე“ („преемник“) არ უხსენებია. ელცინი ლაპარაკობდა „პრემიერზე პერსპექტივით“ – რომ, თუ ყველაფერი ნორმალურად წავა, იგი ამას შესაძლებლად მიიჩნევდა... ამ თანამდებობაზე მუშაობა საინტერესო და საპატიო იყო. ვიფიქრე, თუ ერთ წელიწადს მაინც ვიმუშავებ, ესეც კარგია. თუ დავეხმარები რუსეთის დაშლისგან ხსნას, ამით შემიძლია ვიამაყო“.

ახალი, 2000 წლის დადგომამდე ორი-სამი კვირით ადრე პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ვ. პუტინს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება შესთავაზა. „თავის კაბინეტში მიმიწვია და მითხრა, რომ წასვლა გადაწყვიტა. ამრიგად, პრეზიდენტის მოვალეობა უნდა შემესრულებინა... ეს რთული გადაწყვეტილება იყო, რადგან პრეზიდენტობა მძიმე ხვედრია“, — იხსენებს პუტინი.

ახალი წლის ღამეს იგი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახდა, 2000 წლის 26 მარტს პრეზიდენტად აირჩიეს, 2004 წლის 14

მარტს მეორედ გახდა პრეზიდენტი, ხოლო ამ ვადის ამოწურვის შემდეგ პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი გახდა. 2008 წლის 8 მაისს პუტინი პრემიერმინისტრად დაინიშნა.

2000 წლის 7 მაისს ინაუგურაციაზე პუტინმა განაცხადა: „ჩვენ საერთო მიზნები გვაქვს, გვინდა, ჩვენი რუსეთი თავისუფალი, აყვავებული, მდიდარი, ძლიერი, ცივილიზებული ქვეყანა იყოს. ქვეყანა, რომლითაც მისი მოქალაქეები ამაყობენ და რომელსაც მსოფლიოში პატივს სცემენ“. მან დაამატა, რომ თავის საქმიანობაში მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებით იხელმძღვანელებს. „შესაძლოა, შეცდომები ვერ ავირიდოთ, მაგრამ რის დაპირებაც შემიძლია, ის არის, რომ ვიმუშავებ ღიად და პატიოსნად“.

შევადაროთ ეს გამოსვლა 2004 წლის 4 მარტს მეორედ არჩეული ვ. პუტინის მიმართვას რუსეთის ფედერალური კრებისადმი 26 მაისს: „ჩვენი ამოცანები სრულიად ნათელია. ეს არის ცხოვრების მაღალი დონე ქვეყანაში, უსაფრთხო, თავისუფალი და კომფორტული ცხოვრება. ეს არის დაღვინებული დემოკრატია და განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება. ეს არის რუსეთის პოზიციების განმტკიცება მსოფლიოში და, რაც მთავარია, მოქალაქეთა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ზრდა.

დღეს ჩვენ უკეთ ვიცნობთ საკუთარ შესაძლებლობებს. ვიცით, რა რესურსები გვაქვს. გვესმის, რას შეუძლია ამ მიზნების მიღწევაში ხელის შეშლა. ჩვენ აქტიურად ვახდენთ სახელმწიფოს მოდერნიზაციას იმ მისწრაფებით, რომ მისი ფუნ-

ქციები რუსეთის თანამედროვე განვითარების ეტაპს შეესაბამებოდეს“.

ვ. პუტინის განცხადება პრემიერმინისტრის რანგში 2008 წლის 8 მაისს: „ბოლო წლებში რუსეთი არსებითად გაძლიერდა. ჩვენ საკმარისი სარესურსო პოტენციალი გვაქვს, რომ უფრო რთული ამოცანები გადავჭრათ. მთავარია, ჩვენ მიერ დაგროვებული პოტენციალი საქმის ცოდნით ეფექტურად გამოვიყენოთ. ჩემის მხრივ, მზად ვარ, ძალისხმევა სრულად მოვახმარო დასახული მიზნების მიღწევას, ახალი და ფასეული შედეგების მიღებას ქვეყნის აყვავებისა და რუსეთის მოქალაქეთა ღირსეული ცხოვრებისთვის“.

ამ განცხადებების დედააზრიდანაც ნათელი ხდება, თუ რა გზა გაიარა რუსეთმა 1999 წლიდან და როგორ იცვლებოდა როგორც მისი შიდა ცხოვრება, ისე მისი ადგილი მსოფლიოში. რაც

უფრო ძლიერდებოდა რუსეთი, მით უფრო კრიტიკული ხდებოდნენ ვ. პუტინის მიმართ მისი შიდა და გარე ყოფილი მეგობრები. თუმცა თვით უკიდეგანო დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის მოტრფიალე ოპოზიციონერებიც კი ვერ უარყოფდნენ, რომ ქვეყანა, რომელიც 1999 წელს ვ. პუტინმა ჩაიბარა, რამდენიმე წელიწადში წელში გაიმართა.

ირინა ხაკამადა: „ვ. პუტინს დიდ პატივს ვცემდი, ოღონდ მაშინ კი არა, როცა ახალი მოსული იყო — მაშინ იგი „შავი ყუთივით“ იყო, მას არავინ იცნობდა, არამედ უფრო მოგვიანებით. 2002 წლამდე მე მას უსისხლო პინოჩეტად აღვიქვამდი. მე იმ კონცეფციას ვიზიარებდი, რომ ეს კოშმარი, ეს თავაწყვეტილი პოლიტიკური კონკურენციის სტიქია რაღაცნაირად უნდა ჩაწყნარებულიყო, რათა რაღაცის კეთება დაწყებულიყო. მისმა 2000 და 2001 წლის საპრეზიდენტო გამოსვლებმა აღმაფრთოვანა“.

არის თუ არა ვ. პუტინი ბელადი? ეროვნული ლიდერი? და რამ გამოიწვია ხაკამადას იმედგაცრუება?

პუტინი ხუმრობს ხოლმე, რომ ხაკამადამ, ნემცოვმა და სხვა დღევანდელმა ოპოზიციონერებმა უკვე მართეს ქვეყანა 90-იან წლებში და შედეგად ქაოსი და გაურკვევლობა მოიმკეს, ამიტომაც მათი ხელისუფლებაში მიშვება არ შეიძლება. თავის მხრივ, ვ. პუტინს ოპონენტები საყვედურობენ, რომ იმავე დროს ისიც ხელისუფლებაში იყო, რუსეთის სიდიდით და მნიშვნელობით მეორე ქალაქში იგი მეორე კაცი იყო, და იგი-

© „ღონისძიების ეროვნული“

ვე პრეტენზიები მასაც შეიძლება წაუყენო.

სობჩაკიც და ელცინიც, რომლებთანაც ვ. პუტინი მუშაობდა, „დემოკრატთა“ სწორედ იმ კოჰორტიდან იყვნენ, თუმცა აქ მნიშვნელოვანი სხვა რამ არის: ამ დემოკრატებისგან განსხვავებით, პუტინმა, როგორც ჩანს, ძალიან კარგად დაინახა, რა სჭირს სისტემას და რა არის გასაკეთებელი ქაოსიდან და ნგრევიდან გამოსასვლელად, მაშინ, როცა მისი ოპონენტების რიტორიკა იოტისოდენადაც არ შეცვლილა.

მაგრამ აქ ვცოდავთ. ყველაფერი იცვლება, მათ შორის, პოლიტიკოსებიც. თავად ირინა ხაკამადა იაპონიიდან ემიგრირებული კომუნისტის შვილი იყო, სამეცნიერო წოდება პოლიტიკურ ეკონომიაში მიიღო, შემდეგ მემარჯვენე გახდა, პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ გადავიდა მამის გვარზე (მანამდე ზლობინა იყო), სამი მოწვევის სათათბიროს წევრობის შემდეგ, 2008 წელს, მან პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განაცხადა. ახლა კი, 2012 წლის ნოემბრიდან პრეზიდენტ ვ. პუტინთან არსებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და ადამიანის უფლებების საბჭოს წევრია. ასე რომ, ვ. პუტინის პროგნოზი მის შემთხვევაში გამართლდა.

ხოლო მდგომარეობა, რომელშიც ვ. პუტინის ლიბერალი ოპონენტები არიან, სასაცილოდ მცირე მხარდაჭერა ხალხში, რაც მის ლიბერალურ ოპოზიციას გააჩნია, ნათლად მოწმობს, რომ რუსეთის პრეზიდენტი ეროვნული ლიდერია, ხოლო მინიშნებები მის ბელადობაზე — იაფფასიანი შავი პიარი.

უპრინციპობა დიდ პოლიტიკაში მიუღებელია!

ელცინის გადადგომამდე ოთხი თვით ადრე დაღესტანში შამილ ბასაევის რაზმი შეიჭრა. დაღესტანმა საპასუხოდ მოხალისეთა რაზმების შექმნა დაიწყო. რამდენიმე თვეში საბრძოლო მოქმედებებმა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლა. 2000 წლის 6 თებერვალს რუსეთის არმიამ გროზნო დაიკავა.

პირველი ჩეჩნური კამპანიისას, მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის ბრალდების გათვალისწინებით, რუსეთი რამდენიმე დღით დევნილთათვის „ჰუმანიტარული დერეფნის“ გახსნის შესახებ აცხადებს. მისი დახურვის შემდეგ ქალაქზე შტურმი იწყება.

© „ღვასრბაზეგნე ასანაფრეი“

2001 წლის იანვარში პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის ტერიტორიაზე ტერორიზმთან ბრძოლის ზომების შესახებ“. შეიქმნა კონტრტერორისტული ოპერაციების ოპერატიული შტაბი.

ჩეჩნეთში რუსეთის არმიის მოქმედების ტაქტიკა შესამჩნევად შეიცვალა. საბჭოთა სამხედრო დოქტრინისგან განსხვავებით, რომელიც შესაძლო მოწინააღმდეგედ დასავლეთის სახელმწიფოებს მოიაზრებდა, რუს სამხედროებს მოუწიათ ლოკალური ომის წარმოება მოწინააღმდეგესთან, რომელიც ფართოდ იყენებდა პარტიზანული ბრძოლის მეთოდებს.

პირველმა ჩეჩნურმა კამპანიამ აჩვენა, რომ დიდი სამამულო ომის გამოცდილება ჩეჩნეთში არაეფექტური იყო. აქცენტი „კონფლიქტის ჩეჩენიზაციაზე“ გაკეთდა. ფედერალური ძალების მხარეს გადავიდა ჩეჩნეთის მუფტი ახმად კადიროვი, რომელიც 2004 წლის 9 მაისის აღლუმზე ტერორისტულ აქტს ემსხვერპლა. მისი ვაჟი, რამზან კადიროვი, 2007 წელს ჩეჩნეთის პრეზიდენტად დაინიშნა.

მაგრამ ამ ყველაფერს წლები დასჭირდა, 1999 წელს კი ვ. პუტინმა თვალნათლივ დაინახა, რომ სტეპაშინის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა — გაეყო სეპარატისტების მიერ დაკავებული ჩეჩნეთის სამხრეთ მთიანეთი და პრომოსკოვურად განწყობილი ჩრდილოეთი, არაეფექტური იყო საფრთხის ლიკვიდაციის თვალსაზრისით. ამ გეგმით სტეპაშინი მძევლების აყვა-

ნის, მათთვის გამოსასყიდის გამოძალვისა და მკვლელობების აღკვეთას ლამობდა.

ეს ყველაფერი სერიოზულად აზარალებდა რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტს. გარდა ამისა, დაღესტანში შეჭრა რუსეთის დაშლის დაწყების საფრთხესაც შეიცავდა. შამილ ბასაევი არ მალავდა საკუთარ გეგმას — შეექმნა გაერთიანებული კავკასიური ისლამური რესპუბლიკა. სისასტიკე მან უკვე დაამტკიცა ოთხი წლით ადრე, როცა ბუდიონოვსკში ჰოსპიტალზე თავდასხმის შედეგად 150 ადამიანი დაიღუპა. ბასაევის გარდა, იქვე იყო ხატაბიც (სამირ სალეხ აბდულა ალ სუვაილემი) საუდის არაბეთიდან, უსამა ბინ ლადენის თანამოაზრე, რომელმაც კავკასიას ყურადღება 1995 წელს, ავღანეთში ბრძოლების შემდეგ, მიაპყრო. როგორც ამბობენ, ბინ ლადენის სპონსორობით მან 1500 მებრძოლისგან შემდგარი პარტიზანული შენაერთი შექმნა.

ვ. პუტინმა ყველას ნათლად დაანახა, რომ სანახევრო ზომების დრო წარსულს ჩაბარდა. ერთადერთი დათქმა, რომელიც მან გააკეთა, ის იყო, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა და, შესაძლოა, რუსეთის მოქალაქეებიც, მის მოქმედებას სისასტიკედ აღიქვამდნენ. ასე იყო თუ ისე, მისმა მიდგომამ გაამართლა: ომი ჩეჩნეთში დამთავრდა, ხოლო ტერორისტული აქტები იშვიათობად იქცა.

ელცინი თავად იყო აღფრთოვანებული იმით, თუ როგორ მიუდგა ვ. პუტინი ჩეჩნეთის კონფლიქტის მოგვარებას. თავად მან ეს ვერ შეძლო. ცნობილი ხასავიურტის შეთანხმებით, მან აღიარა ჩეჩნეთის რუსეთის შემადგენლობიდან გას-

© „ღამისფრთიანი ფრინველი“

ვლის უფლება. ცხადი იყო, რომ, თუ ელცინი ხელისუფლებაში დარჩებოდა, რუსეთის დაშლა გარდაუვალი იქნებოდა. მან უკვე დაანგრია საბჭოთა კავშირი, ახლა რუსეთის ჯერი იყო.

პუტინის ოპონენტები ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ საცხოვრებელი სახლების აფეთქება მოსკოვში, ვოლგოდონსკსა და ბუინაკსკში, რომელმაც ბიძგი მისცა ტერორიზმთან გადამწყვეტ ბრძოლას, სწორედ ვ. პუტინს აძლევდა ხელს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ აფეთქებებში კრემლის ხელი ერია, რათა ჩეჩნეთში სამხედრო მოქმედების მხარდაჭერა მიეღოთ.

თუმცა ყველა ამ კონსპიროლოგიული თეორიის საპირისპიროდ სამხედრო კამპანია ეფექტური აღმოჩნდა და ვ. პუტინი გმირად იქცა.

ლევ სირინი წიგნში „როდის წავა პუტინი?“ წერს: **„2000 წელს, როცა პრეზიდენტი გახდა, ვ. პუტინმა ქვეცნობიერად იგრძნო, რომ უკან დასახევი გზა აღარ არის. უკან სახელმწიფოს დაშლაა. ნებისყოფას მოიკრებს, ცრუ კომპლექსებს უკუაგდებს. ბიჭურად მიაწვება და... რუსეთს დაშლისა და ყაჩაღობისგან იხსნის. ერთი სიტყვით, ვ. პუტინის დღევანდელმა კრიტიკოსებმა, რომელთაც საკუთარ თავს მივაკუთვნებ, სამართლიანობისთვის არ უნდა დაივიწყონ, რა გააკეთა მან რუსეთისთვის. და ეს გამოუვიდა სწორედ იმ ბიჭური თვისების წყალობით, რომელიც ტოტალური საფრთხის წინაშე მობილიზაციის ჩვევას წარმოადგენს — თუ გინდა, გადარჩე, უნდა „იბრძოლო, როგორც უკანასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლაში“.**

ბედის ირონიით, ვ. პუტინის ეს ფორმულირება სააკაშვილმაც აიტაცა. 2002 წელს გამოცემულ მის წიგნს სწორედ ასე ეწოდებოდა „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის“, ოღონდ პუტინისგან განსხვავებით, მან საკუთარი ქვეყანა ვერ გადაარჩინა. სააკაშვილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც არშემდგარი პუტინი. შეიძლება ითქვას, რომ ავტორიტარიზმზე მეტად მას სწორედ ეს არ აპატია ხალხმა.

* * *

ცნობილია ალექსანდრე სოლჟენიცინის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ ვლადიმერ პუტინი უკეთ მართავს რუსეთს, ვიდრე ბორის ელცინი და მიხეილ გორბაჩოვი მართავდნენ. ა. სოლჟენიცინი, რომელიც 1974 წელს საბჭოთა კავშირიდან გააძევეს, სამშობლოში მხოლოდ ოცი წლის შემდეგ დაბრუნდა. აშშ-ის ელჩი რუსეთში, უილიამ ბერნსი, გულაგებგამოვლილ 90 წლის ნობელის პრემიის ლაურეატს გარდაცვალებამდე ოთხი თვით ადრე შეხვდა. ბერნსის ტელეგრამამ ამ შეხვედრის შესახებ „ვიკილიქსში“ გაჟონა:

„სოლჟენიცინი სკეპტიკურად იყო განწყობილი როგორც ელცინის, ისე ბოლო საბჭოთა ლიდერის — მ. გორბაჩოვის მიმართ. მან ვ. პუტინის რვაწლიანი მმართველობა ელცინისა და გორბაჩოვის მმართველობას შეადარა, რომლებმაც, მისი სიტყვებით, „კიდევ უფრო დაამძიმეს რუსეთის სახელმწიფოსთვის 70-წლიანი კომუნისტური ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანი“.

ა. სოლჟენიცინს მიაჩნია, რომ ერმა კვლავ დაიბრუნა იმის გაგება, თუ რას ნიშნავს, იყო რუსი. ამავე დროს ა. სოლჟენიცინი სულაც არ არის უკრიტიკო ვ. პუტინის მიმართ. იგი ფიქრობს, რომ ქვეყანაში კვლავაც ბევრი პრობლემაა, მათ შორის მდიდრებსა და ღარიბებს შორის დისტანციის ზრდა და გუბერნატორების არჩევითობაზე უარის თქმა“.

2007 წლის ივნისში, სახელმწიფო პრემიების გადაცემის ცერემონიალის შემდეგ ვლადიმერ პუტინი ალექსანდრე სოლჟენიცინს ეწვია. მწერალმა ბოდიში მოიხადა, რომ პრეზიდენტს მჯდომარე დახვდა: „ჩემთვის არც ისე იოლია წამოდგომა“. ვ. პუტინმა მიულოცა სახელმწიფო პრემიის მიღება და მადლობა უთხრა მიღებისთვის. ა. სოლჟენიცინმა მას უთხრა: „მეტად ვაფასებ თქვენს მობრძანებას. თქვენ მილიონი საზრუნავი გაქვთ

და ვერც კი წარმომიდგენია, როგორ მოახერხეთ ჩემი მონახულება“.

ვ. პუტინმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ა. სოლჟენიცინს „რუსეთის საკეთილდღეოდ გაწეული შრომისთვის“. პრემიების გადაცემის ცერემონიალზე ვ. პუტინმა ხაზგასმით ისაუბრა სოლჟენიცინის მიერ რუსული ენის შესწავლაში შეტანილ უდიდეს წვლილზე: „მის მიერ შედგენილი „ენობრივი გაფართოების ლექსიკონი“, რომელშიც იშვიათი და დაუმსახურებლად მივიწყებული სიტყვები შევიდა, რუსული ენის შენარჩუნებასა და განვითარებაში უზარმაზარ წვლილს წარმოადგენს“.

მორინ ორტმა, ჟურნალ Vanity Fair-ის ჟურნალისტმა 2000 წელს ბორის ბერეზოვსკის ჰკითხა: — **როგორ ავუხსნა ჩვენს მკითხველს, რომ ერთ მუჭა ადამიანებს საკუთარ ხელში პლანეტის მეშვიდედის რესურსების 30% აქვთ?**

ბერეზოვსკის პასუხი ცინიკური იყო: — **ოლიგარქები იმსახურებენ სიმდიდრეს, რადგან ისინი რისკისთვის მზად არიან. რუს ხალხს კი მონური მენტალიტეტი აქვს. მათ არ სჯერათ ახალი განვითარების. ჩვენ, ოლიგარქები, რაციონალურნი ვართ; ნაკლებ ენერგიას ვხარჯავთ და მეტ შემოსავალს ვიღებთ.**

ჟურნალისტმა მას ტოლი არ დაუდო და მიუგო: — **დასავლეთში თქვენ ოლიგარქის კარიკატურად, მატყუარად და კლოუნად მიგიჩნევენ. რად გინდათ ასეთი რეპუტაცია?**

ბერეზოვსკი: — არსებობს ორი მიზეზი, რის გამოც მეც და მთელ რუსულ ბიზნესს ცუდი რე-

© „ღამისფრთიანი ლაშაფარი“

პუტაცია გვაქვს. ჯერ ერთი, რევოლუციურმა გარდაქმნებმა კოლოსალური კორუფცია წარმოშვა. შედეგად სიმდიდრის ისტორიულად უპრეცედენტო გადანაწილება მოხდა. 1990 წელს ყველაფერი სახელმწიფოს ეკუთვნოდა. 1997 წელს საკუთრების 75% უკვე კერძო ხელში იყო. გადანაწილება კი იმ ბიუროკრატებს ხელეწიფებოდათ, რომლებსაც 100-200 დოლარი ჰქონდათ ხელფასი...

— მილიონობით ადამიანი ზარალდება თქვენ მიერ გატარებული პოლიტიკის გამო. ნუთუ სინდისი არ გქენჯნით?

— სინდისი არ მქენჯნის, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ კომფორტულად ვგრძნობ თავს... ჩვენ, ოლიგარქებს, რუსეთის რწმენა გვაქვს.

— მაშინ რატომ გადის მილიარდობით დოლარი რუსეთიდან?

— იმიტომ, რომ რუსეთში არ არსებობს კანონი, რომელიც კაპიტალს დაიცავს.

— პუტინი მიიღებს ასეთ კანონს?

— ვფიქრობ, მიიღებს“.

ეს დიალოგი 2000 წელს შედგა. მაშინ ბერეზოვსკი ჯერ კიდევ ხელისუფლებაში იყო, პრივატიზაციის შედეგებსაც თითქოს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ **ბევრმა არ იცის, რომ ვლადიმერ პუტინის შეხედულებები საბაზრო ეკონომიკასა და პრივატიზაციაზე სწორედ ალექსანდრე სოლჟენიცინმა შეცვალა. თავის წიგნში „Россия в обвале” სოლჟენიცინმა მკაფიოდ გამოხატა ყაჩაღური პრივატიზაციის მიუღებლობა, რომელმაც მყისიერად წარმოშვა ოლიგარქების მთელი პლეადა:**

„ჩვენ შეგვირჩიეს გზა — ყველაზე უარესი, ბოროტების მატარებელი. არაერთხელ მომისმენია ამ სამზარეულოსთან ახლოს მდგომი ადამიანების დამაჯერებელი არგუმენტები: ყველაფერი, რაც „საბაზრო რეფორმების“ სახელით გაკეთდა, სულაც არ იყო გასაოცარი უგუნურების შედეგი. ეს ცალკეული პირების გამდიდრების კარგად გააზრებული სისტემა იყო.

მოვლენათა რიგში ეს მოულოდნელი მარყუჟი დაგვეხმარება მათ უკეთ გაგებაში. ეს ჭირვეული მარყუჟი იყო 1994 წლის ნოემბერში ამურის გუბერნატორის ვლადიმერ პოლევანოვის, კოლიმელი გეოლოგის, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ადამიანის დანიშვნა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის ხელმძღვანელად. მან აღმოაჩინა ყველა დოკუმენტი, თუ როგორ გაედინებოდა და დნებოდა ეს ქონება თვეების განმავლობაში. და როგორც მოვალეობისა და ღირსების ერთგულმა კაცმა, პოლევანოვმა 1995 წლის 18 იანვარს მთავრობის თავმჯდომარეს მოხსენებითი ბარათით მიმართა ამ დანაშაულებათა თაობაზე.

იგი ღაღადებს ფაქტებით, ციფრებით, დანაშაულის მასშტაბებით, თუ როგორ იმართებოდა სახალხო მეურნეობის ნგრევა. მაგალითად, „ურალმაშის“ 51%-ს იღებს ერთი პირი, ხოლო მეორე — „გაზპრომის“ 210 მილიონ აქციას, თითოს — გაუფასურებულ ათ მანეთად, ანუ მუქთად ყიდულობს. ლიხაჩოვის უზარმაზარი საავტომობილო ქარხანა „გაყიდეს“ 250-ჯერ უფრო იაფად მის ღირებულებასთან შედარებით: 1 მი-

© „ღვინისფერი ცისფერი“

ლიარდი დოლარის ნაცვლად, 4 მილიონად! კრასნოიარსკის ალუმინის ქარხანა ძმებ ჩერნებს „მიჰყიდეს“ მის ღირებულებაზე 300-ჯერ უფრო იაფად.

როგორი იყო ამ შემაძრწუნებელი მოხსენებითი ბარათის შედეგი? სამი დღის შემდეგ პოლევანოვი მოხსნეს, რომ „ჩუბაისის რეფორმებისთვის ხელი არ შეეშალა“! მართალია, ერთი წლის შემდეგ ჩვენ პრეზიდენტისგან მოვისმინეთ აღიარება, რომ ჩუბაისის პრივატიზაციის დროს „იყიდებოდა ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა, ხოლო სახელმწიფო ვერაფერს იღებდა“, მაგრამ ეს ერთხელ სასხვათაშორისოდ ითქვა და აღარ განმეორებულა.

ცდაც არ ყოფილა ყაჩაღური პრივატიზაციის რევიზიისა, რაც ეროვნული სიმდიდრის გრანდიოზული ძარცვის წახალისებას წარმოადგენდა. არც ერთხელ ჩვენს ხელისუფლებას საკუთარი თავისთვის არ დაუსვამს კითხვა — საიდან აქვთ ამ პოსტსაბჭოთა ადამიანებს მილიარდობით რუბლი, მილიონობით დოლარი? საიდან და — თავად ხელისუფლების მიერ ნაცნობობითა და ქრთამებით ხელგაშლილი საექსპორტო ლიცენზიებიდან; მოძველებული ფასით რუბლებზე ნაყიდი დატვირთული ეშელონები საზღვარგარეთ გაჰქონდათ და იქ მილიონებს იღებდნენ ვალუტაში...

პრივატიზაცია მთელ ქვეყანაში ისეთივე უკანმოუხედავი სიგიჟით ინერგებოდა, როგორც ნაციონალიზაცია და კოლექტივიზაცია, ოღონდ – პირიქით... მთელი ეს ძარცვა სიბნე-



© „ღვასრბაზეგნე ესნაფაფე“

ლეში მიმდინარეობდა. ადამიანები ჯერ ვერ აცნობიერებდნენ, თუ როგორი გამოუსწორებელი იქნებოდა ქვეყნის ყველა მცხოვრებლისთვის იმის შედეგები, რაც ხდებოდა. დატაცების გრანდიოზულ მასშტაბებს (ასეულობით მილიარდი დოლარი საზღვარგარეთ გაედინა) ხალხი თვალხილულად ვერ ხედავდა, არ შეეძლო დეტალებისა და ციფრების ცოდნა ან ამაზე დაფიქრება: რომ ეროვნული წარმოება ორჯერ დაეცა (ჰიტლერთან ომის დროს იგი მხოლოდ მეოთხედით შემცირდა)...

როგორც კი რევიზიის შესახებ პირველი მორიდებული ხმები გაისმა, ზღაპრულად გამდიდრებულმა ამ გააზნაურებულმა მდაბიოებმა (სოლჟენიცინის ტერმინით, — новобогачи-грязнохваты), უფრო სწორად, თვითონ არა, მათმა მორჩილმა ჟურნალისტებმა, ერთხმად და ულტიმატუმის ფორმით განუცხადეს ხალხს: „პრივატიზაციის გადახედვა? ეს სამოქალაქო ომი იქნება“! ჯერ გაუღვიძებელი ხალხის ძარცვამ სამოქალაქო ომის გარეშე ჩაიარა, ხოლო სამართლიანობის აღდგენა სისხლიან დაპირისპირებას მოიტანს! რაც მივიტაცეთ, იმას არ დაგითმობთ! — ასე განაცხადა „ახალგაზრდა რუსულმა კაპიტალმა“.

სოლჟენიცინმა ელცინს მისწერა და შეხვედრა სთხოვა ამ საკითხებზე, მაგრამ ელცინს მისთვის არ ეცალა. სოლჟენიცინის ბარათი მემკვიდრეობით პუტინმა მიიღო. 2000 წლის 21 სექტემბრის გაზეთი „კომერსანტი“ წერდა: „რთული სათქმელია, როგორ აისახება პრეზიდენტის საუბარი მწერალთან რუსულ სიტყვიერებაზე, მაგ-

რამ მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს ეს შეხვედრა კარგს არაფერს უქადის“.

20 სექტემბერს ვ. პუტინი და მისი მეუღლე ლუდმილა საღამოს რვა საათზე მივიდნენ ალექსანდრე სოლჟენიცინის სახლში, ქალაქგარეთ, ტროიცე-ლიკოვში. „თქვენი ბარათი წავიკითხე და შეხვედრის სურვილი გამიჩნდა“, — უთხრა ვ. პუტინმა მწერალს და ცოლ-ქმარს ყვავილების თაიგული გადასცა. „მეც მქონდა ასეთი სურვილი“, — გამოტყდა მწერალი. ამის შემდეგ მამაკაცები ბიბლიოთეკაში გავიდნენ, ხოლო მეუღლეები მისაღებ ოთახში დატოვეს.

ტელეარხებმა სულ რამდენიმე კადრი აჩვენეს, რომლებზეც მწერალი სახელმწიფოს მეთაურს სტოლიპინისა და კოლჩაკის პორტრეტებს უჩვენებდა და მათ „რუსეთის ყველაზე დიდ მოღვაწეებს უწოდებდა“, თუმცა სავარაუდოა, რომ საუბრის მთავარი თემა არა რუსეთის სახელოვანი ისტორია იყო, არამედ მისი გაცილებით ნაკლებ სახელოვანი აწმყო.

ვ. პუტინმა ა. სოლჟენიცინისგან მწარე სიტყვები მოისმინა. ის სიტყვები, რომლებიც ზემოთ არის ციტირებული. **სოლჟენიცინის წინადადების არსი იყო პრივატიზაციის შედეგების სრული გადახედვა. პრეზიდენტის სტუმრობა იმის მაჩვენებელი იყო, რომ იგი სერიოზულად მოეკიდა სოლჟენიცინის ბარათს.**

ანატოლი ჩუბაისი მართალი აღმოჩნდა, როცა რამდენიმე თვით ადრე ჟურნალ „კომერსანტ-ვლასტს“ განუცხადა, რომ „ოლიგარქების წინააღმდეგ ომის იდეურ გამართლებას ვ. პუტინი

© „ღვინისფერი ცხენი“

სწორედ სოლჟენიცინის იდეებში პოულობს. ხოლო ნობელის პრემიის ლაურეატის რწმენით, პრივატიზაციის შედეგების სრული გაუქმება აუცილებელია“.

ა. სოლჟენიცინმა თქვა, რომ რუსეთი სწორედ ვ. პუტინისგან ელის სამართლიანობის აღდგენას და ქურდების დასჯას. რომ სწორედ ამიტომ აქვს ვ. პუტინს ხალხის სტაბილური მხარდაჭერა, მიუხედავად წყალქვეშა გემის — „კურსკის“ დაღუპვისა და ოსტანკინოს ტელეანძის ხანძრისა. ჯერ კიდევ 24 აგვისტოს რადიოგამოსვლაში პუტინმა „კურსკის“ ტრაგედიაზე ილაპარაკა: „მეზღვაურთა დამცველების პირველ რიგებში ის ადამიანები აღმოჩნდნენ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არმიის, ფლოტისა და სახელმწიფოს დაშლას უწყობდნენ ხელს. ზოგიერთმა მათგანმა მილიონებიც დააგროვა. უმჯობესი იქნებოდა, საკუთარი ვილები გაეყიდათ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, საფრანგეთსა თუ იტალიაში. ოღონდ მაშინ იმის ახსნა მოუწევდათ, რატომ არის ეს უძრავი ქონება ფიქტიურ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე გაფორმებული. ჩვენ კი ვკითხავდით, საიდან აქვთ ფული“.

ა. სოლჟენიცინთან შეხვედრამდე ერთი თვით ადრე ვ. პუტინი უკვე ლაპარაკობდა ამ საკითხებზე, ოღონდ კონკრეტულ გვარებს არ ასახელებდა. იგი სოლჟენიცინს 20 სექტემბერს შეხვდა. წინა დღეს, 19 სექტემბერს ბერეზოვსკი ბრაიტონ-ბიჩზე პუბლიკის წინაშე წარსდგა. იგი ყოველთვის ტრაბახობდა, რომ საკუთარ სვლებს ხუთი ნაბიჯით წინ ითვლის და არასოდეს მარცხდება.

ახლა ბერეზოვსკიმ იგრძნო, რომ შეიძლება ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდეს, ვისგანაც პუტინი დაიწყებს. ვინაიდან ბერეზოვსკის საკუთარი ინფორმატორები ჰყავდა პრეზიდენტის გარემოცვაში, მან წინასწარ იცოდა პუტინის ვიზიტის შესახებ, საუბრის თემაც იცოდა და სოლჟენიცინის შეხედულებაც პრივატიზაციაზე და პირადად მასზე — ბერეზოვსკიზე. ის, რომ თავი ნიუ იორკს შეაფარა, მის შერყეულ პოზიციაზე მეტყველებდა, თუმცა ჯერ მხოლოდ 2000 წელი იდგა და წინ ძალიან ბევრი რამ ელოდა.

ახლა, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიდან ხუთი წლის შემდეგ ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის უფროსი ვალერი გელბახიანი აცხადებს, რომ რუსი ოლიგარქის, ბორის ბერეზოვსკის, მთავარი მიზანი რუსეთში ხელისუფლების შეცვლა იყო. მისი აზრით, ვ.

© „ღვასტრამიწერები ისნიოსტრი“

პუტინის დასამხობად იგი საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, იყენებდა:

„როცა ბადრი პატარკაციშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა, ბერეზოვსკიმ ურჩია ბადრის, საერთო ენა გამოეძებნა სააკაშვილთან. ბერეზოვსკის უნდოდა, მას და ბადრის სააკაშვილი ვ. პუტინთან კონფლიქტში გამოეყენებინათ. მას უნდოდა, საქართველო რუსეთთან ბრძოლის პოლიგონად ექცია, მაგრამ ბადრი არ დათანხმდა“.

შესაძლოა, ამიტომ შეძლო ბერეზოვსკიმ იმ პროექტის განხორციელება, რომელიც პატარკაციშვილის ტელეკომპანია „იმედის“ პირობებში არ მოხდა. მისი დაფინანსებით მიხეილ სააკაშვილმა რუსულენოვანი ტელეკომპანია „პიკი“ („პირველი კავკასიური“) შექმნა, რომელიც მიზნად ჩრდილოეთ კავკასიაზე პროპაგანდის მაუწყებლობას ისახავდა.

ბედის ირონიით, დღეს აღარც „პიკი“ მაუწყებლობს, აღარც ბერეზოვსკია ცოცხალი, ხოლო სააკაშვილი ბოლო საპრეზიდენტო ვადის ბოლო დღეებს ითვლის.

* * *

ლევ სირინი იმავე წიგნში წერს: „არსებობს რუსულ-ქართული ურთიერთობების გაუარესების მოარული ვერსია. ამბობენ, რომ ეს პუტინის შურისძიებაა საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის მიმართ, რომელმაც დაუფიქრებლად, სხვების გასაგონად ვ. პუტინს „ლილიპუტინი“ უწოდა.

ეგზოტიკური ვერსიაა, თუმცა ვინ იცის... ჩემი აზრით, სააკაშვილისგან ყველაფერს უნდა ელოდო, თუმცა თავად ამგვარ ახსნას უარყოფს: „ოდესმე გსმენიათ, რომ ვ. პუტინისთვის ლილიპუტინი მეწოდებინოს? არასოდეს, არც ერთ საჯარო გამოსვლაში არ გამომიყენებია უხეში გამონათქვამები რუსეთის პრეზიდენტის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული მიზეზები იყო“...

ის, რომ სააკაშვილმა ასეთი საჯარო განმარტება გააკეთა და ირიბად „ლილიპუტინი“ მაინც ახსენა, აბსოლუტურად იგივე დატვირთვას ატარებს, ხოლო პედალირება იმისა, რომ მას „არც ერთ საჯარო გამოსვლაში არ გამოუყენებია უხეში გამონათქვამები“, უკვე იმას ნიშნავს, რომ ვიწრო წრეში ასეთ გამონათქვამებს იგი იყენებდა.

2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის პრემიერს გადაცემაში „პირდაპირი ხაზი“ (რომლის კოპირება მიხეილ სააკაშვილმაც გააკეთა) ტელეფონით ჰკითხეს, მართლა უნდოდა თუ არა მას სააკაშვილის „ერთი ადგილით“ ჩამოკიდება. ვ. პუტინმა უპასუხა: „რატომ ერთით“? წინა დღეს ფრანგულმა ჟურნალმა Nouvel Observateur–მა გამოაქვეყნა საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზისთან ვ. პუტინის დიალოგი, რომელშიც რუსეთის პრემიერი დაიმუქრა, რომ „სააკაშვილს კვერცხებით ჩამოკიდებს“.

არავის შეუძლია დარწმუნებით თქვას, მართლაც ასე იყო თუ არა, მაგრამ ქვეყნებს შორის ურთიერთობებს ხშირად სწორედ ამგვარი მოარული ხმები ამწვავებს. ამბავი რომ სარკოზის თანმხ-

© „ღვასრულნი ცნობასა“

ლებმა პირებმა გაავრცელეს, ფაქტია, მაგრამ რამდენად შეესატყვისებოდა ამგვარი საქციელი რუსეთისა და საქართველოს პოზიციების დაახლოებას? ასე იყო თუ ისე, **ვ. პუტინის გამონათქვამი რუსეთში მხოლოდ მოეწონათ, იმდენად გამაღიზიანებელი იყო მათთვის სააკაშვილი.**

თუმცა იყო კიდევ ერთი სკანდალური ეპიზოდი, როცა ახლადარჩეულ პრეზიდენტ ვ. პუტინს უცხოეთში ყოფნისას ფრანგმა ჟურნალისტმა ჩეჩნეთის შესახებ დაუსვა კითხვა. ვ. პუტინმა ჟურნალისტს წინადაცვეთის გაკეთება ურჩია და დახმარება შეთავაზა: „ჩვენ რუსეთში კარგი ექიმები გვყავს, იმ ადგილას არაფერი აღარ ამოგივათ!“

სირინი, რომელიც პუტინის აშკარა ოპონენტია, ამ ფაქტთან დაკავშირებით წერს: „როგორც არ უნდა ულიტინებდეს ჩემს იუმორის გრძნობას ეს ეპიზოდები, ერთ რამ უცნაურად გამოიყურება: ვ. პუტინი არ ტოვებს ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას, რომელიც მუქარებს ტყუილუბრალოდ ისვრის. განსაკუთრებით, თუ აპრიორი მათი შესრულების შესაძლებლობა არ აქვს. მით უფრო, თუ ეს დასავლეთის თვალში მის იმიჯს ზიანს მიაყენებს.

ვლადიმერ პუტინი თავად აცხადებდა ჟურნალისტ ანდრეი კოლესნიკოვთან საუბარში: **„არ არის საჭირო ვინმეს შეშინება. პისტოლეტი მხოლოდ მაშინ უნდა ამოიღო, როცა სროლა გადაწყვეტილი გაქვს“. გამოდის, რომ ვ. პუტინი საკუთარ პრინციპებს ღალატობს, თანაც საკუთარი თავის საზიანოდ. თუმცა ნუ ვიქნებით ჩა-**

საფრებული. ვ. პუტინი ისეთივე ადამიანია, როგორც ყველა და არა რობოტი. პრინციპების დეკლარირება უფრო იოლია, ვიდრე მათი განხორციელება. თუმცა პრინციპები რომ აქვს, ეს უკვე პლუსია, რადგან ადამიანთა უმრავლესობას, მათ შორის, დიდ პოლიტიკაში, პრინციპები საერთოდ არ გააჩნია“.

ხელისუფლების მკაცრი ვერტიკალის კრიტიკოსები თითქმის არასდროს საუბრობენ იმაზე, რომ მხოლოდ ასე შეიძლებოდა თავაშვებული კრიმინალური საძმოების მოთოკვა. ამ დესტრუქციულ ძალას ბოლო სწორედ პუტინმა დაუდო. შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე **ვლადიმერ ვასილიევი** ამბობს: **„ვ. პუტინმა შეძლო, ეჩვენებინა საზოგადოებისთვის, რომ ხელისუფლება ხელისუფლებად რჩება. და ამას დიდი ეფექტი ჰქონდა — ხელისუფ-**

© „ღვინისგბიზნეს ინსაიდერი“

ლების რეალურმა ვერტიკალმა საძმოებისთვის ადგილი პრაქტიკულად აღარ დატოვა“.

სხვათა შორის, ანატოლი ჩუბაისი, ვ. პუტინივით, სობჩაკის მოადგილე იყო, შემდეგ კი რუსეთის ქონების პრივატიზებას შეუდგა. რუსეთის იმჟამინდელი მთავრობის ვიცე-პრემიერი **ვლადიმერ პოლევანოვი** იგონებს: „ნოვოკუზნეცკის ალუმინის ქარხანა, რომლის ღირებულება, სულ ცოტა, მილიარდ დოლარს შეადგენდა, იყიდებოდა 10 მილიონ დოლარად. ამ ოპერაციას კოხი (1993-95 წ.წ. ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე) ხელმძღვანელობდა. იყო წყნარი ოკეანის ფლოტის პრივატიზების მცდელობაც. ეს რომ მომხდარიყო, ჩრდილოეთით ტვირთის შემოტანას პრობლემა შეექმნებოდა და მიმდებარე ტერიტორიები მომარაგების გარეშე დარჩებოდა. თავდაცვის საწარმო „გრაფიტის“ პრივატიზების შედეგად აქციათა მთელი პაკეტი უცხოელების ხელში გადავიდა, პერმის საავიაციო ძრავების ქარხანაც. მის დირექტორთა საბჭოში უცხოელები შევიდნენ.

რუსეთის პრივატიზაციის გულში, ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის კაბინეტებში 36 უცხოელი იჯდა. ისინი საკუთარი თავისთვის ამზადებდნენ კონკურსებს, დახურულ აუქციონებს. ბუნებრივია, რაკი კონკურსის ყველა პირობას იცნობდნენ, დამაჯერებლადაც იმარჯვებდნენ. ძირითადად, ეს ან ამერიკელები, ან ამერიკულ კომპანიებზე მომუშავე რუსები იყვნენ“.

კითხვაზე, ახორციელებდნენ თუ არა მასზე ზეწოლას, პოლევანოვი პასუხობს: „რა თქმა უნდა,

ზეწოლა იყო. უპირველესად ჩუბაისისგან, რომელიც მთავრობის პირველი ვიცეპრემიერის რანგში კურირებდა ჩემს სამუშაოს. მუდმივად რეკავდა და უკანონო ბრძანებებს მაძლევდა. მე უარს ვაცხადებდი მათ შესრულებაზე — „მომეცით წერილობითი ბრძანება, მაშინ შევასრულებ. ზეპირ ბრძანებებს არ ვასრულებ“. ჩუბაისს არც ერთი წერილობითი ბრძანება არ გამოუგზავნია.

ჩუბაისის დამოკიდებულება პრივატიზაციის მიმართ ბოლშევიკური იყო. ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ პრივატიზაცია ჩუბაისის მიხედვით და კოლექტივიზაცია სტალინის მიხედვით ერთი და იგივეა. ოღონდ ის აღარ დაუზუსტებია, რომ კოლექტივიზაციამ მთელი რიგი პრობლემებისა გადაჭრა, ხოლო პრივატიზაციამ მხოლოდ შექმნა პრობლემები. მაგალითს მოვიყვან: რუსეთში უამრავი დახურული მონოქალაქია, რომლებშიც ერთი-ორი საწარმო განაპირობებს ადამიანების სიკვდილ-სიცოცხლეს. ჰოდა, ჩუბაისი ბრძანებდა მათ პრივატიზაციას, ყველაფრის მიუხედავად, თუ ისინი არარენტაბელური იყო (მაშინ კი ყველაფერი არარენტაბელური იყო) მათ ლიკვიდაციას მოითხოვდა. როცა მე შევეკამათე: „ჩვენ ხომ ამ ადამიანებს შიმშილით სიკვდილისთვის გავწირავთ“, ჩუბაისმა ასე მიპასუხა: „ამოწყდება ოცდაათი მილიონი. ესე იგი ბაზარს ვერ მოერგნენ. ნუ ფიქრობთ ამაზე, ახლები გაიზრდებიან!“

ამერიკის სენატმა დაგმო მაქსიმ ბოიკო, იმ პრივატიზაციის ერთ-ერთი ავტორი და ჩუბაისის თანამებრძოლი და ბრალი დასდო პრივატიზაცი-

© „ღვასრბაზეგნე ასნაფაფი“

ის ხელშეწყობის ფონდის რუსეთის განყოფილებაში გადარიცხული 130 მილიონი დოლარის მითვისებაში, რომელსაც ბოიკო ხელმძღვანელობდა. 5 წლის წინ აშშ-ის სენატმა გადაწყვიტა, ბოიკოსთვის პასუხი მოეთხოვა ამ ფულის გამო.

„ვიკიპედიის“ თანახმად, 1992 წლის 1 ივლისს ჩუბაისმა №141 ბრძანებით შექმნა „ტექნიკური დახმარებისა და ექსპერტიზის განყოფილება ამერიკის მოქალაქე ჯონათან ჰეის ხელმძღვანელობით. 2004 წელს ჯონათან ჰეისა და ანდრეი შლეიფერის მიმართ აშშ-ში სასამართლო პროცესი დაიწყო მაქინაციებისა და ფინანსური დარღვევების გზით ამერიკელი გადამხდელების ფულის გაფლანგვის ბრალდებით.

რუსეთის მთავრობის საფინანსო-ეკონომიკური ბლოკის ხელმძღვანელი და ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინიც თავის დროზე ანატოლი სობჩაკის მოადგილე იყო. კუდრინი, ჩუბაისის მსგავსად, სანკტ-პეტერბურგიდან ვ. პუტინზე ადრე გადავიდა მოსკოვში და, როგორც ამბობენ, ვლადიმერ პუტინის მოსკოვში გადასვლაშიც მიუძღვის წვლილი.

სანკტ-პეტერბურგიის მერიიდან წამოსვლის შემდეგ 1997–1998 წლებში ვ. პუტინი პრეზიდენტ ელცინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილედ მუშაობდა. მისი უშუალო უფროსი ბორის ელცინის მომავალი სიძე — ვალენტინ იუმაშევი იყო. მწერალი როი მედვედევი იხსენებს: „შესაძლოა, პუტინის გარდა, სხვა ძლიერი ადამიანიც გამოძებნილიყო, რომელიც ქვეყანას დაშლისგან იხსნიდა. მაშინ რუსეთში ძლი-

ერი ლიდერის მოთხოვნილება მწვავედ იდგა. თუმცა სხვა მის ადგილას ელცინის წინააღმდეგ იმოქმედებდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი არალეგიტიმური გზით — მინინისა და პოჟარსკის მსგავსად მოხდებოდა". რევოლუციური გზა, რომელზეც მედვედევი მიანიშნებს, არა მარტო ელცინისთვის, არამედ მთლიანად რუსეთისთვის იქნებოდა დამღუპველი.

2012 წლის 17 იანვარს ვლადიმერ პუტინმა სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც 2000 წლიდან გაკეთებულს აანალიზებდა. 4 მარტის არჩევნებამდე სამიოდე თვით ადრე მან სტატიაში ხაზგასმით დაწერა, რომ რევოლუციური აზარტი დაუშვებელია, რადგან, როგორც ისტორია გვიჩვენებს, „ამბოხებებს მივყავართ დამხობისკენ აღმშენებლობის გარეშე". ვ. პუტინის აზრით, სწრაფი გარდაქმნები ხიფათს შეიცავს: **„რუსეთის ისტორიაში მუდმივად განმეორებადი პრობლემა არის მისი ელიტების ერთი ნაწილის სწრაფვა ნახტომისკენ, რევოლუციისკენ, არადა, არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიო გამოცდილება გვაჩვენებს ისტორიული ნახტომების დამღუპველობას".**

1999 წელს გენერალურ პროკურორ იური სკურატოვის სკანდალური ვიდეოჩანაწერის გავრცელებას ვ. პუტინს მიაწერენ. ვარაუდობენ, რომ ჩანაწერი უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა (ФСБ) 1998 წელს მოიპოვა. მაშინ ამ უწყებას ვ. პუტინი ხელმძღვანელობდა. მკითხველს ემახსოვრება, რომ აბანოში მსუბუქი ყოფაქცე-

ვის ქალებთან ერთად გადაღებული სკურატოვის (ამ დროს მიღებულია გამოთქმა — კაცი, რომელიც ძალიან ჰგავს სკურატოვს) ჩანაწერი პირველად ეთერში საქართველოში დამოუკიდებელმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა გაავრცელა. რუსეთის ტელეარხმა იგი სწორედ ქართულ ტელეკომპანიაზე დაყრდნობით გაუშვა.

როგორ მოხვდა სკანდალური ჩანაწერი რუსული ტელეარხის ხელში, ამაზე მაშინდელი მისი ხელმძღვანელი მიხაილ შვიდკოი ასე საუბრობს: „სიმართლე რომ გითხრთ, ეს ჩანაწერი მაშინ ყველას ჰქონდა. მე მესმოდა ერთი მარტივი რამ: НТВ–ს ან ОРТ–ს რომ ეს ფირი გაეშვათ, მათ სასამართლოებში სიარულით ამოხდიდნენ სულს. კანონში მედიის შესახებ არის პუნქტი, რომლის თანახმადაც ამგვარი მასალების გავრცელება, რომელიც კერძო პირის ინტერესებშია, სამართლებრივი დევნის საფუძველია. ამ შემთხვევაში ჩვენ კერძო ინტერესი არ გვამოძრავებდა, რადგან სახელმწიფო ტელეარხი ვიყავით. ამიტომ მივიჩნიე, რომ, თუკი ვინმეს შეუძლია საზოგადოებრიობამდე ამ ინფორმაციის მიტანა, გაუთვალისწინებელი შედეგების გარეშე, ეს მხოლოდ სახელმწიფო ტელეარხს შეეძლო“...

შვიდკოი ასევე ადასტურებს, რომ იმხანად НТВ პრიმაკოვსა და სკურატოვს უჭერდა მხარს. ამ ჩანაწერის ჩვენება ნებისმიერ კერძო არხს შეეძლო, მაგრამ ყველა მათგანს ესმოდა, რა საფრთხეს შეიცავდა ეს. „მე არ მინდა სიკეთესა და ბოროტებაზე მსჯელობა, მე მოვიქეცი, როგორც

ჟურნალისტი, რომლისთვისაც საინტერესო იყო ეთერში იმ მასალის გაშვება, რომლის ჩვენება არავის შეეძლო ამა თუ იმ მიზეზის გამო, ან არ სურდა“, — აცხადებდა შვიდკოი.

მთელ ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ „რუსთავი 2“-მა, როგორც იტყვიან, „გაუპრავა“ რუსეთის სახელმწიფო ტელეარხს ის ჩანაწერი, რომლის წარმოშობას იგი ვერაფრით დაასაბუთებდა. ასე კი, საქართველოში ნაჩვენები ჩანაწერი რუსულმა ტელეარხმა „რუსთავი 2“-ზე, როგორც წყაროზე, დაყრდნობით გაუშვა. როგორ და ვისი ხელით მოხვდა სკურატოვის აბანოში გართობის სკანდალური ჩანაწერი ქართული კერძო ტელეკომპანიის ხელში, დღემდე უცნობია, თუმცა, სავარაუდოდ, რუსული სპეცსამსახურის მიერ გადაღებული ფირის „დამოუკიდებელი“ ქართული ტელეკომ-

© „ღვასაბაძეების ოჯახური“

პანიის ხელში მოხვედრა, ძნელია, შემთხვევითობას მიაწერო.

გერმანიაში ანალიტიკური მუშაობის გამოცდილება ვ. პუტინს 1999 წელს გამოადგა, როცა საპრეზიდენტო არჩევნების წინ პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობის მოგვარება გახდა აუცილებელი. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი პირველი ვიცესპიკერი **ოლეგ მოროზოვი** იგონებს: „1999 წლის ზაფხულში პრემიერ-მინისტრად ვლადიმერ პუტინი დაინიშნა. პირველი, რაც გააკეთა, ეს იყო სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან კონსულტაციები. ამ კონსულტაციებში ვმონაწილეობდი. მაშინ პუტინისგან პირველი სიგნალი წამოვიდა, რომ, როგორც არ უნდა დამთავრებულიყო ის არჩევნები, შემდეგ შერიგება მოგვიწევდა. ასეც მოხდა.

ამ კონსულტაციებზე ერთი პარტიის შექმნაზე ლაპარაკი არ ყოფილა, მაგრამ არჩევნების შემდეგ მართლაც შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელმაც, ფაქტობრივად, პარლამენტის დონეზე „ედინსტვო“ და „ოტეჩესტვო“ გააერთიანა („ვსია როსიაც“, როგორც „ოტეჩესტვოს“ ნაწილი იქ შევიდა). ამის შემდეგ, როცა ვ. პუტინმა მთელი ქვეყნის პარტიზაცია შემოგვთავაზა, საკითხი ასე დადგა: „ჩვენ რა, სხვადასხვა პარტიას შევქმნით, როცა ნათლად გვესმის, რომ ერთი პოლიტიკური ძალა ვართ?“ მაშინ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, — ამ სამი მოძრაობის: „ედინსტვოს“, „ოტეჩესტვოს“ და „ვსია როსიას“ ბაზაზე შექმნილიყო პარტია „ედინაია როსია“.

3. პუტინი და ოლიგარქები

2001 წელს ვლადიმერ პუტინმა განაცხადა: „ჩვენ გადავწყვიტეთ ხელისუფლებისგან მსხვილი კაპიტალის თანაბრად ჩამოშორება. ოლიგარქების გავლენა პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაზე დაუშვებლად მიმაჩნია“.

პირველი ოლიგარქი, რომელზეც ჯოხი გადატყდა, ტელეკომპანია НТВ-ს დამფუძნებელი ვლადიმერ გუსინსკი იყო. ტელეკომპანიას მნიშვნელოვანი ვალები ჰქონდა, რომლებიც იმ დროისთვის შექმნილი სახელმწიფო კომპანია „გაზპრომის“ ხელში გადავიდა. მესაკუთრის შეცვლასთან ერთად გუსინსკიმ ტელეკომპანია დაკარგა, ხელმძღვანელობა და ბევრი ჟურნალისტი შეიცვალა.

© „ღვასრბაზეგნე ანსაფაფე“

2000 წლის 13 თებერვალს გუსინსკი დააკავეს. მას ბრალად წაუყენეს მაქინაციები პეტერბურგის ტელევიზიის მე-11 არხის პრივატიზაციისას, რომელიც გუსინსკიმ 5 ათას ამერიკულ დოლარად შეისყიდა, როცა მისი ღირებულება 10 მილიონ დოლარს შეადგენდა. რამდენიმე დღეში საქმე დაიხურა, ხოლო გუსინსკი ესპანეთში გაემგზავრა. მის დასაცავად რუსეთის მსხვილ მეწარმეთა ჯგუფთან ერთად (ხოდორკოვსკი, ვექსელბერგი, პოტანინი და სხვ.) აშშ-ის პრეზიდენტი ბილ კლინტონი და ისრაელის პოლიტიკოსი შიმონ პერესი გამოვიდნენ.

ბორის ბერეზოვსკის ჯერ კიდევ 1998 წელს ადანაშაულებდნენ ტერორიზმის დაფინანსებაში იმის გამო, რომ იგი მძევლების გამოსასყიდად ჩეჩენ სეპარატისტებს ფულს უხდიდა. მოგვიანებით ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი აცხადებდა: „ჩეჩნეთში ყველამ იცოდა, რომ გამოსასყიდის სახით ბანდდაჯგუფებების მეთაურებს დაუფარავად აფინანსებდნენ“.

გენერალ ალექსანდრ ლებედის განცხადებით, ბორის ბერეზოვსკიმ „ჩეჩნეთის პირველ ომზე მილიარდ-ნახევარი დოლარი იშოვა“.

1999 წლის აპრილში გენერალურმა პროკურატურამ ავიაკომპანია „აეროფლოტთან“ დაკავშირებით უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და გაფლანგვის საქმეზე გამოძიება დაიწყო. 6 აპრილს გამოტანილი დადგენილება ბორის ბერეზოვსკის დაკავების თაობაზე 14 აპრილს გაუქმდა. 19 დეკემბერს ბორის ბერეზოვსკი სახელმ-

წიფო სათათბიროს დეპუტატი გახდა ყარაჩაი-ჩერქეზეთის მაჟორიტარული ოლქიდან.

2000 წლის აპრილში რესპუბლიკის უხუცესთა საბჭომ ბერეზოვსკი დაადანაშაულა წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობასა და მაქინაციებში. დაიწყო ხელმოწერების შეგროვება მისი სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერების მოთხოვნით. 17 ივლისს ბერეზოვსკიმ დეპუტატის მანდატზე უარი თქვა.

სექტემბერში ბერეზოვსკიმ ტელეარხ ОРТ-ის აქციების 49% ჟურნალისტთა და ინტელიგენციის ჯგუფს მართვაში გადასცა. ეს ნაბიჯი ვ. პუტინმა პოზიტიურად შეაფასა: „ამის გამო მხოლოდ შექებას იმსახურებს. მთავარია, ეს ადამიანები დამოუკიდებელი იყვნენ. თუ აქციების ერთი ჯიბიდან მეორეში გადატანის მოწმენი გავხდებით, თუ ეს ადამიანები ბერეზოვსკისგან მართული იქნებიან, მაშინ ეფექტს ვერ დავინახავთ“.

ბერეზოვსკი „აეროფლოტის“ საქმის გამოძიების დასრულებას აღარ დაელოდა და ემიგრაციაში, ლონდონში წავიდა. მაშინვე დააფუძნა „სამოქალაქო თავისუფლებათა ფონდი“. 2002 წელს მას ოფიციალურად დასდეს ბრალი ტერორიზმის დაფინანსებაში.

1996 წელს, ელცინის მმართველობისას ჟურნალისტმა ანდრეი ფადინმა „ობშჩაია გაზეტაში“ გამოაქვეყნდა სტატია „Семибанкирщина как новорусский вариант семибоярщины“. ისტორიული პარალელი და რუსეთის იმჟამინდელი ვითარება იმდენად ზუსტად იყო დანახული, რომ ტერმინი „სემიბანკირშჩინა“ მკვიდრად ჩაჯდა პოლი-

© „ღასაბუნეგი ანსაფაფი“

ტიკურ ტერმინოლოგიაში. იმხანად ოლიგარქებმა, რომლებიც მყისიერად გამდიდრდნენ, ფლობდნენ მედიასაშუალებებს და არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ გავლენებს, მიუხედავად უთანხმოებისა სხვადასხვა საკითხში, გადაწყვიტეს გაერთიანება და ელცინის ხელმეორედ არჩევის უზრუნველყოფა 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

ამ ჯგუფში შედიოდნენ:
ბორის ბერეზოვსკი — „ლოგოვაზი“;
მიხეილ ფრიდმანი — „ალფა-ჯგუფი“;
პეტრე ავენი — „ალფა-ჯგუფი“;
ვლადიმერ გუსინსკი — „მოსტგრუპი“;
ვლადიმერ პოტანინი — „ონექსიმბანკი“;
ალექსანდრე სმოლენსკი — СБС-Агро (დედაქალაქის ბანკი);
ვლადიმერ ვინოგრადოვი — „ინკომბანკი“.

ბანკირთა სია ბორის ბერეზოვსკის მიერ 1996 წლის 1 ნოემბერს Financial Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუს ეყრდნობოდა. მან იმ შვიდი პირის გვარები დაასახელა, რომლებიც რუსეთის ეკონომიკის 50%-ს ფლობდნენ და ერთობლივად ახდენდნენ გავლენას რუსეთის საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღებაზე.

ოლიგარქებზე იმდენი პოლიტიკური სპეკულაცია იყო უკანასკნელი წლების განმავლობაში, რომ ღირს, კვლავ ვ. პუტინის კრიტიკოსს მივმართოთ. ავტორიტეტული მეცნიერი, მარშალ ი. გოლდმანი, ეკონომიკის პროფესორი, ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული რუსეთისა და

ევრაზიის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ავტორი წიგნისა „რუსეთის პრიხვატიზაცია: გზააბნეული რუსული რეფორმები“, 2004 წელს წერდა:

„სექტემბრის შუა რიცხვებში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის რადიკალური გარდაქმნის გეგმის შესახებ განაცხადა, რომელიც კრემლის ხელში ძალაუფლების თავმოყრას გულისხმობდა. ეს ბესლანის ტერაქტის შემდეგ მალევე მოხდა, როდესაც ჩეჩენმა ბოევიკებმა ასობით ბავშვი მოკლეს და პუტინმა განაცხადა, რომ ძალაუფლების ამგვარი უზურპაცია აუცილებელია, რათა რუსეთმა მოიგოს საკუთარი ომი ტერორიზმთან. როგორიც არ უნდა იყოს მისი მოტივები, დემოკრატიის თვალსაზრისით, რუსეთში ეს ზომები უკან გადადგმული ნაბიჯია.

შესაძლოა, ვ. პუტინის უკანასკნელი მოქმედებები ყველაზე რადიკალურად ჩაითვალოს ხელისუფლებაში მისი ყოფნის განმავლობაში, თუმცა ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა იგი მზადყოფნას ამჟღავნებს, გამოიყენოს რუსული სახელმწიფოს მთელი სიმძლავრე დასახული მიზნების მისაღწევად. ერთი წლით ადრე მან ციხეში გამოამწყვდია მიხაილ ხოდორკოვსკი – ნავთობკომპანია „იუკოსის“ ხელმძღვანელი და პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი თაღლითობისა და გადასახადისთვის თავის არიდების გამო.

ბევრმა ეს ნაბიჯი ოლიგარქებისთვის ომის გამოცხადებად მიიჩნია. იმ ოლიგარქებისთვის,

© „ღუნარაძეების ოჯახური“

რომლებმაც 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ზღაპრული სიმდიდრე ჩაიგდეს ხელთ. და დღეს მთავარი კითხვა ასე ჟღერს: არის თუ არა ხოდორკოვსკის დაპატიმრება მისი კოლეგა-ბიზნესმენების მომავალი ბედის მომასწავებელი?

ხოდორკოვსკის საქმემ შეძრა ყველა, ვინც „ახალი რუსეთი“ იწამა. ათ წელზე მეტი ხნის წინ რუსეთმა უარყო კომპარტიის ძალაუფლება და საბჭოთა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკა. თითქმის მთელი მსოფლიოს აპლოდისმენტების თანხლებით რუსმა და უცხოელმა ეკონომიკურმა მრჩევლებმა მრეწველობის, საცხოვრებელი ფართების, მიწის რესურსების პრივატიზაციის პროგრამა შეიმუშავეს.

„სახალხო კაპიტალიზმის“ დასანერგად ყველა მოქალაქეს ვაუჩერი მისცეს, რომელიც საპრივატიზაციო საწარმოების აქციებზე შეეძლოთ გადაეცვალათ. სოკოებივით მომრავლდა ბირჟები; დარგობრივი სამინისტროების ადგილზე ტრანსნაციონალური კორპორაციები შემოვიდნენ შტაბ-ბინებით მოსკოვში.

ამ კორპორაციებიდან უმსხვილესები ნავთობის, ბუნებრივი აირის და ლითონების მოპოვებაზე მომუშავე საწარმოების საფუძველზე შეიქმნა, რომლებსაც მანამდე საბჭოთა დარგობრივი სამინისტროები ხელმძღვანელობდნენ. ამ კომპანიების ახალი მენეჯერები ერთ წამში ზღაპრულად გამდიდრდნენ. ჟურნალ Forbes-ის რუსული გამოცემის თანახმად, 2004 წლის მაისისთვის რუსეთში 36 ოლიგარქი იყო. ხოდორ-

კოვსკი სიის სათავეში იდგა: მისი პირადი კაპიტალი 15 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული.

თითქოს ეს მოვლენები საბაზრო ეკონომიკისა და კერძო მეწარმეობის გამარჯვებას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, ჩნდებოდა ცნობები მეტად საეჭვო გარიგებებზე პრივატიზაციისას, მაგრამ დამკვირვებელთა უმრავლესობა მათ ამართლებდა, როგორც გარდაუვალ თანმხლებ შედეგებს ასეთი ყოვლისმომცველი გარდაქმნების დროს. ბოლოსდაბოლოს, განა ამერიკის შეერთებულ შტატებში არ იყვნენ თავის დროზე „ყაჩაღი ბარონები“, რომლებიც პირველ ეტაპზე, თავიანთი უხეში მეთოდების მიუხედავად, ქვეყნის წამყვანი კორპორაციების ხელმძღვანელებად და ყველაზე დაფასებული ამერიკული საქველმოქმედო ფონდებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებად იქცნენ?

გარდა ამისა, ბევრი იმასაც ამტკიცებდა, რომ ადრე თუ გვიან რუსეთის ხელისუფლება ჩაერევა სიტუაციაში და „შეუსწორებს“ მათ, ვინც განსაკუთრებით მიუღებლად იქცევა. ისე, როგორც ეს მეოცე საუკუნის დასაწყისში თეოდორ რუზველტმა გააკეთა, როცა „შერმანის კანონის“ მიღებას მიაღწია და ე. წ. „პროგრესული რეფორმების“ მთელი პაკეტი განახორციელა.

თუმცა რუსეთის სიტუაციას ერთი სერიოზული განსხვავება ჰქონდა: **90-იანი წლების პირველი რეფორმები და პრივატიზაცია ისეთი დამახინჯებით და ისე უსამართლოდ წარიმართა, რომ ბიზნესში არასტაბილური მდგომარეობა შექმნა. საკუთრების არსებული სტრუქტურის**

ძირეული გარდაქმნა პრაქტიკულად გარდაუვალი იყო. თუ გავითვალისწინებთ ვ. პუტინის ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილებას, როცა ეს პროცესი ბოლოსდაბოლოს დაიწყო, მან ისეთივე მახინჯი და უსამართლო ხასიათი მიიღო და არანაკლები დესტაბილიზაციის საფრთხე წარმოშვა. ერთი სიტყვით, ის, რაც ხოდორკოვსკის და მის ცხრა თანაშემწეს შეემთხვათ, არ არის გავლენიანი მდიდრის შერისხვის უბრალოდ დრამატული ისტორია ან ჭირვეული დესპოტის შურისძიება; ამ მოვლენებმა პოსტსაბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ღრმა ნაპრალები გააშიშვლა.

90-იანი წლების რეფორმები ძირითადად იმ მრჩევლების დამსახურებაა, რომლებიც რუსეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ელცინმა მიიწვია. იმის შიშით, რომ მოსახლეობას რეფორ-

მის იმედები მალე გაუცრუვდებოდათ და მის მხარდაჭერას დაკარგავდნენ, ეგორ გაიდარმა და ანატოლი ჩუბაისმა — ცვლილებათა მთავარმა არქიტექტორებმა, გადაწყვიტეს, პროცესი მაქსიმალურად დაეჩქარებინათ; სახელმწიფო საკუთრებას და საწარმოებს გროშებად ყიდდნენ ან სულაც უფასოდ არიგებდნენ.

ცოტა ხანში რუსეთის ყველაზე ფასეული აქტივები, სქემით „კრედიტები აქციების სანაცვლოდ“, საგირავნო აუქციონებზე გაიტანეს. აუქციონებს ოლიგარქთა კუთვნილი ბანკები ატარებდნენ, თუმცა აუქციონისტ ბანკებს სახელმწიფოს ინტერესებში უნდა ემოქმედათ, მათ გაეყალბეს ვაჭრობის პირობები და პრაქტიკულად ყველა კონკურსს თვითონ იგებდნენ. სწორედ ამ სქემით ხოდორკოვსკიმ 310 მილიონ დოლარად შეიძინა „იუკოსის“ აქციათა 78%, რომელიც 5 მილიარდი დოლარი ღირდა, ხოლო ბორის ბერეზოვსკიმ 100 მილიონად ნავთობკომპანია „სიბნეფტი“ ჩაიგდო ხელში (მისი აქტივები 3 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული).

როცა საქმე ოლიგარქებს ეხებოდა, სახელმწიფო მთლიანობაში უუნარო იყო, ეკონტროლებინა სიტუაცია. სახელმწიფოს დასუსტების გამო ეს „ახალი რუსები“ საკუთარი შენაძენიდან გადასახადებს არ იხდიდნენ, ხოლო თუ იხდიდნენ, მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს. გარდა ამისა, თუ ამერიკელი „ყაჩაღი ბარონები“ ცარიელ ადგილზე რაღაცას ქმნიდნენ, რუსი ოლიგარქები არაფერს მატებდნენ იმ დოვლათს, რაც ხელში ჩაიგდეს.

© „ღუსუბუნეგი ეუნაფუფი“

პრაქტიკულად, მთელი მათი სიმდიდრე რუსეთის ნედლეულის მიტაცებით შეიქმნა, რომელიც 1992 წლამდე სახელმწიფოს მართვაში იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **ნებისმიერი ოლიგარქის წარმატება ყოველთვის დამოკიდებული იყო მათ კავშირზე სახელმწიფო მოხელეებთან, რომლებიც ნედლეულის პრივატიზაციას განკარგავდნენ.**

ამასთან ერთად, მათ კონკურენტების დაშინება ან ჩამოცილება უნდა შეძლებოდათ („იუკოსის“ ორ ტოპ-მენეჯერს მკვლელობის ორგანიზება ედება ბრალად, ხოლო ნეფტეიუგანსკის მერი, ანუ იმ ქალაქის, რომელშიც კომპანიის მთავარი მომპოვებელი საწარმოს შტაბ-ბინა მდებარეობს, იმის შემდეგ მოკლეს, რაც მან „იუკოსი“ გადასახადების გადაუხდელობის გამო მწვავედ გააკრიტიკა).

2000 წლისთვის, როცა ელცინი პუტინმა შეცვალა, ძალიან ბევრი რამ იყო გამოსასწორებელი. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯით ვ. პუტინმა გამოაცხადა, რომ თამაშის წესები შეიცვალა. 2000 წლის თებერვალში ოლიგარქებთან შეხვედრაზე მან ასეთი ფორმულირება გააკეთა: „საკითხავია, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება ოლიგარქების მიმართ? ისეთივე, როგორიც ყველა დანარჩენის მიმართ; ისეთივე, როგორც პატარა საცხობის ან ატელიეს მფლობელის მიმართ“.

არა აქვს მნიშვნელობა, რომ პუტინმა ეს ფრაზა ოლიგარქებთან შეხვედრაზე წარმოთქვა და არა ხაბაზებთან ან თერძებთან. მისი განცხა-

დება აღქმული იყო, როგორც სიგნალი, რომ მაგნატები ვეღარ შეძლებენ სახელმწიფოს მიერ შემოღებული წესების იგნორირებას და კრემლთან „განსაკუთრებული ურთიერთობების“ იმედად ყოფნას.

იმავე წლის ივლისში პუტინი დაჰპირდა ოლიგარქებს, რომ არ ჩაერევა მათი კომპანიების საქმეში და არ ეცდება ყოფილი სახელმწიფო აქტივების რენაციონალიზებას, თუ ისინი პოლიტიკისგან თავს შორს დაიჭერენ. ოლიგარქთა პოლიტიკური გავლენის შეზღუდვა იოლი საქმე არ აღმოჩნდა. რაც უფრო იზრდებოდა მდიდართა რიცხვი, ზოგიერთ მათგანს სხვა სფეროებზე გავლენის მოპოვების ცდუნება მით უფრო იტანდა. რამდენიმე ოლიგარქმა, მათ შორის გუსინსკიმ და ბერეზოვსკიმ, მედიაიმპერიები შექმნეს, რომლებიც ტელეკომპანიებს, გაზეთებს, ჟურნალებს აერთიანებდა.

ამ მედიასაშუალებებს ისინი არა მარტო კონკურენტებზე, არამედ ვ. პუტინზე თავდასხმებისთვის იყენებდნენ, განსაკუთრებით — ჩეჩნეთში მისი პოლიტიკისა და ბარენცის ზღვაში 2000 წელს ატომური წყალქვეშა ნავის დაღუპვაზე მისი „არაადეკვატური“ რეაქციის გამო.

თუ ვ. პუტინი ამას პოლიტიკურ ღალატად აღიქვამდა, სხვები ეკონომიკურად დაზარალდნენ. ინვესტორებმა, რომლებმაც ხოდორკოვსკის პროექტებში ჩადეს ფული, აღმოაჩინეს, რომ მასთან დადებული კონტრაქტები ფარატინა ქაღალდს წარმოადგენს. ამერიკელი ინვესტორის,

© „ღვასრბაზეგბგ ასნაყაფლ“

კენეტ დარტის ზარალი მილიარდ დოლარად შეფასდა. იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა ნავთობკომპანია AMOCO (მოგვიანებით მისი სახელი შეიცვალა — BP AMOCO).

ორივე შემთხვევაში ინვესტორებმა თანხები ჩადეს ნავთობმომპოვებელ კომპანიაში, რომელიც ხოდორკოვსკიმ ხელში ჩაიგდო და მანიპულაციების გზით გააუფასურა მისი აქციები. ანალოგიურად, როცა რუსულმა ნავთობკომპანია THK-მ საკუთარი ფილიალი „სიდანკო“ გააკოტრა, BP AMOCO–ს ზარალის სახით 200 მილიონი დოლარის და „სიდანკოში“ ჩადებული 500 მილიონი დოლარის ჩამოწერა მოუწია.

მას შემდეგ, რაც 1998 წლის 17 აგვისტოს რუსეთის მთავრობამ სახელმწიფო ვალის გადახდაზე მორატორიუმი გამოაცხადა, რუსეთის ბანკების უმეტესობამ, მათ შორის ხოდორკოვსკის კუთვნილმა „მენატეპმა“, კლიენტებს ცხვირწინ მიუხურა კარი და ათი ათასობით მოქალაქეს მათი ანაბრები დააკარგვინა. ხოდორკოვსკიმ ყველა ფასეული აქტივი ბანკის პეტერბურგის ფილიალში გადაიტანა, სადაც კრედიტორები ვერ მისწვდებოდნენ.

მხოლოდ მთავრობის ჩარევის შემდეგ, რომელიც საკმაოდ ზანტად და ენთუზიაზმის გარეშე ირჯებოდა, „მენატეპი“ იძულებული გახდა, დაზარალებულთათვის სიმბოლური კომპენსაცია გადაეხადა. ანალოგიურად მოიქცა „იუკოსი“, როცა კრედიტორებს საკუთარი აქციები შესთავაზა კომპენსაციის სახით. ამ დროისთვის ხოდორკოვსკიმ მორიგი ემისია ჩაატარა, აქციები

გააუფასურა და მეპაიეებმა მიზერული კომპენსაცია მიიღეს.

თუმცა ვ. პუტინს იმდენად ხოდორკოვსკის ფინანსური მაქინაციები არ ადარდებდა, რამდენადაც მისი პოლიტიკაში ჩარევა. გავრცელებული ინფორმაციით, ხოდორკოვსკიმ ორ ლიბერალურ პარტიას — „იაბლოკოს“ და მემარჯვენე ძალთა კავშირს (СПС) 100 მილიონი დოლარი შესთავაზა, რათა ისინი გაერთიანებულიყვნენ არჩევნებზე ვ. პუტინისა და მისი პარტია „ედინაია როსიას“ წინააღმდეგ. გარდა ამისა, იგი მუდამ მიანიშნებდა, რომ 2008 წელს, როცა ვ. პუტინის მეორე საპრეზიდენტო ვადა დამთავრდებოდა, იგი თავად აპირებდა პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრას.

გარდა ამისა, ხოდორკოვსკი აქტიურად ლობირებდა „იუკოსისთვის“ ხელსაყრელ კანონპროექტებს. მოარული ხმებით, მან რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში 100-მდე დეპუტატი „იყიდა“. ასე იყო თუ ისე, 2001 და 2002 წლებში ხოდორკოვსკიმ სათათბიროს ყველა მცდელობა აღკვეთა, რომლებიც ნავთობკომპანიების დაბეგვრის გაზრდას ითვალისწინებდა.

ასეთი უხეში ლობირება აშშ-ის კონგრესშიც ხდება, განსაკუთრებით სათბობ-ენერგეტიკული სექტორის სასარგებლოდ, მაგრამ პუტინმა ეს შეთანხმების დარღვევად აღიქვა, რომელიც მან ოლიგარქებს შესთავაზა. ასეთივე აზრი ჰქონდათ „ძალოვანებს“ — წესრიგის დამყარების მომხრეებს უშიშროებიდან, პოლიციიდან და არმიიდან, რომლებიც მან ძალოვან სტრუქტურებში მიიყვანა. ხოდორკოვსკის მეთოდები

© „ღვინისფერი ცისკარი“

აშკარა გამოწვევას წარმოადგენდა სახელმწიფოში მათი კონტროლისთვის, ანუ, როგორც ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, „საფრთხეს და საშიშროებას წარმოადგენდა რუსული სახელმწიფოსთვის“.

როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს, რამდენიმე წლით ადრე ხოდორკოვსკიმ „ახლებურად“ ცხოვრება გადაწყვიტა, ყოველ შემთხვევაში, ფინანსურ საქმეებში და ბიზნესის კეთების მეთოდების შეცვლა დაიწყო. 1999 წელს იგი ბიზნესში მეტი გამჭვირვალობის აუცილებლობაზე ალაპარაკდა. მხედველობაში საკუთარი თავიც და მოძმე ოლიგარქებიც ჰყავდა. საამისოდ დასავლურ აუდიტორულ კომპანიებს მიმართა და „იუკოსი“ იშვიათი რუსული კორპორაცია გახდა, რომელმაც საკუთარი აქციონერების გვარები გამოაქვეყნა.

მან რეგულარულად დაიწყო თანამშრომლებისთვის ხელფასების გადახდა და საგადასახადო ვალდებულებათა შესახებ უფრო სრული ანგარიში გამოაქვეყნა. ხოდორკოვსკიმ „იუკოსის“ დირექტორთა საბჭოს რეორგანიზაცია მოახდინა: შეიყვანა რამდენიმე პატივცემული დასავლელი ინვესტორი, იურისტი და ბიზნესმენი. დააფუძნა საქველმოქმედო ფონდი „ღია რუსეთი“ განათლებისა და კულტურის სფეროში პროექტების მხარდასაჭერად და მისი გამგეობის წევრობაზე ჰენრი კისინჯერი, ლორდი როტშილდი და საბჭოთა კავშირში აშშ-ის ყოფილი ელჩი არტურ ჰარტმანი დაიყოლია. მრავალმილიარდიანი ქონების დაგროვების შემდეგ მან, ამერიკელი „ყაჩაღი ბა-

რონების“ მსგავსად, გადაწყვიტა, რომ ქველმოქმედებისა და წესების დაცვის დრო დადგა.

დასავლეთში ამ ცვლილებებს ბევრი აპლოდისმენტებით შეხვდა და თავდაჯერებული ხოდორკოვსკიც სულ უფრო გათავხედდა. ნავთობის ექსპორტის გაზრდის მიზნით, იგი მოუწოდებდა ახალი მილსადენების მშენებლობისკენ: ერთი მათგან არქტიკულ პორტ მურმანსკამდე უნდა გადაჭიმულიყო (რაც მას აშშ-ში ექსპორტის ბაზად აქცევდა), მეორეს ციმბირის საბადოები აზიის ბაზრებთან უნდა დაეკავშირებინა.

მეორე ნავთობსადენი, მისი აზრით, ჩინეთამდე უნდა მისულიყო, როცა მთავრობა სხვა მარშრუტს ანიჭებდა უპირატესობას: წყნარი ოკეანის სანაპიროსკენ, იაპონიაში მიწოდების უზრუნველსაყოფად. ორივე ეს წინადადება პირდაპირი გამოწვევა იყო „ტრანსნეფტისთვის“, სახელმწიფო მონოპოლისტისთვის, რომელიც ფლობდა და მართავდა ქვეყნის მთელ მილსადენთა ქსელს, თუმცა ხოდორკოვსკი კიდევ უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში „იუკოსი“ საკუთარ ნავთობსადენებს გაიყვანს.

მეტიც, 2003 წლის თებერვალში, ერთ-ერთ სხდომაზე კრემლში ხოდორკოვსკიმ შესჩივლა ვ. პუტინს, რომ სახელმწიფო კომპანია „როსნეფტის“ ხელმძღვანელობამ საეჭვო გარიგების შედეგად პატარა ფირმა გაზრდილი ფასით იყიდა (ამ სიტუაციამ იგი გააბრაზა, რადგან „იუკოსი“ ასევე აპირებდა ამ ფირმის შეძენას, მაგრამ შეთავაზებულ ფასად არ იყიდა).

© „ღუსინსკიხიზეგი ეხილაფაფეი“

„როსნეფტის“ მხილება ვ. პუტინის აშკარა გამოწვევა იყო, რადგან კომპანიის ხელმძღვანელი სერგეი ბოგდანჩიკოვი ძალოვანებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. როგორც ჩანს, ხოდორკოვსკი, გიგანტური ქონების პატრონი, ნავთობკომპანიის მფლობელი, რომელიც მოპოვების მოცულობით სადაცაა მსოფლიოში მეოთხე ადგილზე გავიდოდა, სახელმწიფო სათათბიროში სერიოზულ გავლენას ფლობდა, სულ უფრო მეტად იჯერებდა, რომ კრემლის კონტროლი მასზე არ ვრცელდებოდა. მანამდე — არც მეფის, არც ელცინის დროს არც ერთ ბიზნესმენს არ მიუღწევია ასეთი ძალაუფლებისთვის და ვ. პუტინს არ უნდოდა ამგვარი პრეცედენტის დაშვება მაშინ, როცა იგი მართავდა ქვეყანას.

ხოდორკოვსკის ფინანსური მაქინაციები გამონაკლისს არ წარმოადგენდა. ზუსტად ასეთი ბრალდებები თაღლითობაში, გადასახადისთვის თავის არიდებაში, მოსყიდვაში, მკვლელობებსა და თავდასხმებში სხვა ოლიგარქებისთვისაც შეიძლებოდა წაეყენებინათ. დევნის ობიექტი ხოდორკოვსკი და მისი „იუკოსელი“ თანამოაზრენი პოლიტიკაში თავხედური, დაუფარავი ჩარევის გამო გახდნენ. წინამორბედების — გუსინსკისა (რომელიც ცოტა ხნით აღმოჩნდა გისოსებს მიღმა) და ბერეზოვსკის (რომელიც იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა) მსგავსად, ხოდორკოვსკიმ პუტინის პროვოცირება მოახდინა, როცა მის კრიტიკასთან ერთად ოპოზიციური პარტიებისა და კანდიდატების მხარდაჭერა დაიწყო.

მათთვის, ვინც სახელმწიფოს უზენაესობას აღიარებს, ასეთები კი რუსეთში უმრავლესობას წარმოადგენენ, ხოდორკოვსკის გადამეტებული აქტიურობა ერთობ საეჭვო იყო. ამავე დროს, იბადებოდა კიდევ ერთი, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი: **აქვს კი ხოდორკოვსკის უფლება იმ სიმდიდრეზე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ სახელმწიფოს, იდეაში კი მთელ ხალხს, ეკუთვნოდა?**

კრემლისა და ძალოვანი სტრუქტურებისთვის ეს საკითხი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა. მათი აზრით, ოლიგარქებს ეს ბედნიერება არაფრით დაუმსახურებიათ. ქვეყნის რესურსები, უბრალოდ, დააყაჩაღეს მანიპულაციებითა და გაუაზრებელი პრივატიზაციით, აუქციონების გაყალბებით, ქრთამებით, ძალადობით, კანონის ორაზროვანი გაგებით. მეტიც, **1999 წლის ბოლომდე პრაქტიკულად არც ერთმა ოლიგარქმა არაფერი გააკეთა სახელმწიფოსგან ნაყიდი აქტივების მოდერნიზაციისა და განვითარებისთვის.**

იმ დროს, როცა ერთმა მუჭა ადამიანებმა სახელმწიფოს საკუთრება მიიტაცეს, რუსეთის მოსახლეობის მესამედი სიღატაკის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა. ეს მხოლოდ აღრმავებდა საზოგადოების აღშფოთებას სიმდიდრის ამგვარი რადიკალური გადანაწილების გამო. ერთ-ერთი ბოლოდროინდელი გამოკითხვის თანახმად, რუსეთის მოსახლეობის 77% მხარს უჭერს პრივატიზაციის შედეგების ნაწილობრივ ან სრულ გადახედვას. გამოკითხულთა მხოლოდ 18%

არის უარყოფითად განწყობილი რენაციონალიზაციის იდეის მიმართ. გარდა ამისა, ბევრ რესპონდენტს არ მოსწონს საბაზრო ეკონომიკა და საკუთარ პასუხებში მთლიანობაში ცდილობს პრივატიზაციის პროცესის სრულ დისკრედიტებას.

რაც შეეხება ძალოვანებს, მათ უკვე ის აღელვებდათ, რომ რუსეთის ნედლეულის რესურსების და მათი ექსპლუატაციის უცხოურ ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე გაყიდვა გახშირდა, მათ შორის ისეთებზე, რომლებიც ამერიკული კაპიტალის გავლენის ქვეშაა.

ხოდორკოვსკის დაპატიმრების მომენტისთვის, 2003 წლის ოქტომბერში ნავთობკომპანია THK-მ უკვე შექმნა ერთობლივი საწარმო BP-სთან ერთად, ხოლო კიდევ რამდენიმე დასავლური კორპორაცია (მათ შორის ConocoPhillips) საიდუმლოდ მართავდნენ ანალოგიურ მოლაპარაკებებს. როცა ხოდორკოვსკიმ „იუკოსისა“ და „სიბნეფტის“ გაერთიანების შესახებ განაცხადა და ერთდროულად დაიწყო მოლაპარაკებები ExxonMobil-თან და ShevronTexaco-სთან, მთავრობაში სერიოზულად შეშფოთდნენ.

ერთია, როცა უცხოური კომპანიები მინორიტარული აქციონერები არიან და სულ სხვაა, თუ ისინი რუსული ფირმების საწარმოო საქმიანობაზე კონტროლს ამყარებენ. მით უმეტეს, რომ მათ მიერ ოლიგარქებისთვის გადმორიცხული თანხების ნაწილი ისევ უცხოეთში ირიცხებოდა. შესაძლოა, ლონდონელებს გაეხარდათ კიდეც, რომ რომან აბრამოვიჩმა საფეხბურთო კლუბი

„ჩელსი“ 400 მილიონ დოლარად იყიდა, მაგრამ მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი აღშფოთებით სვამდა კითხვას, თუ რატომ არ ჩაიდო ეს ფული რომელიმე მოსკოვურ გუნდში.

ის ფაქტი, რომ ბევრი ოლიგარქი წარმოშობით ებრაელია, ასევე უწყობდა ხელს ტრადიციული და მიუღებელი ცრურწმენების გაცოცხლებას. მალე რუსმა ნაციონალისტმა ალექსანდრე ციპკომ კვლავ წამოაყენა „ებრაული კაპიტალის“ დამტვერილი ლოზუნგი, რომელიც ჯერ კიდევ მეფის რუსეთში გამოიყენებოდა. ციპკო ამტკიცებდა, რომ ხოდორკოვსკიმ ბრძანა, თუ მას რაიმე შეემთხვევა, მისი კუთვნილი „იუკოსის“ აქციები ლორდ როტშილდის მიერ დაფუძნებულ ებრაული პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტს (Institute of Jewish Policy Research) გადასცემოდა ბრიტანეთში.

© „ეროსა და ეროვნული“

ერთი სიტყვით, ოლიგარქები კარგ სამიზნეს წარმოადგენდნენ. **ხოდორკოვსკის დაპატიმრების შემდეგ ვ. პუტინის რეიტინგი, რომელიც ისედაც შთამბეჭდავი იყო (70%), უცებ 80%-მდე გაიზარდა. ამას გარდა, სულ რაღაც ორი თვის შემდეგ ახლადშექმნილმა პარტია „როდინამ“, რომლის ლოზუნგი არჩევნებზე იყო „რუსეთი – რუსებისთვის“, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე ხმების 9% მიიღო.**

რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობას სრული საფუძველი აქვს, მიიჩნიოს: ეკონომიკური რეფორმები მთლიანობაში და კერძოდ, პრივატიზაცია რომ უფრო პატიოსნად და სამართლიანად წარმართულიყო, უკეთესი ეკონომიკური შედეგები იქნებოდა, შემოსავლები ასე არათანაბრად არ განაწილდებოდა, ხოლო რუსეთის ბუნებრივ რესურსებზე კონტროლი ერთ მუჭა ადამიანებს არ ჩაუვარდებოდათ ხელში“.

მარშალ გოლდმანი, რომელსაც ვერაფრით დააბრალებ ვ. პუტინის აპოლოგეტობას, მისი მისამართით მძაფრი კრიტიკის მიუხედავად, სამართლიანად აფასებს რუსეთში შექმნილ ვითარებას: **„იმ მიზეზების ნებისმიერი კვლევა, რომელთა გამოც რუსეთი ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა, პრივატიზაციის პროცესის ანალიზით უნდა დაიწყოს. რეფორმათა არქიტექტორებს სრული საფუძველი აქვთ, ამტკიცონ, რომ მათმა გეგმამ მთავარი შედეგის მიღწევა უზრუნველყო: კომუნისტები ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდნენ, მაგრამ სახელმ-**

წიფო აქტივების მეტისმეტად სწრაფი ტემპით პრივატიზებამ, როცა ახალი საწარმოების შექმნის სტიმული არ არსებობდა, გზა გაუხსნა ოლიგარქების წარმოშობას და შემდეგ — სახელმწიფოს კონტრშეტევას.

გარდა ამისა, როგორც 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა აჩვენა, ოლიგარქების მიერ რუსეთის ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდებამ ნეონაციონალისტების პოპულაროობის ზრდას შეუწყო ხელი, რომელთა პროგრამა არც ისე განსხვავდება კომუნისტების პლატფორმისგან, ყოველ შემთხვევაში ისეთ საკითხში, როგორიც ნედლეულზე სახელმწიფოს კონტროლის აღდგენაა“.

ამავე საკითხებზე ისაუბრა ვ. პუტინმა 2012 წელს მიცემულ ინტერვიუში ტელეკომპანია Russia Today-სთან, როდესაც მას კორუფციის შესახებ დაუსვეს კითხვა: „კორუფცია პრობლემაა ყველა ქვეყნისთვის და სხვათა შორის, ყველა ქვეყანაში არსებობს — ევროპაშიც და შეერთებულ შტატებშიც. იქ ბევრი რამ ლეგალიზებულია. კერძო კომპანიების ინტერესების ლობირება — რა, ეს კორუფცია არ არის? მაგრამ თითქოს კანონის ჩარჩოებშია და ყველაფერი წესრიგშია. გააჩნია, როგორ შეხედავ. მნიშვნელოვანია კორუფციის მოცულობა, დონე და ხარისხი. ჩვენთან ეს მაჩვენებელი მაღალია. ეს პრაქტიკულად გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყანას ახასიათებს. ეს უკავშირდება ახა-

© „ღვასაბაძეების ეროვნული“

ლი ეკონომიკური მოდელების წარმოქმნას, როცა ყველაფერი არ არის დარეგულირებული, სახელმწიფო ყველაფერს ვერ აკონტროლებს. ეს მორალს უკავშირდება, განსაკუთრებით, გეგმიური ეკონომიკიდან და სოციალისტური მორალიდან იმ მორალზე გადასვლას, რომელიც მარადიულ ღირებულებებს ეფუძნება. ეს საკმაოდ რთული პროცესია, მით უფრო, თუ ეს პროცესი საბაზრო ეკონომიკაში ცალკეული ჯგუფის ან კონკრეტული ფიზიკური პირების სწრაფ გამდიდრებას უკავშირდება. საზოგადოება ამას ძალიან მტკივნეულად და ნეგატიურად აღიქვამს. უბრალო ადამიანი თავისთვის ასე ფიქრობს: თუ ამათთვის ორ წელიწადში მილიარდების შოვნა შეიძლება, ჩემთვის რატომ არ შეიძლება რაღაც, მაშინაც, თუ ეს მორალისა და კანონის მოთხოვნებს არ შეესაბამება? აი, სწორედ ეს ურეცხავს ნიადაგს კორუფციასთან ბრძოლის ფუნდამენტურ ბაზას“.

რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი რეალურ ფასებში და პროცენტებში 1990 წლის დონესთან შედარებით



ეკონომიკის წინსვლა

1990-იან წლების დასაწყისში საბჭოთა ეკონომიკა დაცემას განიცდის. ინფლაცია, საგარეო ვალის ზრდა, ეკონომიკის ბარტერიზაცია, მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი დაცემა და ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლა პრაქტიკულად ეკონომიკურ კოლაფსს იწვევს. ფასების ლიბერალიზაციამ და მასობრივმა პრივატიზაციამ მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა, რასაც ვერ იტყვი იმ ვიწრო ჯგუფზე, რომელმაც ერთბაშად სერიოზული ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტი ჩაიგდო ხელში. ეკონომიკა გეგმიურიდან საბაზრო მოდელზე გადავიდა.

1990 წლის ივნისში სსრკ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფციის შესახებ“. 19 ივნისს საბჭოთა კავშირის მინისტრთა

© „ღუსუბაძეების ეროვნული“

საბჭომ მიიღო დადგენილება საწარმოთა აქციონირების შესახებ, ხოლო დეკემბერში — კანონი საწარმოებისა და სამეწარმეო საქმიანობის შესახებ.

გადასახადების კლების გამო ფულის საკომპენსაციო ბეჭდვა დაიწყო. სახელმწიფო საწარმოებს ნებართვა მიეცათ, მოგების ნაწილის უნაღდო თანხა ნაღდ მანეთში გადაეყვანათ მატერიალური წახალისების ფონდისთვის, რამაც ხელფასების ზრდა გამოიწვია. ნათელია, რომ ამან, თავის მხრივ, ინფლაცია წარმოშვა. ამ პროცესს კიდევ უფრო აღრმავებდა სამომხმარებლო საქონლის დეფიციტი.

განაწილების ტალონურმა სისტემამ შავი ბაზარი წარმოქმნა. მოსახლეობა უპირატესობას დოლარს ანიჭებდა, რომლის კურსი, მანეთთან შედარებით, 1985 წლის ოფიციალური 67 კაპიკიდან (შავ ბაზარზე — 4 მანეთი) 1991 წლის 17 მანეთამდე გაიზარდა. საბჭოთა საქონლის სიიაფემ მათი საზღვარგარეთ გადინება გამოიწვია, რაც კიდევ უფრო აღრმავებდა დეფიციტს და ინფლაციას.

1991 წლის იანვარში „პავლოვის ფულადი რეფორმა“ გატარდა. მარტში მიიღეს კანონი „სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციისა და მონოპოლისტური საქმიანობის შეზღუდვის შესახებ“. 3 ივლისს რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „რსფსრ სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების პრივატიზაციის შესახებ“.

ოქტომბერში რსფსრ სახალხო დეპუტატთა მე-

ხუთე ყრილობაზე რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარების შესახებ განაცხადა. ნოემბერში სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარედ ანატოლი ჩუბაისი დაინიშნა. 19 დეკემბერს რსფსრ მთავრობამ მიიღო დადგენილება „ფასების ლიბერალიზაციის ზომების შესახებ“.

29 დეკემბერს გამოიცა „1992 წელს რუსეთის ფედერაციაში სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების პრივატიზაციის პროგრამის ძირითადი დებულებები“. დეკემბერში „ვაჭრობის თავისუფლების შესახებ“ ბრძანებულება გამოვიდა.

1992 წლის იანვარში ფასების ლიბერალიზაციას ჰიპერინფლაცია მოჰყვა. ურთიერთგადახდების დაგვიანება დაიწყო, რამაც უზარმაზარი დავალიანებები წარმოშვა იურიდიულ პირებს შორის. 1992 წლის ბოლოსთვის ამ დავალიანებებმა 2-2,5 ტრილიონი მანეთი შეადგინა, რაც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ტოლი იყო. სწრაფად იზრდებოდა სახელფასო დავალიანებები, გადასახადების კლების გამო ბიუჯეტში სასიცოცხლო საწარმოების (წყალმომარაგება, ტრანსპორტი, ელექტროენერგეტიკა და ა. შ.) გაჩერების საფრთხე წარმოქმნა.

აპრილ-მაისში შექმნილი ვითარების გამო მთავრობამ ფინანსური და მონეტარული პოლიტიკა შეარბილა და საწარმოთა დაკრედიტება განაახლა. ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და დავალიანებები კვლავაც იზრდებოდა. აგვისტოში,

პრეზიდენტის ბრძანებულებით, რუსეთის ფედერაციაში საპრივატიზაციო ჩეკების სისტემა დაინერგა.

აგვისტო-სექტემბერში რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის ახალი ხელმძღვანელის — **ვიქტორ გერაშჩენკოს** წინადადებით, საკრედიტო ემისია განხორციელდა 1 ტრილიონი მანეთის ოდენობით, რასაც საწარმოების ვალის ურთიერთჩათვლა მოჰყვა. ამან თითქოს შეარბილა სიტუაცია, მაგრამ თავისუფალი ფასწარმოქმნისა და დაშლილი ეკონომიკის პირობებში მხოლოდ ინფლაცია წაახალისა.

ამავე დროს დაიწყო საწარმოთა დიდი ნაწილის ბარტერზე გადასვლა. 1993 წელს ფულადი რეფორმა გატარდა. მომდევნო წელს მანეთის კურსი ჩამოიქცა აშშ დოლართან მიმართებით. ეს დღე „შავი სამშაბათის“ სახელით არის ცნობილი. 1995 წელს საბანკო კრიზისი მოხდა. დეკემბერში მიიღეს კანონი „სააქციო საზოგადოებების შესახებ“.

ამავე წელს ჩატარდა ყბადაღებული საგირავნო აუქციონები. 1996-1997 წლებში საფინანსო მდგომარეობა კვლავ მძიმეა, ხოლო 1998 წლის 1 იანვარს მანეთი 1000-ჯერ გაუფასურდა. ბარტერული ოპერაციების რაოდენობა 51%-მდე გაიზარდა. აგვისტოში დეფოლტი გამოცხადდა. ფაქტობრივად, ეს 1992 წლიდან გატარებული საფინანსო პოლიტიკის კრახი იყო. ფინანსური კრიზისის გამო რუსეთის ეკონომიკას უმძიმესი დარტყმა მიადგა, შედეგად მანეთი გაუფასურდა, ინფლაციამ მოიმატა, წარმოება და, შესაბა-

მისად, მოსახლეობის ცხოვრების დონე მკვეთ-
რად დაეცა.

პოზიტიური ცვლილებები მხოლოდ 1999 წელს
დაიწყო.

სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა



რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი
1991 წლიდან მილიარდ აშშ დოლარში



უცხოური ინვესტიციების შედინება რუსეთში
1995-2009 წლებში (მილიარდ აშშ დოლარში)

© „ეროვნული ბანკი“



საშუალო ხელფასის დინამიკა დოლარებში
და რუბლებში 1996–2006 წლებში



ბუნებრივი მოკვდავობის და მიგრაციული
მატების დინამიკა რუსეთში 1993–2009 წლებში
(ათასი ადამიანი)

2000-იან წლებში ვ. პუტინმა მიიღო კანონები, რომლებმაც საგადასახადო რეჟიმი შეცვალა. საშემოსავლო გადასახადი ფიზიკურ პირთათვის 13%-მდე შემცირდა, მოგების გადასახადი 24%-მდე, შემოღებული იქნა ერთიანი სოციალური გადასახადის რეგრესული შკალა, გადასახადების საერთო რაოდენობა სამჯერ შემცირდა.

2006 წელს ფინანსთა მინისტრის მოადგილე სერგეი შატალოვის განცხადებით, საგადასახადო ტვირთი 34-35%-დან 27,5%-მდე შემცირდა, ამასთანავე, მოხდა ამ ტვირთის ნავთობის სექტორზე გადანაწილება. საგადასახადო რეფორმა ექსპერტებმა შეაფასეს, როგორც ვლადიმერ პუტინის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული წარმატება.

გატარდა სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები: საპენსიო (2002), საბანკო (2001–2004), შეღავათების მონეტიზაცია (2005), შრომითი ურთიერთობების, ელექტროენერგეტიკისა და სარკინიგზო ტრანსპორტის რეფორმა. 2003 წლის მიმართვაში ფედერალური კრებისადმი ვ. პუტინმა განაცხადა რუსული რუბლის კონვერტირებად ვალუტად ქცევის განზრახვის შესახებ მიმდინარე და კაპიტალურ ოპერაციებში. 2006 წლის ივლისისთვის ეს მიზანი მიღწეული იყო.

ბრიტანული კომპანია BBC-ის მიერ 2008 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიხედვით, რუსეთში გამოკითხულ რესპონდენტთა 77%-მა განაცხადა, რომ ვ. პუტინის

© „ეროვნული ეფექტურობა“

პრეზიდენტობის განმავლობაში მათი ცხოვრების ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო მოცულობით 2007 წლისთვის რუსეთი პირველ ათეულში მოხვდა აშშ-ის, ჩინეთის, იაპონიის, გერმანიის, ინდოეთისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ. მას მოსდევდნენ საფრანგეთი, იტალია და ბრაზილია.

სტაბილიზაციის ფონდი

ვ. პუტინის პრეზიდენტობის დროს შეიქმნა სტაბილიზაციის ფონდი, რაც მხოლოდ ეკონომიკური ზრდის შედეგად გახდა შესაძლებელი.

სტაბილიზაციის ფონდის შექმნას საბაზრო ეკონომიკის ბევრი აპოლოგეტი იმთავითვე აკ-



სტაბილიზაციის ფონდის რაოდენობა (მლრდ. დოლარში).

რიტიკებდა. მათი შეხედულებით, ეს არ იყო საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ნაბიჯი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბაზრის განვითარების ინსტიტუტის დირექტორი ნიკოლოზ პეტრაკოვი აცხადებდა: „თუ საბაზრო სისტემაში ბევრ ფულს ამოიღებ, ის უნდა დახარჯო. ბიუჯეტი, პრინციპში, ბალანსური ეკონომიკური მოდელია: მე ზუსტად იმდენ გადასახადს ვაგროვებ, რომ შემეძლოს საავადმყოფოების, სკოლების, ჯარის შენახვა. დანარჩენი ფული ეკონომიკის განვითარებაზე უნდა მუშაობდეს. ჩვენთან საოცარი ამბავი ხდება. არასოდეს, მსოფლიო ეკონომიკის ისტორიის მანძილზე, თვით აშშ-ის ფინანსური გაფურჩქვნის ხანაშიც კი, ინგლისის ზეობისასაც, არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა ბიუჯეტის ისეთი პროფიციტი, როგორც რუსეთში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წინა წლებში — მან 3,8 ტრილიონი რუბლი შეადგინა! მაგრამ თუ იმავე წლებში გზის გასაყვანად ფული იყო საჭირო, პასუხი ასეთი იყო: „ფული არ არის — სტაბილიზაციის ფონდშია“. რატომ ითვლებოდა, რომ ამ თანხების ათვისება არ შეიძლება, ჩემთვის უცნობია“.

ყველაზე გავრცელებული კრიტიკა იმას უკავშირდება, რომ, რაკი რუსეთის სტაბილიზაციის ფონდი აშშ-ის ფასიან ქაღალდებშია და გამოდის, რომ რუსეთი პირდაპირ მუშაობს ამერიკის ფასიანი ქაღალდების მოგებაზე, რუსეთი ყიდულობს სხვადასხვა ქვეყნის აშშ დოლარებში, ევროსა და ფუნტ სტერლინგში ნომინირებულ თამასუქებს. მათ ჩამონათვალს მთავრობა გან-

საზღვრავს. ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ. **2006 წლის 24 ივლისიდან 2007 წლის 15 დეკემბრამდე სტაბფონდის თანხების ინვესტირების შედეგად მიღებულმა მოგებამ 174, 78 მილიარდი რუბლი შეადგინა.**

2008 წლის 1 თებერვალს სტაბილიზაციის ფონდი ორ ნაწილად გაიყო: სარეზერვო ფონდი (1 ტრილიონ 825,28 მილიარდი რუბლი) და ეროვნული კეთილდღეობის ფონდი (2 ტრილიონ 619,52 მილიარდი რუბლი). პრაქტიკულად, სტაბფონდი ქვეყნის სტრატეგიულ საფინანსო რეზერვს წარმოადგენს. 2004 წლის ბოლოს ფონდის თანხების ოდენობამ 500 მილიარდ რუბლს გადააჭარბა და მომდევნო წელს საგარეო ვალისა და საპენსიო ფონდის დეფიციტის დაფარვას მოხმარდა:

93,5 მილიარდი რუბლი (3,3 მილიარდი აშშ დოლარის ეკვივალენტი) – საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალის დაფარვა;

430,1 მილიარდი რუბლი (15 მილიარდი აშშ დოლარის ეკვივალენტი) — „პარიზის კლუბის“ წევრი ქვეყნების ვალის გასტუმრება;

123,8 მილიარდი რუბლი (4,3 მილიარდი აშშ დოლარის ეკვივალენტი) — „ვნეშეკონომბანკის“ ვალის დაფარვა ფინანსთა სამინისტროზე გაცემულ კრედიტებზე, 1998–1999 წლებში საგარეო ვალის დასაფარად;

30 მილიარდი რუბლი (1,04 მილიარდი აშშ დო-

ლარის ეკვივალენტი) — საპენსიო ფონდის დეფიციტის დაფარვა.

2006 წელს ასეთივე ამოცანებზე 605 მილიარდი დაიხარჯა, ხოლო 2007 წელს — 12 მილიარდი.

თუ ზოგად „საბაზრო“ რიტორიკას თავს დავანებებთ, ნათელი გახდება, რომ, სტაბფონდის მოწინააღმდეგეთა ლოგიკით, რუსეთს სამარადჟამოდ უნდა ეხადა საგარეო ვალები, რომლებიც ელცინის მეთაურობით პირველი თაობის დემოკრატებმა დააგროვეს, ხოლო ბიუჯეტის ფული, ყოველგვარი რეზერვისა და სოციალური პროექტების განხორციელების ნაცვლად, უნდა დახარჯულიყო. გასაგებია, რომ მევალე ქვეყნებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს სულაც არ ახარებდათ რუსეთის მიერ მათი ვალების გასტუმრება; მათთვის გაცილებით უფრო მომგებიანი იქნებოდა მუდმივი მოვალე, რომელიც რეგულარულად იხდის ვალის პროცენტს და ყოველთვის მზად არის მევალე ქვეყნის წინაშე დათმობებისთვის.

3. პუტინის პრეზიდენტობის დროს რუსეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური ინვესტიციები. თუ 1999 წელს მათი რაოდენობა 10 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 2007 წლისთვის ამ ციფრმა 120 მილიარდის ნიშნულს მიაღწია. გერმანიის მთავრობის შეფასებით, ეს რუსეთის ეკონომიკის სტაბილურობაზე მეტყველებს. ვინაიდან თავდაპირველი „ინვესტიციების“ დიდი წილი უცხოელების მიერ რუსეთში საკუთრების შეძენაზე იხარჯებოდა (როგორც, მაგალი-

© „ღონისძიებები ეროვნული“

თად, ტიუმენის ნავთობის კომპანიის შემთხვევაში) ან რუსეთიდან გატანილ და შემდგომ „გარეცხილ“ კაპიტალებს წარმოადგენდა, ბოლო წლებში რუსეთის მთავრობა ყველა ზომებს იღებს, რათა ამგვარი „ინვესტორები“ არ დაუშვას ეკონომიკის სტრატეგიულ სექტორებში.

პირველი პროფიციტული ბიუჯეტი (ანუ საბიუჯეტო შემოსავლების მეტობა ხარჯებთან შედარებით) 1999 წელს დაფიქსირდა. 2003 წელს პროფიციტმა 72 მილიარდი რუბლი, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 0,6% პროცენტი შეადგინა. 2012 წლის ბუჯეტის პროფიციტმა 716,81 მილიარდი რუბლი შეადგინა, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 1,4%. პირველადმა პროფიციტმა 9 ტრილიონ 738,69 მილიარდ რუბლს მიაღწია, ანუ რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტის საერთო ხარჯების 76,4%-ს.

წლების განმავლობაში საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა იცვლებოდა და ეს ცვლილებები სისტემურ ხასიათს ატარებდა. 2011 წელს სახელმწიფო სათათბირომ, მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე, 200 მილიარდი გამოყო სარეზერვო ფონდისთვის. ეკონომიკის ზრდა მსოფლიოში უმსხვილეს ეკონომიკებში მესამე ადგილზე იყო, ჩინეთისა და ბრაზილიის შემდეგ, და 4,2% შეადგინა.

ამ დროს ეკონომიკის ზრდის საშუალო მაჩვენებელი ევროპაში 3,9%-ს შეადგენდა. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, ევროზონაში ეკონომიკის ზრდის უარყოფითი ტენდენცია მინუს 0,3 პროცენტია

ნავარაუდევი. რუსეთში 4-დან 5 პროცენტამდე ზრდის პროგნოზი იყო.

2012 წლისთვის ოქროსა და ვალუტის რეზერვი კრიზისამდელ მაჩვენებელს დაუბრუნდა (500 მილიარდ დოლარზე მეტი) და მესამე ადგილზე გავიდა ჩინეთისა და იაპონიის შემდეგ. მთავრობას ორი სარეზერვო ფონდი აქვს: ეროვნული კეთილდღეობის ფონდი (80 მილიარდი დოლარი) და სარეზერვო ფონდი (60 მილიარდი დოლარი). სარეზერვო ფონდი ბიუჯეტის დეფიციტის შევსებისთვის შეიქმნა, მაგრამ დეფიციტი არ არის. პირიქით, 2011 წლის ბიუჯეტი მცირე, მაგრამ მაინც პროფიციტით დაიგეგმა და შესრულდა.

თუ ევროზონაში უმუშევრობის მაჩვენებელი საშუალოდ 11,2%-ს შეადგენს, ესპანეთში — 25-26%-ს (ახალგაზრდებში ეს მაჩვენებელი 70%-ია), რუსეთში უმუშევრობის დონე კრიზისამდელ დონეზეა — 5,1%. ამის მიუხედავად, **ვ. პუტინი** აცხადებს: **„ამან არ უნდა მოგვადუნოს. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ მსოფლიო ეკონომიკის მთელ ამ პროცესებში ყველაზე ცბიერი ის არის, რომ მათი განვითარების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია.**

სად გაჩნდება სირთულეები და საფრთხეები, ვერავინ იწინასწარმეტყველებს. ამიტომ ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს, თუ რა ხდება მეზობელ ქვეყნებში, ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში. ჩვენ ვცდილობთ, დავეხმაროთ მათ, რადგან მათი, მაგალითად, ევროზონის ეკონომიკის, ნებისმიერი ჩავარდნა მტკივნეულად აისახება ჩვენს ეკონომიკაზე.

© „ღვასაბაძეს ეგე ესნაოსაგი“

ეს ჩვენი საქონლის გასაღების ძირითადი ბაზარია. თუ ისინი მცირდება, ჩვენთან წარმოების დონე ეცემა. ამიტომ ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ ევროს ზონა შენარჩუნებული იყოს, რომ ჩვენი ძირითადი პარტნიორების ეკონომიკამ ამოისუნთქოს, იმუშაოს, რომ ევროპული ეკონომიკის ლოკომოტივები — გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი — კარგ მდგომარეობაში იყვნენ“.

2012 წლის 21 დეკემბერი. რუსეთ-ევროკავშირის 30-ე სამიტს ჟურნალისტებმა ეფექტური უწოდეს. სამიტზე ვ. პუტინმა თავის გამოსვლაში ისაუბრა რუსეთს, ბელარუსსა და ყაზახეთს შორის ევრაზიულ ეკონომიკურ ინტეგრაციაზე, რომელიც მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობებში. მან ხაზი გაუსვა, რომ ეს ახალი გაერთიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპებზეა შექმნილი. ამ, 170-მილიონიან დიდ ბაზარზე ეს პრინციპები ევროპულ სამეურნეო სუბიექტებს მუშაობას უადვილებს.

რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი 2012 წლის აგვისტოში გახდა. ევროკავშირთან რუსეთის სავაჭრო ბრუნვა 400 მილიარდ დოლარს შეადგენს. თუ ადამიანებს თავისუფლად გადაადგილება და ურთიერთობა არ შეუძლიათ, ეს ეკონომიკაზე აისახება. ვ. პუტინმა სამიტზე განაცხადა: **„გრძელი სია მაქვს იმ ქვეყნებისა, რომლებთანაც ევროკავშირს უვიზო რეჟიმი აქვს. ამ სიაშია ვენესუელა, გვატემალა, ჰონდურასი, მავრიკია, მექსიკა — ვინ აღარ არის; 40 სახელმწი-**

ფო, რომლებიც ათასობით კილომეტრით არის დაშორებული ევროპას. 7 ნოემბერს ევროკომისიამ წინადადება შემოიტანა, ამ სიას კუნძულოვანი სახელმწიფოები დაემატოს. ეს არის კარიბის აუზის 5 სახელმწიფო და წყნარი ოკეანის 10 სახელმწიფო. იმედი მაქვს, ეს საკითხი პოლიტიზაციის გარეშე გადაწყდება“.

ერთობლივ პრესკონფერენციაზე ევროპის საბჭოს თავმჯდომარემ ჰერმან ვან რომპეიმ განაცხადა: **„ევროკავშირის ქვეყნების ექსპორტის 55% რუსეთზე მოდის, რუსეთიდან 35% შემოდის. 2011 წელს ვიზების უზარმაზარი რაოდენობა გაიცა. გვაქვს გარკვეული უთანხმოებებიც, მაგრამ მთავარი ჩვენი საერთო ინტერესებია... ჩვენ ამავე დროს უნდა ვიმუშაოთ სტაბილურ ურთიერთობებზე უკრაინასთან, მოლდოვასა და საქართველოსთან. ჩვენ ვხედავთ, მათ**

შორის საქართველოში ჩატარებული არჩევნების შემდეგ, რომ დადებითი ძვრები შეინიშნება ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების გათვალისწინებით.

დნესტრისპირეთთან დაკავშირებით „5+2“ ფორმატში მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს. ასევე გამოვხატეთ შეშფოთება მთიან ყარაბაღში არსებული ვითარების გამო. ვისაუბრეთ იმაზეც, თუ რა მნიშვნელოვანია რეგიონული კონფლიქტების მოგვარება.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ „დიდ ოცეულს“. მინდა მივულოცო ბატონ ვ. პუტინს, რომ იგი „დიდი ოცეულის“ თავმჯდომარე იქნება. მადლობა მინდა ვუთხრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს მოსაზრებათა ეფექტური და კონსტრუქციული გაცვლისთვის“.

ევროკომიის თავმჯდომარემ ჟოზე მანუელ ბაროზუმ ასევე ძირითადად ეკონომიკაზე ილაპარაკა და იმედი გამოთქვა, რომ ახალი, საბაზისო შეთანხმება რუსეთსა და ევროკავშირს შორის კიდევ უფრო მჭიდროს გახდის პარტნიორობას, რაც შემდგომ ყოვლისმომცველ შეთანხმებამდე მიიყვანს ორივე მხარეს. ეს კი რუსეთისთვისაც სასარგებლო იქნება და ევროკავშირისთვისაც. ხაზგასმით ისაუბრა იმაზე, რომ ევროკავშირი რუსეთთან სავიზო რეჟიმის გამარტივების და საბოლოოდ, გაუქმების მიმართულებით მიდის. **„უვიზო რეჟიმი ჩვენი სტრატეგიული ამოცანაა“,** — განაცხადა ბაროზუმ.

ევროკავშირი რუსეთის ნომერ პირველი პირდაპირი ინვესტორია. სავაჭრო ბრუნვა კიდევ

უფრო უნდა გაიზარდოს, რათა რუსეთისა და ევროკავშირის ეკონომიკური აღორძინება უზრუნველყოს. 2014 წელი მეცნიერებისა და ინოვაციების ევროპულ-რუსული წელი იქნება. აუცილებელია ტექნოლოგიური თანამშრომლობის უზრუნველყოფა ევროკავშირსა და რუსეთს შორის.

ვ. პუტინმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მსოფლიო ეკონომიკაში არასახარბიელო პროცესებისა და ევროზონაში რეცესიის ფონზე რუსეთის ფედერაციისა და ევროკავშირის ურთიერთობა პოზიტიურ ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკის და, შესაბამისად, სოციალური სფეროს მხარდასაჭერად — სამუშაო ადგილების დიდი რაოდენობის შენარჩუნების თვალსაზრისით როგორც რუსეთში, ისე ევროკავშირის ქვეყნებში. ევროკავშირის წილი რუსეთის სავაჭრო ბრუნვაში 48,8%-ს შეადგენს. პუტინის განცხადებით, რუსი ექსპორტიორები მზად არიან ევროპულ ბაზარზე მიწოდების გაზრდისა და დივერსიფიკაციისთვის.

„მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლის გათვალისწინებით, ევროკავშირი მოხსნის შეზღუდვების უმრავლესობას, რომლებიც ჩვენს ექსპორტს ამუხრუჭებს, მათ შორის, დაასრულებს ანტიდემპინგურ პროცედურებს. ევროკავშირი ჩვენი მთავარი საინვესტიციო პარტნიორია. დაგროვილი შემხვედრი კაპიტალდაბანდებების ერთობლივი მოცულობა 325 მილიარდ დოლარს აჭარბებს. ევროპულმა კომპანიებმა რუსულ ბაზარში 250 მილიარდ დოლარზე მეტი ჩადეს, მათგან 100 მილიარდი პირდაპირი

© „ღონისძიების ანარეკლი“

ინვესტიციაა. **რუსეთისა და ევროკავშირის ეკონომიკა სულ უფრო ურთიერთდამოკიდებული ხდება**. დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენი ურთიერთობების ხასიათზე, თანამშრომლობის სამართლებრივ ბაზაზე აისახება...

ყოველწლიურად რუსი ტურისტები ევროკავშირის ქვეყნების მაღაზიებში 18 მილიარდ ევროზე მეტს ტოვებენ. დამეთანხმეთ, ეს სოლიდური ციფრია, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წელს ჩვენი სავაჭრო ბრუნვა 400 მილიარდს შეადგენს, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების მნიშვნელობა უდავოდ დიდია. უვიზო რეჟიმის არარსებობა, რა თქმა უნდა, ეკონომიკური კავშირების შემდგომ განვითარებას ამუხრუჭებს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ჩვენი პარტნიორებისთვის იოლი არ არის. 27 ქვეყანასთანაა შესათანხმებელი. სხვადასხვა მიდგომებია. მოვიცადოთ, ვიდრე ჩვენი ევროპელი პარტნიორები ამისთვის მომწიფდებიან“.

მხოლოდ ამ ერთობლივი პრესკონფერენციის მასალები მეტყველებს, თუ რამდენად პრიორიტეტულია ევროპისთვის „მეგობარი“ საქართველოს ინტერესების დაცვა. ბაროზუმაც და ჰერმან ვან რომპეიმაც ყველა კონფლიქტურ რეგიონში არსებულ ვითარებაზე გამოთქვეს შეშფოთება, ხოლო საქართველოს შესახებ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლნენ. აბა, რას ნიშნავს „დადებითი ძვრები შეინიშნება ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების გათვალისწინებით“? ან სად დაინახეს ეს „დადებითი ძვრები“?

2012 წლის 12 დეკემბერი – 12 წლის შემდეგ

2012 წელს ვლადიმერ პუტინი პრეზიდენტის რანგში რუსეთის პარლამენტის ორივე პალატის წინაშე წარსდგა. რამდენიმე თვით ადრე მან თავის წინასაარჩევნო სტატიებში, ხოლო შემდეგ მაისის ბრძანებულებებშიც დეტალურად აღწერა საკუთარი პოზიცია და გეგმები, უახლოესი და საშუალო ვადიანი პერსპექტივა. ეს ეხებოდა ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, შიდა პოლიტიკას, საერთაშორისო საქმეებსა და უსაფრთხოების საკითხებს. თუმცა ერთია წინასაარჩევნო დაპირება და მეორე, თუ რა სრულდება რეალურად.

არჩევნების შემდეგ პრეზიდენტის პირველ მი-

© „ღონისძიების ეროვნული“

მართვაში ფედერალური კრების წინაშე პუტინმა წარსულიც მიმოიხილა და სამომავლო გეგმებზეც დეტალურად ისაუბრა: „პირველი 12 წლის მანძილზე არც თუ ისე ცოტა გაკეთდა. მნიშვნელობით უდიდესი ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და განმტკიცების ეტაპი განვლილია. ახლა ჩვენი ამოცანაა, შევქმნათ მდიდარი და სვებედნიერი რუსეთი. ამასთან, მინდა, რომ ყველამ კარგად გაიგოს: **უახლოესი წლები იქნება გადამწყვეტი და შესაძლოა, გარდამტეხიც, და არა მხოლოდ ჩვენთვის, პრაქტიკულად მთელი მსოფლიოსთვის, რომელიც კარდინალური ცვლილებების და, შესაძლოა, შოკისმომგვრელი ცვლილებების ეპოქაში შედის**.

გლობალური განვითარება სულ უფრო უთანასწორო ხდება. ახალი ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, ეთნიკური ხასიათის კონფლიქტების ნიადაგი მწიფდება. რესურსებისთვის კონკურენცია უმკაცრესი ხდება, ამასთან, მსურს დაგარწმუნოთ და ხაზი გავუსვა, რომ არა მხოლოდ მეტალების, ნავთობისა და გაზისთვის, არამედ უპირველესად, ადამიანური რესურსებისა და ინტელექტისთვის. ვინ გაიჭრება წინ და ვინ დარჩება აუტსაიდერად და გარდაუვლად დაკარგავს თავის დამოუკიდებლობას, იქნება დამოკიდებული არა მხოლოდ ეკონომიკურ პოტენციალზე, არამედ, უპირველესად, ყოველი ერის სურვილზე, მის შინაგან ენერგიაზე; როგორც ლევ გუმილიოვი ამბობდა, პასიონარიზმისგან, უნარისგან — იმოძრაო წინ, ცვლილებებისკენ“.

ვ. პუტინმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ

რა ახალი გამოწვევები დგას რუსეთის წინაშე სწრაფად ცვალებად სამყაროში; ისაუბრა იმაზე, რომ განვითარებული ქვეყნების და ბევრი განვითარებადი სახელმწიფოს მოსახლეობისთვის მოხმარების, ცხოვრებისეული და კულტურული შესაძლებლობების მუდმივი ზრდა ჩვეული გახდა. მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში ასეთი ზრდის გაგრძელების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ახალ ტექნოლოგიურ რეჟიმზე გადასვლით. ქვეყანა, რომელიც ვერ შეძლებს შესვლას ახალი ნოვატორული ტექნოლოგიების შემქნელთა წრეში, არა უბრალოდ განწირულია დამოკიდებული მდგომარეობისთვის; გლობალური „ღვეზელის" წილი, რომელიც შეხვდება მის წარმოებებს, ამ ქვეყნების მცხოვრებლებს, ბევრად უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ლიდერების წილი.

„შეხედეთ, თუ როგორ ნაწილდება შემოსავალი დღეს იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც აწარმოებენ ინტელექტუალურ პროდუქტს და მათ შორის, ვინც ქმნის საბოლოო პროდუქტს. იქ ასეთი წილია: 15 პროცენტი 75-80 პროცენტზე. **21-ე საუკუნის მსოფლიოში ეკონომიკური, ცივილიზაციური, სამხედრო ძალების განლაგების ფონზე, რუსეთი უნდა იყოს სუვერენული და გავლენიანი ქვეყანა. ჩვენ არა მხოლოდ უნდა ვვითარდებოდეთ, არამედ ჩვენი ნაციონალური და სულიერი იდენტობა შევინარჩუნოთ, არ დავკარგოთ ჩვენი თავი, როგორც ერმა. ვიყოთ და დავრჩეთ რუსეთად".**

© „ღვასტაბაძეების ინსტიტუტი“

მეტად მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა სოციალურ პასუხისმგებლობას, სოლიდარობას და პატრიოტიზმს. მართლაც, შეუძლებელია, ბედნიერი იყო, თუ შენი სახლის ზღურბლს მიღმა გაჭირვება და უბედურებაა: **„იყო პატრიოტი ნიშნავს, არა მხოლოდ პატივისცემითა და სიყვარულით ეპყროობოდე საკუთარ ისტორიას, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ემსახურო საზოგადოებას და ქვეყანას. როგორც სოლჟენიცინი ამბობდა, „პატრიოტიზმი ორგანული, ბუნებრივი გრძნობაა. და როგორც ვერ გადარჩება საზოგადოება, რომელსაც არ აუთვისებია სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ისევე ვერ იარსებებს ქვეყანა, განსაკუთრებით მრავალეროვანი, რომელსაც დაკარგული აქვს სრულიად სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა“. შესანიშნავი სიტყვებია, ზუსტად მიზანშია.**

ქვეყნის მიმართ პასუხისმგებლობა ყალიბდება არა ლოზუნგებითა და მოწოდებებით, არამედ, როდესაც ხალხი ხედავს, რომ ძალაუფლება გამჭვირვალეა, მისაწვდომია და თვითონ „მუშაობს“ ქვეყნისთვის, ქალაქისთვის, რეგიონისთვის, სოფლისთვის და ყოველი მოქალაქისთვის, ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს, ხელისუფლება არ უნდა იყოს იზოლირებული კასტა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქმნება წესრიგისა და თავისუფლების, ზნეობისა და სამოქალაქო სოლიდარობის, სიმართლისა და სამართლიანობის,

ეროვნულისკენ ორიენტირებული ცნობიერების ძლიერი მორალური საფუძველი“.

რუსეთი, რომელმაც მხოლოდ მეოცე საუკუნის განმავლობაში ორი მსოფლიო და სამოქალაქო ომი, რევოლუციები გადაიტანა, ორჯერ განიცადა ერთიანი სახელმწიფოს დაშლის კატასტროფა, ვ. პუტინის აზრით, დღეს საკუთარ სუვერენიტეტზე უნდა დაფიქრდეს: „რას ნიშნავს რუსეთის სუვერენიტეტი 21-ე საუკუნეში? დღეს ჩვენ ხშირად და ბევრს ვლაპარაკობთ ამის შესახებ, უპირველესად — ქვეყნის სამყოფი საკუთარი რესურსები. არა იმისთვის, რომ ყველაფერი ჩვენთან ვაწარმოოთ; დღეს მსოფლიოში უკვე აღარავინ ცხოვრობს ასე, და მე ვფიქრობ, რომ უკვე აღარასოდეს აღარავინ იცხოვრებს. რუსეთმა არა უბრალოდ უნდა შეინარჩუნოს თავისი გეოპოლიტიკური მოთხოვნადობა, — მან იგი უნდა გაზარდოს, იგი უნდა იყოს მოთხოვნადი მეზობლებისა და პარტნიორებისთვის. ხაზი მინდა გავუსვა: ეს მნიშვნელოვანია ჩვენთვისვე. ეს ეხება ჩვენს ეკონომიკას, კულტურას, მეცნიერებას, განათლებას. ეს ეხება ჩვენს დიპლომატიას, განსაკუთრებით, საერთაშორისო არენაზე კოლექტიური მოქმედებების წარმოების უნარს. და, რა თქმა უნდა, არანაკლებად ეს ეხება ჩვენს სამხედრო ძალას, რომელიც რუსეთის უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის გარანტია“.

პუტინმა ილაპარაკა იმაზეც, რომ 21-ე საუკუნეში რუსეთი ნამდვილი დემოგრაფიული და ღირებულებითი კატასტროფის, კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, ხოლო თუ ერს არ შესწევს უნარი, შე-

ინარჩუნოს და აღადგინოს საკუთარი თავი, თუ იგი კარგავს ცხოვრებისეულ ორიენტირებსა და იდეალებს, მას გარე მტერიც არ სჭირდება, ყველაფერი თავისით დაიშლება:

„მრავალჯერ მითქვამს და მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა: იმისთვის, რომ რუსეთი იყოს სუვერენული და ძლიერი, ჩვენ უნდა ვიყოთ მეტნი და უნდა ვიყოთ უკეთესები ზნეობაში, კომპეტენციებში, სამუშაოში, შემოქმედებაში. დღეს რუსეთის ახალგაზრდა, აქტიური, შრომისუნარიანი, 20-დან 40 წლამდე მოსახლეობის წილი ერთ-ერთი უმაღლესია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ უკვე 20 წლის შემდეგ ასეთი ასაკობრივი კატეგორიის რიცხოვნობა, შესაძლოა, შემცირდეს 1,5-ჯერ. თუ არაფერს მოვიმოქმედებთ, ასეთი ტენდენცია შენარჩუნდება“.

© „ღვასრბაზეზეგ ესნაფსაფ“

თუმცა დემოგრაფიული პროგრამები, რომლებიც მიიღეს წინა ათწლეულში, წარმატებით მუშაობს და მოსახლეობის რაოდენობა არა მარტო დასტაბილურდა, არამედ ზრდაც დაიწყო. 2011 წლის იანვარ-სექტემბერში იგი გაიზარდა 200 ათას ადამიანზე მეტით. რუსეთში სიცოცხლის ხანგრძლივობა ბოლო 4 წლის მანძილზე გაიზარდა 2,5 წლით და 70 წელს გადააჭარბა.

გასაკვირი არ არის, რომ პრეზიდენტი, რომელიც მთელი ცხოვრება სპორტს მისდევს და ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობს, ქვეყნის მასშტაბით ამ სტილის დანერგვაზე ზრუნავს. მისი აზრით, უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. ფიზკულტურა და სპორტი უნდა გახდეს მოდური, პრესტიჟული: „ეს ამოცანა არ ამოიხსნება მხოლოდ საერთაშორისო სპორტული ფორუმებისა და თუნდაც სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზკულტურის სასწავლო საათების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე. საჭიროა მუშაობის ახალი ფორმები, ფართო არჩევანი, არა მხოლოდ სპორტული, არამედ გამაჯანსაღებელი დატვირთვები, უპირველეს ყოვლისა, უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის. ზუსტად ამ ასაკში, როგორც ვიცით, ვითარდება ჩვევები და ინტერესები და უნდა ჩამოვაყალიბოთ ისინი“.

დემოგრაფიული ზრდა, ცხადია, თავისთავად არ მომხდარა. ამას ხელი სახელმწიფო პოლიტიკამ შეუწყო, კერძოდ, ე. წ. დედის კაპიტალის დაწესებამ. ვ. პუტინის ინიციატივა იყო მეორე ბავ-

შვის შეძენისას ოჯახური კაპიტალით უზრუნველყოფის პროგრამა. იგი წარმატებულად მუშაობს და, როგორც გათვალისწინებული იყო, 2016 წლის ბოლომდე იმოქმედებს. **ვ. პუტინმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ პროგრამით ნაკისრი ყველა ვალდებულება მთლიანად შესრულდება, ანუ ყოველი მეორე მშობიარობა ან ოჯახი, რომელშიც მეორე ბავშვი დაიბადება, 2016 წლამდე მიიღებს შესაბამის, კანონით გათვალისწინებულ დედობრივ კაპიტალსა და სხვა შეღავათებს.**

ვ. პუტინმა ამასთან დაკავშირებით იხუმრა: „ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მე ახლა მინდა ვუბიძგო ქალებს მეორე ბავშვის გაჩენისკენ. ჩვენმა ქალებმა თავად იციან, როდის და რა უნდა გააკეთონ. მაგრამ ჩვენ ვართ ვალდებულნი, მივაწოდოთ ინფორმაცია მოქალაქეებს, ისევე, როგორც ვალ-

დებული ვართ, ვიფიქროთ იმაზე, თუ რა უნდა ვუყოთ ამ პროგრამას 2016 წლის შემდეგ“.

2013 წლიდან დაიწყო დამატებითი დახმარებების გაცემა ყოველი მესამე და შემდგომი ბავშვის გაჩენისას ქვეყნის იმ რეგიონებში, რომლებშიც დემოგრაფიული სიტუაცია ჯერჯერობით საშუალოზე უარესია. რუსეთის ფედერაციაში ასეთი 50 სუბიექტია.

ვლადიმერ პუტინი აქცენტს მესამე ბავშვის გაჩენაზე, ანუ მოსახლეობის რეალურ ზრდაზე აკეთებს: „დემოგრაფები ამტკიცებენ, რომ არჩევანი მეორე ბავშვის სასარგებლოდ — ეს უკვე პოტენციური არჩევანია მესამეს სასარგებლოდ. მნიშვნელოვანია, რომ ოჯახმა გადადგას ასეთი ნაბიჯი. და, მიუხედავად ზოგიერთი ექსპერტის ეჭვებისა, მე მათ პატივს ვცემ, მაინც **დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთში ნორმა უნდა გახდეს ოჯახი სამი შვილით.** მაგრამ ეს რომ ასე იყოს, ძალიან ბევრია გასაკეთებელი.

უნდა შევქმნათ ხელსაყრელი გარემო, უპირველესად, ქალებისთვის, რათა მათ არ ეშინოდეთ, რომ მეორე და შემდგომი ბავშვის დაბადება გადაუკეტავს მათ გზას კარიერისკენ, კარგი სამსახურისკენ, აიძულებს, შემოიფარგლონ მხოლოდ ოჯახით. ის, რისი კეთებაც ჩვენ დავიწყეთ — საბავშვო ბაღებში რიგების პრობლემის მოგვარება, ბავშვიანი ქალების პროფესიული მომზადების პროგრამა, დასაქმების მოქნილი ფორმების მხარდაჭერა, პირდაპირ იმოქმედებს ოჯახის არჩევანზე მეორე და მესამე ბავშვის სასარგებლოდ“.

როგორც მიხეილ ბულგაკოვი წერდა, მოსკოველები საბინაო საკითხმა გარყვნა. ეს საკითხი საბჭოთა ხელისუფლებამ პრაქტიკულად გადაწყვიტა, მაგრამ მისი დანგრევის შემდეგ უკვე 20 წელი გავიდა და მისი მოგვარება რუსეთისთვის კვლავ აქტუალურია. ვლადიმერ პუტინი მის გადაწყვეტას უახლოეს ათწლეულში გეგმავს. „ამ საკითხს, როგორც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებისთვის, ისე რუსეთის რეგიონების ხელმძღვანელებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვნად ვთვლი. ნაციონალურ პროექტ „საცხოვრებელის“ რეალიზაციის პირველ ეტაპზე შევძელით იპოთეკის განვითარებისთვის პირობების შექმნა. ბოლო ორი წლის მანძილზე იპოთეკური სესხების მოცულობა იზრდება 40-50 პროცენტით წელიწადში. ეს კარგი მაჩვენებელია, მაგრამ პირდაპირ ვთქვათ, და ჩვენ ეს კარგად ვიცით, რომ იპოთეკას ძირითადად საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ხალხი იყენებს. სხვა მოქალაქეებს ჯერჯერობით ამის საშუალება არ აქვთ“.

საცხოვრებელის საკითხის მოგვარება, პრეზიდენტის აზრით, უფრო ფართო მასებისთვის — ახალგაზრდა ოჯახებისთვის, სოციალური სფეროს სპეციალისტებისთვის, ექიმებისთვის, მეცნიერებისთვის, ინჟინრებისთვის უნდა მოხერხდეს. უნდა გაიზარდოს ეკონომკლასის ხელმისაწვდომი საცხოვრებლის რაოდენობა და ასევე, საცხოვრებლის დაქირავების შესაძლებლობა. რუსეთის ზოგიერთ რეგიონში უკვე ხორციელდება საპილოტე პროექტები, რომელთა ბაზაზეც

© „ღასაბაზეგნე ანსაფაფე“

დასაქირავებელი საცხოვრებლის ბაზრის მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმა მუშავდება. ხელისუფლების ამოცანაა, ასეთი საცხოვრებელი ხელმისაწვდომი იყოს მომუშავე ადამიანისთვის.

2013-2014 წლებში მთლიანად შესრულდება სამხედრო მოსამსახურეთა და ვეტერანთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების სახელმწიფო ვალდებულებები. ავარიული საცხოვრებლიდან უახლოეს წლებში ახალ ბინებში უნდა გადავიდეს ყველა მოქალაქე, რომელთაც 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ავარიულობის გამო საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ.

ვლადიმერ პუტინი აცხადებს: „ჩვენ მიზნად დავისახეთ, რომ 2020 წლისთვის შევქმნათ და მოდერნიზაცია გავუკეთოთ 25 მილიონ სამუშაო ადგილს. ეს ძალიან ამბიციური და რთული ამოცანაა, მაგრამ ჩვენ შევძლებთ მის გადაწყვეტას. ჩვენ შევძლებთ დავეხმაროთ ხალხს, იპოვონ კარგი და საინტერესო სამსახური. სწორედ ხარისხიანი სამუშაო ადგილები გახდება ხელფასების ზრდისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის ლოკომოტივი. ჩვენ უნდა ავაღორძინოთ საინჟინრო სკოლები და მუშა კადრების მომზადება. საერთოდ, მშრომელ ადამიანს მეტი ყურადღება სჭირდება“.

თუ ეს ყოველივე, რაზეც ვ. პუტინი საუბრობს, „საბჭოთა კავშირის აღდგენაა“, ალბათ, ყოფილი საბჭოეთის მოქალაქეების უმრავლესობა ამას მიესალმებოდა, თუმცა სოციალური სიკეთეების ადამიანებისთვის დაბრუნება ამ შემთხ-

ვევაში სულაც არ ნიშნავს კომუნისტური იდეოლოგიის აღორძინებას, მაგრამ ეს სააკაშვილმაც იცის, რომელიც სსრკ-ის საფრთხობელით აშინებს დასავლეთს, ხოლო საკუთარ მოსახლეობას სიღატაკისა და ტოტალური დაუცველობის მეტი არაფერი მოუტანა.

ვ. პუტინი საუბრობს კრეატიულ კლასზე, რომელშიც, ტრადიციული გაგებით, ინტელიგენციას გულისხმობს. ეს სიტყვა, რომელიც სალანძღავად აქციეს ახლადმოვლენილმა ლიბერალებმა (არადა, თავად სწორედ ამ ფენიდან დაფრთიანდნენ), გულისხმობს ექიმებს, მასწავლებლებს, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს, მეცნიერების, კულტურის მუშაკებს. ვ. პუტინი ამბობს:

„ასეთი ადამიანები არიან ყველა რეგიონში, ყველა სოფელში, ყველა ქალაქში. ამავე დროს, შემოსავლის დონით ისინი ჯერ ვერ სწვდებიან საშუალო კლასს, იძულებულნი არიან, საკუთარ თავს უარი უთხრან ნორმალურად დასვენებაზე, ცხოვრებისეულ კომფორტსა და პროფესიულ განვითარებაზე, ყოველთვის ეძიონ დამატებითი შემოსავლები.

უამრავი წლის მანძილზე სახელმწიფო ამ სპეციალისტებს ბოლომდე არ უხდიდა, მას არ ჰქონდა საშუალება, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ჩვენ იძულებული ვიყავით, მოგვეგვარებინა სხვა სერიოზული, უმწვავესი პრობლემები, ისეთები, მაგალითად, როგორიცაა პენსიის მომატება, იმიტომ, რომ ხანში შესული ხალხი ბევრად უარეს მდგომარეობაში იყო, ხშირად სიღარიბის ზღვარს მიღმაც. ახლა ჩვენ შეგვიძლია,

© „ეროვნული ინტერესი“

კარდინალურად შევცვალოთ სიტუაცია სოციალურ სფეროში. მაისის განკარგულებებში განსაზღვრულია ამ სფეროს ყოველი კატეგორიის მუშაკის სახელფასო განაკვეთის ზრდის პარამეტრები. ვთხოვ ფედერალური და რეგიონული ორგანოების ხელმძღვანელებს, მობილიზება გაუკეთონ ყველა რესურსს ამ ამოცანის რეალიზაციისთვის და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩვენი წინასაარჩევნო დაპირებაა, თუმცა, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია — **ყველაფერი, რასაც ჩვენ ვპირდებით, უნდა შესრულდეს, მაგრამ მთავარი მარტო ეს არაა. საქმე ისაა, რომ, თუ ჩვენ შევასრულებთ ამ ამოცანას, ამით რამდენიმე საკვანძო პრობლემის მოგვარებას უზრუნველვყოფთ**“.

ვლადიმერ პუტინს კარგად ესმის, რომ ახალი, ძლიერი პროფესიონალი კადრები, პირველ რიგში, მედიცინისა და განათლების ხარისხს საგრძნობლად აამაღლებენ, ხოლო ამ სფეროების მოქმედ მუშაკებს მიეცემათ საშუალება, ყურადღება გაამახვილონ ძირითად სამუშაოზე, აიმაღლონ კვალიფიკაცია, უარი თქვან ზეგანაკვეთურ სამუშაოზე. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კორუფციისა და მოვალეობისადმი გულგრილობის ამოძირკვას.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მეოთხედით გაიზრდება იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთაც გააჩნიათ საშუალო კლასის ეკონომიკური შესაძლებლობები. ყველაზე შესამჩნევი ეს რეგიონებში იქნება. **ვ. პუტინი მხარს უჭერს პროვინციული ინტელიგენციის აღორძი-**

ნებას, რომელიც თავის დროზე რუსეთის პროფესიულ და მორალურ საყრდენს წარმოადგენდა.

„დარწმუნებული ვარ, ხელფასების ზრდა განათლებაში, ჯანდაცვაში, მეცნიერებაში მიიზიდავს უმაღლესი სასწავლებლების ძლიერ კურსდამთავრებულებს. ფაქტობრივად, ჩვენ უკვე ვხედავთ ამ პროცესის დასაწყისს. ასე, ბოლო 3 წლის განმავლობაში სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლები ერთიან სახელმწიფო გამოცდებში ლიდერები გახდნენ საშუალო ქულის მიხედვით; ეკონომისტებსაც გაასწრეს და იურისტებსაც. წელს მოხდა არსებითი გარდატეხა პედაგოგიურ სპეციალობებზე: მნიშვნელოვნად გაიზარდა ნიჭიერი, კარგი მოსწრების მქონე აბიტურიენტების რაოდენობა, რომლებიც პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში მოვიდნენ“.

© „ღონისძიების ისტორია“

ვ. პუტინი ზნეობრივი ორიენტირების საკითხს შეეხო, რომელთა დაკარგვასაც მძიმე 90-იან წლებში ბევრი სიმახინჯე მოჰყვა: „ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში ჩვენ ვხედავთ იმის შედეგს, რაც ხდებოდა სახელმწიფოში, საზოგადოებაში, სკოლაში, მედიაში და ჩვენს თავებშიც ბოლო 15-20 წლის მანძილზე. ეს გასაგებიცაა. მაშინ გადავარდა წინა ეპოქის ყველა იდეოლოგიური შტამპი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი ზნეობრივი ორიენტირი სწორედ მაშინ დაიკარგა. ჩვენ, გარკვეულწილად, ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლეთ. დღეს ეს საზოგადოებრივი საქმისადმი გულგრილობაში, კორუფციასთან შეგუებაში, თავხედურ გაუმაძღრობაში, ექსტრემიზმსა და შეურაცხმყოფელ ქცევაში ვლინდება. და ეს ყველაფერი ზოგჯერ უმსგავს, აგრესიულ, გამომწვევ ფორმებს იძენს, მეტსაც ვიტყვი — გრძელვადიან საფრთხეებს უქმნის საზოგადოებას, უსაფრთხოებას და სრულიად რუსეთსაც.

ჩემთვის მტკივნეულია დღეს ამაზე საუბარი, მაგრამ მოვალე ვარ, ვთქვა. **დღეს რუსული საზოგადოება სულიერი ღერძის აშკარა დეფიციტს განიცდის: ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობის, მხარდაჭერის და ურთიერთდახმარების — იმის დეფიციტს, რაც ყოველთვის, ყველა ისტორიულ ეპოქაში გვაძლიერებდა და რითაც ჩვენ ვამაყობდით**“.

ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ აუცილებელია ისეთი ინსტიტუტების მხარდაჭერა, რომლებიც ტრადიციულ ღირებულებებს ატარებენ, რომლებმაც ისტორი-

ულად დაამტკიცეს თავიანთი უნარი, გადასცენ ეს ღირებულებები თაობიდან თაობას. აქ ვ. პუტინი ზღვარს ავლებს კანონსა და ზნეობას შორის: „კანონს შეუძლია, ზნეობრიობას დაუჭიროს მხარი და ეს უნდა გააკეთოს კიდეც, მაგრამ არ შეიძლება, კანონით დაამყარო ზნეობრიობა. სახელმწიფოს მცდელობები, შეიჭრას ხალხის რწმენასა და ხედვებში, უპირობოდ ტოტალიტარიზმის გამოვლინებაა. ეს ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ჩვენ არ ვაპირებთ ამ გზით სიარულს. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ არა აკრძალვებისა და შეზღუდვების გზით, არამედ საზოგადოების სულიერ-ზნეობრივი საყრდენი უნდა გავამყაროთ. ზუსტად ამიტომ განმსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს ზოგადი განათლების, კულტურის, ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხები“.

უმთავრესი ამოცანა ზნეობრივი, ჰარმონიული ადამიანის, პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის ფორმირებაა. ამ მიზნის მისაღწევად კი სკოლა უნდა გაძლიერდეს, რომელსაც ინტერნეტი და ელექტრონული მედია სერიოზულ კონკურენციას უწევს.

თავად მშობლები და მოსწავლეები ახლა ბევრად უფრო მომთხოვნები არიან და სკოლა არა მხოლოდ უნდა დაეწიოს საკუთარ მოწაფეებსა და საზოგადოების განვითარებას, საინფორმაციო ნაკადებს, არამედ უნდა გაასწროს კიდეც. **ვ. პუტინი მიიჩნევს, რომ სკოლას უპირობო ღირებულება უნდა დავუბრუნოთ. ეს ნიშნავს განათლების შინაარსის განახ-**

© „ეროვნული ენციკლოპედია“

ლებას, თუმცა, როგორც ვ. პუტინი აზუსტებს, „ამასთან ერთად, უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ტრადიციები და უპირატესობები, არ დავივიწყოთ ფუნდამენტური მათემატიკური განათლება, არ დავივიწყოთ რუსული ენის, ისტორიის, ლიტერატურის, საერო ეთიკისა და ტრადიციული რელიგიების უდიდესი მნიშვნელობა. ამ საგნებს განსაკუთრებული როლი აქვთ: ისინი პიროვნებას აყალიბებენ. იმაზე, შეხვდება თუ არა მოსწავლეს ნიჭიერი, თავის საქმით გატაცებული მასწავლებელი, დიდწილად არის დამოკიდებული პიროვნების ჩამოყალიბება, ახალგაზრდა ადამიანის ბედი.

ასეთი კადრები უნდა შევარჩიოთ, გავუფრთხილდეთ და მხარი დავუჭიროთ. სკოლა მხოლოდ ცოდნის მარაგს როდი გადასცემს. მგონი, დამეთანხმებით: ხარისხიანი სწავლა აღზრდის გარეშე შეუძლებელია. მე ვთხოვ მთავრობას, მოამზადოს სკოლაში აღზრდის კომპონენტების სრული განვითარების პროგრამა. უპირველესად, იგი თანამედროვე უნდა იყოს.

უნდა განვავითაროთ ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების სისტემა, გავხსნათ წრეები, სექციები. საზაფხულო სპორტული ბანაკები, სპეციალური შემეცნებითი ტურისტული მარშრუტები ბავშვებისთვის. ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა თუ ოჯახის მატერიალური მდგომარეობისა“.

ყველა ამ საკითხის მოგვარება ვ. პუტინმა დიდ-

წილად რეგიონების კომპეტენციას მიაკუთვნა, თუმცა ცენტრალური ხელისუფლება ამ საკითხებს უნდა აკონტროლებდეს. ამავე დროს, რუსეთი ვერ და არ ჩაიკეტება საკუთარ ნაჭუჭში. რუსეთი ეკუთვნოდა და ეკუთვნის იმ ქვეყნებს, რომლებიც არა მხოლოდ აყალიბებენ საკუთარ კულტურულ დღის წესრიგს, არამედ გავლენა აქვთ მსოფლიო ცივილიზაციაზე. სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია აქტუალური საზოგადოებრივი მიზნების მიღწევისკენ. სახელმწიფოს ვალდებულებაა, ზუსტად იცოდეს და პასუხი გასცეს თანამედროვე საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, მოთხოვნებს, განამტკიცოს რუსეთის ხალხთა ტრადიციები. მოქალაქეები, რომლებმაც თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს შემოქმედებაში, ბიზნესში, სპორტში, ქველმოქმედებაში, ცნობილი უნდა იყვნენ საზოგადოებისთვის და სახელმწიფომ მათ მხარი უნდა დაუჭიროს.

ვ. პუტინი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ რუსეთი არ დაწყებულა არც 1917 წელს და არც 1991 წელს, რომ მას ერთიანი, განუწყვეტელი ათასწლიანი ისტორია აქვს. სწორედ მასზე დაყრდობით მოიპოვებს დღევანდელი რუსეთი შინაგან ძალასა და ეროვნული განვითარების საზრისს. 2012 წელი რუსეთის ისტორიის წლად იყო გამოცხადებული. ყურადღება სამამულო ისტორიის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების მიმართ არ უნდა შესუსტდეს. ამ თვალსაზრისით, ვ. პუტინი იმედებს ახლადშექმნილი რუსეთის ისტორიული საზოგადოების, აგრეთ-

© „ღასაბუნებელ სინასაფრე“

ვე, რუსეთის სამხედრო-ისტორიული საზოგადოების და უკვე რამდენიმე წლის მანძილზე მომუშავე რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების საქმიანობაზე ამყარებს. მას არ ავიწყდება მადლობის თქმა საძიებო რაზმებისთვის, რომლებიც ქვეყნისა და მშობლიური ქალაქებისთვის გმირების სახელს აღადგენენ, პატივით მიაბარებენ მშობლიურ მიწას დიდი სამამულო ომის დროს დაღუპული ჯარისკაცების ნეშტებს, უვლიან სამხედრო მემორიალებს.

„სამაშველო რაზმების მონაწილეებთან შეხვედრისას ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, თუ რამდენად უნდა გავუფრთხილდეთ მამულის ხსოვნას. განა სამართლიანია, რომ ჩვენ დღემდე არ გვაქვს პირველი მსოფლიო ომის გმირების არც ერთი საერთო-ეროვნული ძეგლი? ჩვენმა წინაპრებმა მას დიდი ომი უწოდეს, მაგრამ იგი დაუმსახურებლად დაივიწყეს. პოლიტიკური, იდეოლოგიური მოსაზრებების გამო ამოშალეს ჩვენი ისტორიული მეხსიერებიდან და ისტორიიდან. ამასობაში, შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა ტრადიციებზე, ისტორიასთან ცოცხალ კავშირზე, გმირების სიმამაცის მაგალითებსა და თავგანწირვაზე დგას. მგონია, რომ რუსულ არმიაში უნდა აღორძინდეს ყველაზე განთქმული პოლკების, სამხედრო ნაწილების, წარსული ეპოქებისა და საბჭოთა, უფრო გვიანი ეპოქების სახელები, ისეთი ქვედანაყოფების, როგორიც პრეობრაჟენსკის, სემიონოვსკის პოლკები იყო.

ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ უნიკალურ გამოცდილებას, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა გად-

მოგვცეს. რუსეთი საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა, როგორც მრავალეროვანი სახელმწიფო — ის თავიდანვე ასე იყო — სახელმწიფო — ცივილიზაცია, გაძლიერებული რუსი ერით, რუსული ენითა და რუსული კულტურით, რომლებიც ჩვენთვის მშობლიურია, რომლებიც გვაერთიანებს და არ გვაძლევს უფლებას, დავიკარგოთ ამ მრავალფეროვან მსოფლიოში.

პლანეტისთვის ჩვენ, ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად, ვიყავით და ვრჩებით ერთიან ერად. მახსენდება ერთ-ერთი ჩემი შეხვედრა ვეტერანებთან. იქ იყო სხვადასხვა ეროვნების ხალხი: თათრებიც, უკრაინელებიც, ქართველებიც, რა თქმა უნდა, რუსებიც. ერთმა ვეტერანმა, ეროვნებით არარუსმა თქვა: „მთელი მსოფლიოსთვის ჩვენ ერთი ერი — რუსები ვართ“. ასე იყო ომის დროსაც, ასე იყო ყოველთვის“.

© „ღვასრბაზეგნე ასნაფაფე“

ვ. პუტინმა ისეთ პრობლემებზეც ისაუბრა, როგორიც არის სახელმწიფო ხელისუფლების დაბალი ეფექტურობა და კორუფცია. ხარისხიანი თანამედროვე სახელმწიფო მმართველობის, მაღალი პირადი პასუხისმგებლობის გარეშე, ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრა ვერ მოხერხდება.

სახელმწიფო მმართველობის ახალი მოდელის გასაღები შემდეგი პრინციპებია:

დღევანდელი სიტუაცია, როდესაც რუსეთის ბიუჯეტი, სოციალური სფერო, ფაქტობრივად, სხვა ქვეყნების ფინანსური და ნედლეულის ბაზრების მძევალია, ვ. პუტინს არ აკმაყოფილებს. მას მანამდეც არაერთხელ უსაუბრია, რომ ცალმხრივი ნედლეულის ეკონომიკა არათუ უბრალოდ დაუცველია გარე შოკებისგან, არამედ, რაც მთავარია, იგი არ უზრუნველყოფს განვითარებასა და ადამიანური პოტენციალის მოთხოვნილებას, არ შეუძლია მისცეს ერის დიდ ნაწილს საშუალება, გამოიყენოს თავისი ძალა, ნიჭი, შრომა, განათლება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი უთანასწორობას წარმოშობს.

ეკონომიკის სტრუქტურის რეალური შეცვლა, ახლის შექმნა და ტრადიციულ საწარმოო სფეროებში ლიდეროობის დაბრუნება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება რუსეთის მთავარი ამოცანებია. ზრდის ახალი მოდელი უნდა იყოს ეკონომიკური თავისუფლება, კერძო საკუთრება და კონკურენცია, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა და არა სახელმწიფო კაპიტალიზმი.

ვ. პუტინი: „ჩვენს მწარმოებლებს ხშირად საყვედურებენ, რომ ისინი არაპატრიოტები არიან. რუსული ეკონომიკის ოფშორული ხასიათი სასაუბრო თემა გახდა. ექსპერტები ამ მოვლენას იურისდიქციისგან გაქცევას უწოდებენ. ზოგიერთი შეფასების მიხედვით, მსხვილი რუსული კომპანიების მიერ, მათ შორის სახელმწიფო კომპანიების მონაწილეობის ჩათვლით, 10 არსებული გარიგებიდან 9 არ რეგულირდება სამამულო კანონებით. ჩვენ გვჭირდება ჩვენი ეკონომიკის დეოფშორიზაცია.

უნდა მივაღწიოთ ოფშორების გამჭვირვალობას, საგადასახადო სისტემის გასაჯაროებას, როგორც ამას მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აკეთებს ოფშორულ ზონებთან მოლაპარაკებით და შესაბამისი შეთანხმებების ხელმოწერით. ეს ყველაფერი შესაძლებელია და უნდა გავაკეთოთ. მაგრამ, თუ იურისდიქციის არჩევისას საკითხი წყდება სხვა ქვეყნის კანონმდებლობის სასიკეთოდ, მაშინ, რა თქმა უნდა, უნდა ვაღიაროთ, რომ უნდა გამოვასწოროთ საკუთარი შეცდომები სასამართლო სისტემაში, წესების დამკვიდრებაში, კანონების შეცვლის პრაქტიკაში. მხოლოდ ამის გულწრფელად აღიარების შემდეგ არის შესაძლებელი სიტუაციის კარდინალურად შეცვლა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ უარი ბიზნესის ბრალეულობის პრეზუმპციაზე“.

ვ. პუტინის აზრით, იმისთვის, რომ ბიზნესი პატრიოტული გახდეს, საუკეთესო გზაა საკუთრებისა და გარიგებების შესრულების დაცვის ეფექტური გარანტიე-

© „ღონისძიებები ეროვნულზე“

ბის უზრუნველყოფა. რუსული იურისდიქცია მიმზიდველი უნდა გახდეს.

სახელმწიფომ თავად უნდა აჩვენოს სამამულო იურისდიქციის გამოყენების მაგალითი, რუსული მოედანი არჩიოს სახელმწიფო რესურსების განსალაგებლად პრივატიზაციული გარიგებების დროს. პრივატიზებას, რომლის გატარებასაც ხელისუფლება აპირებს, არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს 90-იანი წლების პრაქტიკასთან, ცნობილ საგირავნო აუქციონებთან. ეს უნდა იყოს პრივატიზება, რომელიც დაეფუძნება სახელმწიფო საკუთრების პატიოსან, ღია გაყიდვას რეალურ ფასად. პრივატიზების ხარისხს არ განსაზღვრავს მხოლოდ ბიუჯეტში სახსრების შემოდინება. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის საზოგადოების ნდობის საკითხი სახელმწიფოს ქმედების მიმართ, ეს უნდა იყოს ნამდვილად ლეგიტიმური, პატივსაცემი მესაკუთრის გამოჩენა.

ბიზნესმა უნდა იმუშაოს საკუთარი წარმატებისთვის, ქვეყნისთვის; უნდა წარმოშობდეს ნიჭიერ, საქმის მცოდნე ორგანიზატორებს, მეცენატებსა და პატრიოტებს, როგორც ეს ადრე იყო რუსეთში. მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი მეწარმეთა ფენის მიერ ფართო საზოგადოებრივი პატივისცემის მოპოვება.

ვ. პუტინმა ბიზნესთანამეგობრობასთან ერთად დაიწყო ეროვნული სამეწარმეო ინიციატივის რეალიზება. ექსპერტების შეფასებით, რუსეთის შესვლა საუკეთესო ბიზნესკლიმატის მქონე სახელმწიფოების რიცხვში საშუალებას მისცემს მას, მშპ-ს დღევანდელ ზრდას დაემა-

ტოს კიდევ არანაკლებ 2,5 პროცენტისა. ამასთან, დამატებითი ზრდა, უპირველესად, იქნება არა ნედლეულის სექტორში, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესში.

რუსეთში უკვე არის ფედერაციის ისეთი სუბიექტები, რომლებიც ნავთობისა და ბუნებრივი აირის გარეშე, ყოველწლიურად უზრუნველყოფს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას 10 პროცენტზე მეტით. ეს, სხვათა შორის, რეალური პასუხია მათთვის, ვინც თვლის, რომ რუსეთის ეკონომიკური ზრდა მხოლოდ ნედლეულით არის განპირობებული.

ვ. პუტინი: „ჩვენ გვჭირდება „იოლი“ და „გრძელი“ ფული ეკონომიკის დაკრედიტებისთვის, შემდგომში — ინფლაციის დაწევა, კონკურენტული საბანკო განაკვეთები. მე ვთხოვ მთავრობას და ცენტრალურ ბანკს, იფიქრონ ასეთი საკითხების გადაწყვეტის მექანიზმებზე. კარგად ვიცი, რომ ზოგიერთი ექსპერტი მიპასუხებს, რომ „გრძელი“ ფული მოქალაქეთა, საწარმოთა დაგროვებებია, საპენსიო თანხებია და ა. შ. დიახ, ეს ყველაფერი ცნობილია. მაგრამ ასევე ცნობილია, რომ შეერთებული შტატების ფედერალურ სარეზერვო სისტემაში, ევროპის ცენტრალურ ბანკში, სხვა ზოგიერთ ცენტრალურ ბანკში პირდაპირ წესდებებში წერია ამ სტრუქტურების მოვალეობა, იფიქრონ სამუშაო ადგილებსა და ეკონომიკის ზრდის ტემპის უზრუნველყოფაზე“.

ვ. პუტინი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ეროვნულმა მარაგებმა ქვეყანაში და ქვეყნის საკეთილდღეოდ უნდა იმუშაოს, თუმცა ჯერ ეროვ-

ნული კეთილდღეობის ფონდის სახსრები განვითარებას პრაქტიკულად არ ხმარდება. იმის შემდეგ, რაც სარეზერვო ფონდი მშპ-ს 7 პროცენტს გადააჭარბებს, შემოსავლების ნახევარი რუსულ ეკონომიკაში, უმთავრესად, ინფრასტრუქტურულ პროექტებში წარიმართება.

2012 წლის შედეგებით, სარეზერვო ფონდი და ეროვნული კეთილდღეობის ფონდი ერთად მშპ-ს დაახლოებით 9 პროცენტს შეადგენს, რასაც ვ. პუტინი „უსაფრთხობის ბალიშს“ უწოდებს. 2013 წლიდან შესაბამისი ეროვნული კეთილდღეობის ფონდის სახსრების ნაწილი დასაწყისისთვის 100 მილიარდ რუბლამდე უკვე რუსულ ფასიან ქაღალდებში ჩაიდება. ისინი ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაციას მოხმარდება. ამგვარად, ასეთი პროექტები საკუთარ ხარჯსაც დაფარავს და მდგრად, გარანტირებულ შემოსავალს მიიღებს ეროვნული კეთილდღეობის ფონდიდან ან ფედერალური ბიუჯეტიდან მუდმივი დაფინანსების მოთხოვნის ნაცვლად.

საგადასახადო სისტემა ასევე შეიცვლება. სტიმული მიეცემა ინვესტიციებსა და განვითარებას, ფისკალური აქცენტის მოხმარებაზე გადატანით, მათ შორის აქციზურ საქონელსა და ძვირფას უძრავ ქონებაზე. პრესტიჟული, დემონსტრაციული მოხმარება დამატებითი გადასახადებით უნდა დაიბეგროს.

რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკის საყრდენი, ვ. პუტინის თვალსაზრისით, უნდა გახდეს ბიზნესის მართვის ყველა ძირითადი ფაქტორის კონკურენტუნარიანობა: ხელმისაწვდომი

კრედიტებიდან და მასტიმულირებელი გადასახადებიდან, მოსახერხებელ ადმინისტრაციულ პროცედურებამდე და დაბალ ინფლაციამდე. ეს პირდაპირი პრაქტიკული გზაა ეკონომიკის განახლებისკენ, ნედლეულისგან დამოუკიდებლობისკენ, რადგანაც ათი ათასობით პროექტი ხდება მომგებიანი: ნედლეულის გადამუშავებაში, მანქანათმშენებლობაში, მსუბუქ და მძიმე მრეწველობაში, მომსახურების სფეროში, მცირე და საშუალო ბიზნესში და, რა თქმა უნდა, აგრარულ სექტორში.

საკვანძო მნიშვნელობას იძენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება. მოთხოვნა სურსათზე სწრაფად იზრდება მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. რუსეთის წილად პლანეტის ნაყოფიერი მიწების ნახევარზე მეტი — 55 პროცენტი მოდის. ვ. პუტინი აცხადებს: „**უახლოეს 4-5 წელიწადში ჩვენ სრულად უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი დამოუკიდებელობა სურსათის ყველა ძირითად ტიპში, ხოლო შემდეგ რუსეთი უნდა გახდეს საკვები პროდუქტების მსოფლიოს უმსხვილესი მიმწოდებელი. ეს გვიხსნის ჩვენ ახალ კოლოსალურ შესაძლებლობებს.** ჩვენ ასევე უნდა მივაქციოთ დიდი ყურადღება ეკოლოგიის, ტერიტორიის ეკოლოგიური გაჯანსაღების საკითხებს. უნდა ითქვას, რომ ზოგ საკითხზე ჩვენ უკვე დავიწყეთ მუშაობა, მაგალითად არქტიკაში.

ჩვენი ორიენტირია განვითარების მაღალი ეკოლოგიური სტანდარტები.

მრწეველობის განახლებისთვის, მეცნიერები-

© „ღუსსაბუნეგი ეუნაფაფი“

სა და ტექნიკის განვითარებისთვის ვაპირებთ, ბოლომდე გამოვიყენოთ უპრეცედენტო სახსრები, რომლებიც გამოყოფილია სახელმწიფო თავდაცვის შეკვეთებზე და თავდაცვითი მრეწველობის კომპლექსის მოდერნიზაციაზე. ამ სახსრებთან წვდომას მომიჯნავე შეკვეთების შესრულებით რუსული ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა მიმართულება მიიღებს“.

რუსეთი აუცილებლად გააძლიერებს საკუთარ პოზიციებს კოსმოსში, ატომურ ენერგეტიკაში, ააღორძინებს ძირითად მიმართულებებს: ავიამშენებლობას, გემთმშენებლობას, ხელსაწყოთმშენებლობას, რა თქმა უნდა, ახალ ბაზაზე, ახალ დონეზე, ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე. რუსეთი უკვე შეუდგა საკუთარი ეროვნული ელექტრონული მრეწველობის შექმნას, მათ შორის, კერძო კაპიტალის აქტიური მონაწილეობით. ვ. პუტინი მიიჩნევს, რომ უნდა მომზადდეს ახალი მიმართულებების განვითარების „საგზაო რუკები“, საინვესტიციო კლიმატის გაუსაუმჯობესებელი „საგზაო რუკების“ ანალოგიურად. ეს არის, მათ შორის, კომპოზიტები და იშვიათი ლითონები, ბიოტექნოლოგიები და გენური ინჟინერია, IT-ტექნოლოგიები, ახალი ქალაქმშენებლობა, ინჟინერინგი და სამრეწველო დიზაინი.

რუსეთში კარგად გააცნობიერეს, რომ ნედლეულის ეკონომიკის პირდაპირი შედეგი ტერიტორიული განვითარების, შრომის ბაზრის, სოციალური სფეროს დისბალანსია. დღეს სამსახურის შოვნა ღირსეული ხელფასით, როგორც წესი, შე-

საძლებელია მხოლოდ დედაქალაქებსა და ნედლეულის მქონე რეგიონებში, ხარისხიანი განათლებისა და სამედიცინო დახმარების მიღება — რამდენიმე მსხვილ ქალაქში. იქ ჩადიან სამუშაოდ, სასწავლებლად, სამკურნალოდ, იქით ისწრაფვის ახალგაზრდობა, სხვა რეგიონები კარგავს აქტიურ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან, იმუშაონ და სარგებელი მოიტანონ.

ამიტომ ვ. პუტინი საუბრობს დეცენტრალიზაციაზე, ეკონომიკური ზრდისა და შრომის ბაზრის ახალ გეოგრაფიაზე, მრეწველობის, მეცნიერებისა და განათლების ახალ მიმართულებებსა და ახალ ცენტრებზე, ახალ, თანამედროვე სოციალურ გარემოზე რუსეთის ყველა რეგიონში, ქალაქში, სოფელში.

დღეს რუსეთის რეგიონების შემოსავლებში სხვაობა ძალიან დიდია. მათგან ათში ქვეყნის შემოსავლების ნახევარი იკრიბება. საჭიროა თანმიმდევრული მოძრაობა, რომ რუსეთის ყველა რეგიონი, გამონაკლისების გარეშე, გახდეს ეკონომიკურად დამოუკიდებელი. ამიტომ უნდა შეიქმნას და გაძლიერდეს ტერიტორიების ეკონომიკური ბაზა. მუნიციპალურ დონეზე მცირე ბიზნესისგან, რომელიც ახლა სპეციალური საგადასახადო რეჟიმების პირობებში მუშაობს, მიღებული გადასახადების ძირითადი ნაწილი ტერიტორიებს გადაეცემა. გარდა ამისა, გაუქმდება ბევრი ფედერალური შეღავათი საკუთრებასა და მიწაზე გადასახადებიდან იურიდიულ პირთათვის. ეს სახსრები ასევე გადავა რეგიონულ და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

© „ღონისძიების ეროვნული“

შეღავათები მოეხსნებათ ინფრასტრუქტურულ კომპანიებს, ინფრასტრუქტურულ მონოპოლიებს. ეს ნიშნავს, რომ მათ მეტი უნდა გადაიხადონ. მაგრამ რაკი ყველა არ არის მზად, ახლავე დაიწყოს სახსრების გადახდა, გათვალისწინებულია რბილი გარდამავალი პერიოდი და კომპენსაციები ამ კომპანიებისთვის. რეგიონებს საკუთარი საგადასახადო ბაზის გასაძლიერებლად უკვე 2014 წლიდან მიეცემათ უფლება, გადავიდნენ უძრავი ქონების დაბეგვრაზე, კადასტრული შეფასების მიხედვით.

რუსეთის მასშტაბების გათვალისწინებით, სერიოზული გამოწვევაა ის, რასაც ვ. პუტინი ქვეყნის დაბალანსებულ სივრცობრივ განვითარებას უწოდებს. იგი აქ განათლების სფეროსაც გულისხმობს: „მართებული იქნებოდა, რომ პრიორიტეტული მხარდაჭერა მიიღონ იმ უმაღლესმა სასწავლებლებმა, რომლებიც მუშაობენ რეგიონებში, თანამშრომლობენ რეგიონების უმსხვილეს საწარმოებთან, მათთან ერთად მუშაობენ მეცნიერულ კვლევებსა და გამოგონებებზე, რომელთა კურსდამთავრებულებიც უკვე სწავლის პერიოდში უკავშირებენ თავის მომავალს იმ ადგილს, სადაც ცხოვრობენ და სწავლობენ.

ზუსტად ასეთ უმაღლეს სასწავლებლებში უნდა გაიხსნას მეტი დამატებითი საბიუჯეტო ადგილები, სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს ასეთი უმაღლესი სასწავლებლების განვითარების პროგრამებს. ამასთან, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ასეთი უნივერსიტეტების მართვაში, მათ დაფინანსებაში მონაწილეობა მიი-

ღოს ბიზნესმაც. ყველაფერი ეს კი ბოლოს მოუღებს პრაქტიკაში დამკვიდრებულ არახელსაყრელ ტრადიციას, როდესაც დიდი რესურსები იხარჯება სტუდენტებზე, რომლებიც არც აპირებენ შესაძენი პროფესიის მიხედვით სამსახურში მოწყობას“.

ფედერალურ კრებამდე ცოტა ხნით ადრე ვლადიმერ პუტინმა სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე დეტალურად ისაუბრა ბაიკალისა და შორეული აღმოსავლეთის რეგიონებში ეკონომიკური ზრდისთვის კონკრეტული ნაბიჯების სტიმულირებაზე. ცხოვრების მიმზიდველი პირობების შექმნისთვის გათვალისწინებულია საგადასახადო არდადეგები ე. წ. სტარტაპებისთვის — ახალი საწარმოებისთვის, ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმები და ა. შ. მან მთავრობას ასევე დაავალა კალინინგრადის ოლქის პერსპექტიული განვითარების გეგმის შემუშავება. მითუმეტეს, რომ განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შესახებ კანონი 2016 წლამდე მოქმედებს.

„ჩვენ გვესაჭიროება ნამდვილი გაჭრა გზების მშენებლობაში“.

განვითარების უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტებად ვ. პუტინმა რეგიონული ავიაცია, საზღვაო პორტები, ჩრდილოეთის საზღვაო გზა, ბაიკალ-ამურის მაგისტრალი, ტრანსსიბი, სხვა ტრანზიტული დერეფნები გამოყო.

ვ. პუტინი: „ახალი ეპოქის მთავარი თვისება არის ის, რომ უკვე მარტო აღარავის შეუძლია გადაწყვიტოს პრობლემები ეკონომიკასა და პოლი-

© „ღონისძიებები ეროვნებებზე“

ტიკაში. სინამდვილეში ასე იყო ყოველთვის, მათ შორის 90-იან წლებშიც. თუმცა ოდესღაც, ცოტა ხნის წინ, 10 წლის წინ, შესაძლოა, ვიღაცას ეგონა, რომ მსოფლიო გახდა ერთპოლუსიანი. ზოგიერთი ჩემი ყოფილი კოლეგა ასე მეუბნებოდა მაშინ. დღეს ასე აღარავის ჰგონია.

ყველასთვის აბსოლუტურად ნათელია, რომ მსოფლიო გამყარდა სწორედ თავის მრავალპოლუსიანობაში. ეს ქმნის როგორც რისკებს, ასევე შესაძლებლობებსაც. რისკები იძენს უპირატესობას იმ შემთხვევაში, თუ ყველა თავის საკუთარ თამაშს ითამაშებს, თუ ილუზორული გაანგარიშებები იმაზე, რომ ქაოსით შეიძლება მართო, არ იქნება უკუგდებული. თქვენ იცით, არსებობს ასეთი თეორიაც. და რისკებს არ ექნება უპირატესობა, თუ ქაოსს შემდეგშიც არავინ დათესავს.

რუსეთი თანამედროვეობის პრობლემების გადაწყვეტაში იცავს შეთანხმებული, კოლექტიური ძალისხმევის პრინციპებს. ასეთი ხაზი სრულებით შეესაბამება დღევანდელ რეალიებს. ჩვენ ვთავაზობთ პროექტებს, რომლებმაც უნდა შეკრას ქვეყნები და რეგიონები. ბოლო 20 წლის გამოცდილება და რეალიები, უბრალო საღი აზრი ყველაფერს თავის ადგილს უჩენს.

ჩვენ წავალთ მჭიდრო ინტეგრაციის გზით. ამის მაგალითია საბაჟო კავშირი, რუსეთის, ყაზახეთისა და ბელარუსის საერთო ეკონომიკური სივრცე. ეს ყველაფერი უკვე მუშაობს, მუშაობს ეფექტურად. ჩვენ შევუდექით ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შექმნას და, რა თქმა უნდა,

გავაგრძელებთ სვლას ამ გზით და გადავჭრით ამ პრობლემას“.

წლების წინ პუტინმა მიზნად დაისახა, 2008 წლის ბოლოსთვის გაეორმაგებინა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი. 2012 წლისთვის იგი 80-85 პროცენტით გაიზარდა. გლობალურმა კრიზისმა მხოლოდ შეანელა ტემპი. 1999 წლიდან დაწყებული, მშპ ერთ სულზე პრაქტიკულად გაორმაგდა. ფედერალური და კონსოლიდირებული ბიუჯეტების ხარჯები გაიზარდა არა რაღაც პროცენტებით, არამედ 2,6-ჯერ. სახელწიფო ვალი მშპ-სთან მიმართებაში პრაქტიკულად ათჯერ შემცირდა, ინფლაცია ექვსჯერ შემცირდა. 1999 წელს იყო 36,5 პროცენტი, 2012 წელს — 6,5.

2000 წლიდან რუსეთის მოსახლეობა ყოველწლიურად მცირდებოდა 1 მილიონი ადამიანით. მხოლოდ 2010 წლიდან დაიწყო მოსახლეობის მატება.

ციფრები, ზოგადად, ერთობ მოსაწყენი რამ არის, მაგრამ ისინი რეალურ სურათს გვიჩვენებს, ტენდენციებს ხდის გასაგებს. ვლადიმერ პუტინი ამასაც განმარტავს: „რისთვის მოვიყვანე ახლა ეს ციფრები? ჩვენს ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბდა ცხოვრებასთან ისეთი დამოკიდებულება, რომ ჩვენ მომავლისთვის, ბავშვებისთვის ვცხოვრობთ. მაგრამ ეს გამოიყურება ისე, რომ საკუთარი დღევანდელი წარმატებული ცხოვრება სულ გადადებულია, გადადებულია და გადადებულია სხვა დროისთვის. და ასე იყო ჩვენთან პრაქტიკულად ყოველთვის, თაობიდან თაობამდე. მაგრამ კიდევ ერ-

© „ღვანლისმცოდნე ეროვნებისა“

თხელ დავუბრუნდები, რისთვის მოვიყვანე მე ეს ციფრები? მოვიდა დრო, კარდინალურად შევცვალოთ სიტუაცია ჩვენთვის სასიკეთოდ. ჩვენ ამას ვაკეთებთ და ჩვენ შევძლებთ ამის გაკეთებას მომავალშიც. თუ გავაგრძელებთ ეროვნული განვითარების თანმიმდევრულ კურსს, ჩავებმებით საერთო შემოქმედებით სამუშაოში, თუ ღირსეულად ვიმუშავებთ სრული ძალით, მაშინ ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ დასახულ მიზნებს და ამოვხსნით ყველა ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანას“.

ჯერჯერობით ვ. პუტინმა ყველა დასახულ მიზანს მიაღწია. ის გეგმები, რომლებზეც იგი ფედერალურ კრებას ესაუბრა, უახლოეს წლებში უნდა შესრულდეს, თუმცა რაც არ უნდა აკეთო, უკმაყოფილონი და, უბრალოდ, ოპონენტები არ დაგელევა.

რას საყვედურობენ ოპონენტები ვლადიმერ პუტინს?

2013 წლის მარტში, პრეზიდენტად არჩევის წლისთავზე, ლევადა-ცენტრის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, **რესპონდენტთა 65%-მა უპასუხა, რომ ვ. პუტინმა გაცილებით მეტი კარგი მოუტანა რუსეთს, ხოლო ნეგატივი მის მუშაობაში გამოკითხულთა 18%-მა დაინახა. მთავარ მიღწევად რუსეთისთვის მსოფლიო ზესახელმწიფოს სტატუსის აღდგენა, ხელფასების, პენსიებისა და სტიპენდიების ზრდა, რეგიონებში სეპარატისტული განწყობილებების დაძლევა დასახელდა.**

© „ღასაბუნებელი ისაბაფლი“

მთავარი მოლოდინი, რომელიც ვ. პუტინს უკავშირდება, შემოსავლების უფრო სამართლიანად განაწილებაა. 43%-ს მიაჩნია, რომ ჯერ ეს ვერ მოხერხდა. განსაკუთრებით ელის ხალხი იმ სახსრების დაბრუნებას, რომლებიც 90-იანი წლების რეფორმებისას დაკარგეს. 47%-ს მიაჩნია, რომ ვ. პუტინი დაპირებებს ასრულებს. ამას კატეგორიულად არ ეთანხმება გამოკითხულთა 8%.

ყველაზე კრიტიკულად განწყობილი ბლოგერებიც ვერ უარყოფენ ვ. პუტინის ზოგიერთ მიღწევას. მაგალითად, პენსიების 46%-ით გაზრდას, სამხედრო პენსიების გაორმაგებას, 2008 წლის კრიზისის გავლენის რუსეთისთვის არიდებას, სამამულო პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობას, მაღალტექნოლოგიური უფასო მედიცინის შენარჩუნებას, ნაწილობრივ ნაციონალიზაციას, საზღვარგარეთ მოქმედი რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის დედაეკლესიის წიაღში დაბრუნებას. **ვ. პუტინმა მთლიანად გაისტუმრა საგარეო ვალები და დღეს რუსეთი მსოფლიოში მესამე ადგილზეა ოქროსა და ვალუტის მარაგით.** 2007 წლის შემდეგ ოქროს მარაგი 400 ტონიდან 1000 ტონამდე, 2,5-ჯერ გაიზარდა. 2000 წლიდან საფონდო ინდექსები 10-ჯერ გაიზარდა. სახელმწიფო ავტომობილებისა და ავტობუსების 360 დასახელებას აწარმოებს, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ პირველად რუსეთი საკუთარ მსხვილდიამეტრიან მილებსა და ფურცლოვან ლითონს აწარმოებს. სათამაშო ბიზნესის 99% ლიკვიდირებულია.

რუსი ბლოგერები ხუმრობენ, რომ პუტინის წყალობით მოსახლეობა დენატურატის მაგივრად „ჰენესის“ სვამს, მანქანის ყიდვა ყველას შეუძლია, ხოლო სუპერმარკეტიდან გამოსული მოქალაქის ურიკა გადავსებულია პროდუქტებით. თუ 1999 წელს საშუალო ხელფასი 1522 რუბლი იყო (62 დოლარი), 2010 წელს მან 22 ათას 600 რუბლი (დაახლოებით 755 დოლარი) შეადგინა, ანუ 14,8-ჯერ გაიზარდა. ცნობისთვის: ევროკავშირის წევრ ბულგარეთში იმავე 2010 წელს საშუალო ხელფასი 400 დოლარს შეადგენდა, ხოლო რუმინეთში — 430 დოლარს. ავტომობილების რაოდენობა რუსეთში 10-ჯერ გაიზარდა, ხოლო მის გაფორმებას ორიოდე საათი სჭირდება.

1999 წელს პენსია 449 რუბლი იყო, რაც 18 დოლარს შეადგენდა. 2011 წლის თებერვალში ასაკის პენსია (რეგიონული შეღავათებისა და დანამატების გარეშე) 8 ათას 850 რუბლი გახდა (300 დოლარზე მეტი), ანუ 20-ჯერ გაიზარდა ელცინის პერიოდთან შედარებით. იმ დროს საქართველოში საშუალო პენსია 52 დოლარს შეადგენდა, როცა ქალების საპენსიო ასაკი 60 წლამდე გაიზარდა, ხოლო მამაკაცებისა — 65 წლამდე; ბულგარეთში 170 დოლარს შეადგენდა, ბელარუსში — 190 დოლარს, ლიტვაში — 300 დოლარს (საპენსიო ასაკი ქალებში 60 წელი, მამაკაცებში — 62,5 წელი), ლატვიაში — 315-ს (შესაბამისად, 61 და 62 წელი), რუსეთში საშუალო საპენსიო ასაკი ქალებისთვის — 52,5 წელი, ხოლო მამაკაცებისთვის 56,5 წელი იყო.

შობადობა 1266,8 ათასიდან 1746,6 ათასამდე

© „ღვასაბაძეების ეროვნული“

გაიზარდა. სიკვდილიანობა 2225,3 ათასიდან შემცირდა 2065,9 ათასამდე. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ მოიმატა სამი წლით.

2000-2010 წლებში მოსახლეობის რეალური შემოსავლები (ანუ 10-წლიანი ინფლაციის გამოკლებით მიღებული შემოსავლები) 2,4-ჯერ გაიზარდა, მათ შორის, ხელფასი 3-ჯერ, პენსია 3,3-ჯერ. ეს რუსეთის სტატისტიკური სამსახურის მონაცემებია, ხოლო სხვა წყაროები მიუთითებენ, რომ მოსახლეობის რეალური შემოსავალი 4-ჯერ გაიზარდა.

2000 წელს უმუშევრობა 12,5% იყო, 2010 წლისთვის იგი 7,2%-მდე შემცირდა. შედარებისთვის: აშშ-ში 2010 წელს უმუშევრობა 9,5% პროცენტი იყო, ლიტვაში — 16%, ლატვიაში —19,1%, ესპანეთში — 20%.

საბინაო ფონდი 1999 წელს რუსეთში 2761 მილიონი კვადრატული მეტრი იყო, ანუ სულზე 19,1 კვ.მ. ათი წლის განმავლობაში იგი 15%-ით გაიზარდა და 3176 მილიონ კვ.მ-ს მიაღწია, ანუ სულზე 22,4 კვ.მ.

ოპონენტები ხშირად მიუთითებენ, რომ ვ. პუტინის მიღწევები მთლიანად ნავთობის ფასების მომატების დამსახურებაა, მაგრამ ისინი დუმან იმაზე, რომ 2000 წელს ნავთობის ერთი ბარელი მხოლოდ 30 დოლარი ღირდა, 2002 წელს ფასი 20 დოლარამდე დაეცა, 2005 წელს ფასმა 40-50 დოლარს მიაღწია. ამდენად, ეს ახსნა არც სწორია და არც სამართლიანი. სხვათა შორის, ამ ფასების პირობებშიც კი, შემოსავლების უდიდესი ნაწილი ხაზინამდე ვერ მიაღწევდა, რადგან 1992

წელს ეგორ გაიდარის მთავრობამ ნავთობპროდუქტების ექსპორტის გადასახადი გააუქმა, 7 წლის შემდეგ ეს გადასახადი პრიმაკოვის მთავრობამ აღადგინა, ოღონდ მეტისმეტად შეღავათიანად — 2,5–დან 5 ევრომდე, თუმცა მხოლოდ ამან სახელმწიფო ხაზინას 14 მილიარდი რუბლი მისცა.

1999 წლის აგვისტოში პრემიერმინისტრმა პუტინმა ეს გადასახადი 7,5 ევრომდე გაზარდა, ხოლო დეკემბერში კიდევ გააორმაგა. გაპრეზიდენტების შემდეგ მან ეს კურსი გააგრძელა და ახლა ნავთობის ექსპორტიორები ბიუჯეტში გაყიდული ნავთობის ფასის ნახევარს იხდიან.

1995 წელს რუსეთში მიიღეს „შეთანხმება პროდუქციის გაყოფის შესახებ“, რომლის შესაბამისად რუსეთის ნავთობისა და გაზის რამდენიმე მსხვილი საბადო საერთაშორისო იურისდიქციაში აღმოჩნდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნავთობდოლარები პირდაპირ დასავლური ბანკების, ნავთობმომპოვებელი კომპანიებისა და რუსი ოლიგარქების ოფშორულ ანგარიშებზე ხვდებოდა. პრაქტიკულად, რუსული ნავთობი რუს ხალხს აღარ ეკუთვნოდა.

2003 წელს ამ შეთანხმებაში შესწორებები შევიდა, ხოლო 2004 წელს თავისი არსით კოლონიალურმა დოკუმენტმა მოქმედება შეწყვიტა. რუსული ნავთობის შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტისკენ მიიმართა. 2000-დან 2004 წლამდე ნავთობის ფასი მხოლოდ 1,5-ჯერ გაიზარდა, როცა ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი — 7,5-

© „ღამისფრთიანი ფანატიკოსები“

ჯერ! ბარელზე 27 დოლარის ზემოთ მიღებული თანხა პირდაპირ სტაბილიზაციის ფონდში მიიმართებოდა.

ვ. პუტინის კურსისადმი კრიტიკულად განწყობილი „პრობლემური ანალიზის ცენტრის“ ექსპერტები მოხსენებაში „ხელისუფლების იდეური ტრანსფორმაცია“ ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ანტიკრიმინალური კონტრრევოლუციისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა:

გამარჯვება მეორე ჩეჩნურ კამპანიაში, იჩქერიული სეპარატიზმის დამარცხება, ტერორიზმთან ბრძოლისთვის მზადყოფნის დემონსტრირება;

არმიამ დაიჯერა, რომ ხელისუფალი არ უღალატებს, როგორც ეს პირველი ჩეჩნური კამპანიის დროს ხდებოდა;

ელცინის ოლიგარქიასთან („ოჯახთან“) ურთიერთობის გაწყვეტის დემონსტრირება. რუსეთის პოლიტიკური კულისების „ბოროტი გენიის“ – ბორის ბერეზოვსკის სისხლისსამართლებრივი დევნა, ბრიტანეთისგან მისი გადაცემის მოთხოვნა;

რუსული ეროვნული სახელმწიფოებრიობის მიმართ მტრული იდეოლოგიის მატარებელი НТВ-ს ხელმძღვანელობის შეცვლა და ვ. გუსინსკის სისხლისსამართლებრივი დევნა;

ოლიგარქიული შეთქმულების დამარცხება, იუკოსის საქმე, მ. ხოდორკოვსკის დაპატიმრება;

2003 წლის სათათბიროს არჩევნების „ყიდვის“ მცდელობის აღკვეთა;

„ოჯახთან“ ურთიერთობის გაწყვეტის მეორე დემონსტრირება — 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მთავრობის თავმჯდომარის პოსტიდან მიხეილ კასიანოვის გათავისუფლება;

ვლადიმერ პუტინის „მიუნხენის სიტყვა“ — ამერიკის მსოფლიო დიქტატის პოლიტიკის დაგმობა, მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ორიენტირის გაცხადება.

ერთხანს ვ. პუტინს დასავლეთიდან და სამამულო ოპოზიციის რიგებიდან გუბერნატორების არჩევითობაზე უარის თქმის გამო აკრიტიკებდნენ, თუმცა სრულიად თვალსაჩინო იყო, რომ ოლიგარქები უბრალოდ ყიდულობდნენ გუბერნატორის სავარძლებს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში სეპარატიზმისკენ მიდრეკილებაც იკვეთებოდა.

საბჭოთა კავშირის ჰიმნის აღდგენამ ალექსანდროვის მუსიკასა და სერგეი მიხალკოვის განახლებულ ტექსტზე ბევრს ტოტალიტარიზმის აჩრდილი გაახსენა, ვ. პუტინმა კი განაცხადა: **„შეიძლება ხალხს რაღაც ეშლებოდეს კიდეც, მაგრამ მე, როგორც პრეზიდენტს, მირჩევნია, ხალხთან ერთად შევცდე“.**

რუსეთის „დემოკრატიზაციის“ ერთ-ერთი მახასიათებელი საბჭოთა წარსულის ერთიანად შავ ფერებში დახატვა იყო, რასაც ვ. პუტინი დაუპირისპირდა მოწოდებით, შეწყდეს რუსეთის ისტორიის გაშავება.

ვ. პუტინს ეკუთვნის დასავლური ეკონომიკის ალტერნატივების შექმნა: შანხაის თანამშრომ-

© „ღვასუბალიჩ ეგე ასანაყაფე“

ლობის ორგანიზაცია რუსეთის, ჩინეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის მონაწილეობით. ნავთობსადენებმა გეზი აღმოსავლეთისკენ აიღეს.

ვ. პუტინის მიერ განხორციელებული საშუალოვადიანი პროექტები: ფედერალური მიზნობრივი პროგრამა „სოფლის სოციალური განვითარება 2010 წლამდე“ (2002 წ.), „რუსეთის ფედერაციის სატრანსპორტო სტრატეგია 2020 წლამდე“ (2005 წ.), „სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა 2008–2012 წლებში“ (2007 წ.), „რუსეთის ფედერაციის დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფცია 2025 წლამდე“ (2007 წ.), „რუსეთის ფედერაციის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია 2020 წლამდე“ (2008 წ.) და სხვ.

მიუნხენის გარდატეხა

მიუნხენის უსაფრთხოების 43-ე საერთაშორისო კონფერენცია „გლობალური კრიზისები — გლობალური პასუხისმგებლობა“. 2007 წლის 10 თებერვალი. კონფერენციას 250 ოფიციალური პირი ესწრება, მათ შორის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა 40 მინისტრი, პოლიტიკოსები, სამხედროები, ბიზნესმენები, ექსპერტები (საქართველოს დელეგაციის წევრებს შორის არიან თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი, პარლამენტარი კოტე გაბაშვილი და სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე).

კონფერენცია გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა გახსნა. მისი თქმით, გლობალური დათბობაა ის ყველაზე დიდი საფრთხე, რომე-

© „ღონისძიების ინსტიტუტი“

ლიც კაცობრიობას ემუქრება. თავის გამოსვლაში მერკელმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა გაერთიანებული ძალებით ცდილობს, ირანს არ მისცეს ატომური იარაღის განვითარების საშუალება. მერკელი, აგრეთვე, შეეხო ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გადაჭრის გზებს, ავღანეთში არსებულ სიტუაციას და რუსეთს, ევროკავშირსა და ნატოს შორის დიალოგის პროცესს. მერკელი თვლის, რომ ენერგეტიკის მიწოდების სფეროში რუსეთი ევროპისთვის საიმედო პარტნიორია.

ვ. პუტინი ერთ დათქმას აკეთებს, რომ კონფერენციის ფორმატი მას არ აიძულებს, დაიცვას „მეტისმეტი პოლიტესი“ და ილაპარაკოს დიპლომატიური, არაფრისმთქმელი ფრაზებით. „თუ ჩემი ზოგიერთი მოსაზრება კოლეგებს პოლემიკურად მწვავე ან არაზუსტი მოეჩვენება, ნუ გაბრაზდებიან. ეს ხომ მხოლოდ კონფერენციაა“!

ამ დათქმით ვ. პუტინმა დამსწრეებს შეახსენა, რომ კონფერენციაზე ნათქვამი და ოფიციალური განცხადება სრულიად განსხვავებული რამ არის, თუმცა დამსწრეთაგან არავის ჰქონია ილუზია, რომ „კონფერენციის ფორმატის“ გამო ვლადიმერ პუტინის გამოსვლა ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნებოდა.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა საუბარი იმით დაიწყო, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემატიკა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობის საკითხთა წრე. ეს არის მსოფლიო ეკო-

ნომიკის მდგრადობა, სიღატაკის დაძლევა, ეკონომიკური უსაფრთხოება და ცივილიზაციათა შორის დიალოგი.

უკანასკნელი ოცწლეულის მემკვიდრეობაზე საუბრისას ვ. პუტინმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირება უკანა პლანზე სწევდა უმწვავეს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს. თუმცა „ცივი ომის“ შემდეგ შემოთავაზებული ერთპოლუსიანი სამყარო ვერ შედგა.

„რა არის ერთპოლუსიანი სამყარო? როგორც არ უნდა შეალამაზონ ეს ტერმინი, საბოლოო ჯამში პრაქტიკულად იგი ნიშნავს მხოლოდ ერთს: ეს არის ძალაუფლების ერთი ცენტრი, ძალის ერთი ცენტრი, გადაწყვეტილებათა მიღების ერთი ცენტრი. ეს არის ერთი პატრონის, ერთი სუვერენის მსოფლიო. და ეს საბოლოო ჯამში დამღუპველია არა მარტო მათთვის, ვინც ამ სისტემის ჩარჩოებში ზის, არამედ თავად სუვერენისთვის, რადგან შიგნიდან ანგრევს მას. ამას, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან. რადგან დემოკრატია, როგორც ცნობილია, უმრავლესობის ძალაუფლებაა უმცირესობის ინტერესებისა და აზრის გათვალისწინებით. სხვათა შორის, ჩვენ, რუსეთს, ხშირად გვასწავლიან დემოკრატიას, მაგრამ ვინც გვასწავლის, თვითონ სწავლა რატომღაც არ უნდათ.

ცალკეული ნორმები, რეალურად, ერთი ქვეყნის თითქმის მთელი იურიდიული სისტემა (უწინარესად, ეს, რასაკვირველია, შეერთებულ შტა-

© „ეროვნული საფრთხე“

ტებს ეხება) ეროვნულ საზღვრებს გასცდა და, ფაქტობრივად, ყველა სფეროში — იქნება ეს ეკონომიკა, პოლიტიკა თუ ჰუმანიტარული სფერო — მათ სხვა სახელმწიფოებს ახვევს თავს. აბა, ვის შეიძლება ეს მოეწონოს?“

ვ. პუტინის აზრით, არსებობს მცდელობა, ჩამოყალიბდეს შეერთებული შტატების მეთაურობით მოქმედი უნიპოლარული მსოფლიო, რაც მიუღებელი და სახიფათოა:

„ყველაფერი, რაც კი დღეს მსოფლიოში ხდება, სწორედ უნიპოლარული სამყაროს ცნების დანერგვის მცდელობის რეზულტატია. რა მოაქვს ამას შედეგად? ცალმხრივი, ხშირად არალეგიტიმური ნაბიჯებით არც ერთი პრობლემა არ გადაჭრილა. მეტიც — ამ ნაბიჯებით ახალი ადამიანური ტრაგედიები და დაძაბულობის ახალი კერები წარმოიშვა. თავად განსაჯეთ — ომების, ლოკალური თუ რეგიონული კონფლიქტების რიცხვი არ შემცირებულა. და ამ კონფლიქტებს ნაკლები მსხვერპლი არ მოაქვთ; პირიქით, ადამიანური მსხვერპლის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა“.

ვ. პუტინის თქმით, სამხედრო ძალის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაშია მიზანშეწონილი და ისიც მხოლოდ გაეროს სანქციით. რუსეთის პრეზიდენტმა მწვავედ გააკრიტიკა შეერთებული შტატების გეგმა ცენტრალურ ევროპაში თავდაცვითი სარაკეტო სისტემის აგების თაობაზე და განაცხადა, რომ ეს გამალებული შეიარაღების ტალღას გამოიწვევს:

„ამასთან, არ შეიძლება არ შეგვაშფოთოს ევ-

როპაში სარაკეტო თავდაცვითი სისტემის ელემენტების დანერგვის გეგმამ. ვის სჭირდება გამალებული შეიარაღების ახალი ტალღის დაწყება, რაც, ამ შემთხვევაში, გარდაუვალი იქნება? არ მგონია, რომ ეს თავად ევროპელებს სჭირდებოდეთ. ის რაკეტები, რომლებიც ევროპას რეალურად ემუქრება და რომლებიც ხუთიდან რვა ათას კილომეტრამდე რადიუსში მოქმედებს, არც ერთ ე. წ. პრობლემურ ქვეყანას არ აქვს და არც სამომავლო პერსპექტივაში ექნება. ჰიპოთეტურადაც რომ ვიმსჯელოთ, ჩრდილოეთ კორეული რაკეტის შეერთებული შტატებისკენ დასავლეთ ევროპის გავლით გაშვება აშკარად ეწინააღმდეგება ბალისტიკის კანონებს“.

რუსეთის პრეზიდენტმა ნატოს გაფართოების წინააღმდეგაც მწვავედ გაილაშქრა.

ვ. პუტინის განცხადებით, საერთაშორისო თანამეგობრობამ კოსოვოს საკითხის გადაწყვეტის შესახებ საკუთარი ნება მსოფლიოს თავს არ უნდა მოახვიოს. მისი თქმით, რუსეთი წინააღმდეგი იქნება ნებისმიერი საერთაშორისო გეგმის, თუკი ის რომელიმე მხარისთვის — სერბებისთვის ან კოსოვოელი ალბანელებისთვის — მიუღებელი აღმოჩნდება.

მიუნხენის კონფერენციის მონაწილეებს შორის იყო შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი — რობერტ გეიტსი. ვ. პუტინის სიტყვას მან „საინტერესო და ძალიან პირდაპირი“ უწოდა. გავლენიანმა ამერიკელმა სენატორმა, ჯონ მაკკეინმა, განაცხადა, რომ რუსეთი, შესაძლოა, გარდა-

© „ღონისძიების ანსამბლი“

სულ დროს უბრუნდებოდეს. მაკკეინის თქმით, მოსკოვმა უნდა გააცნობიეროს, რომ დასავლეთთან რეალურ პარტნიორულ ურთიერთობას ვერ დაამყარებს მანამ, ვიდრე საშინაო და საგარეო სივრცეში მის მიერ გადადგმული ნაბიჯები ევროატლანტიკური დემოკრატიების მთავარ ფასეულობებს ეწინააღმდეგება. კიდევ ერთი ამერიკელი სენატორის — ჯოზეფ ლიბერმანის აზრით, რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლა „პროვოკაციულ“ ელფერს ატარებდა და „ცივი ომისთვის დამახასიათებელ რიტორიკას“ ჩამოჰგავდა.

ვ. პუტინის განცხადებებს თეთრი სახლიც გამოეხმაურა. ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის წარმომადგენელმა, გორდონ ჯონდროემ, ვ. პუტინის ბრალდებებს „მცდარი“ უწოდა. ჯონდროეს თქმით, ვაშინგტონი პუტინის განცხადებების გამო „გაკვირვებული და იმედგაცრუებულია“, თუმცა ჯონდროემ დასძინა, რომ, ამის მიუხედავად, შეერთებული შტატები აპირებს, გააგრძელოს მოსკოვთან თანამშრომლობა ატომური იარაღის გავრცელებასთან და ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში.

საკუთრივ ვ. პუტინის წარმომადგენელმა კი სიტყვის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ პრეზიდენტს შეერთებული შტატების პროვოცირება არ უცდია, „ეს კონფრონტაცია კი არა, განსჯის პროცესში მიპატიჟება იყოო.

მიუნხენში უშიშროებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას რუსეთის პრეზიდენტმა, **ვლადიმერ პუტინმა, ამერიკას სხვა ქვეყნებისთვის საკუთარი ეკონომიკური,**

პოლიტიკური და განათლების სისტემის თავს მოხვევაში დასდო ბრალი. „და ეს, რა თქმა უნდა, ძალზე სახიფათო ტენდენციაა. ამას იმ სიტუაციამდე მივყავართ, როდესაც თავს უხიფათოდ აღარავინ თვლის. მე მინდა, განსაკუთრებულად აღვნიშნო, რომ თავს უხიფათოდ აღარავინ გრძნობს. იმიტომ, რომ არავის ძალუძს საერთაშორისო კანონმდებლობით თავის დაცვა. ბუნებრივია, რომ ასეთი პოლიტიკა სამხედრო დაპირისპირებას უწყობს ხელს. ბევრ ქვეყანას ბირთვული იარაღის მოპოვების სურვილი უჩნდება“, — განაცხადა ვ. პუტინმა.

პრეზიდენტმა ბუშმა კი აღნიშნა, რომ ვ. პუტინი ისეთივე ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანად რჩება, როგორიც ის 2001 წელს იყო, ანუ მაშინ, როდესაც ბუშმა პუტინის თვალებში მისი სული დაინახა.

© „ღვასაბაძეს ეშანაფაფი“

„ჩვენი პრეზიდენტობის განმავლობაში მე და პუტინი ბევრ საკითხში ვთანხმდებოდით, ბევრში — ვერა. ჩვენ ვერ ვთანხმდებით ნატოს ირგვლივ არსებულ საკითხებში. მე ვეცადე, რომ ვლადიმერი ნატოს პოზიტიურ როლში და მის მოსაზღვრე ქვეყნებში დემოკრატიული მმართველობების არსებობის სიკეთეში დამერწმუნებინა. მე ვეცადე, რომ ამეხსნა მისთვის ის ჭეშმარიტება, რომ დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთს თითქმის არასდროს ეომებიან“, — თქვა ბატონმა ბუშმა.

საკუთარი გამოსვლის შემდეგ პრეზიდენტმა ვ. პუტინმა ბატონ ბუშს წესიერი ადამიანი უწოდა და გამოთქვა იმედი, რომ ამერიკა და რუსეთი არასდროს აღარ იქნებიან მოწინააღმდეგები. მიუხედავად ამისა, **კრემლს მიაჩნია, რომ ნატო სერიოზულ პროგლემას წარმოადგენს და, ცივი ომის დროინდელი ბერლინის კედლის მსგავსად, ევროპის გახლეჩას უწყობს ხელს**. თუმცა ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი, რომლის ქვეყანაც ნატოს ალიანსს სულ ცოტა ხნის წინ შეუერთდა, ვ. პუტინის გამოსვლას კატეგორიულად არ დაეთანხმა: „არა მგონია, რომ ამ გამოსვლამ თავისუფალი ხალხი თავის იდეალებს დააშოროს. ეს ის მიმართულებაა, რომლისკენაც ჩვენ, ყველანი ერთად, შეთანხმებულად მივემართებით. ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენ საბოლოოდ სასურველ შედეგს მივაღწევთ. ეს ის იდეალებია, რომლებიც ამერიკელ ხალხს საუკუნეების განმავლობაში ესიზმრებოდა“, — თქვა ბატონმა ადამკუსმა.

პრეზიდენტმა ბუშმა აღნიშნა, რომ რუსეთსა და შეერთებულ შტატებს საკუთარი ხალხისა და მსოფლიოს უშიშროების დაცვის სურვილი აერთიანებთ. მაგრამ ორგანიზაცია „ჰერიტაჯ ფაუნდეიშენის“ რუსეთის საკითხთა ექსპერტის, არიელ კოენის თქმით, ვ. პუტინი, გლობალური უშიშროებისთვის ძირის გამოთხრის მიზნით, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ანტიამერიკული განწყობის არსებობაზე თამაშობს: „რა თქმა უნდა, ეს პუტინს ხელს უწყობს ახლო აღმოსავლეთის რეჟიმებისთვის ბირთვული რეაქტორებისა და იარაღის მიყიდვაში. რუსეთმა არაბულ სამყაროს მილიარდობით დოლარის ღირებულების იარაღი მიაწოდა“, — ამბობს ბატონი კოენი.

ვ. პუტინმა ეუთოს, აგრეთვე, ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საშინაო საქმეებში ცხვირის ჩაყოფაში დასდო ბრალი. მაგრამ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი პრეზიდენტი, ამერიკელი კონგრესმენი ელსი ჰასტინგსი ამბობს, რომ ორგანიზაციის შეთანხმება ასეთი მონიტორინგის უფლებას იძლევა: „აი, წაგიკითხავთ: წევრი ქვეყნები, რუსეთისა და შეერთებული შტატების ჩათვლით, კატეგორიულად და უპირობოდ თანხმდებიან და აცხადებენ, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები ორგანიზაციის ყველა წევრის პასუხისმგებლობას, აქ მე მინდა ხაზი გავუსვა, და არა მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის საშინაო საქმეს წარმოადგენს“.

შეერთებული შტატების ყოფილმა წარმომადგენელმა გაეროში — ჯონ ბოლტონმა განაცხადა, რომ მას პუტინის ნათქვამის აზრი არ ესმის.

© „ღვასტამხლეფლი ესპანეთსაფლი“

„ეს გამოსვლა რეალობას არ ასახავს. არ ასახავს ორ ქვეყანას შორის ბევრ საკითხში არსებულ თანამშრომლობას. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული, არამედ ირანისა და ჩრდილოეთ კორეის მსგავსი რეჟიმებისგან დაცვას წარმოადგენს“, — თქვა ბატონმა ბოლტონმა.

როგორც ბოლტონი ამატებს, მიუნხენში ვ. პუტინის გამოსვლა ნათლად ამჟღავნებს იმას, რომ შეერთებულ შტატებს რუსეთთან დაკავშირებით მეტი დიპლომატიური მუშაობა მართებს. ბოლტონმა, აგრეთვე, იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის პრეზიდენტის სიტყვა ამერიკის ქმედებით მისი გულის გატეხვის და არა რუსეთის პოლიტიკის ცვალებადობის გამოხმაურებაა.

მიუნხენის კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინის გამოსვლაზე გამოთქმული ეს კომენტარები ნათლად ადასტურებს, რომ რუსეთის პრეზიდენტის კრიტიკაზე არგუმენტირებული პასუხების ნაცვლად, დასავლური პოლიტიკური ელიტა თავს იკატუნებს და იმავეს იმეორებს, რასაც წლების განმავლობაში ამბობდა. თუმცა მათ ძალიან კარგად ესმით, რომ ეს იმ რუსეთის პრეზიდენტი აღარაა, რომელსაც, როცა უნდოდათ, ტუქსავდნენ, ხოლო, თუ რაიმეზე დაყოლიება სჭირდებოდათ, დემოკრატიას შეუქებდნენ!

ცხადია, ასე პირდაპირ ნათქვამი სიმართლის შემდეგ დასავლეთიდან ვლადიმერ პუტინისადმი კრიტიკული შეფასებები გახშირდა, პიკს კი

2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მიაღწია. არჩევნებამდე შედგა ლარი კინგის ინტერვიუ ვლადიმერ პუტინთან.

ლ. კ.: — რას იტყვით შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრ რობერტ გეიტსის განცხადებაზე, რომ რუსული დემოკრატია გაქრა და მთავრობა უშიშროების სამსახურების მიერ იმართება?

ვ. პუტინი: — ვიცნობ ბატონ გეიტსს, რამდენიმეჯერ შევხვედრივარ. ვფიქრობ, სასიამოვნო ადამიანი და კარგი სპეციალისტია. თუმცა, როგორც ცნობილია, იგი შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, დღეს კი თავდაცვის მინისტრია. თუ იგი საუკეთესო ექსპერტია დემოკრატიის დარგში ამერიკაში, მოსალოცად გქონიათ საქმე.

ლ. კ.: — ესე იგი მართალია, რომ თქვენს ქვეყანას უშიშროების საიდუმლო სამსახურები მართავენ?

ვ. პუტინი: — იგი ღრმად ცდება. ჩვენი ქვეყანა ხალხის მიერ იმართება კანონიერად არჩეული ხელისუფლების ორგანოების — წარმომადგენლობითი პარლამენტისა და აღმასრულებელი პრეზიდენტისა და მთავრობის მეშვეობით. რაც შეეხება დემოკრატიას, ჩვენ დიდი ხნის კამათი გვაქვს ჩვენს ამერიკელ კოლეგებთან. მინდა შეგახსენოთ, რომ ამერიკის ისტორიაში ორჯერ პრეზიდენტი გახდა ის კანდიდატი, რომლისთვისაც ამომრჩეველთა უმრავლესობას ხმა არ მიუცია. და სად არის აქ დემოკრატია?

© „ღვასუბუნეგი ეროსაფლი“

როცა ჩვენს ამერიკელ კოლეგებს ვეუბნებით, რომ ამ სფეროში სისტემური პრობლემებია, ისინი გვპასუხობენ: „ჩვენს საქმეში ნუ ერევით. ჩვენთან ასეთი ტრადიციაა და ასე იქნება“. ჩვენ არ ვერევით, მაგრამ ჩვენს კოლეგებს მინდა ვურჩიო: თქვენც ნუ ჩაერევით ჩვენს საქმეში. ეს რუსი ხალხის სუვერენული არჩევანია. ჩვენმა ხალხმა 90-იანი წლების დასაწყისში ცალსახა არჩევანი გააკეთა დემოკრატიის სასარგებლოდ და ამ გზიდან არ გადაუხვევს. ამაში ეჭვი არავის უნდა შეეპაროს. ამით თავად რუსეთია დაინტერესებული. და ჩვენ უპირობოდ ამ გზით წავალთ.

საკითხი, რომელიც ბატონმა გეიტსმა დიპლომატიურ მიმოწერაში წამოაყენა, უკავშირდება აშკარა სწრაფვას, ზეწოლა მოახდინოს საკუთარ მოკავშირეებზე კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაში. საჭიროა რუსეთზე ზეწოლა, რადგან ის არადემოკრატიულია, ესა და ეს უნდა გაკეთდეს, რადგან იქ დემოკრატია არ არის. ეს უკვე ათასჯერ გვაქვს მოსმენილი და ყურადღებას აღარ ვაქცევთ. ეს დღემდე გამოიყენება შეერთებული შტატების მიერ, როგორც ინსტრუმენტი საგარეო პოლიტიკაში. მე მგონი, ეს მცდარი მიდგომაა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მშენებლობაში.

ლ. კ.: — როგორ დაახასიათებდით თქვენი და პრეზიდენტ მედვედევის ურთიერთობას? ზოგიერთი ამბობს, რომ იგი რობინია, თქვენ კი – ბეტმენი, თუ ამერიკული ფილმის გმირების ანალოგიას მივყვებით.

ვ. პუტინი: — იცით, როცა მე და მედვედევი

ჩვენს ურთიერთობას ვაგებდით, ვწყვეტდით, როგორ წარგვემართა საარჩევნო კამპანია, საპრეზიდენტო კამპანია 2008 წელს; მშვენივრად გვესმოდა, რომ ძალიან ბევრი ეცდებოდა, განხეთქილება შეეტანა რუსული სახელმწიფოს მშენებლობისა და ეკონომიკის განვითარების მიმართ ჩვენს საერთო მიდგომებში, რადგან ჩვენი ურთიერთქმედება მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში, თუმცა, გულახდილად გეტყვით, ვერ წარმოგვედგინა, რომ ეს ასეთი თავხედობით, მიწოლითა და უბოდიშოდ გაკეთდებოდა.

ამგვარი განცხადებები მიზნად ისახავს, შეურაცხყოფა მიაყენოს ერთ-ერთ ჩვენგანს, შეეხოს ჩვენს ღირსებას, გვაიძულოს, გადავდგათ ისეთი ნაბიჯები, რომლებიც დაანგრევდა ქვეყნის მართვაში ჩვენს პროდუქტიულ ურთიერთქმედებას. უნდა გითხრათ, რომ ამას მივეჩვიეთ და მათ, ვისაც ასეთი მცდელობები აქვთ, ვურჩევ, დამშვიდდეს.

ლ. კ.: — მედვედევმა განაცხადა, რომ შეიარაღების ახალი რბოლა დაიწყება, თუ რუსეთი და ნატო ვერ მოახერხებენ პოზიციის შეთანხმებას რაკეტსაწინააღმდეგო ფართან დაკავშირებით. განახლდება შეიარაღების რბოლა, თუ შეერთებული შტატები არ მოახდენენ ამ ხელშეკრულების რატიფიკაციას?

ვ. პუტინი: — არა, ფედერალური კრების წინაშე გამოსვლისას მედვედევმა მხოლოდ თქვა, რომ ჩვენი წინადადებაა, უსაფრთხოების პრობლემაზე ერთობლივი მუშაობისას გავინაწილოთ

© „ღონისძიების ინსაიტი“

პასუხისმგებლობა და პრობლემა ერთობლივი ძალისხმევით გადავწყვიტოთ. თუმცა, თუ ჩვენს წინადადებებზე მხოლოდ უარყოფით პასუხებს მივიღებთ და მეტიც, ჩვენს საზღვრებთან გაჩნდება ახალი დამატებითი საფრთხე მესამე პოზიციური რაიონის ახალი ვარიანტის სახით, მაშინ რუსეთი ვალდებული იქნება, უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება სხვადასხვა საშუალებით: დააყენოს ახალი დამრტყმელი კომპლექსები ამ საფრთხეების წინააღმდეგ, შექმნას რაკეტულ-ბირთვული ტექნიკის ახალი საშუალებები. ეს არ არის ჩვენი არჩევანი. ჩვენ ეს არ გვინდა. და ეს არავითარი მუქარა არ არის, ჩვენ უბრალოდ ვამბობთ, რა გველის, თუ ერთობლივ მუშაობაზე ვერ მოვილაპარაკებთ.

ლ. კ.: — თქვენ ამბობთ, რომ ეს მუქარა არ არის, მაგრამ ისე ჟღერს, როგორც მუქარა. Wall Street Journal-ს მიაჩნია, რომ თქვენ გადმოწევთ ტაქტიკურ „ბოეგოლოვკებს“ ნატოს მოკავშირეების ტერიტორიებისკენ, როგორც ამას წინათ, გაზაფხულზე. ეს მართალია?

ვ. პუტინი: — ჩვენ კი არ გადმოგვაქვს რაკეტები თქვენი ტერიტორიებისკენ, არამედ თქვენ გეგმავთ, დააყენოთ რაკეტები ჩვენს საზღვრებთან. თქვენ გვეუბნებით, რომ ამას საკუთარი უსაფრთხოებისთვის აკეთებთ, დავუშვათ, ირანის ბირთვული საფრთხის გამო, მაგრამ ასეთი საფრთხე ჯერჯერობით არ არსებობს, ხოლო, თუ რადარებისა და ანტისარაკეტო სისტემა ჩვენს საზღვრებთან განლაგდება, თუნდაც 2015 წელს, ისინი შეიძლება გამოყენებული იქნას ჩვე-

ნი ბირთვული პოტენციალის წინააღმდეგ. ეს გვაღელვებს. და ჩვენ ვალდებული ვართ, რაღაც საპასუხო ზომები მივიღოთ.

პრეზიდენტმა მედვედევმა ლისაბონშიც გააკეთა კონკრეტული შეთავაზებები, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ნაწილობრივ ნატოს აეღო, ხოლო ნაწილობრივ – რუსეთს. ამასთან, ჩვენ შევძლებდით ნატოსთან, ანუ ჩათვალეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებას ინფორმაციის გაცვლაზე, ამ სისტემების ერთობლივ მართვაზე. სამხედრო სპეციალისტებს ყველაფერზე შეუძლიათ შეთანხმება, თუ კეთილი ნება იქნება. მაგრამ, თუ ისევ ჯიუტად გაგვიმეორებენ „ჩვენ არ გვინდა თქვენი ინტერესების გათვალისწინება, ისე მოვიქცევით, როგორც გვინდა“, ჩვენ ამას განვიხილავთ, როგორც საფრთხეს, და იძულებული ვიქნებით, რეაგირება მოვახდინოთ“.

ლარი კინგის კითხვაზე რუსი ჯაშუშების ამერიკიდან გაძევების თაობაზე ვ. პუტინმა უპასუხა: „ჩვენი სპეცსამსახურების მეთოდები ბევრად უკეთესია, ვიდრე შეერთებული შტატების სპეცსამსახურების. მადლობა ღმერთს, არც ეს ადამიანები და არც ჩვენი დაზვერვის ან სხვა სპეციალური სამსახურების თანამშრომლები არ არიან შემჩნეული საიდუმლო ციხეების, ადამიანების გატაცების და მათ მიმართ წამების გამოყენების ორგანიზებაში“.

დღეს უკვე აღარავისთვისაა დაფარული, რომ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების

შესახებ პოლიტიკოსებს კითხვებს „დემოკრატიის“ ტესტისთვის უსვამენ. ლარი კინგის კითხვაც ამ მიზანს ემსახურებოდა. ვ. პუტინმა გეებსა და ლესბოსელებზე დასმულ კითხვას ასე უპასუხა: „ჩვენთან, რუსეთში, როგორც მთლიანად ევროპაში, საკმაოდ მწვავედ დგას დემოგრაფიული საკითხი. ჩვენ სერიოზულ ძალისხმევას მივმართავთ, რომ ეს სიტუაცია გადავტეხოთ და ეს გამოგვდის. პირველად ბოლო 10-15 წლის განმავლობაში შობადობის ზრდის მდგრადი ტრენდი გვაქვს და წელს (2012 წ.) მოსახლეობის მატება დაფიქსირდა. ერთსქესიანი ქორწინება კი, როგორც ცნობილია, შთამომავლობას არ იძლევა. ამიტომ ჩვენ შემწყნარებლურად ვექცევით სექსუალურ უმცირესობებს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო მხარს უნდა უჭერდეს შობადობას, დედობას, ბავშვებს, ზრუნავდეს მათ ჯანმრთელობაზე“.

საყურადღებოა, რომ უმაღლესი რანგის ბევრი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, ვლადიმერ პუტინი არც ლარი კინგთან, არც სხვა რომელიმე დასავლური მედიის წარმომადგენელთან არ მიმართავს ორმაგ სტანდარტს; იგი არ ამბობს ერთ სიმართლეს რუსეთისთვის და მეორეს — დასავლეთისთვის. მისი თვალსაზრისი და შეხედულებები ყოველთვის თავისუფალია ამგვარი კონიუნქტურისგან და ამიტომაცაა, რომ მას, დიდი მონდომების მიუხედავად, ვერავინ სდებს ბრალს იმაში, რაც პოლიტკორექტულობაში შეფუთულ სიცრუეს და ფარისევლობას წარმოადგენს.

მითები ვ. პუტინის შესახებ

2012 წლის ოქტომბერში გერმანულენოვან ინტერნეტგამოცემა Focus-ში გამოქვეყნდა ბორის რაიტშუსტერის სტატია „რუსეთის პრეზიდენტის 60 წლისთავისთვის: ექვსი მთავარი მითი ვლადიმერ პუტინის შესახებ“. ავტორი კრიტიკულად არის განწყობილი ვ. პუტინისა და მისი მმართველობის სტილის მიმართ. ერთ-ერთ მითად მას მიაჩნია **ვ. პუტინის ნოსტალგია საბჭოთა კავშირის მიმართ.** მისი აზრით, ვ. პუტინის რუსეთში აღარაფერი დარჩა სსრკ-ის სოციალური მიღწევებიდან. „დღევანდელ რუსეთში აღვირახსნილი კაპიტალიზმი მეფობს, რომელთან შედარებითაც აშშ სოციალისტური სახელმწიფოს ნიმუშად გამოიყურება, ხოლო გერმანია საერთოდ სოციალისტური ქვეყანა გამოდის.

რუსეთში არ არის დამოუკიდებელი პროფკავშირები, რომლებიც მშრომელთა უფლებებს დაიცავდა, შრომის ბაზარზე ძლიერის უფლებები მოქმედებს, სოციალური დაცვა, ფაქტობრივად, არ არის, ხოლო სამედიცინო უზრუნველყოფა ხშირად ფულის საკითხია“.

ერთი სიტყვით, **ვ. პუტინი ხან საბჭოთა კავშირის „აღმდგენია“, ხან მისი სოციალური სიკეთეების მესაფლავე! რაიტშუსტერის კრიტიკის გაზიარება შესაძლებელი იქნებოდა, რომ არა დასავლეთის მიერ დემოკრატად აღიარებული ელცინი, რომლის მმართველობამაც მოუღო ბოლო რუსეთში ყველა სოციალურ სიკეთეს! მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ დაიწყო სრული კოლაფსის მდგომარეობიდან რუსეთის გამოსვლა და, უნდა ვინმეს თუ არა, ეს სწორედ ვ. პუტინის პიროვნებას უკავშირდება.**

კიდევ ერთი მითი, რაიტშუსტერის აზრით, მითი **პუტინის მოდენიზატორობის შესახებ:** იგი იზიარებს მოსაზრებას, რომ პირველი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში პუტინმა მართლაც ბევრი ეკონომიკური რეფორმა გაატარა და საშემოსავლო გადასახადი 13%-მდე შეამცირა, რამაც, „ნავთობის მზარდი ფასის წყალობით, აშკარა ეკონომიკური აღმასვლა უზრუნველყო“, თუმცა ამასთან ერთად, რაიტშუსტერი წერს, რომ პუტინმა ძალიან მალე დაიწყო დემოკრატიული და საზოგადოებრივი მიღწევების წინააღმდეგ ბრძოლა. მაგალითად მას НТВ-ს დაშლა მოჰყავს. НТВ-ს დაშლა სინამდვილეში 2001 წლის 14 აპრილს მოხდა, ანუ პუტინის პირველ

საპრეზიდენტო ვადაში, რომლის მიმართ რაიტ-შუსტერი დადებითად არის განწყობილი.

სუბიექტურობა აქ არ მთავრდება. „კგბ-ს ყოფილი ოფიცერი ყველა მოხერხებულ მომენტში მოდერნიზაციაზე ლაპარაკობს, რითაც დასავლელი დამკვირვებლების აღტაცებას იწვევს, რომლებიც რუსეთს ზედაპირულად იცნობენ. სინამდვილეში ვ. პუტინს ტექნოკრატული დამოკიდებულება აქვს მოდერნიზაციის მიმართ, რაც ძველი საბჭოთა მეთოდების შესწორებასა და შევსებას გულისხმობს: არჩევნების ფალსიფიკაცია — უფრო თანამედროვე მეთოდებით, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება — კიდევ უფრო მოხერხებულად, რეჟიმის მოწინააღმდეგეთა თვალთვალი — კიდევ უფრო დაჟინებულად, ინდუსტრიული შპიონაჟი — კიდევ უფრო დახვეწილი“.

ქართველი მკითხველისთვის ამის წაკითხვა, ალბათ, ღიმილის მომგვრელია; ყველაფერი, რასაც რაიტშუსტერი ჩამოთვლის, 9 წლის განმავლობაში სწორედ საქართველოში ხდებოდა, მაგრამ სააკაშვილის დასავლელი მეგობრები ამას არც კი აუღელვებია. საქმე ისაა, რომ ყველა ეს „დემოკრატიულად“ წოდებული საყვედური მხოლოდ მაშინ ჩნდება, თუ ლიდერი დასავლეთიდან არ არის მართული და, რაგინდ შეცდომები ჰქონდეს, მაინც საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს.

ის, რომ **„პუტინმა დაჩოქილი რუსეთი ფეხზე წამოაყენა“,** რაიტშუსტერის აზრით, ასევე მითია. მას მიაჩნია, რომ დასავლეთს კვლავ გაუჩ-

ნდა რუსეთის შიში მისი წინასწარ განუჭვრეტელი საგარეო პოლიტიკისა და „მსოფლიო ისტორიის ბნელ ლიდერებთან“ კავშირის გამო. ავტორი აქ ბაშარ ასადსა და მაჰმუდ აჰმადინეჯადს გულისხმობს. „იარაღის ჟღარუნი მსოფლიო არენაზე საკუთარი თავის მოტყუებაა. რუსეთის ეკონომიკა არაკონკურენტუნარიანია, არმია სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია, მიუხედავად დანაპირები რეფორმებისა“. ამის წამკითხველს შეუძლებელია, არ გაახსენდეს, როგორ აცხადებდნენ საქართველოს „ნაციონალური ლიდერები“, რომ „რუსებს ჟანგიანი ტანკები ჰყავთ“, მაგრამ მთელი თანამედროვე ამუნიცია სწორედ ამ „ჟანგიანი“ ტანკების პატრონებს დაუტოვეს და ომიც სამიოდე დღეში წააგეს!

კიდევ ერთი მითი, ავტორის აზრით, არის ის, რომ **„პუტინმა ოლიგარქებს ადგილი მიუჩინა“.** საუბარია, რა თქმა უნდა, ხოდორკოვსკის პროცესზე. თუმცა, როგორც ავტორი მიუთითებს, გარდა ხოდორკოვსკის, ბერეზოვსკისა და გუსინსკისა, ელცინის პერიოდის სხვა ოლიგარქებს (იგივე აბრამოვიჩს) „მშვენიერი მდგომარეობა აქვთ ბიზნესში და შეუძლიათ, არ ეშინოდეთ მათი სიმდიდრის წარმომავლობის შესახებ შეკითხვებისა“. რკინის ლოგიკაა: სხვებიც რომ დაეპატიმრებინათ, ვ. პუტინის რეჟიმის „რეპრესიებზე“ ილაპარაკებდნენ, რაკი არ დააპატიმრეს, ესეც ცუდ საქციელად ეთვლება!

რაიტშუსტერი ვ. პუტინს მთავარ პრეტენზიას იმაში უყენებს, რომ „მან 13 წლის განმავლობაში გაანადგურა „პერესტროიკის“ ისედაც სუსტი

დემოკრატიული მიღწევები: მან მოსპო განსხვავებული აზრი მედიაში, პარლამენტში, სასამართლოში და პოლიტიკური ლანდშაფტი ფარსის ადგილად აქცია“. ამ სიტყვების ავტორს, როგორც ჩანს, სააკაშვილის საქართველოში არ უმოგზაურია, თორემ აქ ჩამოთვლილ „ღირსებებს“ საკუთარი თვალით ნახავდა! რაც შეეხება მედიაში განსხვავებული აზრის მოსპობას, რაიტშუსტერის ეს სტატია არაერთ ავტორიტეტულ რუსულ პორტალზე გამოქვეყნდა.

* * *

რთული წარმოსადგენი არ არის, რომ სპორტულად აღზრდილი ადამიანი, რომელიც წესებს პატივს სცემს, ვერაფრით აიტანდა მიხეილ სააკაშვილს, რომლისთვისაც არანაირი წესი არ არსებობს, ხოლო სპორტული ხასიათისგან ისე შორს დგას, როგორც საერთოდ გაწონასწორებულობისგან. მართალია, **სააკაშვილმა** 2004 წლის აპრილში, ვ. პუტინთან პირველი შეხვედრის შემდეგ გაზეთ „იზვესტიას“ ინტერვიუში განუცხადა: **„მე რომანტიკული ადამიანი ვარ, მაგრამ, მერწმუნეთ, არცთუ ცოტა რამ მინახავს. მას (პუტინს) პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს — ეს სწორედ ასეა. მე მას ვენდე და არ შევმცდარვარ. მან გააკეთა ყველაფერი, რასაც დამპირდა. ამიტომ დღეს რუსეთში თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ, ვიდრე სხვა ქვეყნებში! პუტინი უფრო პრაგმატულია, აზროვნების სტილით უფრო თანამედროვეა, ვიდრე დასავლეთის ბევრი პოლიტიკოსი“.**

© „ღვასტაბაძეების ოჯახი“

ახლა შევადაროთ, როგორ იხსენებს საკუთარ შეხვედრას პუტინთან ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი, სააკაშვილის მეგობარი და მხარდამჭერი **ჯორჯ ბუში უმცროსი: „როცა პრეზიდენტი გავხდი და პუტინი პირველად ვნახე, თვალებში ჩავხედე და მისი სული ამოვიკითხე, თუმცა შემდეგ წლებში მან ჩემი შეხედულების გადახედვის შანსი ბევრჯერ მომცა. ერთ-ერთი ბოლო შანსი 2008 წელი იყო, როცა რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრა“.**

მართალია, იმ დროს პრეზიდენტი მედვედევი იყო და არა პუტინი, მაგრამ ბუშიც და სააკაშვილიც პასუხისმგებლობას სწორედ პრემიერმინისტრს აკისრებდნენ. სააკაშვილმა ომიდან სამი წლის შემდეგ ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში ბელარუს, პოლონელ, სომეხ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებთან შეხვედრისას დ. მედვედევის შესახებ განაცხადა: **„ორი დღის წინ ტელევიზორში თვალი მოვკარი, როგორ ლაპარაკობდა ბევრად უფრო დიდი ქვეყნის პრეზიდენტი ჩვენზე, მიუხედავად იმისა, რომ ის ამდენად დიდი ქვეყნის პრეზიდენტია, რეალურად, ძალაუფლება არ აქვს ან არ მისცეს და რეალურად სხვა ადამიანის ჩრდილქვეშ იმყოფება.**

მართალია, ეს ინტერვიუ მთლიანად არც მინახავს — სხვაც ბევრი საქმე მაქვს, მაგრამ, როგორც პრესსამსახურის თანამშრომლებმა მითხრეს, ინტერვიუ 55 წუთს გაგრძელდა და აქედან 39 წუთი მე მეძღვნებოდა. ნუთუ იმაზე მეტი საქმე არა აქვს ამხელა ქვეყნის თუნდაც შეზღუდული ძალაუფლების მქონე ლიდერს,

რომ საქართველოს პრეზიდენტზე ამდენი იფიქროს? თუკი ჩემზე 40 წუთის განმავლობაში ლაპარაკობს, ალბათ, 40 დღე და 40 თვეც ექნება ნაფიქრი“.

ნუ დავიზარებთ და გადავამოწმოთ საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები. მას ხომ ჟურნალისტებმა „პოლიტიკური პინოქიო“ უწოდეს ტყუილების სიყვარულის გამო. ინტერვიუ, რომელზეც სააკაშვილი საუბრობდა, 2011 წლის 5 აგვისტოს სოჭში აიღო სამმა ჟურნალისტმა ტელეკომპანიებიდან „პიკი“ („პირველი კავკასიური“), Russia Today და რადიოდან „ეხო მოსკვი“. იგი მთლიანად 2008 წლის ომის სამ წლისთავს ეძღვნებოდა და ცხადია, სწორედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ეხებოდა. სამიდან ორი ჟურნალისტი ქართველი იყო — **სოფო შევარდნაძე** და **ეკატერინე კოტრიკაძე,** ერთი კი სააკაშვილის აშკარა თაყვანისმცემელი — **ალექსეი ვენედიქტოვი.**

ახლა ვნახოთ ფრაგმენტები, რომლებიც სააკაშვილს ეხება. პირველად სააკაშვილს „პიკის“ დირექტორი **ე. კოტრიკაძე** ახსენებს:

— დავუბრუნდეთ 2008 წლის მოვლენებს. მაშინ, 2008-ში თქვენ შეხვდით საქართველოს პრეზიდენტს — მიხეილ სააკაშვილს. ეს იყო პეტერბურგში. მაშინ თბილისსა და მოსკოვში ისეთი შეგრძნება გაჩნდა, რომ რაღაც კონსენსუსია მიღწეული და კონფლიქტი „ცხელ წერტილამდე“ არ მივა. შეგიძლიათ გვითხრათ, მაშინ საქართველოს პრეზიდენტთან რაიმეზე მოილაპარაკეთ?

© „ღვასრბაზეგმ ასნაყაფლ“

დ. მედვედევი: — იცით, მეც ასეთი შეგრძნება მქონდა. დღემდე მახსოვს, როგორ შევხვდი პირველად პრეზიდენტ სააკაშვილს. ეს იყო პეტერბურგში, ერთმანეთს კონსტანტინეს სასახლეში შევხვდით. ის მოვიდა, მე ასეთი ფრაზა ვუთხარი: „ძალიან ბევრი პრობლემაა რეგიონში, საქართველოში, არაღიარებულ ტერიტორიულ წარმონაქმნებთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც რუსეთის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა თქვენ შეეცადოთ კომპრომისის პოვნას, რომელიც ყველას დააკმაყოფილებს და ხელს შეუწყობს საქართველოს რეინტეგრაციას“. ეს ვუთხარი. „თუ, რა თქმა უნდა, მოლაპარაკების ყველა მხარისთვის მიმზიდველი იქნება“.

ამაზე პასუხად მოვისმინე — დიახ, ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ. და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ, თუ ახალ ფურცელს არ გადავშლით, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ახალი, არასტანდარტული მიდგომები გამოვძებნოთ და, რაც მთავარია, რეგულარული ურთიერთობა გვქონდეს. რა ხდება ამის შემდეგ? მახსოვს, ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა ასტანაში შედგა. რაში მდგომარეობდა იგი? მაშინ შევთანხმდით, რომ დავსხდებით და სერიოზულად მოვილაპარაკებთ. ვუთხარი: – ჩამოდით სოჭში, წყნარად დავილაპარაკებთ ყველა პრობლემაზე. მიპასუხა, რომ ამისთვის მზად იყო.

გულახდილად გეტყვით, ამის შემდეგ ერთი თვე ვამოწმებდი, არის თუ არა რაიმე ინფორმაცია

ჩვენი ქართველი პარტნიორისგან. არ იყო. მაგრამ, სამაგიეროდ, ამ პერიოდში საქართველოში ვიზიტებს მოუხშირეს, როგორც საბჭოთა პერიოდში იტყოდნენ, ოკეანისგაღმელმა ემისრებმა. ჩემთვის საკმარისად თვალსაჩინო მომენტი იყო (ეს არაერთხელ გავაანალიზე შემდგომში) იმ პერიოდში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — კონდოლიზა რაისის ვიზიტი. ამის შემდეგ ჩემი კოლეგა „კავშირიდან გავიდა“, ურთიერთობა შეწყვიტა, აღარც იწერებოდა, არც რეკავდა. როგორც ჩანს, ახალი გეგმები გაჩნდა და განხორციელდა კიდეც.

საუბარში ა. ვენედიქტოვი ერთვება და ისიც სააკაშვილზე სვამს კითხვას:

— სწორად გაგიგეთ? მიგაჩნიათ, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი წარმოადგენდა სააკაშვილისთვის ბიძგს კონფლიქტის წა-

© „ღამისფერი ხანისფერზე“

მოწყებისთვის? რომ აშშ განზრახ უბიძგებდა სააკაშვილს ამ მიმართულებით?

დ. მედვედევი: — არა, ასე არ ვფიქრობ. აშშ მაინც ძალიან დიდი ქვეყანაა, რომელსაც პრაგმატული ადამიანები ხელმძღვანელობენ, მაგრამ პოლიტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია დეტალები და ნიუანსები. ჯერ კიდევ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვიყავი, როცა თეთრ სახლში ჩავედი და იმავე კონდის **(კონდოლიზა რაისს. — რედ.)** და პრეზიდენტის აპარატის უფროსს შევხვდი. მოვიდა ჯორჯ ბუში. მისალმების შემდეგ პირველი, რაც მითხრა, ეს იყო: „მიშა სააკაშვილი კარგი ბიჭია?“ ვუპასუხე: „ბატონო პრეზიდენტო, არ ვიცი, მე მას არ ვიცნობ, შეიძლება გავიცნო“. სამწუხაროდ, ეს სიტყვები ცუდი გაგებით წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ხაზს ვუსვამ — ეს იყო პირველი სიტყვები, რითაც ჯორჯ ბუშმა მომმართა.

არ მიმაჩნია, რომ ამერიკელები უბიძგებდნენ საქართველოს ხელმძღვანელს აგრესიისკენ, მაგრამ ვფიქრობ, რომ გარკვეული ნიუანსები, გარკვეული აქცენტები, სიტყვები იმის შესახებ, რომ დროა, კონსტიტუციური წესრიგი აღდგეს, რომ უფრო გადამწყვეტი მოქმედების დრო დადგა, ყოველივე ამას შეეძლო იმ იმედების გაღვივება, რომ კონფლიქტის წარმოშობისას „ამერიკელები არ მიგვატოვებენ, დაგვიცავენ, ბოლოსდაბოლოს, ომში ჩაერთვებიან რუსებთან“. ამიტომაც ვუკავშირებ ამ ვიზიტს შემდგომ მოვლენებს, ისევე,

როგორც ჩემს სატელეფონო საუბარს თეთრი სახლის ხელმძღვანელთან და შემდგომ უკვე პირად შეხვედრებს.

ე. კოტრიკაძე აზუსტებს, რომ „მწვანე შუქი“, როგორც ამაზე ხშირად ლაპარაკობდნენ, ვაშინგტონს არ აუნთია.

ისევ ვენედიქტოვი და ისევ სააკაშვილის შესახებ შეკითხვა:

— პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, რომ სინამდვილეში რუსეთი 2008 წლამდე დიდი ხნით ადრე ემზადებოდა ომისთვის და იმჟამინდელი პრეზიდენტის (თქვენი წინამორბედის) ვლადიმერ პუტინის ციტატა მოჰყავს: „ჩვენ თქვენ ჩრდილოეთ კვიპროსს მოგიწყობთ“. სააკაშვილის სიტყვებით, ეს ციტატაა. თქვენ რუსეთის ხელმძღვანელობაში იყავით, შეგიძლიათ დაადასტუროთ ან უარყოთ, რომ ამ თემებზე მსჯელობა იყო?

დ. მედვედევი: — სისულელეა. სააკაშვილი ბევრ რამეს ამბობს. ხშირად საკუთარ მეტყველებას ვერ აკონტროლებს. არაფერ ამის მსგავსზე მსჯელობა არ ყოფილა... კონფლიქტი არავის სჭირდება. ვინც იტყვის, რომ კონფლიქტით რაიმეს გადაწყვეტა შეიძლება, ის ცრუობს. **კონფლიქტს არასოდეს კარგი არაფერი მოუტანია. ამ კონფლიქტის არიდება რომ მოგვეხერხებინა, ეს ყველასთვის, უპირველესად კი საქართველოსთვის, იქნებოდა სასარგებლო. და ის, რომ ეს არ მოხერხდა, სამწუხაროდ, დიდი ტრაგედიაა. და პასუხისმგებლობას ამ ტრაგედიაზე, ჩე-**

© „ღვინისგბიჭეგბ ინსიოფაფეი“

მი აზრით, მხოლოდ ერთი ადამიანი ატარებს (უბრალოდ, სახელმწიფო მანქანა ასეა მოწყობილი) — ეს პრეზიდენტი საა-კაშვილია.

ამის შემდეგ **ს. შევარდნაძე** ომს, როგორც დიპ-ლომატიის მარცხს, ისე აფასებს. და მედვედე-ვიც, ცხადია, სააკაშვილს ახსენებს: **„ივლისში რომ მცოდნოდა, რომ მის აგზნებულ გონებაში ასეთი გეგმები მწიფდებოდა, ალბათ, უფრო მკვახედ დაველაპარაკებოდი, ვეცდებოდი, გადამეფიქრებინა... რაც 8 აგვისტოს მოხდა, ჩემთვის გასაოცარი იყო, რადგან სააკაშ-ვილმა ამით საკუთარი სამშობლო გაგლიჯა. ეს არის ყველაზე საშინელი მისთვის და ქართველი ხალხისთვის“.**

ისევ ს. შევარდნაძე ასტანის სამიტის და იმის შესახებ, რაც სააკაშვილმა განაცხადა:

— ვენედიქტოვთან ინტერვიუში სააკაშვილმა თქვა, რომ ასტანაში უკანასკნელი შეხვედრისას თქვენ მას თავს არიდებდით და მისთვის გასა-გები გახდა, რომ კონფლიქტი გარდაუვალია.

დ. მედვედევი: „რა შემიძლია გითხრათ? ჯერ ერთი, მისგან თავის დაღწევა ძნელია, „წებოვა-ნია“. თუ უნდა, რომ აგეკიდოს, აგეკიდება, რო-გორც საჭიროა. რამდენიმეჯერ მოვიდა ჩემთან. ვლაპარაკობდით, კარგად მახსოვს, ავტობუსში, პარკში სეირნობისას. მეტსაც გეტყვით. მერე ჩა-ის და ჭიქა ღვინის დასალევად წავედით და იქაც დივანზე ვიჯექით და ვმსჯელობდით, როგორ შევხვედროდით. ამიტომ ეს ზღაპრები მის სინ-დისზე იყოს, როგორც სხვა მრავალი.

ე. კოტრიკაძე: — დიმიტრი ანატოლის ძევ, პირადად სააკაშვილსა და რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე 2008 წლის შემდეგ ლაპარაკისას ცხადია, ისინი არ ვითარდება, ურთიერთობები საერთოდ არ არის. ამავე დროს ნათელია, რომ გარკვეულწილად ამას ლიდერების პირადი ურთიერთობაც განაპირობებდა. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცოტა ხნის წინ ოფიციალურად წამოაყენა წინადადება დიალოგის შესახებ ყოველგვარი წინაპირობების გარეშე. რატომ უპასუხებთ უარით, თუ გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილი ამ ქვეყნის კანონიერად არჩეული პრეზიდენტია?

დ. მედვედევი: — მხოლოდ იმიტომ, რომ სააკაშვილმა დანაშაული ჩაიდინა რუსეთის ფედერაციისა და მისი მოქალაქეების მიმართ. მისი მითითებით ჩვენი ასობით მოქალაქე მოკლეს, მშვიდობისმყოფელების ჩათვლით. ამას არასოდეს ვაპატიებ და ამიტომ მასთან ურთიერთობას არ ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დერეფნებში თვალის ჩაკვრის მცდელობა აქვს ხოლმე. ყველა სხვასთან — კი ბატონო, პრობლემას ვერ ვხედავ, ნებისმიერ თემაზე შეიძლება ურთიერთობა იმ საერთაშორისო-სამართლებრივ ჩარჩოში, რომელიც რეგიონში ჩამოყალიბდა და იმ ძალიან მძიმე და რთული გადაწყვეტილებების ჩარჩოებში, რომელთა მიღებაც მე მომიწია. ჩემთვის ეს არის კაცი, რომელსაც ხელს არ ჩამოვართმევ. მესმის, რომ საქართველოს კანონიერად არჩეული პრეზიდენტია. მხოლოდ ქართველ ხალხს შეუძლია მისი შეფასება, ვერ-

© „ღვასუბაძეების ეროვნული ფონდი“

დიქტის გამოტანა. ნებისმიერ შემთხვევაში, **დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან საა-კაშვილი აღარ იქნება საქართველოს პრეზიდენტი, რადგან ასეთია პოლიტიკუ-რი ცხოვრების კანონები. და ამ შემთხვე-ვაში ახალ პრეზიდენტს, ვინც არ უნდა იყოს იგი, გაუჩნდება შესაძლებლობა, და-ამყაროს რუსეთთან ნორმალური, პრო-დუქტიული ურთიერთობები.**

მეტიც, აქვე მინდა გითხრათ, **პირადად ჩემ-თვისაც ძალიან მტკივნეულია, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არ არის ნორმალური ურ-თიერთობა, ჩვენი ქვეყნები, ჩვენი ხალ-ხები ხომ ძალიან ახლობელნი არიან. ეს იდიოტური ავანტიურა რომ არა, ის ურ-თულესი პროცესიც კი, რომელიც მაშინ მიმდინარეობდა, შეგვეძლო კიდევ წლე-ბი გაგვეჭიანურებინა, მაგრამ ბოლოსდა-ბოლოს მივსულიყავით, ალბათ, ყველას-თვის — ქართველების, აფხაზეთსა და ოსეთში მცხოვრებთათვის — მისაღებ გა-დაწყვეტილებამდე.**

სწორედ ამას არ ვაპატიებ არასდროს. და მი-მაჩნია, რომ მას შეფასება ქართველმა ხალხმა უნდა მისცეს, მაგრამ ეს დემოკრატიული გზით უნდა გააკეთოს. მასზე საუბრის დასასრულს კიდევ ერთ რამეს ვიტყოდი. საერთოდ, ის ჩემი მადლიერი უნდა იყოს, რომ რომელიღაც მომენ-ტში ჯარი შევაჩერე. იგი რომ თბილისში შესუ-ლიყო, დღეს, შესაძლოა, საქართველოში სხვა პრეზიდენტი ყოფილიყო.

ს. შევარდნაძე: — რატომ არ მიხვედით თბილისამდე?

დ. მედვედევი: — იცით, მიმაჩნია, რომ იმ ხუთდღიანი ოპერაციის მიზანი — იძულება მშვიდობისთვის — შესრულებული იყო. უბრალოდ, უნდა შეგვეჩერებინა აგრესია, რომელიც სააკაშვილმა წამოიწყო. მე არც მოსამართლე ვარ და არც ჯალათი. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, რომ სააკაშვილი ხალხმა უნდა შეაფასოს ხმის მიცემის თუ სხვა გზით, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ისტორიაში. მაგრამ ჩემს გეგმებში არ შედიოდა სააკაშვილის ძალისმიერი ხერხით დამხობა. და ახლა ეს გულწრფელად შემიძლია გითხრათ, მიმაჩნია, რომ სწორად მოვიქეცი, თუმცა მისი დამხობა ძალიან ადვილი იყო.

ამას გარდა, ინტერვიუში დ. მედვედევმა უამრავ თემაზე ილაპარაკა: ლიბიაზე, სირიაზე, ჩეჩნეთზე, კადაფიზე, სარკოზიზე, პუტინზე, სარგსიანსა და ალიევზე, რუსეთის, საქართველოსა და უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიებზე, მოლაპარაკების აუცილებლობასა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე, პენსიებზე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაზე, ქართული ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტზე, ... სააკაშვილს ის მხოლოდ მაშინ ახსენებს, როცა ამას აუცილებლობა მოითხოვს.

არავითარი 39 წუთი, ცხადია, მედვედევს სააკაშვილზე არ ულაპარაკია. არც ჩვენ მოგვიტანია ამ ინტერვიუს ეს ვრცელი ფრაგმენტი სააკაშვილის გამო. უბრალოდ, იგი ნათელ წარმოდგენას იძლევდა 2008 წლის აგვისტოს ომის წინა პერიოდზე.

აგვისტოს ომი

ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტი ანგუს როკსბორო თავის წიგნში „რკინის პუტინი“ მეტად საყურადღებო ფაქტებსა და კულუარულ დეტალებს აღწერს. 2008 წლის 17 თებერვალს სერბეთისგან გამოყოფილმა კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მეორე დღესვე იგი აშშ-მა აღიარა. იმ დღეებში ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა პრეზიდენტ ბუშს: **„ეს პუტინის და იმათი ჯიბრით ხომ არ გააკეთეთ, ვინც ამბობს, რომ თქვენ სეპარატისტულ მოძრაობას ღიად უჭერთ მხარს მთელ მსოფლიოში“?** ბუშმა საყურადღებო პასუხი გასცა: **„სინამდვილეში ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ რუსეთთან... იცით, უთანხმოება არის, მაგრამ ჩვენ, როგორც ბევრი სხვა ქვეყანა, მივიჩნევთ, რომ ისტორია**

დაამტკიცებს: ეს სწორი ნაბიჯია, რომელიც ბალკანეთში მშვიდობას მოიტანს“.

თუმცა, როკსბოროს აზრით, ვ. პუტინს ბალკანეთი როდი აწუხებდა. რუსეთს სერიოზული მიზეზი ჰქონდა, შეწინააღმდეგებოდა კოსოვოს აღიარებას და მათ შორის სერბეთთან რუსეთის „ძმური კავშირი“ ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო. პანდორას ყუთი გაიხსნა. მიუხედავად ამერიკელებისა და მათი მოკავშირეების მტკიცებისა, რომ კოსოვოს სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ უნიკალური შემთხვევაა, გარემოებათა განსაკუთრებული დამთხვევით, რომელსაც პრეცედენტი არა აქვს, **კოსოვოს აღიარებამ მთელი მსოფლიოს სეპარატისტების აღტაცება გამოიწვია. თუ კოსოვოელებმა შეძლეს სერბეთიდან გამოსვლა „მეტროპოლიის“ ნების საწინააღმდეგოდ, იმაზე დაყრდნობით, რომ მათზე სამხედრო თავდასხმები, ეთნიკური წმენდა და სისასტიკე განხორციელდა, მაშინ რატომ არ შეიძლება იგივე განაცხადონ ჩეჩნებმა რუსეთის მიმართ ან აფხაზებმა და ოსებმა საქართველოს მიმართ?**

უპირველეს ყოვლისა, რუსეთს არ უნდოდა ჩეჩნური სეპარატიზმის წახალისება და იმავე დროს ერიდებოდა ოსებისა და აფხაზების წახალისებას სწორედ იმიტომ, რომ არ შეექმნა პრეცედენტი ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა მცირე ხალხებისთვის, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანური რესპუბლიკებისთვის. **დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა სამიტზე პრეზიდენტმა ვ. პუტინმა არაორაზროვნად განაცხადა შედეგების**

შესახებ: „კოსოვოს პრეცედენტი საშიშია. არსებითად, იგი ანგრევს საერთაშორისო ურთიერთობათა მთელ სისტემას, რომელიც არა ათწლეულობით, არამედ საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. უეჭველია, რომ ეს გაუთვალისწინებელი შედეგების მთელ ჯაჭვს გამოიწვევს“.

მიხეილ სააკაშვილმა, ერთი თვით ადრე ხელმეორედ არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, როცა გაიგონა, როგორ სდებს რუსეთი ბრალს დასავლეთის მთავრობებს უხეშ შეცდომაში: **„ამ ჯოხს ორი ბოლო აქვს და ოდესმე მისი მეორე ბოლო ძალიან მტკივნეულად მოხვდება მათ თავში“.** სამიტის ფარგლებში ერთიერთზე შეხვედრისას ვ. პუტინმა სააკაშვილს უთხრა: **„არ ვაპირებთ, ამერიკელებს მივბაძოთ და სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ვაღიაროთ მხოლოდ იმიტომ, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა უკვე აღიარებულია“.**

თუმცა სააკაშვილმა მას არ დაუჯერა. მას ვ. პუტინივით კარგად ესმოდა კოსოვოს პრეცედენტი და იცოდა, რომ მისი ქვეყნის სეპარატისტული პროვინციები ამ პრეცედენტს მიბაძავდნენ, თუ მოქმედებას დაუყოვნებლივ არ დაიწყებდა. 2004 წელს სამხრეთ ოსეთის მიმართ გატარებული ზომები ჩაიშალა. მას შემდეგ მან ამერიკული დახმარების წყალობით საკუთარი ჯარი უფრო ბრძოლისუნარიანი გახადა, მაგრამ, თუ იგი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემოერთებას აპირებდა, ამერიკელთა მხარდაჭერა

მხოლოდ ლოჯისტიკის დონეზე როდი სჭირდებოდა.

კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან 9 დღის განმავლობაში სააკაშვილი ასაბუთებდა, თუ რატომ არის საქართველო ახლა ასე დაინტერესებული ნატოში გაწევრიანებით: **„რად გვინდა ნატოს წევრობა? ეს აუცილებელია იმისთვის, რომ საქართველო უნდა იყოს სტრატეგიულად დაცული უკიდურესად რთულ და სახიფათო რეგიონში და მიიღოს უსაფრთხოების გარანტიების საკუთარი წილი“.** ახლოვდებოდა ნატოს აპრილის ბუქარესტის სამიტი. მასზე უნდა გადაწყვეტილიყო, მიეცათ თუ არა საქართველოსთვის და უკრაინისთვის MAP-ი, ანუ გადადგამდნენ თუ არა პირველ რეალურ ნაბიჯებს ნატოში გაწევრიანებისკენ. მხარდაჭერის მისაღებად სააკაშვილი მარტში ვაშინგტონში გაემგზავრა, რათა კონგრესისა და თეთრი სახლის კულუარებში საკუთარი დემოკრატიული რეკომენდაციები წარედგინა.

იგი კამერების წინაშე ემლიქვნელებოდა პრეზიდენტ ბუშს: **„ჩვენ უნდა გავიაროთ ბოლომდე გზა თავისუფლებისკენ ჩვენი ხალხის, ჩვენი ფასეულობების, ყოველივე იმისთვის, რასაც ნიშნავს ჩვენთვის ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან აშშ მთელ მსოფლიოში ავრცელებს იდეალების ერთგულებას“.**

ბუშმა კმაყოფილი ღიმილი ვერ შეიკავა — მსოფლიოში არავინ უჭერდა მას მხარს ისე, როგორც ეს კაცი. პრეზიდენტის მრჩეველი ევროპის საკითხებში **დეიმონ უილსონი** იხსენებდა: **„ის**

© „ღვასრულებენ ესენიასაფრე“

შესანიშნავი იყო. ზუსტად მოარტყა. იგი პრეზიდენტს შეტყობინებით ეახლა, რომ მისი მემკვიდრეობა დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაა. ეს სიტყვები ჩვენს ყურებს მუსიკად ეფინებოდა. ეს სწორი სიტყვები იყო“.

და სააკაშვილმა სწორედ ის პასუხი მიიღო, რომლის იმედიც ჰქონდა: **„დარწმუნებული ვარ, საქართველო მოიგებს ნატოს წევრობით. მე ვუთხარი პრეზიდენტს, რომ ამ აზრით მივდივარ ბუქარესტში“,** — განუცხადა ბუშმა ჟურნალისტებს.

თუმცა ორგანიზაციის ყველა წევრი როდი იზიარებდა მის აზრს, განსაკუთრებით, ფრანგები და გერმანელები. როცა სააკაშვილი ვაშინგტონში ჩაფრინდა, ოვალურ კაბინეტამდე ჯერ მისული არ იყო, რომ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა დაურეკა. სააკაშვილმა თავად თქვა, რომ პირველი, რაც უთხრა პრეზიდენტ ბუშს, ეს სიტყვები იყო: **„ეს წუთია, დამირეკა ჩვენმა საერთო მეგობარმა ანგელა მერკელმა და მითხრა: — ვიცი, რომ ბუშს ხვდებით, რათა ნატოს მოახლოებულ სამიტზე ესაუბროთ და მინდა გერმანიის პოზიცია იცოდეთ. თქვენ არ ხართ მზად ორგანიზაციაში შესასვლელად. ჩვენ მხარს არ დაგიჭერთ“.**

როგორც მოწმეები ამბობენ, ბუშმა გაიღიმა და სააკაშვილს აუხსნა, რომ ნატოში სხვადასხვა კატეგორიის მოთამაშეები არიან. **„მიხედეთ ლუქსემბურგს, ანგელა კი მე მომანდეთ. მე მივხედავ“.**

თუმცა ამის თქმა უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდ-

რე შესრულება. ფრანგებსაც და გერმანელებსაც ორი მიზეზი ჰქონდათ, რათა ეჭვის თვალით შეეხედათ ნატოში საქართველოს წევრად მიღების მიზანშეწონილობისთვის. ჯერ ერთი, მათ მიაჩნდათ, რომ **სახიფათოა ალიანსში იმ ქვეყნის მიღება, რომლის ტერიტორიაზეც ორი გაყინული კონფლიქტია, მეორეც — მათ აშფოთებდათ თავად სააკაშვილი და ის ნიშნები, რომლებიც ცხადყოფდა, რომ იგი სულაც არ იყო ისეთი დემოკრატი, როგორადაც მას ჯორჯ ბუში მიიჩნევდა**. 2007 წლის ნოემბერში თბილისში პოლიციამ სასტიკად დაარბია მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. სააკაშვილმა დახურა ოპოზიციური ტელერადიო კომპანია „იმედი", რომელიც დაწვრილებით გადმოსცემდა სისასტიკის გამოვლინებას და ქვეყანაში საგანგებო ვითარება გამოაცხადა. მან რუსეთს დასდო ბრალი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში. თეთრი სახლიც კი შოკირებული იყო და კონდოლიზა რაისმა თავისი თანაშემწე მეთიუ ბრაიზა თბილისში გაგზავნა, რათა სააკაშვილი დაემოძღვრა.

ვაშინგტონი და ბერლინი შეთანხმდნენ, არ გამოეთქვათ საკუთარი ეჭვები საჯაროდ. ამერიკელების რისხვას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სააკაშვილისა და ბუშის მარტის შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე ანგელა მერკელი მოსკოვში ჩავიდა და პუტინთან გვერდი-გვერდ დაამსხვრია საქართველოსა და უკრაინის იმედები ნატოს წევრობაზე.

მერკელი სულაც არ იყო ვ. პუტინის თაყვანის-

© „ღვასაბაძეების ეროვნული“

მცემელთა კლუბის წევრი, თუმცა ეთანხმებოდა იმაში, რომ, თუკი საქართველო და უკრაინა ნატოში შესვლის პროცესს შეუდგებოდნენ, ეს მკვეთრად გაამწვავებდა რუსეთთან ურთიერთობებს. ერთობლივ პრესკონფერენციაზე მოსკოვში ვ. პუტინმა განაცხადა, რომ უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობა ნატოს წინააღმდეგია: **„საბოლოო ჯამში ყველა ქვეყანა თავად წყვეტს, როგორ უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება და ჩვენ, რა თქმა უნდა, მივიღებთ ქართველი და უკრაინელი ხალხის არჩევანს, მაგრამ ეს სწორედ ხალხის არჩევანი უნდა იყოს და არა პოლიტიკური ელიტისა“.**

მერკელი დაეთანხმა, რომ **„მნიშვნელოვანია, ნატოს მომავალი წევრების საზოგადოება მხარს უჭერდეს ნატოში შესვლის იდეას“** და დაამატა: **„ნატოში შემსვლელი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა კონფლიქტების არარსებობა. სწორედ ამაზე უნდა ვიმსჯელოთ ბუქარესტის სამიტზე“.**

ორი დღის შემდეგ ბერლინში მერკელმა გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობას მიმართა და კვლავ საჯაროდ გამოთქვა საკუთარი ეჭვები: **„მე მართლაც მიმაჩნია, რომ რეგიონულ და შიდა კონფლიქტებში გახლართული სახელმწიფოები არ შეიძლება ნატოში შედიოდნენ. ჩვენ ვართ საერთო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შექმნილი კავშირი და არა კავშირი, რომელშიც ცალკეული წევრები საკუთარი უსაფრთხოებისკენ ისწრაფვიან“.**

დეიმონ უილსონის სიტყვებით, პრეზიდენტი

ბუში მიხვდა, რომ მას პირადად და „პრივატულად“ მოუწევდა მუშაობა მერკელთან, რათა აზრი შეეცვლევინებინა. „მან ჩათვალა, რომ საკვანძო რგოლი სწორედ კანცლერია და, თუ მას დაიყოლიებდა, საკითხის გადაწყვეტასაც მიაღწევდა“. ბუქარესტის სამიტის მზადებისას ბუშმა და მერკელმა რამდენიმე ვიდეოკონფერენცია გამართეს. **„საკვირველია, მაგრამ საკმარისი იყო, მერკელის შეშფოთების მოსმენა, რომ ნათელი გამხდარიყო, თუ რამდენად ახლოს იყო იგი ბუშის შეშფოთებასთან. უკრაინა გვაწუხებდა უთანხმოებით მთავრობაში და ნატოს მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით ხალხში. საქართველოში ეჭვს იწვევდა დემოკრატიული ინსტიტუტების სიღრმე და საიმედოობა“.**

განსხვავება შემდგომი ნაბიჯების მიმართ დამოკიდებულებაში იყო. ბუშს მიაჩნდა, რომ საქართველოსთვის მაპის მიცემა სააკაშვილს აიძულებდა „საშინაო დავალების“ შესრულებას, ხოლო მერკელი პროცესის დაწყების მიმართაც კი სკეპტიკური იყო. მას არ სჯეროდა, რომ სააკაშვილი დემოკრატია, — იხსენებს დეიმონ უილსონი.

ბოლო ვიდეოკონფერენციაზე მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. ბუშისთვის არამყარი დემოკრატიის მხარდაჭერა პრინციპის საქმე იყო და მან განაცხადა, რომ ბუქარესტში ეცდება, თავისას მიაღწიოს. ბუშმა დახმარებისთვის სხვა მოკავშირეებს მიმართა. ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა გორდონ ბრაუნმა ამერიკულ პოზიციას მხა-

რი დაუჭირა, მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის სულ სხვაგვარი რეაქცია ჰქონდა. გამოხმაურებამ, რომელიც ამერიკელებმა სარკოზის მრჩევლებისგან მოისმინეს, ისინი დააფრთხო, ბუშის უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი წევრი იგონებდა, რომ **„ბევრ მათგანს იმისაც კი არ სჯეროდა, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა და მით უფრო ეჭვობდნენ, რომ ნატოში მის წევრობაზე მსჯელობა საერთოდ თუ უნდა გამართულიყო“.**

ბუშმა პირდაპირ მიმართა სარკოზის იმ იმედით, რომ მასზე ზეგავლენას შეძლებდა. იგი უხსნიდა, რომ „საქართველო და უკრაინა ევროპისა და ატლანტიკისკენ ისწრაფვიან“. სარკოზი კი ბუშს სთავაზობდა, დაფიქრებულიყო რუსეთზე. საფრანგეთის პრეზიდენტის დიპლომატიური მრჩევლის, ჟან-დავიდ ლევიტის, სიტყვებით, „სარკოზი ცდილობდა, მიეხვედრებინა, რომ ამ სიტუაციაში ჩვენ გერმანიის მხარეზე ვიყავით. ჩვენი მიდგომის მიზანი იყო, მიგვეცა რუსეთისთვის დრო, რათა იგი მიმხვდარიყო, რომ მისი მომავალი ევროპის მომავალს უკავშირდება და მისი უსაფრთხოება კი არ უნდა გვთიშავდეს, არამედ უნდა გვაერთიანებდეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მაპთან დაკავშირებით არ უნდა ავჩქარებულიყავით, მაგრამ ამასთანავე დადებითი სიგნალი უნდა მიგვეცა ჩვენი ქართველი და უკრაინელი პარტნიორებისთვის ბუქარესტში“.

სარკოზიმ მოძებნა ახალი ეფექტური ხერხი, რათა ამერიკის პრეზიდენტისთვის აეხსნა, თუ

რას ნიშნავს ნატოს წევრობა უკრაინისა და საქართველოსთვის. მაპი ეს არის „ღია კარში შედგმული ფეხი“, ანუ შეუქცევადი ნაბიჯი, რომელიც ნატოს სრულუფლებიანი წევრობით დასრულდება და მაშინ შეთანხმების მეხუთე პარაგრაფზე მოგვიწევს დაფიქრება, რომელიც ერთობლივ თავდაცვას ეძღვნება. **„რა რაოდენობით ჯარის გაგზავნა შეგვიძლია დასახმარებლად ჩვენს ახალ წევრებზე თავდასხმის შემთხვევაში?“** — ჰკითხა სარკოზიმ ბუშს. აი, რატომ ანიჭებდა საფრანგეთი პრიორიტეტს რუსეთთან პარტნიორობას **„რათა კონტინენტზე ყველანი უსაფრთხოების ერთნაირ შეხედულებებს იზიარებდნენ“.**

ეჭვები თავად აშშ-ის ადმინისტრაციაშიც გამოითქმოდა. თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი და სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი გარკვეულწილად იზიარებდნენ ევროპელების შეშფოთებას ქართულ და უკრაინულ დემოკრატიასთან დაკავშირებით. გეიტსი იხსენებს: **„ვფიქრობდი, რომ, რეფორმების განვითარების თვალსაზრისით, ამ ორ ქვეყანას კიდევ ჰქონდა გზა გასავლელი“.**

მაგრამ იმ დღეს „თავისუფლების პოლიტიკის“ მომხრეებმა გაიმარჯვეს. „აშშ-ს რომ ფიასკო განეცადა და მაპი არ მიეცათ, თავად ეს მოვლენა იქცეოდა პროვოკაციად, რუსეთს აფიქრებინებდა, რომ მას მუდამ შეეძლებოდა საქართველოსა და უკრაინას ნატოში გაწევრიანებისთვის ხელის შეშლა. ეს კი ევროპაში სტაბილურობას კი არა, დაძაბულობის ზრდას შეუწყობდა ხელს“, –

© „ღამისფრთიანი ფრინველი“

იხსენებს მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში — სტივენ ჰედლი.

ბუქარესტის სამიტი 2-4 აპრილს რუმინეთის ყოფილ დიქტატორ ჩაუშესკუს პომპეზურ სასახლეში ისეთივე მწვავე ვითარებაში ჩატარდა, როგორც ყველა სამიტი ნატოს ისტორიაში. **ამერიკელებმა და აღმოსავლეთ ევროპელებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოსა და უკრაინას, არადიპლომატიურად ისროლეს ტალახი, ხოლო ფრანგებმა და გერმანელებმა აღმოაჩინეს, რომ მათ ბრალს სდებენ რუსეთისთვის „თავის მოქონვაში“.** პირველ დღეს ვახშამზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა დისკუსია გამართეს, მაგრამ ვერც კი მიუახლოვდნენ რეზოლუციას, რომელსაც სამიტი მხარს დაუჭერდა. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ განაცხადა, რომ მას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს „ზოგიერთმა მოკავშირემ“ (მხედველობაში გერმანია ჰყავდა) რუსების წინაშე ვალდებულებები აიღო — არ დაუშვას, რომ საქართველომ და უკრაინამ მაპი მიიღოს.

კონდოლიზა რაისმა აღიარა: მას ეჩვენებოდა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანას ცოტა დააკლდა, არ ეთქვა გერმანელებისთვის, რომ ვინ — ვინ და ისინი არ უნდა გადაეღობონ გზაზე იმ ხალხებს, რომლებიც 1930-1940-იან წლებში გერმანიის ქმედებების გამო ტირანიისგან დაზარალდნენ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი, უბრალოდ, შეურაცხყო-

ფილი იყო. იგი ცდილობდა, აეხსნა, რომ კავკასიის რეგიონში კონფლიქტური სიტუაციაა, რომელშიც ჩათრევის რისკის წინაშე დგას ნატო. მისი სიტყვებით, „ისეთი რამ გამოითქმებოდა, რომელიც მერჩივნა, არასოდეს გამეგონა; ნატოს გაფართოების მოწინააღმდეგეებს ადარებდნენ იმ პირებს, რომლებიც 1938 წელს მიუნხენში შეიკრიბნენ. ეს აბსოლუტურად არაკორექტული იყო“.

ნატოს ლიდერების პლენარული სხდომა დილის 9 საათზე უნდა გამართულიყო, მაგრამ ამერიკელებმა პრობლემის მოგვარება მანამდე, საუზმისას სცადეს ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, აგრეთვე, პოლონეთისა და რუმინეთის წარმომადგენლებთან ერთად. დეიმონ უილსონი აღიარებს, რომ დამხმარე ძალის გამოძახების მიზეზი ჰქონდათ: „ჩვენ გადავწყვიტეთ რუმინეთის, როგორც მასპინძელი ქვეყნის, და პოლონეთის, როგორც ნატოს გავლენიანი წევრის, მიწვევა. ეს ორი ქვეყანა ჩვენს პოზიციას უჭერდა მხარს“.

ჟან-დავიდ ლევიტი, საფრანგეთის მთავრობის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, იხსენებს: „ღამის პირველ საათზე დამირეკეს, მერე — სამ საათზე, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ სწორად გავიგე, სად და რა დროს უნდა მივსულიყავი საუზმეზე“, მაგრამ მეგობრული საუზმის ნაცვლად რაღაც ტრიბუნალის მსგავსი რამ გაიმართა. სახელდახელოდ შედგა ტექსტი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოსა და უკრაინის მიმართულებით ნა-

© „ღასაბუღი ეროსაფლი“

ტოს „ინტენსიურ გაფართოებას“ და, ასევე, პროგრესის კიდევ ერთ შეფასებას დეკემბერში.

როდესაც საერთო სხდომამდე 9 საათზე ეს ტექსტი დარიგდა, ზოგიერთი აღმოსავლეთევროპელი ლიდერის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა. ლიტვის, პოლონეთისა და რუმინეთის პრეზიდენტებმა ღიად მიანიშნეს, რომ ფორმულირებები ახლოსაც კი არ არის იმასთან, რასაც ისინი ელოდნენ. **„გაცოფებულნი იყვნენ,** — იხსენებს სტივენ ჰედლი, — **მათ მიიჩნიეს, რომ ეს დოკუმენტი რუსეთის მოთხოვნებისა და აკრძალვების წინაშე კაპიტულაციას წარმოადგენდა და მასში ცვლილებების შეტანას მოითხოვდნენ**“. ნატოში გადაწყვეტილებები საერთო თანხმობით მიიღება, მაგრამ, როდესაც ლიდერებმა მრგვალი მაგიდის გარშემო ადგილები დაიკავეს, მათ შორის თანხმობის ნასახიც არ იყო. კომპრომისის მისაღწევად ძალისხმევას არ იშურებდნენ. ჰოლის მძიმე დრაპირების მიღმა საგარეო საქმეთა მინისტრები და მრჩევლები ჯგუფებად იკრიბებოდნენ და იმპროვიზებულ მოლაპარაკებებს მართავდნენ.

სტივენ ჰედლი ერთ-ერთ ინტერვიუში ასე აღწერს ვითარებას: **„საგარეო საქმეთა მინისტრებმა ოთახის სილრმეში გადაინაცვლეს. ყველა ჭაღარა იყო და კოსტუმში გამოწყობილი. შემდეგ ელეგანტურ ლაიმისფერ ჟაკეტში გამოწყობილი ანგელა მერკელი შეუერთდა ამ მამაკაცებს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან. ამასობაში კოხტად გამოწყობილი კონდოლიზა რაისიც დაბრუნდა და მათთან მი-**

ვიდა. და როგორ გგონიათ, რომელ ენაზე საუბროგდნენ? რა თქმა უნდა, რუსულად! ანგელამ რუსული აღმოსავლეთ გერმანიაში ისწავლა, კონდიმაც სტუდენტობიდან იცის“.

სწორედ მერკელმა აიღო კალამი და ფურცელზე დაწერა ფრაზა, რომელიც ვითარების შეცვლის პირობას წარმოადგენდა. **„დღეს ჩვენ შევთანხმდით, რომ ოდესმე საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები გახდებიან“.** მაპის არავითარი ხსენება — მხოლოდ მტკიცება, რომ ეს ორი ქვეყანა ნატოში შევა. მაშინ აღმოსავლეთ ევროპელებმა პროტესტი გამოთქვეს, რომ **„ოდესმე“ ნიშნავს „არასდროს“** და ეს სიტყვები წაშალეს. კონდოლიზა რაისი, რომელმაც რამდენიმე წუთით დატოვა მაგიდა, დაბრუნებისას სასიამოვნოდ გაოცდა: **„ფორმულირება ისე ჟღერდა, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები იქნებიან. მივიჩნიე, რომ ეს მშვენიერი გარიგება იყო და პრეზიდენტთან ვიჩქარე, რათა მეთქვა — „დათანხმდით“!**

როცა ვნებები ჩაცხრა და დოკუმენტი მიიღეს, გორდონ ბრაუნი ჯორჯ ბუშისკენ გადაიხარა და ეხუმრა: **„თვითონ არ ვიცი, რა ვქენით ახლა. მაპი რომ არ მიგვიცია, მახსოვს, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ნატოში არ მივიღეთ“.**

ამ კომპრომისის შედეგები მოგვიანებით გამოჩნდა. ბუში და აღმოსავლეთ ევროპელები ბედნიერნი იყვნენ, რადგან საქართველოსა და უკრაინას ნატოს წევრობას დაჰპირდნენ; მერკელი კმაყოფილი იყო იმით, რომ არსად აღუნიშ-

© „ღონისძიების ეროვნული“

ნავთ, თუ როდის მოხდებოდა ეს; საქართველო და უკრაინა მთლიანობაში მოხარული იყვნენ, თუმცა გული სწყდებოდათ, რომ ნატოში გაწევრიანება გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ანგუს როკსბორო: „ამ მოვლენების განვითარებისას ვფიქრობდი: განა უფრო იოლი არ იყო, ნატო სერიოზულად მოკიდებოდა ვ. პუტინის კითხვებს ორგანიზაციაში შესვლის შესახებ? განა უფრო ლოგიკური არ იქნებოდა გადაწყვეტილებების რუსეთთან, საქართველოსთან და უკრაინასთან ერთად მიღება, ვიდრე კომპრომისების ძიება, რაც რუსეთის აზრის გათვალისწინებას ემსახურებოდა, ოღონდ იმ ფორმით, თითქოს რუსეთის აზრს არ ითვალისწინებენ“?

* * *

2008 წლის იანვრის ვადამდელი არჩევნების წინ სააკაშვილმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სულ რამდენიმე თვეში დაბრუნების პირობა დადო. მან ცხინვალს „მორყეული კბილი“ უწოდა, რომელიც უნდა ამოიღო. კოსოვოს პრეცედენტმა და ბუქარესტის მოვლენებმა იგი ააჩქარა. შესაძლოა, მიაჩნდა, რომ „გაყინული კონფლიქტების“ გადაწყვეტა უნდა იჩქაროს, რაკი სწორედ მათ ასახელებდნენ ნატოში გაწევრიანების ძირითად წინაღობად.

ბუქარესტის სამიტის დამთავრებიდან მეორე დღეს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი სააკაშვილთან თბილისში ვახშმობდა და იმდენად შეშფოთდა მოსალოდნელი საომარო მოქმედებების შესახებ სააკაშვილის

გამონათქვამებით, რომ ამერიკელ კოლეგებს დაურეკა გასაფრთხილებლად. **ბუშმა სააკაშვილს დაურეკა: „ძვირფასო მეგობარო, მინდა გაიგოთ, — ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დაგიჭერთ მხარს. დიახ, თქვენ სუვერენული სახელმწიფოს მეთაური ხართ და ჩვენ პატივს გცემთ, მაგრამ, თუ სამხედრო ძალის გამოყენების ინიცირებას მიმართავთ, აშშ-ის მხარდაჭერას ვერ მიიღებთ“.**

როგორც ჩანს, ვაშინგტონის მარტის შეხვედრიდან სააკაშვილი მცდარი შთაბეჭდილებით დაბრუნდა, თითქოს პრეზიდენტმა ბუშმა მას კონფლიქტური რეგიონების შემოერთების ნება დართო. **დეიმონ უილსონი კატეგორიულად უარყოფს ბუშის მიერ ნებისმიერი საომარი მოქმედების წახალისებას: „პრეზიდენტი უბრალოდ ვერ მოახერხებდა უფრო მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა აზრი, რომ საომარი მოქმედება მიზანშეუწონელია. იგი დიპლომატიისკენ მოუწოდებდა და აფრთხილებდა, არ გადაებარებინა საკითხის გადაწყვეტა სამხედროებისთვის“.**

მაგრამ სააკაშვილმა დიპლომატიური გზის რწმენა დაკარგა. ბუქარესტის სამიტამდე რამდენიმე კვირით ადრე რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ განაცხადა, რომ „საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული გზა ნატოში სრულ ინტეგრაციაზე, საქართველოს საკუთარი ტერიტორიისა და მასზე მცხოვრები ადამიანების გაერთიანების უფლებას ართმევს“.

საქართველოს ხელისუფლებას ერთი სული

© „ღვასაბაძეების ანსამბლი“

ჰქონდა, მოქმედებაზე გადასულიყო. აპრილში ამერიკის ერთ-ერთი ოფიციალური წარმომადგენელი ესაუბრა ქართველ ძალოვანებს, ითქვა, რომ რუსები მოქმედებაზე გადასვლისთვის ემზადებიან. მიგვაჩნია, რომ მათ განზრახული აქვთ ჩვენს ქვეყანაში ჯარების შემოყვანა და მათ საზღვართან უყრიან თავს. ჩვენ ჩვენი წყაროები გვაქვს, ამიტომ მიგვაჩნია, რომ სჯობს, პირველებმა გადავდგათ ნაბიჯი, ვიდრე ველოდოთ, როდის შემოვლენ და დაიკავებენ ქვეყანას.

ამერიკელმა ოფიციალურმა პირმა უპასუხა: „ხომ გესმით, რომ ეს თვითმკვლელობაა!“ ქართველებისგან კი ასეთი პასუხი მიიღო: „თუ ისინი მიჯნას გადმოვლენ, გვირჩევნია მოვკვდეთ, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები და ნამდვილი ქართველები!“

როგორ მოიქცნენ ეს „ჭეშმარიტი პატრიოტები და ნამდვილი ქართველები“, ომის დღეებში მთელმა საქართველომ დაინახა. საზღვარზე რიგები დადგა და „კორუფციასთან მებრძოლი რაინდები“ ნებისმიერ თანხას იხდიდნენ საქართველოს ტერიტორიის ურიგოდ დატოვებაში! მოგვიანებით კი 150 დაკარგულ ქართულ სოფელს მიხეილ სააკაშვილმა „ქვების გროვა“ და „გამოუსადეგარი ადგილები“ უწოდა! თუმცა კვლავ ანგუს როკბოროს ნაამბობს მივუბრუნდეთ.

2008 წლის მთელი გაზაფხულის განმავლობაში რუსეთი ამტკიცებდა, რომ საქართველო თავდასხმისთვის ემზადება, საქართველო კი პირი-

ქით — რომ ამას რუსეთი აპირებს, მაგრამ სავარაუდო ცხელ წერტილად აფხაზეთი მიიჩნეოდა და არა სამხრეთ ოსეთი. რუსეთმა რეგიონში სამხედრო დამხმარე ძალა გააგზავნა, საქართველომ მის კონტროლქვეშ მყოფ კოდორის ხეობაში სამხედრო ძალის კონცენტრაცია მოახდინა. საქართველოს უპილოტო მზვერავი აპარატები რეგიონში რუსული ჯარის გადაადგილებას ადევნებდნენ თვალს. აფხაზები ამას სუვერენიტეტის დარღვევად აფასებდნენ, რუსმა ჯარისკაცებმა რამდენიმე აპარატი ჩამოაგდეს.

აპრილის ბოლოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველო აფხაზეთში სამხედრო შეჭრისთვის ემზადება. რუსეთმა საზოგადოებრიობას ამცნო, რომ „ყველა საშუალებით“ დაიცავს საკუთარ მოქალაქეებს ორივე სადავო ტერიტორიაზე. მაისის დასაწყისში კონდოლიზა რაისმა შეშფოთება გამოხატა აფხაზეთში რუსი სამხედროების რაოდენობის ზრდის გამო, ხოლო ერთ კვირაში საქართველომ გამოაქვეყნა მზვერავი თვითმფრინავების მიერ გადაღებული ფოტოები, რომლებიც ადასტურებდა აფხაზეთში რუსული სამხედრო ძალის გადაადგილებას. მაისის ბოლოს რუსეთმა განაცხადა, რომ აფხაზეთში 400 უიარაღო ჯარისკაცს აგზავნის რკინიგზის შესაკეთებლად. ქართულმა მხარემ ეს შემოჭრისთვის მზადების მტკიცებულებად მიიჩნია და ქვეყნის ხელმძღვანელობამ დისკუსია დაიწყო იმაზე, ხომ არ სჯობს წინმსწრები დარტყმის განხორციელება.

იმჟამად საგარეო საქმეთა მინისტრის მოად-

© „ღონისძიების ცხელი ხაზი“

გილე **ბიგა ბოკერია** აცხადებდა: **„მთავარი საკითხია, — რა მომენტში არ შეუძლია სუვერენულ სახელმწიფოს, არ მოახდინოს რეაგირება მაშინაც კი, თუ ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, აგრესია მასირებული იქნება თუ არა“.**

თავდაცვის მინისტრის მოადგილე **ბათუ ქუთელია**: **„ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს შეუძლია მათი დაცვა და შეუძლია რეაგირება ქმედებებზე, რომლებიც ქართველი ხალხის შეშფოთებას იწვევს, რომ ქვეყანა ყველა რესურსს გამოიყენებს, რათა ამგვარი საფრთხე გაანადგუროს“.**

პარლამენტის თავმჯდომარის **ნინო ბურჯანაძის** შეფასება უფრო ფრთხილი და თავშეკავებული იყო: **„პრეზიდენტის და ჩემს დარწმუნებას ცდილობდნენ, რომ რუსებს ჟანგიანი ტანკები ჰყავთ, ხოლო ჩვენ — ყველაზე თანამედროვე აღჭურვილობა და რომ საქართველო ერთ ღამეში დაამარცხებდა რუსეთს. თითქმის მთელ უშიშროების საბჭოს უნდა აფხაზეთში სამხედრო შეჭრა“.**

რუსეთის პრემიერმინისტრ ვ. პუტინს ფრანგულმა გამოცემა Le Monde-მა კითხვა დაუსვა, თუ როგორ უყურებს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების სააკაშვილის მიერ შეთავაზებულ მშვიდობიან გეგმას მისთვის უპრეცედენტო ავტონომიის მინიჭების გზით და საქართველოს ვიცეპრეზიდენტის პოსტის აფხაზეთისთვის დათმობით.

ვ. პუტინმა უპასუხა: **„ძალიან დიდ იმედს ვამყარებ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ შეთავა-**

ზებული გეგმა თანდათან განხორციელდება, რადგან მთლიანობაში ეს გეგმა გონივრულად გამოიყურება“.

რამდენიმე დღის შემდეგ, 6 ივნისს სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ დსთ-ს სამიტამდე, სააკაშვილისა და პრეზიდენტ მედვედევის პირველი შეხვედრა გაიმართა. ორივე პოზიტიურად იყო განწყობილი, თითქოს მზად იყვნენ, ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან დაეწყოთ.

დ. მედვედევი: — ვფიქრობ, შევძლებთ ყველა სირთულის დაძლევას და გადაწყვეტილებების მიღებას ხანგრძლივი ვადით. თქვენ როგორ მიგაჩნიათ?

მ. სააკაშვილი: — თანახმა ვარ, გადაულახავი პრობლემები არ არსებობს, მოუგვარებელი გვაქვს, მაგრამ გადაულახავი — არც ერთი.

მოგვიანებით, როცა ამ შეხვედრას იხსენებდა,

© „ღუსუბაძეების ოჯახი“

სააკაშვილი ამბობდა: **„თავი სულ სხვაგვარად ეჭირა, ვიდრე პუტინს. იგი გახსნილი იყო და კეთილად განგაწყობდა საკუთარი თავის მიმართ“** (ასეთივე მოგონებები შემორჩა სააკაშვილს პუტინთან პირველი შეხვედრის შესახებაც). ქართულმა მხარემ იმედით მოისმინა დ. მედვედევის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ „მას ეს სიტუაცია მემკვიდრეობით ერგო და მისი ინიცირებული არ არის“ და რომ იგი მზად არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებისთვის „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ჩარჩოში“.

ეს იმას ნიშნავდა, რომ **რუსეთი არ იყო დაინტერესებული ამ ორი რეგიონის მიერთებით და მათ საქართველოს ნაწილად მიიჩნევდა**. სააკაშვილი აცხადებდა, რომ ეს შეხვედრა დაიმედებულმა დატოვა და მედვედევმა სოჭში შეხვედრა და „ვარიანტების განხილვა შესთავაზა“. თუმცა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა შენიშნა, მას არაფერი უთქვამს იმაზე, რომ, რუსეთის თვალსაზრისით, პროგრესის აუცილებელ პირობას საქართველოს მიერ ძალის გამოუყენებლობის დოკუმენტზე ხელის მოწერა წარმოადგენდა. მედვედევის დიპლომატიურმა მრჩეველმა სერგეი პრიხოდკომ ინტერვიუში განაცხადა: „საკვანძო მომენტი იყო წინადადება — ძალის გამოუყენებლობაზე ერთობლივი დოკუმენტის შედგენა. ადგილიც დასახელდა, სადაც ეს უნდა მომხდარიყო — სოჭი. ჩემი აზრით, სააკაშვილმა ეს წინადადება პოზიტიურად მიიღო“.

თუმცა ძალის გამოუყენებლობის საკითხმა შემდგომ რამდენიმე თვეში ურთიერთობა გაართულა. სააკაშვილის სიტყვებით, რუსულ მხარეს უნდოდა, საქართველოს ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელი აფხაზებთან და ოსებთან მოეწერა, ხოლო თავად რუსეთი გარანტის როლში მდგარიყო. სააკაშვილისთვის კი ეს იგივე იყო, რომ „მელიისთვის საქათმე ჩაებარებინა“. იგი ძალის გამოუყენებლობაზე მხოლოდ რუსეთთან ხელმოწერაზე იყო თანახმა. რუსულ მხარეს კი მიაჩნდა: „რაში გვჭირდება ეს დოკუმენტი? ჩვენ იქ ჯარი არ გვყავს, იქ მხოლოდ ჩვენი მშვიდობისმყოფელები არიან“.

ივნისის შუა რიცხვებში მხარეებმა კონფიდენციალური წერილები გაცვალეს. სააკაშვილმა მედვედევს რამდენიმე წინადადება გაუგზავნა, რომელიც მას სასარგებლოდ მიაჩნდა აფხაზეთში დაძაბულობის განსამუხტად, მაგრამ მისმა წერილმა, როგორც მედვედევის პასუხმა, ფუნდამენტური წინააღმდეგობანი წარმოაჩინა. სააკაშვილმა შესთავაზა საქართველოს სიახლოვიდან მშვიდობისმყოფელების გაყვანა და გალსა და ოჩამჩირეში დევნილების დაბრუნება, სადაც ერთობლივი ქართულ-აფხაზური მმართველობა იყო გათვალისწინებული.

მხოლოდ ამის შემდეგ (სააკაშვილის გათვლებით, დეკემბერში) შესაძლებელი იქნებოდა ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერა, როცა აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე ქართველი დევნილები დაბრუნდებოდნენ. თავის მოსაქონად სააკაშვილმა საქარ-

© „ღამისფრთიანი ანგელოზი“

თველოს მხრიდან დახმარება შესთავაზა 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადის მზადებაში, მანამდე კი მოუწოდა რუსული ჯარის გაყვანისკენ და ვ. პუტინის 16 აპრილის დირექტივის გაუქმებისკენ, რომელიც გამოყოფილ რეგიონებთან ურთიერთობას არეგულირებდა.

მედვედევმა მიიღო სოჭის ზამთრის ოლიმპიადის მზადებაში დახმარების წინადადება, დანარჩენი კი თავაზიანად უარყო, როგორც აუხდენელი ოცნებები. იგი წერდა, რომ რთული წარმოსადგენია ერთობლივი ქართულ-აფხაზური მმართველობა აფხაზეთის რომელიმე ნაწილში, ხოლო დევნილთა დაბრუნებაზე ლაპარაკი ნაადრევია. საქართველოსთვის პრიორიტეტი უნდა გახდეს რეალური ზომების გატარება დაძაბულობის განსამუხტად, უპირველესად, ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერა აფხაზურ მხარესთან და კოდორის ხეობიდან ჯარის გაყვანა.

თანხმობის შემთხვევაში მედვედევი სააკაშვილს სამიტის ჩატარებას დოკუმენტის ხელმოწერით ივლისში ან აგვისტოში სთავაზობდა. **რუსული მხარე არწმუნებდა ამერიკელებს, გავლენა მოეხდინათ მოკავშირეზე.** სერგეი ლავროვმა სატელეფონო საუბარში კონდოლიზა რაისს უთხრა: **„სააკაშვილი ცეცხლს ეთამაშება. თავი შეაკავებინეთ ავანტიურისგან. დაარწმუნეთ, ხელი მოაწეროს ძალის გამოუყენებლობას“.**

როგორც ლავროვი ამბობს, რაისმა უპასუხა: **„სერგეი, ნუ ღელავთ. მას ხომ ნატოში შესვლა**

უნდა და მშვენივრად ესმის, რომ ძალის გამოყენების შემთხვევაში ნატო უნდა დაივიწყოს“. რაისს ახსოვს ეს საუბარი და აცხადებს, რომ დაამატა: **„ძალის გამოყენების შემთხვევაში ისინი ნატოში წევრობას შემდეგი თაობის დაბადებამდე უნდა ელოდონ“.** თუმცა ამავე დროს კონდოლიზა რაისმა რუსულ მხარეს ისიც აცნობა, რომ მისი მუქარა გაართულებდა „სააკაშვილის შიდა მდგომარეობას და ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერას“.

დ. მედვედევი და მ. სააკაშვილი ომამდე კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრა ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში შედგა. მეორე დღეს, 6 ივლისს პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის დაბადების დღე იყო და მან მაღალი რანგის სტუმრები პრესტიჟულ ღამის კლუბში დაპატიჟა.

დ. მედვედევიც და რუსეთის კიდევ სამი ოფიციალური პირი საკუთარ ინტერვიუებში ხაზს უსვამდნენ: რაღაც მიზეზის გამო სააკაშვილი გაირინდა მას შემდეგ, რაც ასტანის სამიტიდან ოთხი დღის შემდეგ მას თბილისში ვიზიტით კონდოლიზა რაისი ეწვია. დ. მედვედევი ამბობდა: **„ამ ვიზიტის შემდეგ მან საერთოდ გაწყვიტა ჩვენთან ურთიერთობა. აღარც გვწერდა და აღარც გვირეკავდა. ნათელი იყო, რომ ახლა უკვე სხვა გეგმემები ჰქონდა“.**

ეჭვს არ იწვევს, რომ თბილისში ვიზიტისას კონდოლიზა რაისი წინააღმდეგობრივ სიგნალებს იძლეოდა — იგი თავად ამბობს ამას. საქართველოში 9 ივლისს ჩაფრინდა. ერთი დღით

© „ღვასტაბაძეების ოჯახური“

ადრე რუსეთმა იარაღი ააჟღარუნა: ოსეთის ცაში სამხედრო თვითმფრინავები დაფრინავდნენ, რათა „თბილისში ცხელი თავები შეეგრილებინათ“, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა. რესტორან „კოპალას“ ვერანდაზე ვახშმობისას კონდოლიზა რაისი კვლავ არწმუნებდა სააკაშვილს, რომ ძალის გამოყენებაზე უარი უნდა ეთქვა.

— კი მაგრამ, რატომ? უარაფროდ რომ დავრჩე?

კ. რაისმა აუხსნა: — **მოგიწევთ, სხვა გამოსავალი არ გაქვთ. თუ რუსულ ჯართან ომში ჩაებმებით, არავინ დაგეხმარებათ და წააგებთ.**

თუმცა პრივატული საუბრისას ნათქვამი ეს მკაცრი სიტყვები საჯარო განცხადებებში ისე შეიცვალა, რომ სააკაშვილს მის წახალისებადაც შეეძლო მიეღო. თბილისიდან გამგზავრებამდე, პრესკონფერენციაზე რაისმა დარწმუნებით განაცხადა ტერიტორიულ მთლიანობაზე საქართველოს უფლების შესახებ და რუსეთის მიმართ კრიტიკით გამოვიდა: **„ჩვენ სრული პასუხისმგებლობით ვეკიდებით ჩვენს მოვალეობას, დავეხმაროთ მოკავშირეებს თავდაცვაში და ამაში ეჭვი არავინ უნდა შეიტანოს“.**

ინტერვიუში რაისმა განაცხადა, რომ ეს ლიტონი სიტყვები არ არის: **„ძალიან მნიშვნელოვანია, ქართველებმა იცოდნენ: თუ ისინი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, მათ მხარს აშშ დაუჭერს, თუკი რუსეთი თავის ვალდებულებებს არ შეასრულებს.**

და მე სრულიად შეგნებულად განვაცხადე პრესის თანდასწრებით, რომ აშშ საქართველოს დაიცავს“.

რუსულმა მხარემ, როგორც ჩანს, მიიჩნია, რომ სააკაშვილმა ამ მხარდაჭერიდან ყველაფერი გაიგო, რაც სჭირდებოდა. დ. მედვედევს მიაჩნია, რომ მ. სააკაშვილს კონდოლიზა რაისის ამ გამონათქვამმა ფრთა შეასხა და მან სამხრეთ ოსეთზე თავდასხმა გადაწყვიტა. ამიტომაც შეწყიტა მოსკოვთან დიალოგი. სააკაშვილი, პირიქით, დარწმუნებულია, რომ მედვედევმა შეწყვიტა დიალოგი, რადგან ვ. პუტინმა საქართველოში შეჭრა გადაწყვიტა და დ. მედვედევს გაჩუმება ურჩია. ასე იყო თუ ისე, სიჩუმემ დაისადგურა და, შესაბამისად, დიპლომატიის მეშვეობით ომის თავიდან არიდების სულ უფრო ნაკლები იმედი რჩებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთის 58-ე არმიამ მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლება დაიწყო. სწავლებაში 8000 ჯარისკაცი, 700 სამხედრო მანქანა და 30 თვითმფრინავი მონაწილეობდა. ერთდროულად საქართველოში 1630 ამერიკელმა და ქართველმა სამხედრომ მიიღეს მონაწილეობა ერთობლივ სწავლებაში სახელწოდებით „მყისიერი პასუხი — 2008“. საოცარია, მაგრამ, მიუხედავად პერიოდული მცირე შეტაკებებისა სამხრეთ ოსეთში, ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობამ სიტუაცია საკმარისად მშვიდად მიიჩნია და შვებულებაში გავიდნენ.

ამერიკის ერთ-ერთი ოფიციალური წარმომად-

© „ღამისფერი ეროვნული“

გენელი, რომელიც ივლისში თბილისში იმყოფებოდა, ქართველ ლიდერებთან ერთად ვახშმობდა მათ გამგზავრებამდე. სააკაშვილი იტალიურ კურორტზე მიეშურებოდა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია კი — ესპანეთში: „ისინი კმაყოფილები იყვნენ და სრულიად მშვიდად ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს სიტყვებით — სამი კვირის ან ერთი თვის შემდეგ შევხვდებით. სამუშაოზე არც იფიქრო!“

რუსეთის ხელმძღვანელობაც აგვისტოს პირველ რიცხვებში დასასვენებლად წავიდა. ანგუს როკსბორო იხსენებს, რომ 5 აგვისტოს, ოთხშაბათს რუსეთის მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა მასთან საუბარში თქვა: „საკითხავი ის კი არ არის, იქნება თუ არა ომი, — ომი იქნება“. მისივე შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ 7-დან 8 აგვისტოს ღამეს ცხინვალის მიმართულებით მასირებული სროლა ქართული მხრიდან დაიწყო, ომის წამოწყებაში ბრალს მაინც რუსეთს სდებდნენ. ყოველ შემთხვევაში, თავიდან ასე იყო — ამ ომს საბჭოთა პერიოდის უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის შეჭრას ადარებდნენ. „რუსეთის რეპუტაციას უძლიერესი დარტყმა მიადგა მას შემდეგ, რაც კომუნიზმი დაეცა. თუმცა ევროკავშირის ომის მიზეზების დამდგენმა კომისიამ დაასკვნა, რომ **პირველი აგრესია საქართველოს მხრიდან იყო, თანაც ძალის გამოყენებით, რომელიც „არ იყო გამართლებული საერთაშორისო სამართლის ნორმებით“.** ანგარიშში ასევე ნათქვამი იყო, რომ **ომამდე დაძაბულობის ზრდაში წვლილი**

ორივე მხარემ შეიტანა და რუსეთის რეაქცია არაპროპორციული იყო“.

საყურადღებოა, რომ სააკაშვილი, რომელმაც 7 აგვისტოს 19 საათზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განაცხადა, იმავე დღის 23 საათსა და 35 წუთზე ჯარს ცხინვალის მიმართულებით სატანკო იარაღიდან, ჰაუბიცებიდან და რეაქტიული დანადგარი „გრადიდან“ სროლა უბრძანა. მეორე დღეს კი რუსული ტანკები როკის გვირაბის გავლით, საჰაერო მხარდაჭერის თანხლებით შევიდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

საარტილერიო შტურმის დაწყებიდან სულ მალე ქართული სამშვიდობო ძალების სარდალმა **მამუკა ყურაშვილმა** განაცხადა, რომ „საქართველო აპირებს მთელ რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას“. მოგვიანებით ითქვა, რომ ეს განცხადება შეთანხმებული არ იყო, თუმცა **სატელევიზიო გამოსვლებში პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებდა, რომ „ამ მომენტისთვის ცხინვალის უდიდესი ნაწილი განთავისუფლებულია“.**

მოგვიანებით ქართული მხარე თავს იმით იმართლებდა, რომ ისინი იძულებული იყვნენ, ძალა მხოლოდ იმ მიზნით გამოეყენებინათ, რათა რუსული ჯარის მძლავრი შეტევისთვის გაეწიათ წინააღმდეგობა, თუმცა დამკვირვებელთა უმრავლესობამ (მათ შორის, ევროკავშირის დამკვირვებლებმა) განაცხადა, რომ **ქართული ჯარის შეტევამდე მასშტაბური რუსული შეჭრის არავითარი ნიშანწყალი არ იყო.**

© „ღამისფრთიანი ანგელოზი“

სააკაშვილს თავად ასეთი განცხადება არ გაუკეთებია, მაგრამ გაეროს უშიშროების საბჭოს 8 აგვისტოს სხდომაზე საქართველოს წარმომადგენლობამ განაცხადა, რომ **„05:30 სთ-ზე პირველი რუსული სამხედრო ნაწილები როკის გვირაბის გავლით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შევიდნენ“.** ორი წლის შემდეგ საქართველოს მთავრობის ზოგიერთ წევრთან ინტერვიუებისას, როგორც როკსბორო ამბობს, „ისინი უიმედოდ იბნეოდნენ მოვლენათა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაში.“

ის, რომ ქართულმა მხარემ იერიში პირველმა მიიტანა და ეს არ იყო რუსეთის შეტევის მოგერიება, არამედ სამხრეთ ოსეთის დაპატრონების მცდელობას წარმოადგენდა, მოვლენათა დაწყებამდე ერთი დღით ადრე პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ რადოსლავ სიკორსკის საუბრიდანაც დასტურდება მის კოლეგა ეკა ტყეშელაშვილთან: „ეკამ დამირეკა და შემატყობინა, რომ ისინი სამხრეთ ოსეთში კონსტიტუციური უფლებამოსილების აღდგენას აპირებენ. ამ სიტყვებმა მიმახვედრა, რომ ისინი მოქმედებაზე გადადიან. მე გავაფრთხილე, რომ მეტისმეტი არ მოსვლოდათ და სიფრთხილით ემოქმედათ, რადგან პროვოკაციაზე წამოგება საშინელ შედეგებს მოიტანს“.

ანგუს როკსბორო: „პრეზიდენტი მედვედევი შვებულებაში იყო და ვოლგაზე გემით მოგზაურობდა. პრემიერმინისტრი პუტინი პეკინში ოლიმპიური თამაშების გახსნაზე იმყოფებოდა, ხო-

ლო საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი — პროვინციებში და სამივე მოსკოვისკენ გაფრინდნენ, რათა კრიზისზე რეაგირება მოეხდინათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათთვის ეს მოულოდნელობა იყო და რუსეთს თავდასხმის პროვოცირება არ მოუწყვია.

სხვა საქმეა, რომ მისი არმია კარგად მომზადებული აღმოჩნდა საპასუხო მოქმედებისთვის. მაშ, რატომ დაიწყო ომი მაინცდამაინც ამ მომენტში? ერთი კვირით ადრე ქართველი ლიდერები შვებულებაში გავიდნენ. მათი საუკეთესო სამხედროები ერაყში იმყოფებოდნენ. თუმცა საა-კაშვილი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ცდილობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ფიქრობდა დიპლომატიისთვის უკანასკნელი შანსის მიცემას.

7 აგვისტოს მოლაპარაკებათა მონაწილე თემურ იაკობაშვილი ცხინვალში იმყოფებოდა, თუმცა მოლაპარაკება ჩაიშალა — ოსურმა მხარემ მასში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. **დიახ, რუსეთი იარაღს აჭღარუნებდა, მაგრამ უმთავრესად იმიტომ, რომ საქართველოსთვის თავდასხმა გადაეფიქრებინა და არა იმიტომ, რომ თავად ემზადებოდა თავდასხმისთვის.**

მოსკოვმა ხომ დიდი ვერაფერი მოიგო საქართველოზე შეტევით და, მიუხედავად განცხადებებისა, არც არასოდეს აპირებდა ორი სადავო რეგიონის მიერთებას ან აღიარებას. საქართველოს მარცხი და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შემდგომი აღიარება ვერ შეფასდე-

© „ღვინისფერი ცისკარი“

ბა, როგორც თავდაპირველი განზრახვების მტკიცებულება“.

პეკინში, ცხინვალზე თავდასხმიდან რამდენიმე საათში პუტინი პრეზიდენტებს — ბუშსა და სარკოზის შეხვდა. ორივემ სცადა რუსეთის შეკავება საპასუხო მოქმედებისგან.

ჟან-დავიდ ლევიტი:

„სარკოზიმ უთხრა პუტინს:

— მე ამ წუთში ევროკავშირის პრეზიდენტის პოსტს ვიკავებ. შემიძლია მივაღწიო იმას, რომ ევროკავშირმა ყველაფერი შესაძლებელი იღონოს, რათა ეს ომი შეჩერდეს, რომელიც კატასტროფას ნიშნავს ევროპისთვისაც და რუსულ-ევროპული თანამშრომლობისთვისაც, მაგრამ ამისთვის, ვლადიმერ, 48 საათი დამჭირდება.

პასუხი მოკლე იყო: — არა!

სარკოზი უკან არ იხევდა: — მოიცადეთ, ვლადიმერ, გესმით, რამხელა ფსონია დადებული? 24 საათი მაინც მომეცით.

— არა, ეს შეუძლებელია!

— მაშინ საღამოს 8 საათამდე მაინც...

— არა!“

თუმცა ჯარების შეყვანის შესახებ გადაწყვეტილება პრეზიდენტმა მედვედევმა მიიღო. იგი ამტკიცებს, რომ ვ. პუტინს ამის შესახებ მხოლოდ 24 საათის შემდეგ ესაუბრა, რადგან პეკინთან დაცული სატელეფონო კავშირი არ არსებობდა. მედვედევი ამბობს, რომ იგი თავდაცვის მინისტრმა გააღვიძა და ცხინვალზე შეტევის შესახებ შეატყობინა. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს პროვოკაცია იყო და მხოლოდ მას შემდეგ, რო-

ცა მედვედევმა გაიგო, რომ მშვიდობისმყოფელთა კარავში პირდაპირი დარტყმის შედეგად ყველა სამხედრო დაიღუპა, მან კონტრშეტევის დაწყების ბრძანება გასცა.

ყველა, ვისაც მედვედევი პუტინთან შედარებით „რბილი“ ეგონა, მწარედ შეცდა. ვ. პუტინის სიტყვებით, სწორედ პრეზიდენტმა მედვედევმა უშიშროების საბჭოსთან თათბირის გარეშე მიიღო ეს გადაწყვეტილება. საბჭო შეიკრიბა და დაეთანხმა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, მაგრამ ესეც პუტინის პეკინიდან დაბრუნებამდე მოხდა. ჩასვლისთანავე ვ. პუტინი ჩრდილოეთ ოსეთში, ვლადიკავკაზში გაფრინდა, რათა ადგილზე ენახა სიტუაცია, შემდეგ კი სოჭში შეხვდა მედვედევს, რათა შექმნილ ვითარებაზე ემსჯელათ.

საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე** იხსენებს: **„სააკაშვილი ომში ჩაება იმის აბსოლუტური რწმენით, რომ რუსეთის არმიას დაამარცხებდა. უკანასკნელად ომამდე ხუთი დღით ადრე ველაპარაკე და ვუთხარი: თუ თქვენ ამ ომს დაიწყებთ, ეს იქნება დასასრული ჩემი ქვეყნისთვის და ამას არასოდეს გაპატიებთ“.**

სხვა საკითხია, სააკაშვილის მოკავშირეები დასავლეთში (უპირატესად აშშ-ში), ერთის მხრივ, არ ურჩევდნენ მას ომის დაწყებას, მაგრამ მეორე მხრივ, ხელს არ უშლიდნენ, იმის რწმენა ჰქონოდა, რომ ომიც კი ეპატიება. **ანგელა მერკელმა და სხვებმა იცოდნენ მისი იმპულსურობის შესახებ და მაინც ნატომ წინდა-**

© „ღვინისფერი ცისკარი“

უხედავად მისცა მას წევრობის დაპირება, მიუხედავად იმისა, რომ ამან რუსეთის შეშფოთება გამოიწვია.

მოსკოვმა, არსებითად, ბევრი ვერაფერი მოიგო საქართველოზე შეტევით, და არასოდეს, მიუხედავად განცხადებებისა, არ გამოხატავდა ორი საკამათო რეგიონის არათუ მიერთების, არამედ აღიარების სურვილს. საქართველოს დამარცხება და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შემდგომი აღიარება დამოუკიდებელ „სახელმწიფოებად“ არ უნდა შეფასდეს, როგორც რუსეთის თავდაპირველი განზრახვა.

ანგუს როკსბოროს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ბრძოლის დაწყებამდე არც ერთი მხარე არ გეგმავდა ომში სერიოზულად ჩართვას. საბედისწერო გადაწყვეტილება უკანასკნელ წუთს მიიღეს სააკაშვილმა და მისმა უახლოესმა მრჩეველებმა. შესაძლოა, ისინი ფიქრობდნენ, რომ მთელი მსოფლიოს ყურადღება პეკინის ოლიმპიადისკენ იყო მიპყრობილი. შესაძლოა, აწონ-დაწონეს ყველაფერი, რასაც მათ ამერიკელები ეუბნებოდნენ, და გადაწყვიტეს, რომ მთლიანობაში მათი მხარდაჭერა გარანტირებული აქვთ. ან დაზვერვამ მოახსენა (თუნდაც ეს ცრუ მონაცემები ყოფილიყო), რომ რუსეთის ჯარები უკვე როკის გვირაბში შემოვიდნენო. შესაძლოა, რუსეთსა და სამხრეთ ოსეთთან არშემდგარი მოლაპარაკებისას ქართულმა მხარემ დაინახა საგანგაშო წინაპირობა, დამატებით მედვედევის გაფრთხილებაც გაიხსენა, რომ შეიძლება ბევრად უარესი რამ მოხდეს,

ეს მუქარად შეაფასა და იჩქარეს, ესარგებლათ მოულოდნელად გამოჩენილი შესაძლებლობით, ხელში ჩაეგდოთ სამხრეთ ოსეთი. ასე იყო თუ ისე, ამ გადაწყვეტილებამ დაადასტურა სააკაშვილის ამერიკელი და სხვა დასავლელი კოლეგების ყველაზე ცუდი მოლოდინები, იმ კოლეგების, რომლებიც მის მიმართ კარგად იყვნენ განწყობილნი, პატივს სცემდნენ, სიხარულით აღიქვამდნენ მის სწრაფვას დემოკრატიისადმი, მაგრამ შეშფოთებული იყვნენ მისი უპროგნოზობითა და იმპულსურობით.

ანგუს როკსბორო დელიკატურად წერს: **„ამ ომთან დაკავშირებული ყველაზე მდგრადი ასოციაცია არის ბი-ბი-სის კამერის მიერ დაფიქსირებული სააკაშვილი, რომელიც ნერვიულად იტენიდა პირში საკუთარი ჰალსტუხის ბოლოს; რუსულმა მხარემ ამაში იმის დასტური დაინა-**

© „ღვასრულებენ სანანადგენი“

ხა, რომ სააკაშვილი შეურაცხადია. ეჭვები გაუჩნდათ მის დასავლელ კოლეგებსაც. ანგელა მერკელთან საუბრისას, როცა სამშვიდობო შეთანხმებაზე მუშაობდნენ, სააკაშვილი ისე აღელდა, რომ ცარიელი ჭიქიდან ლამობდა წყლის დალევას, შემდეგ კი წყლის ბოთლი მოისროლა“.

სააკაშვილთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ერთ-ერთი ამერიკელი ოფიციალური პირი ომამდე რამდენიმე კვირით ადრე ესწრებოდა უმაღლესი დონის შეხვედრას თბილისში, ღამის პირველ საათზე. „პირველი, რაც თვალში მეცა, უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღების ხმაურიანი არაორგანიზებული სახე იყო. მაგრამ ასეთია ქართული ადათ-წესები, ყოველ შემთხვევაში, ამ წრეში. იმას კი არ ვამბობ, რომ ნასვამები, მეტისმეტად ახალგაზრდები ან სულელები იყვნენ, უბრალოდ, ხალისით იფხანდნენ ენას. შევედი და გავიგონე: აი, თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ არ გვაქვს უწყებათაშორისი კოორდინაციის პროცედურები, ჩვენ კი ამას უბრალოდ ასე ვაკეთებთ. დალევთ?“ — იგონებს სტუმარი.

მიუხედავად იმისა, რომ ფითილს საქართველომ შეუნთო, ხანძრის გაჩენისთვის განსასჯელთა სკამზე რუსეთი აღმოჩნდა. გარკვეულწილად ეს იმიტომ მოხდა, რომ წარმოდგენები ომის შესახებ საერთაშორისო ტელერეპორტაჟებით შეიქმნა, რომლებშიც თითქმის ან სულ არ იყო ნაჩვენები ქართული ჯარის მიერ ცხინვალის დაბომბვა და ნგრევა. სამაგიეროდ, მაყურებელს მუდმივად სთავაზობდნენ ამის შემდეგ რუსული

ჯარის მიერ დაბომბილი გორის ამსახველ სიუჟეტებს. ეს კი, თავის მხრივ, იმიტომ მოხდა, რომ რუსული მხარე ჟურნალისტებს ცხინვალში არ უშვებდა, ხოლო ქართული — ხელს უწყობდა პრესის გორში შესვლას.

ბი-ბი-სის მსოფლიო მოვლენების განყოფილების რედაქტორი **ჯონ უილიამსი** საკუთარ ბლოგში წერდა: „უსაფრთხო არ იყო თბილისიდან ცხინვალში შესვლა. რუსების თქმით, იგი სერიოზულად დაზარალდა ქართული ჯარების მოქმედების გამო. მხოლოდ ოთხშაბათს, პირველი სროლებიდან ექვსი დღის შემდეგ მოახერხა ბი-ბი-სის გადამღებმა ჯგუფმა, საკუთარი თვალით ენახა, რა მოხდა, ისიც რუსეთის ოფიციალური პირების თანდასწრებით“.

ამ ომში პიარ-კონსულტანტების როლის შესახებ ბევრი დაიწერა, ბევრი შეფასება გადაჭარბებულია. საქართველოს ძირითად აქტივად თავად სააკაშვილი იქცა, რომელიც გამუდმებით აძლევდა ინტერვიუებს გამართული ინგლისურით და ფრანგულით, როგორც ჩანს, მისი დასავლური პიარგუნდის თანხმობის გარეშე. მეორე მხრივ, მოსკოვი ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა კონსულტანტების მოწოდებას, დაეშვათ ჟურნალისტები სამხრეთ ოსეთში და მხოლოდ მოგვიანებით შესთავაზა ინგლისურენოვანი ინტერვიუერები ისეთ არხებს, როგორიცაა ბი-ბი-სი და სი-ენ-ენი.

ომის მეორე დღეს რუსულმა ბომბდამშენებმა 120 საბრძოლო გაფრენა განახორციელეს, გაანადგურეს საქართველოს

© „ღუსუბაძეების ეროვნული“

სამხედრო ინფრასტრუქტურა, მათ შორის აშშ-დან, ისრაელიდან და უკრაინიდან მიღებული ახალი ტექნიკაც.

მეორე დღეს **კონდოლიზა რაისმა,** რომელიც თავის დეიდასთან და დასთან ერთად ის-ის იყო დასასვენებლად წავიდა დასავლეთ ვირჯინიის კურორტზე, **სერგეი ლავროვს დაურეკა და შეჭრის აღკვეთა მოითხოვა.** ლავროვმა უპასუხა, რომ რუსეთს სამი პირობა აქვს:

— ჯერ ერთი, ქართული ჯარი დისლოკაციის ადგილებს უნდა დაუბრუნდეს.

— კეთილი, — უპასუხა რაისმა.

— მეორე. საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

— კეთილი.

— მესამე (ოღონდ ჩვენში დარჩეს), სააკაშვილი უნდა წავიდეს.

რაისმა ყურებს არ დაუჯერა:

— სერგეი, ამერიკის სახელმწიფო მდივანი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი არ უნდა მსჯელობდნენ კერძო საუბარში იმ პრეზიდენტის დამხობაზე, რომელიც დემოკრატიული გზით არის არჩეული.

მან გადაწყვიტა, საჯაროდ გამოეტანა ის, რაც საქართველოში რეჟიმის შეცვლის საფრთხედ მიიჩნია. 10 აგვისტოს გაეროში აშშ-ის წარმომადგენელმა ზალმაი ხალილზადემ განაცხადა: **„რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განუცხადა სახელმწიფო მდივან რაისს, რომ დემოკრატიულად არჩეული საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი, — ვციტირებ, — „უნ-**

და წავიდეს“. ეს სრულიად მიუღებელია და ყოველგვარ ზღვარს გადადის“.

ლავროვი აღშფოთებული იყო. ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა: **„მთელ მსოფლიოს მოსდო ის, რაზეც პარტნიორთან მსჯელობდი — ეს არ არის დიპლომატია“,** თუმცა იმ სიტყვების უარყოფა, რომელსაც მიაწერდნენ, არც უცდია. მან, უბრალოდ, განაცხადა: **„მასთან** (სააკაშვილთან) **არასოდეს დავიჭერთ საქმეს“.**

ქართულმა მხარემ 11 აგვისტოს, მოსახლეობისგან დაცლილი გორის დაბომბვის ნახვის შემდეგ, მიიჩნია, რომ რუსეთის არმია თბილისში აპირებს შესვლას. პრეზიდენტის კანცელარია პანიკამ მოიცვა: კედლებიდან სურათებს გლეჯდნენ, დოკუმენტებს ყუთებში ტენიდნენ, სასწრაფო ევაკუაციისთვის ემზადებოდნენ. კარლ ბილდტი და მეთიუ ბრაიზა ამას შეესწრნენ და მიიჩნიეს, რომ ქალაქში რუსული ჯარის შესვლამდე ნახევარ საათზე ნაკლები იყო დარჩენილი.

სააკაშვილმა პრეზიდენტ ბუშს მიმართა, როგორც მიაჩნდა, აღთქმული დახმარებისთვის: **„მე მას ვუთხარი: — დახედეთ თქვენს საათს და შეიძლება დაინახოთ, როგორ ბრუნდება საბჭოთა კავშირის დრო. სწორედ ახლა იგი ჩემს ქვეყანაში ბრუნდება და ეს ისტორიის სავალალო შემობრუნებაა არა მარტო ჩვენთვის, თუმცა ჩვენთვის ის უკანასკნელი იქნება, მაგრამ აშშ-ისთვის და დანარჩენი მსოფლიოსთვისაც ასე იქნება“.**

მისი განცხადება, რომ რუსეთის ჯარი, სადა-

© „ღასაბაზეგნე ანსაფაზე“

ცაა, დედაქალაქში შევა და საქართველოს მიიერთებს, ახალი საბჭოთა კავშირის მსგავსად, პარანოიის, მანიპულაციის გამოვლენას ან უბრალოდ, ომის დაწყების შესახებ საკუთარი სავალალო გადაწყვეტილების დაფარვის მცდელობას ჰგავდა. თუმცა მოგვიანებით **დ. მედვედევმა** დაადასტურა, — **„ჩვენს ამოცანას იმ მომენტში ქართული სამხედრო მანქანის განადგურება წარმოადგენდა“,** მაგრამ განიხილებოდა უფრო რადიკალური სცენარიც: **„სააკაშვილს მადლობა უნდა ეთქვა ჩემთვის, რომ რაღაც მომენტში ჩვენი ჯარები გაჩერდნენ. თბილისში რომ შესულიყვნენ, ახლა საქართველოში, შესაძლოა, სხვა პრეზიდენტი ყოფილიყო“.**

ვაშინგტონში ეს საფრთხე სერიოზულად აღიქვეს, განსაკუთრებით ლავროვის რაისთან საუბარში ნათქვამის გამო. ბუშმა ეროვნული უშიშროების კომისია მოიწვია. თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი იხსენებს: **„პრაქტიკულად ყველას ოპერატიულ ცენტრში არ ტოვებდა შეგრძნება, რომ რუსეთი აგრესიის ღია აქტს ახორციელებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მისი გაყოფის განზრახვით“.**

ამერიკელები სამხედრო ჩარევაზეც კი ფიქრობდნენ. სახელმწიფო მდივან რაისის სიტყვებით, **„მაგიდის ირგვლივ გულში მჯიღს იცემდნენ და ყვიროდნენ, თუ რას ვიზამთ, რა ნიშანს მივცემთ რუსეთს სამხედრო საშუალებებით, იმის ასახსნელად, რომ მისი ქმედებები გაუაზრებელი იყო“.**

მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში — სტივენ ჰედლი ამბობს: **„საკითხი შემდეგში მდგომარეობდა — შეგვყავს სამხედრო ძალა თუ არა? თბილისის გადასარჩენად სახმელეთო ძალები იყო საჭირო“.**

თუმცა ამას ბირთვულ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის პროვოცირება შეეძლო და **რობერტ გეიტსისა** და მისი მომხრეების ხმაში გაფრთხილება ჟღერდა: **„მე მტკიცედ განვაცხადე, რომ სააკაშვილის სამხედრო მხარდაჭერას არ უზრუნველვყოფთ. იმ დროს მიმაჩნდა, რომ რუსებმა მახე დააგეს, სააკაშვილი კი პირდაპირ გაება, ამიტომ ერთი და მეორე მხარეც დამნაშავე არიან“.**

ბოლოსდაბოლოს, რუსეთის ჯარები გაჩერდნენ, უკან გაბრუნდნენ და ამერიკელებს აღარ დასჭირდათ საპასუხო სამხედრო ზომებზე ფიქრი. მათ თბილისის აეროპორტში სატრანსპორტო თვითმფრინავები, ხოლო შავ ზღვაზე, ბათუმის პორტში საბრძოლო ხომალდები გაგზავნეს ჰუმანიტარული ტვირთით, თუმცა გადაწყდა, დიპლომატიის საშუალებით ემოქმედათ. მიუხედავად სერიოზული ეჭვებისა პრეზიდენტ სარკოზის კომპეტენტურობაში, გადაწყდა, საშუალება მიეცათ საფრანგეთისთვის, რომელიც ევროკავშირში თავმჯდომარეობდა, ინიციატივა საკუთარ ხელში აეღო.

თუმცა იმჟამად რუსეთი ამტკიცებდა, რომ მ. სარკოზისთან მოლაპარაკებებში მხოლოდ დ. მედვედევი მონაწილეობდა, ვ. პუტინიც ესწრებოდა მათ და, როგორც მოსალოდნელი იყო,

მკვეთრად იყო განწყობილი. სწორედ მაშინ განაცხადა: „სააკაშვილს კვერცხებით დავკიდებ“ (რუსული მხარე ამას უარყოფდა, მაგრამ პუტინმა მას შემდეგ არაერთხელ ირიბად დაადასტურა, რომ ეს გამონათქვამი გამოიყენა).

სარკოზიმ მოლაპარაკებებზე ჩაიტანა პროექტი, რომელშიც, ლავროვის სიტყვებით, რუსულმა მხარემ „ოდნავ კორექტივები შეიტანა“. სინამდვილეში ექვსპუნქტიანი დოკუმენტი თითქმის მთლიანად შესწორებებით იყო აჭრელებული. პირველი პუნქტი ასე გამოიყურებოდა: „ქართული ჯარი მთლიანად უნდა გავიდეს“.

სარკოზის მრჩეველი ჟან-დავიდ ლევიტი იხსენებს: **„მათ მთლიანად შეცვალეს დოკუმენტის ლოგიკა — ეს უკვე ცეცხლის შეწყვეტა და ჯარის გაყვანა კი არა, საქართველოსთვის საკუთარი პირობების კარნახის ხერხი იყო“.**

პრეზიდენტ მედვედევის მრჩევლის, სერგეი პრიხოდკოს, სიტყვებით, სარკოზი „ჯიუტი, ძალიან ჯიუტი აღმოჩნდა“. ბოლოსდაბოლოს, მას მობეზრდა მოლაპარაკების წარმოების რუსული ტაქტიკა. „მისმინეთ, ჩვენ ასე ვივლით წრეზე ამ პროექტის გარშემო. ახლა კალამს ვიღებ და ახლის შედგენას ვიწყებ. ჯერ ერთი, **კონფლიქტის მხარეები თანხმდებიან, არ გამოიყენონ ძალა**. კი თუ არა? — **კი**“.

ამას კიდევ ხუთი პუნქტი მოჰყვა: **საბრძოლო მოქმედების შეჩერება, ჰუმანიტარული დახმარების ხელმისაწვდომობა, ქართული ჯარის სამხედრო ბაზებზე გასვლა, რუსული ჯარის იმ პოზიციაზე დაბრუნება, რომელიც საბრძოლო მოქმედების დაწყებამდე ეკავა, საერთაშორისო მოლაპარაკებების გამართვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მომავალ სტატუსზე.**

მეხუთე პუნქტის დამატებამ მალე პრობლემები შექმნა. „საერთაშორისო კონტროლის მექანიზმების ამოქმედებამდე“ რუს მშვიდობისმყოფელებს უნდა უზრუნველეყოთ „უსაფრთხოების დამატებითი ზომები“. ეს პირობა, რომელიც საკმაოდ მოქნილად შეიძლებოდა განმარტებულიყო, მოსკოვმა იმისთვის შემოიტანა, რომ საკუთარი სამხედროების ყოფნა გაემართლებინა უსაფრთხოების ფართო ზონაში და საქართველოს ცალკეულ რაიონებში სამშვიდობო მოლაპარაკების შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ.

ამ დოკუმენტით სარკოზი თბილისში გაფრინდა, მაგრამ **მეექვსე პუნქტის გამო სააკაშვილ-**

© „ღამისფრთიანი ფრინველი“

მა მასზე ხელმოწერაზე უარი თქვა, რადგან „მოლაპარაკებები მომავალ სტატუსზე“ ღიად ტოვებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს. ლავროვმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ტექსტში ამ დამატების შეტანა მოწოდებული იყო იმის დემონსტრირებისთვის, რომ რუსეთი არ აპირებს მათ ცალმხრივად აღიარებას: საკითხი საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გადაწყვიტოს. თუმცა სააკაშვილი ფეხს არ იცვლიდა და პუნქტი შეიცვალა სარკოზის ღამეული ზარის შემდეგ მედვედევთან. ახლა ამ პუნქტში საუბარი იყო „მოლაპარაკებებზე უსაფრთოხებისა და სტაბილურობის შესახებ“ ორივე რეგიონში. ეს მოლაპარაკებები ჟენევაში პერიოდულად იმართებოდა, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგები არ მოუტანია.

სააკაშვილმა უპირატესობა უკვე დაკარგა. **26 აგვისტოს პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთი აღიარებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას. გაჩნდა ორი ახალი სახელმწიფო, რომლებიც მხოლოდ ვენესუელამ, ნიკარაგუამ და ნაურუმ აღიარეს. რუსეთის ყოფილმა საბჭოთა მოკავშირეებმაც კი არ აირჩიეს ეს გზა. რუსეთმა ბოლოსდაბოლოს აღიარა კოსოვოს პრეცედენტი** (თუმცა კოსოვოს მიმართ ამას არაფერი შეუცვლია). მსოფლიოში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ შემდეგი ნაბიჯი ანექსია იქნებოდა და ასეთი იყო რუსეთის თავდაპირველი განზრახვა.

„არ შემხვედრია რუსი, რომელიც კმაყოფილი ყოფილიყო ამ მდგომარეობით“, — წერს ანგუს როკსბორო, — **რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, რომ ნატოში გაწევრიანების ყველა იმედი საქართველოს გაუქარწყლდა ან რომ რუსეთმა „გააძლიერა უსაფრთხოების ზომები“ და ახლა სამხედრო საზღვაო ძალების ახალ ბაზას აშენებს აფხაზეთში, მაგრამ უდავოა, რომ რუსეთის უსაფრთხოების ინტერესებს ყველაზე უკეთ საქართველოსთან მშვიდობიანი ურთიერთობა წაადგებოდა. საბოლოო ჯამში საქართველოს რუსეთთან მისი ომის ტრაგედია ერთი აქტიური და აბნეული კაცის ტრაგედიამდე დაიყვანება“.**

ქართველი მკითხველისთვის რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს, ვინ არის ეს „ერთი აქტიური და აბნეული კაცი“, თუმცა მისმა პირადმა ტრაგედიამ ტერიტორიების 20 პროცენტის დაკარგვამდე და ათიათასობით ადამიანის საცხოვრებლიდან აყრამდე მიიყვანა საქართველო. ანგუს როკსბორო არ ტყუის, როცა ამბობს, რომ **რუსეთის უსაფრთხოების ინტერესებს ყველაზე უკეთ საქართველოსთან მშვიდობიანი ურთიერთობა წაადგებოდა.**

საუბედუროდ, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ყველაფერი გააკეთეს ამის საწინააღმდეგოდ და საბოლოოდ, საკუთარ ქვეყანას შეუქმნეს პრობლემები. ისინი კი, ვის სასიამოვნებლადაც ამწვავებდნენ „ნაციონალები“ ურთიერთობას რუსეთთან, თავად სულაც არ აპირებდნენ ამ ომში

© „ღვანცარაძიანი ეროვნული“

ჩაბმას და ისევე, როგორც სააკაშვილი ომიდან რამდენიმე წელიწადში მისთვის სასურველი ინტერპრეტაციებით ჰყვება საკუთარი „გმირობების“ შესახებ, ახლა ქმნიან „ქმედითი დახმარების“ იმიტაციას, რომელიც, თუ თავად კონდოლიზა რაისს დავეყრდნობით, გულში მჯიღის ცემისა და სიტყვიერი მხარდაჭერის გარდა, არაფერს მოიცავს.

3. პუტინი და ПРО

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების ირგვლივ კამათი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ 2000 წელს დაიწყო, როდესაც პრეზიდენტი ბილ კლინტონი რუსეთს უკანასკნელი ოფიციალური ვიზიტით ეწვია. ვ. პუტინი საკმაოდ ჯიუტი მომლაპარაკებელი აღმოჩნდა. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულება 1972 წელს დაიდო. ამერიკელები ცდილობდნენ, გაეუქმებინათ ან შეეცვალათ ეს ხელშეკრულება, რაც თავის დროზე პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მიერ შეთავაზებული „ვარსკვლავური ომების“ გაგრძელების საშუალებას მისცემდათ. მოქმედი ხელშეკრულება უკრძალავდა აშშ-საც და რუსეთსაც რაკეტსაწინააღ-

მდეგო თავდაცვის სისტემების გაფართოებას. ვ. პუტინისთვის ეს საკვანძო მომენტს წარმოადგენდა ბირთვული შეკავების პოლიტიკაში. მას მიაჩნდა, რომ, თუ ერთი მხარე ამ სისტემების გაფართოების საშუალებას მიიღებს, ამით ძალთა ბალანსი დაირღვევა და პირველი დარტყმის მიყენების ცდუნება წარმოიშობა.

თუ კლინტონი ვ. პუტინს ჩეჩნეთში სამხედრო კამპანიისა და ტელეკომპანია НТВ-ს მიმართ რეპრესიებში ადანაშაულებდა, პუტინი კლინტონს ნატოს ავიაციის მიერ სერბეთის 1999 წლის დაბომბვების გამო მძაფრად აკრიტიკებდა. თავდასხმამდე ელცინის მრავალგზისი თხოვნა, არ დაებომბათ სერბეთი, დასავლეთმა არ შეისმინა. ალბათ, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ელცინმა გააცნობიერა, რომ, დასავლეთის მხარდაჭერის მიუხედავად, რუსეთის ხმას აღარავინ უსმენდა საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტისას.

1999 წლის 23 მარტს რუსეთის პრემიერმინისტრი ევგენი პრიმაკოვი ვაშინგტონში გაფრინდა, სადაც პრეზიდენტ კლინტონს, ვიცეპრეზიდენტ ალბერტ გორს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობას უნდა შეხვედროდა. პრიმაკოვის წინაშე იდგა ამოცანა, მიეღწია მრავალმილიარდიანი კრედიტების გამოყოფისთვის, რათა 1998 წლის აგვისტოს კრიზისის შემდეგ მოხერხებულიყო რუსეთის ეკონომიკის სტაბილიზაცია. პრიმაკოვის იმჟამინდელი თანაშემწე კონსტანტინე კოსაჩოვი იხსენებდა, რომ ირლანდიის აეროპორტ „შენონში“ საწვავის შევ-

სების დროს პრიმაკოვმა დაურეკა ალბერტ გორს და ჰკითხა: „აპირებთ იუგოსლავიის დაბომბვას“? გორმა უპასუხა: „ვერაფერს გეტყვით. გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული“.

თვითმფრინავმა გეზი ამერიკისკენ აიღო. დაახლოებით ოთხი საათის შემდეგ გორმა დარეკა და პრიმაკოვს უთხრა, რომ ნატო იწყებს საჰაერო დარტყმების განხორციელებას. პრიმაკოვმა დაუყოვნებლივ ჩააყენა საქმის კურსში ელცინი, გაარკვია ეკიპაჟთან, საკმარისი იყო თუ არა საწვავი და თვითმფრინავი უკან გამოაბრუნა. დელეგაციაში მყოფ ბიზნესმენებს მან აუხსნა, რომ ამ ვითარებაში ამერიკელებთან ბიზნესის წარმოება მიზანშეუწონელია. თვითმფინავის სალონში აპლოდისმენტები გაისმა.

ამ დღიდან ერთი წლის შემდეგ მოსკოვში ჩასული **კლინტონი** მიხვდა, რომ მაშინდელი წყენა დავიწყებული არ იყო. **ვ. პუტინმა მიახვედრა, — იგი აღარასოდეს მოითმენს, რომ რუსეთი იგნორირებული იყოს ან მას ხელი ჰკრან**. ორდღიანი მოლაპარაკების დროს ვ. ვ. პუტინმა დაწვრილებით აუხსნა ამერიკულ მხარეს საკუთარი კრიტიკული დამოკიდებულება მათი განზრახვის მიმართ, ცალმხრივად გაეფართოებინათ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები. გამოსამშვიდობებელ შეხვედრაზე კი მიანიშნა, რომ ამ განზრახვის განხორციელების შემთხვევაში რუსეთი „შესაბამის“ ზომებს მიმართავს. კლინტონი საკუთარ თანაშემწეს – სტროუბ ტელბოტს მიუბრუნდა და ჩაიბურტყუნა: „ამ კაცს, როგორც ჩანს, ჰგონია,

© „ღვასტამაძეების ოჯახი“

რომ ერთხელ ნათქვამი არ მესმის. ან ჩლუნგია, ან მე ვგონივარ ჩლუნგი. დავამთავროთ ეს საქმე — ბორისი მოვინახულოთ“.

ვიდრე ელცინის აგარაკზე მივიდოდნენ, ვ. პუტინმა უკვე დაურეკა მას და სთხოვა, კარგად აეხსნა ამერიკელებისთვის მისი მოსაზრება. ელცინმა კლინტონს განუცხადა, რომ რუსეთი არ მოითმენს ამერიკისგან ისეთ პოლიტიკურ ნაბიჯებს, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის მის უსაფრთხოებას. დამშვიდობებისას კლინტონმა ელცინს ასე მიმართა: „ბორის, შენ მეტისმეტად ახლოს მიგაქვს გულთან დემოკრატია, შენ ენდობი ადამიანებს. შენში ნამდვილი დემოკრატისა და ჭეშმარიტი რეფორმატორის ცეცხლი ანთია. არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ყველაფერი პუტინსაც ახასიათებს. შენ ყურადღება უნდა მიაქციო მას, საკუთარი გავლენა გამოიყენო,

რომ სწორი გზიდან არ გადაუხვიოს. შენ სჭირდები პუტინს, ბორის. შენ რუსეთს სჭირდები“.

ანგუს როკსბოროს შეფასებით, **კლინტონის აზრით, ამერიკას რუსეთში ისეთი ლიდერი სჭირდებოდა, რომელიც მორჩილებამდე დამთმობი იქნებოდა. პუტინი კი ჩანდა, რომ ასეთი არ იქნებოდა.**

3. პუტინისა და დასავლეთის დაპირისპირებაში ცენტრალურ როლს ასრულებდა და ასრულებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების გაფართოების საკითხი. მიუხედავად ფიცისა და დაპირებისა, რომ ეს სისტემა აღმოსავლეთ ევროპაში არ განლაგდებოდა, აშშ-მა სწორედ ამ მიმართულებით მიმართა ძალისხმევა. იმისთვის, რომ ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ საკითხის სიმწვავეზე, მის ისტორიას გადავავლოთ თვალი.

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების პრობლემა სათავეს 1944 წლის შემოდგომით ლონდონზე გერმანული ფრთოსანი რაკეტების „ფაუ-1“-სა და „ფაუ-2“-ის პირველი შეტევიდან იღებს სათავეს. დასკვნები მალევე გაკეთდა, რომ აუცილებელი იყო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა. მაგრამ ამ დასკვნის გამოტანიდან პირველ საცდელ გაშვებამდე შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირში (1961- 1962 წ.წ.) თითქმის ოცი წელი გავიდა. ეს დრო რადიოსალოკაციო ტექნოლოგიების დახვეწას და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის სიჩქარის ამაღლებას დასჭირდა.

მოსკოვიც და ვაშინგტონიც ორ ვარიანტს ამუ-

© „ღვასაბაძეების ოჯახური“

შავებდნენ — სამიზნის უშუალო განადგურება („ტყვიის ტყვიაში“ მოხვედრა) და მძლავრი აფეთქება, რომელიც სამიზნეს დიდ მანძილზე გაანადგურებდა. ორივე მხარე, პრაქტიკულად, ერთდროულად მივიდა დასკვნამდე, რომ განადგურების მისაღები შედეგი შესაძლებელი იყო მხოლოდ ბირთვული საბრძოლო მუხტით. საერთო იყო დასკვნაც, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის საფარქვეშ მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტის დაცვა იყო მიზანშეწონილი. 1964 წლამდე არავის შეუტანია ეჭვი, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა მოწინააღმდეგე მხარის (სსრკ ან აშშ) რაკეტების განადგურებისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. ჩინეთის მიერ ბირთვული სახელმწიფოს სტატუსის შეძენას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სახეზე არ უმოქმედია.

პენტაგონის შეფმა რობერტ მაკნამარამ, სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა და შემდეგ პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა 60-ანი წლების შუახანს გააცნობიერეს, რომ **აუცილებელია შეზღუდვა, რადგან ამ სისტემების შექმნის წარმატებულ მცდელობას ერთი მხარისთვის შეუძლია სრული დაცულობის ილუზია შექმნას და გარკვეულ სიტუაციაში უბიძგოს ბირთვული იარაღის გამოყენებისკენ.**

საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ახალი იდეებისთვის არ ეცალა. მოსკოვის ძირითადი ძალისხმევა სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების სფეროში ჩამორჩენის დაძლევისკენ იყო მიმართული. ამის-

თვის კი რეალური საფუძველი არსებობდა: **საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის შემდეგ აშშ-მა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბირთვული ომის რეალური გეგმის შემუშავება დაიწყო.**

გეგმა Trojan-ის მიხედვით, საომარი მოქმედებები 1950 წლის 1 იანვარს უნდა დაწყებულიყო, თუმცა საშტაბო სწავლებამ გამოავლინა, რომ ვაშინგტონი მზად არ არის პრევენტიული ბირთვული ომისთვის და საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

1953 წელს დუაიტ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციამ „მასირებული შურისძიების" კონცეფცია მიიღო.

1960 წლის დეკემბერში ბირთვული ომის წარმოების პირველი ყოვლისმომცველი გეგმა შედგა – ერთიანი კომპლექსური ოპერატიული გეგმა (Single Integrated Operational Plan, SIOP). მასში პოსტულირებული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბირთვული ომის წარმოება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

1961 წელს ეს გეგმა SIOP–2-მა ჩაანაცვლა, რომელიც ხუთი ურთიერთდაკავშირებული ოპერაციის ჩატარებას ითვალისწინებდა:

საბჭოთა ბირთვული არსენალის განადგურება;

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის დათრგუნვა;

სამხედრო და სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და პუნქტების განადგურება;

ჯარების მსხვილი დაჯგუფებების განადგურება;

© „ღასაბუნებელ ომისათვის“

ქალაქებისთვის დარტყმის მიყენება.

აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობას აუცილებლად მიაჩნდა, ჰქონოდა სტრატეგიული ბირთვული ძალების ისეთი შემადგენლობა, რომელიც უზრუნველყოფდა საბჭოთა კავშირის, როგორც სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს, „გარანტირებული განადგურების“ კონცეფციის განხორციელებას.

საბჭოთა კავშირის პოზიცია იყო მოწინავე ბაზირების ამერიკული საშუალებების გათვალისწინება სტრატეგიულ ძალთა ბალანსში. ამერიკული მხარე მეტ მნიშვნელობას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შეზღუდვაში ხედავდა. ამერიკულმა მიდგომამ, რომელიც ამ სისტემების განლაგების მასშტაბის შემცირებას გულისხმობდა, დააკმაყოფილა მოსკოვი. **თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა რობერტ მაკნამარამ შეძლო, დაემტკიცებინა საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის, რომ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შექმნა დესტაბილიზაციის ფაქტორია.**

ხელშეკრულებამ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შეზღუდვის შესახებ და დროებითმა შეთანხმებამ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ (OCB-1), რომელთაც ხელი მოსკოვში 1972 წლის მაისში მოეწერა, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობებში ხარისხობრივი ცვლილებები მოიტანა. **არც ერთ მხარეს არ ჰქონდა შანსი, მიეყენებინა მეორისთვის ბირთვული დარტყმა გამანადგურებელი საპა-**

სუხო დარტყმის გარეშე, რაც სტაბილური ურთიერთობის წინაპიროობად იქცა.

მიუხედავად ამისა, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების დასაშვები დონის ფიქსაციამ ვერ შეაჩერა შეტევითი ბირთვული იარაღის განვითარება. საბჭოთა კავშირი მუდმივად იძულებული იყო, მორიგი გამოწვევისთვის ეპასუხა: მიეღწია რაოდენობივი პარიტეტისთვის სტრატეგიულ ბირთვულ შეიარაღებაში, რეაგირება მოეხდინა აშშ-ის ხარისხობრივ წინსვლაზე, ევროპაში „პერშინგ 2"-ის განლაგებაზე, რომელთაც გამანადგურებელი დარტყმის მიყენება შეეძლოთ საბჭოთა კავშირისთვის და ა. შ.

1983 წელს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა გამოაქვეყნა აშშ-ის ახალი გეგმები სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ფარგლებში. ამან კიდევ უფრო დაძაბა საბჭოთა კავშირი. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის დარგში განიარაღების პროცესის დაწყებით ინიციატივებმა სხვა ტონალობა შეიძინა. უფროსმა ჯორჯ ბუშმა გადაწყვიტა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის გადაორიენტირება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნაზე აშშ-ის და მისი მოკავშირეების, აგრეთვე, ჯარების დაჯგუფებათა და ერთეული ან ჯგუფური დარტყმებისგან დასაცავად. ეს უნდა ყოფილიყო შეზღუდული დარტყმებისგან თავდაცვის გლობალური სისტემა, თუმცა მასზე მუშაობა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამოსვლას მოითხოვდა.

კონსულტაციებზე ჯერ საბჭოთა კავშირს,

© „ეროვნული ბიბლიოთეკა“

შემდეგ კი რუსეთსა და აშშ-ს შორის რუსეთმა წინადადება წამოაყენა, — ერთობლივად შეემუშავებინათ და ექსპლუატაცია გაეწიათ ამ გლობალური სისტემისთვის. კემპ-დევიდში უმაღლესი დონის შეხვედრაზე 1992 წლის თებერვალში რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ინიციატივა წამოაყენა, სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა საერთაშორისო პროექტად ქცეულიყო რუსეთის მონაწილეობით. ეს ინიციატივა თავდაცვის გლობალური სისტემის ღიაობას გულისხმობდა ყველა სახელმწიფოსთვის, რომლებიც მასში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამდნენ.

მაგრამ აშშ მზად არ იყო თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისთვის. სისტემის შექმნაში რუსეთის სიმბოლური მონაწილეობა და ზოგიერთი მოწინავე ტექნოლოგიის გადაცემა დასაშ-

ვები იყო, ოღონდ მხოლოდ ერთი მიზნის მისაღწევად — რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულებაზე უარის სათქმელად. მით უფრო გამორიცხული იყო ისეთი საერთაშორისო სისტემის შექმნა, რომლის მართვაშიც ვინმეს შეეძლო მონაწილეობა, ვაშინგტონის გარდა. რუსეთმა წინდადებაზე თავაზიანი უარი მიიღო.

პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციამ კომპრომისული ვარიანტი წამოაყენა – შეზღუდული ეროვნული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნა. მას არ უნდა გამოეწვია რუსეთის ან ჩინეთის შეშფოთება, მაგრამ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულების კორექტირებას მოითხოვდა, თუმცა რუსეთის ოფიციალური პოზიცია კომპრომისს არ ითვალისწინებდა.

2000 წლის ივნისში მოსკოვში, რუსულ-ამერიკული სამიტის დროს პრეზიდენტმა ვ. პუტინმა ოფიციალურად წამოაყენა ინიციატივა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საერთო ევროპული სისტემის შექმნის შესახებ, რომელიც ამერიკული ეროვნული სისტემის ალტერნატივა იქნებოდა. აშშ დაეთანხმა ამ გეგმის განხილვას, მაგრამ არა როგორც საკუთარი გეგმების ალტერნატივას, არამედ მის დამატებას.

ამის შემდეგ შესაძლო თანამშრომლობის შესახებ აშშ დეკლარირებას აგრძელებდა, თუმცა უფროსი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ხელშეკრულებიდან გავიდა. 2002 წლის მაისში მოსკოვში სტრატეგიული შეტევითი პოტენციალების

© „ღონისძიებები ეროვნულზე“

შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერისას მიიღეს დეკლარაცია, რომლის თანახმადაც ახალ პირობებში სტრატეგიული სტაბილურობის საკითხები და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხებში თანამშრომლობა უნდა გაგრძელებულიყო.

ამ მიზნით შეიქმნა ერთობლივი კომისია ორივე ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების შემადგენლობით, თუმცა მისი მუშაობა აქტიურობით არ გამოირჩეოდა. ამიტომ სიტუაციის გამწვავება აშშ-ის განზრახვის გამო, ეს სისტემები პოლონეთსა და ჩეხეთში განელაგებინა, კანონზომიერი იყო. ამ სფეროში **რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების მთელი ეს ისტორია სრულ საფუძველს იძლეოდა, რუსეთი დიდი ნდობით არ მოჰკიდებოდა ამერიკის გეგმებს.**

* * *

2012 წლის 18 იანვარს ნოვო-ოგარიოვოში რუსული მედიის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას პრემიერმინისტრმა ვ. პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთისთვის სულერთი არ არის, სად განალაგებს აშშ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს. **„ჩვენთვის სულერთი არ არის, სად გაჩნდება პრო-ს სისტემები — ჩვენი საზღვრების სიახლოვეს თუ მოშორებით. სულერთი არ არის, გაჩნდება თუ არა ისინი, ბოლოსდაბოლოს, საქართველოში. და რა უნდა ვქნათ ასეთ შემთხვევაში? ჩვენი დამრტყმელი სისტემები დავუმიზნოთ საქართველოს ტერიტორიას? წარმო-**

გიდგენიათ ეს საშინელება? მაგრამ გვაქვს გარანტია, რომ ეს არ მოხდება? არა“.

ვ. პუტინმა ასევე განაცხადა, რომ „ქართველი კოლეგები“ უარს ამბობენ რუსეთთან თანამშრომლობაზე, მაშინ, როცა მოსკოვი საქართველოსთან დიალოგისთვის მზად არის და ქართული ოპოზიციაც ანალოგიურ მზადყოფნას ამჟღავნებს. **„როცა ჩვენ ქართველ კოლეგებს ვთავაზობდით, ესა თუ ის ზომები მიგველო, ისინი უარს აცხადებდნენ... რუსეთი მზად არის, ქართულ საზოგადოებასთან ერთად ეძებოს გამოსავალი, თუ ჩვენთან ლაპარაკს მოინდომებენ“.**

2011 წლის თებერვალში ოთხმა რესპუბლიკელმა სენატორმა აშშ-ის თავდაცვის მინისტრ რობერტ გეიტსს მიმართა თხოვნით, განეხილა ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის რადარების საქართველოში განთავსების საკითხი, თუ თურქეთი საკუთარ ტერიტორიაზე მისი განლაგების აშშ-ისთვის მიუღებელ პირობებს წამოაყენებს. **ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს არაერთხელ გაუკეთებიათ განცხადება, რომ ევრო-პრო არ იქნება რუსეთის წინააღმდეგ მიმართული და მას მხოლოდ თავდაცვითი ფუნქცია ექნება. ამიტომ რუსეთს არ უნდა აღელვებდეს მათი განლაგების ადგილი.**

ვ. პუტინმა ნოვო-ოგარიოვოში კიდევ ერთხელ გამოხატა საკუთარი პოზიცია ამ საკითხზე: **„თუ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები ახლოს იქნება, ისინი დაფარავს ჩვენი სახმელე-**

© „ოდესგამოცემები ოსნაოფაფლი“

თო რაკეტების ბაზირების რაიონებს და მათ ჩამოგდებას შეძლებს. თუ მოშორებით იქნება განლაგებული, ვერ გადაფარავს და ვერ ჩამოაგდებს. როგორ არა აქვს მნიშვნელობა? ეს პრინციპული საკითხია!“ ვ. პუტინმა კიდევ ერთხელ შეახსენა „ეხო მოსკვის“ მთავარ რედაქტორ ალექსეი ვენედიქტოვს, რომ აშშ, და არა რუსეთი, ამბობს უარს, ერთობლივად იმუშაონ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებზე. **„ჩვენ ვთავაზობთ, ისინი კი უარზე არიან. მარტო ჩვენ კი არა, ნატოში უახლოეს მოკავშირეებს — ევროპელებსაც არ აკარებენ. რადარების ბაზირება არის, რაკეტების ბაზირებაზე თანხმდებიან, ხოლო სისტემის მართვასთან არავის უშვებენ“,** — განაცხადა ვ. პუტინმა.

მან ასევე უსაყვედურა ვენედიქტოვს, რომ „ეხო მოსკვი“, რომელსაც „გაზპრომი“ აფინანსებს,

აშშ-ის „საგარეოპოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება“. **„თქვენ გესმით, რას ნიშნავს, რომ ასევე ემსახურებოდეთ რუსეთის ინტერესებს რომელიმე ამერიკულ არხზე, რომელიც სახელმწიფო კომპანიას ეკუთვნის? ეს შეუძლებელია. თქვენ კი სიტყვის თავისუფლებაზე ლაპარაკობთ. სად არის იგი, თუ არა აქ? ისე კი, ეს უწესობაა. ასე მგონია“,** — მიმართა ვ. პუტინმა ვენედიქტოვს.

2011 წლის ნოემბერში პრეზიდენტმა დ. მედვედევმა განაცხადა, რომ **ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგების საპასუხოდ რუსეთი თანამედროვე დამრტყმელ სისტემებს გაშლის, რომლებიც ამ სისტემების განადგურებას უზრუნველყოფს.** მან ასევე არ გამორიცხა, რომ რუსეთი გადახედავს აშშ-თან ადრე მიღწეულ შეთანხმებებს შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

ნატოს გენერალურმა მდივანმა, **ანდერს ფოგ რასმუსენმა** 19 ნოემბერს ვილნიუსში ლიტვის პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაიტესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ რუსეთის მოქმედება არარსებული მტრის წინააღმდეგაა მიმართული და სახსრების ფუჭ ხარჯვას წარმოადგენს. **„რა თქმა უნდა, რუსეთის ამგვარი განცხადებები ნატოს მოკავშირეების შეშფოთებას იწვევს. გარდა ამისა, ვიტყოდი, რომ ეს რუსეთის ფინანსური რესურსების ფუჭი ხარჯვაცაა, რადგან შეტევითი შეიარაღების გაძლიერება ხელოვნურად შექმნილი მტრის წინააღმდეგ არის მიმართული, იმ მტრისა, რომელიც არ არ-**

© „ღამისფრთიანი ფრინველი“

სებობს“, — განაცხადა რასმუსენმა პრესკონფერენციაზე.

2013 წლის 14 იანვარს The Washington Post-მა გამოაქვეყნა სტატია „პუტინი ამსხვრევს ობამას იმედებს „იოლ ცხოვრებაზე“ პოლიტიკაში“. იგი ერთობ საყურადღებოა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების საკითხში პუტინისა და აშშ-ის დაპირისპირების თვალსაზრისით.

„მას შემდეგ, რაც ბარაკ ობამამ იგნორირება გაუკეთა რუსეთის შეშფოთებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების ევროპაში განლაგებისა და ლიბიაში შეჭრის გამო, **მოსკოვს მხოლოდ განუმტკიცდა რწმენა, რომ ამერიკელების ძირითადი მეთოდია მზადყოფნა, — გადააბიჯონ როგორც მტრებს, ისე მეგობრებს.** ასე რომ, ახლა მთავარი საკითხია არა უთანხმოების გადაწყვეტა, არამედ შეხების წერტილების ძიება“, — წერს The Washington Post.

„რონალდ რეიგანის მმართველობის დროიდან არასოდეს ამერიკის პრეზიდენტის ხელახლა არჩევისას მისი ურთიერთობა რუსეთთან არ გამხდარა უკეთესი, თუმცა არავის დაუწყია თავისი მეორე საპრეზიდენტო ვადა უხეშობის ისეთი ურთიერთგაცვლით, როგორც 2012 წლის დეკემბერში“, — მოაქვს გამოცემას სტივენ სესტანოვიჩის (საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს ექსპერტი რუსეთის საკითხებში) სიტყვები.

The Washington Post საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ ობამასთვის ახლა აუცილებელია მოსკოვის დახმარება ავღანეთიდან ჯარების გამოყვანაში. მას ასევე უნდა მისი მხარდაჭერა

საერთაშორისო საკითხებში ან, სულ მცირე, მისი თანხმობა, რომ „ხელს არ შეუშლის“. მაგრამ ვლადიმერ პუტინი ვერ ხედავს დახმარების მიზეზს: მისი ავტორიტეტი ხომ დასავლეთთან (უპირატესად აშშ-თან) უთანხმოების გამო მხოლოდ გაიზარდა, პროდემოკრატიული საპროტესტო მოძრაობა „აორთქლდა“, ასე რომ „კგბ-ს ყოფილი თანამშრომელი“ სრულიად დარწმუნებულია საკუთარ ძალაუფლებაში.

გარდა ამისა, რუსეთს ყოველთვის შეუძლია გამოიყენოს ვეტოს უფლება გაეროში და სხვა „დიპლომატიურ კლუბებში“. ამგვარად, მას შეუძლია ჩაერიოს საკუთარი საზღვრებიდან დაშორებულ ადგილებში. მეტიც, ჰილარი კლინტონის სიტყვებით, რეგიონული ინტეგრაციის საბაბით, „საბჭოთა კავშირის აღდგენა ხდება“, რაც შეუძლებელია, არ აშფოთებდეს შეერთებულ შტატებს.

ობამას ადმინისტრაციაში ვარაუდობდნენ, რომ პუტინთან ურთიერთობა ადვილი არ იქნებოდა, თუმცა ანალიტიკოსებსაც ვერ წარმოედგინათ, რომ ურთიერთობებში ასეთი ჩავარდნა იქნებოდა. ყველასთვის მოულოდნელად მან USAID და სხვა ორგანიზაციები აკრძალა, რომლებიც, მისი აზრით, ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ.

ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის ექსპერტის რუსეთის საკითხებში — მარკ კაცის სიტყვებით, ვლადიმერ პუტინი, „გულუბრყვილო“ დიმიტრი მედვედევისგან განსხვავებით, მშვენივრად აცნობიერებს, რომ შეერთებული შტატე-

ბის ფიცი არ უნდა იწამო, რადგან, „რაც არ უნდა აკეთოს პუტინმა, აშშ მხოლოდ ისარგებლებს ამით და არ ჩათვლის თავს ვალდებულად, სამაგიეროდ თავადაც გააკეთოს რაიმე“.

The Washington Post-ის ეს პუბლიკაცია მრავალმხრივ საინტერესოა. მასში პირდაპირ იკითხება გაღიზიანება იმით, რომ აშშ ვერ ახერხებს, საკუთარ ჭკუაზე ატაროს რუსეთი. იმედი, რომ USAID-ისა და „სხვა ორგანიზაციების“ დახმარებით ქუჩაში გამოყვანილი ოპოზიცია „თეთრ რევოლუციას“ მოაწყობდა, გაქარწყლდა. „საბჭოთა კავშირის აღდგენის“ მითიური საფრთხეც კი ვეღარ პოულობს იმ გამოძახილს, როგორის მოლოდინიც ჰქონდა აშშ-ის სახელმწიფო ადმინისტრაციას (თუ არ ჩავთვლით მიხეილ სააკაშვილის ანალოგიურ ისტერიულ განცხადებებს).

ჯერ კიდევ 2009 წლის დეკემბერში პრემიერმინისტრმა ვ. პუტინმა განაცხადა, რომ ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნა რუსეთს შეტევითი შეიარაღების შექმნისკენ უბიძგებს. მან დაამატა, რომ ეს შეტევით და თავდაცვით შეიარაღებებს შორის ძალთა ბალანსის შექმნას გულისხმობს. ვ. პუტინმა განმარტა, რომ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულება რუსეთსა და აშშ-ს შორის, რომელიც განსაზღვრავს შეიარაღების შეზღუდვის წესებს, უმჯობესია, ვიდრე ამგვარი ხელშეკრულების არარსებობა.

„პრობლემა ის არის, რომ ამერიკული მხარე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას ქმნის, ჩვენ კი — არა, ხოლო ასეთი სისტემის

მშენებლობა ახალი შეტევითი შეიარაღების შექმნას გულისხმობს, რაც მსოფლიოში ძალთა ბალანსს არღვევს“, — ხაზი გაუსვა **ვ. პუტინმა**. მისი აზრით, ეს აგრესიის დონის ზრდას გამოიწვევს როგორც რეალურ პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაშიც.

ვ. პუტინის ამ განცხადებას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უპასუხა, რომ ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნა და ახალი ხელშეკრულება რუსეთთან სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი საკითხებია. ალბათ, სწორედ ამას გულისხმობდა ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის ექსპერტი მარკ კაცი, როცა ამბობდა: „რაც არ უნდა აკეთოს ვ. პუტინმა, აშშ მხოლოდ ისარგებლებს ამით და არ ჩათვლის თავს ვალდებულად, სამაგიეროდ თავადაც გააკეთოს რაიმე“!

2013 წლის თებერვლის ბოლოს პუტინმა რუსეთის თავდაცვის მრეწველობის წარმომადგენლებს მოუწოდა, შეამცირონ დაშორება უსაფრთხოების დარგში რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, რომელიც ორ ქვეყანას შორის „სტრატეგიულ ბალანსს არღვევს“.

The financial Times-ის ინფორმაციით, გენერალიტეტის წინაშე წარმდგარმა ვ. პუტინმა გამოყო **„აშშ-ის გლობალური რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შექმნის მეორე ეტაპი“,** აგრეთვე, **„ნატოს აღმოსავლეთით შემდგომი გაფართოების შესაძლებლობა“** და **„არქტიკის მილიტარიზაციის საფრთხე“,** როგორც მთავა-

© „ღონისძიების ისტორია“

რი გეოპოლიტიკური გამოწვევები, რომლებზეც რუსეთმა უნდა უპასუხოს, — აღნიშნავს სტატიის ავტორი ჩარლზ კლოვერი.

მაღალი თანამდებობის მქონე მოხელეები ადრე მიუთითებდნენ, რომ თავდაცვის ხარჯების ამგვარი ზრდა ისეთ აუცილებელ მიმართულებებს მოაკლებს დაფინანსებას, როგორიცაა ინფრასტრუქტურა და განათლება. ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა, **ალექსეი კუდრინმა**, „ვედომოსტისთან“ ინტერვიუში თქვა: **„ახლა, როცა ყველა სახელმწიფო ამცირებს საკუთარ შეიარაღებულ ძალებს, რუსეთი საწინააღმდეგოს აკეთებს. რუსეთს არა აქვს საშუალება და სახსრები, ხარჯების გასაზრდელად“.**

კლოვერი მიუთითებს, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთვის თავის ტკივილად იქცა ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების მიზნობრივად გამოყენება. კონფლიქტი თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს შორის შესყიდვის ფასების სხვაობის გამო ანატოლი სერდიუკოვის თანამდებობიდან გადაყენების მიზეზი გახდა, თუმცა ფორმალურად ეს კორუფციაში ეჭვმიტანილობით აიხსნა.

რა არის ამაში „ფორმალური“, თუკი თავად კლოვერიც წერს, რომ დამატებითი საბიუჯეტო დაფინანსების მიზნობრივად გამოყენება თავდაცვის სამინისტროს „თავის ტკივილად“ იქცა? ცხადია, არაფერი, მაგრამ იგი სტატიას კვლავ საბჭოთა კავშირის აღდგენის საფრთხეზე საუბრით ასრულებს. ამ „საფრთხემ“ გაცილებით დიდხანს შეინარჩუნა სიცოცხლისუნარიანობა,

ვიდრე თავად საბჭოთა კავშირმა. მასზე მოთხოვნა ჯერაც დიდია საკუთარი პრობლემებით დატვირთულ დასავლეთში და მის „სტრატეგიულ პარტნიორებში“.

თურქეთის სტრატეგიული კვლევების ცენტრის ვიცეპრეზიდენტმა ალი კიულებიმ 2007 წლის ივლისში გამოაქვეყნა სტატია „პუტინისა და დასავლეთის დაპირისპირება: კამათი ПРО-ს სისტემების, კოსოვოს პრობლემისა და ნავთობ-კომპანიების ირგვლივ“, რომელშიც წერდა, რომ **ეკონომიკის გაჯანსაღების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და სამხედრო სფეროში გადადგმული ნაბიჯების კვალდაკვალ პუტინი ძალაუფლებას აძლიერებს და მშვიდად განაგრძობს ბრძოლას დასავლეთთან, დიპლომატიურ ველზე ძლიერი სვლების განხორციელებით.** გაბალაში რადიოსალოკაციო სისტემის ერთობლივი გამოყენების შეთავაზებით, კოსოვოს აღიარების და ПРО-ს წინააღმდეგ გალაშქრებით, პუტინი დასავლეთის პოლიტიკოსებთან დაპირისპირებით დაჩაგრულთა დამცველის როლს ასრულებს.

კიულების შეფასებით, ცივი ომი განახლდა. 2006 წელს სანკტ-პეტერბურგში გამართულ დიდი რვიანის სამიტზე, ვიდრე ევროპის სახელმწიფოები ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობაზე მსჯელობდნენ, რუსეთი აშშ-თან ერაყში შექმნილ სიტუაციაზე კამათობდა. შემდგომი სამიტი გერმანულ ქალაქ ჰაილიგენდამში უფრო მეგობრულ ვითარებაში წარიმართა; აშკარა და-

© „ეროვნული ინტერესი“

პირისპირება არ ყოფილა, მაგრამ ურთიერთობის დათბობა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არ მომხდარა.

ეს იმას უკავშირდებოდა, რომ რუსეთი, რომელიც საკუთარ თავს „ალყაში“ აღიქვამდა, უბრალოდ კი არ იმუქრებოდა, არამედ მისი ნაბიჯები სრულიად კონკრეტულ ხასიათს ატარებდა. **ვ. პუტინის ეშმაკურმა დიპლომატიურმა წინადადებამ, აშშ-ს გამოეყენებინა აზერბაიჯანში გაბალის რადიოსალოკაციო სისტემა შესაძლო სარაკეტო შეტევების მოსაგერიებლად, ბუში კუთხეში მიაყენა. ვ. პუტინმა ისეთი საჭადრაკო პარტია გაითამაშა, რომელიც ლაკმუსის ქაღალდივით გამოავლენდა აშშ-ის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში ПРО-ს სისტემების განლაგების ჭეშმარიტ მიზნებს. თუ აშშ არ მიიღებდა ამ წინადადებას, ნათელი**

გახდებოდა, რომ ამერიკის განზრახვა სინამდვილეში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების საშუალებით რუსეთის ბლოკირება და მისთვის საფრთხის შექმნაა.

* * *

ბაქოდან 320 კილომეტრში, გაბალაში 1985 წლიდან ფუნქციონირებს „დარიალის“ ტიპის რადიოსალოკაციო სისტემა, რომლის ექსპლუატაციის ვადა მალე იწურება. მას შეუძლია თურქეთის, ირანის, ერაყის, პაკისტანის, ინდოეთის, ნაწილობრივ ჩინეთის, აფრიკის, ავსტრალიის, ინდოეთისა და ატლანტის ოკეანის ნაწილების გაკონტროლება. ამ ტერიტორიებიდან გაშვებული კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტებისა და საშუალო მანძილის რაკეტების დაფიქსირება 2-3 წამში ხერხდება.

სადგურები (ბარანოვიჩი — ბელარუსში და გაბალა — აზერბაიჯანში), რომლებიც საბჭოთა კავშირის ბირთვული თავდაცვის სისტემაში შედიოდა, მნიშვნელოვან სტრატეგიულ დანიშნულებას ატარებს: ბარანოვიჩის მეშვეობით რუსეთის დასავლეთის ტაქტიკური კონტროლი ხორციელდება, ხოლო გაბალა სამხრეთს აკონტროლებს. **რუსეთს ამ ტიპის რადიოსალოკაციო სისტემებით აღჭურვილი სამხედრო ბაზები აქვს როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ისე დედამიწის სხვა წერტილებშიც. თუმცა რუსეთისთვის, რომელიც ეკონომიკური მიზეზებისა და საბჭოთა კავშირის კრახის გამო მსოფლიო ბატონობისთვის ბრძოლაში ჩა-**

© „ეროვნული ინტერესი“

მორჩა, უცხოეთში სამხედრო ბაზები მძიმე ტვირთად იქცა.

ამ მიზეზით ვ. პუტინმა, სამხედრო წრეების წინააღმდეგობის მიუხედავად, 2001 წლის 17 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება კუბაში ლურდესის და ვიეტნამში კამრანის სამხედრო ბაზების დახურვის თაობაზე. **აზერბაიჯანთან გაბალის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით რუსეთმა დაადასტურა, რომ მის მახლობელ ტერიტორიებზე არსებული ბაზების დატოვებას არ აპირებს.**

1991 წლის 31 აგვისტოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აზერბაიჯანმა ხელი მოაწერა გაბალის ხელშეკრულებას, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ რუსეთისთვის სარგებლობაში გადაცემული გაბალა არა სამხედრო ბაზა, არამედ „ანალიტიკური საინფორმაციო ცენტ-

რი“ იქნებოდა. **რუსეთი ყოველწლიურად 7 მილიონ დოლარს უხდიდა აზერბაიჯანს გაბალით სარგებლობისთვის. გარდა ამისა, რუსეთს უფლება არ ჰქონდა, გაბალიდან მიღებული ინფორმაცია პირდაპირ ან ირიბად გამოეყენებინა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ; არ შეეძლო გაეფორმებინა მესამე მხარესთან (განსაკუთრებით, სომხეთთან) ხელშეკრულება აზერბაიჯანის ნებართვის გარეშე.**

ძირითადი მოტივები, რომლის გამოც დასავლეთი გაბალის შეთავაზებაზე უარს ამბობდა, ასე გამოიყურებოდა: მისი ტექნიკური დონე ამერიკულ სისტემაზე დაბალია, რუსეთის სარადარო სისტემები და აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები თავსებადი არ არის. თუმცა ექსპერტები თანხმდებიან იმაში, რომ გაბალის რადიოსალოკაციო სისტემა იდეალურია ადრეული გაფრთხილებისთვის. ასე იყო თუ ისე, პუტინის შეთავაზების რეალიზება, მართალია, არ მოხდა, მაგრამ ამით რუსეთის საერთაშორისო გავლენა უდავოდ გაიზარდა.

დასავლეთი ხშირად აკრიტიკებს ვ. პუტინს, ხოლო საკუთარ საქმეებში ჩარევით გაბეზრებული რუსეთი პოზიციას, შერბილების ნაცვლად, ამკაცრებს და საპასუხოდ კონტინენტთაშორის მართვად რაკეტა RS-24-ს ქმნის. ეს ერთგვარად „ცივი ომის“ მოგონებებს აღძრავს, თუმცა, თავის მხრივ, რუსეთი დასავლეთის უსამართლობასა და ორმაგ სტანდარტებზე მიუთითებს.

ალი კიულები წერს: „რუსეთმა მართლაც გადა-

ისროლა მძიმე შეიარაღება ურალს იქით, შეიარაღებული ძალები 300 ათასით შეამცირა, დასავლეთი ასეთ ნაბიჯებს არ დგამს. აღმოსავლეთ ევროპა კი, ლამისაა, ამერიკულ სამხედრო ბაზად გადაიქცეს. **ვ. პუტინი კიდევ ერთ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას: პირველად ისტორიაში ევროპის ტერიტორიაზე ამერიკული ბირთვული სისტემა ამოქმედდება. ეს სიტუაცია, რომელიც მსოფლიო უსაფრთხოების სისტემაში ცვლილებებს გამოიწვევს, აიძულებს რუსეთს, დასავლეთის წინააღმდეგ აგრესიული პოლიტიკა გაატაროს.**

რუსები ამბობენ, რომ ისინი იძულებულნი არიან, ამგვარ რეაქციას მიმართონ და სწორედ დასავლეთია დასადანაშაულებელი იმაში, რომ შეიარაღების ახალ რბოლას უწყობს ხელს. რუსეთი ასევე მიუთითებს, რომ ბირთვული ომის შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანის ნაცვლად, ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სადგურების შექმნა, მსოფლიო ბირთვულ ბალანსს დაარღვევს“.

2012 წლის ივნისში პრეზიდენტმა ვ. პუტინმა „უკანა რიცხვით“ შეატყობინა ბარაკ ობამას, რომ კუბაზე უახლესი რუსული მობილური სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსები БСР-169 „Дуб“ განლაგდა.

„დიდი ოცეულის“ შეხვედრაზე მექსიკაში პუტინმა და ობამამ სამხედრო საკითხები განიხილეს, მათ შორის, რუსეთის საზღვრების სიახლოვეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის საგანგაშო ზრდა. საუბარი სასტუმრო „ესპერან-

საში“ გაიმართა, რაც ითარგმნება, როგორც „იმედი“. ეს სასტუმრო დიდი ოცეულის სამიტის განმავლობაში ობამას რეზიდენცია იყო. ფორმალური თვალსაზრისით, მოლაპარაკება ამერიკული მხარის ტერიტორიაზე წარიმართა. CNN აზუსტებდა, რომ ჟურნალისტები მოლაპარაკებებზე არ დაუშვეს, თუმცა საუბრის შემდეგ ვ. პუტინი სასტუმროს ჰოლში გამოვიდა და პრესისთვის მოულოდნელად მკვეთრი განცხადება გააკეთა:

„2001 წელს მე, როგორც რუსეთის პრეზიდენტმა და მთავარსარდალმა, მიზანშეწონილად მივიჩნიე, გამომეყვანა კუბიდან რადიოსალოკაციო ცენტრი „ლურდესი“. ამის სანაცვლოდ აშშ-ის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა აღმითქვა, რომ ეს გადაწყვეტილება „ცივი ომის“ დასრულების საბოლოო დასტურია და ჩვენი ორი სახელმწიფო „ცივი ომის“ რელიქტებისგან გათავისუფლებით ახალი ურთიერთობების აგებას დაიწყებს თანამშრომლობასა და გამჭვირვალობაზე დაყრდნობით. კერძოდ, ბუში მარწმუნებდა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები არასდროს განლაგდებოდა აღმოსავლეთ ევროპაში.

რუსეთის ფედერაციამ შეთანხმების ყველა პირობა შეასრულა. მეტიც, მე არა მარტო კუბის „ლურდესი“ დავხურე, არამედ „კამრანი“ ვიეტნამში. დავხურე, რადგან პატიოსანი სიტყვა მივეცი. მე, როგორც კაცმა, სიტყვა შევასრულე. რა ქნეს ამერიკელებმა? ისინი საკუთარ სიტყვაზე პასუხს არ აგებენ. საიდუმლო არ არის, რომ

© „ღვასტამაზრ ეგბ ანსაოვაფრ“

ბოლო წლებში აშშ რუსეთის ირგვლივ ბუფერულ ზონას ქმნის. და ამ საქმეში არა მარტო ცენტრალური ევროპის, არამედ, ბალტიისპირეთის, უკრაინისა და კავკასიის ქვეყნებს რთავს. ამაზე პასუხი მხოლოდ უცხოეთში რუსული სამხედრო ყოფნის ასიმეტრიული გაფართოება შეიძლებოდა ყოფილიყო, კერძოდ, კუბაში.

კუბაში ძალიან მოხერხებული მისასვლელებია ჩვენი სადაზვერვო და სამხედრო ხომალდებისთვის, არის ე. წ. ასახტომი აეროდრომების ქსელი. კუბის ხელმძღვანელობის სრული თანხმობით, ამა წლის 11 მაისს ჩვენმა ქვეყანამ არა მარტო განაახლა რადიოსალოკაციო ცენტრის მუშაობა ლურდესში, არამედ კუნძულზე უახლესი მობილური ბირთვული სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსები (Дуб) განალაგა. „Не хотели по-хорошему, пусть теперь щи лаптем хлебают“, — ემოციურად დაასრულა ვ. პუტინმა. აშშ-ის პრეზიდენტი ობამა პრესასთან არ ჩავიდა, თუმცა ყველა ელოდა, რას იტყოდა იგი რუსეთზე, რომელმაც მოულოდნელად კუნთები გამოაჩინა.

ევროპის «პუტინიზაცია» და სირია

2013 წლის აპრილში ესპანურმა გამოცემა La Vanguardia-მა გამოაქვეყნა მარსელ ვან ხერპენის სტატია სათაურით „პუტინის მომხიბლავი ავტორიტარიზმი“, რომელიც ეძღვნება ევროპის მემარჯვენე რადიკალური პარტიების აღტაცებას ვ. პუტინის რეჟიმით.

დასავლეთში სულ უფრო თვალშისაცემია საოცარი მოვლენა: უკიდურესად მემარჯვენე პარტიები შორდებიან საკუთარ ტრადიციულ ანტიკომუნისტურ იდეოლოგიას და ხშირად არ მალავენ აღფრთოვანებას (ზოგჯერ კი პირდაპირ მხარდაჭერას) ვ. პუტინის რეჟიმის მიმართ.

საიდუმლო არ არის ისიც, რომ ვ. პუტინთან

კავშირს ეძებდნენ ევროპელი ლიდერებიც (როგორც ძველი, ისე — ახალი). მაგალითად, გერმანიის ყოფილი კანცლერი გერჰარდ შრედერი პოსტიდან წასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ შევიდა მშენებარე გაზსადენის — „ჩრდილოეთის ნაკადის“ მმართველი საბჭოს შემადგენლობაში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გერმანიისთვის რუსული გაზის პირდაპირი მიწოდება ბალტიის ზღვის ფსკერის გავლით.

გაზეთი The Economist ჩეხეთის პრეზიდენტ **ვაცლავ კლაუსს** (ცნობილ ევროსკეპტიკოსს) მოიხსენიებს, როგორც **„პუტინის ერთ-ერთ ყველაზე აღფრთოვანებულ თაყვანისმცემელს უცხოეთში“.** მეორე მხრივ, გერმანიის ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია (უკიდურესად მემარჯვენეები) უკვე გამოხატავს ნოსტალგიას აღმოსავლეთ გერმანელების დადებითი თვისებების მიმართ და აცხადებს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა „უფრო სწორი გერმანია იყო“, ვიდრე ფედერაციული რესპუბლიკა.

საფრანგეთში მემარჯვენე რადიკალების სიმპატიები რუსეთის მიმართ კიდევ უფრო თვალსაჩინოა. 2011 წელს ნაციონალური ფრონტის ლიდერმა **მარინ ლე პენმა** ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ **აღფრთოვანებულია პუტინით და საპრეზიდენტო არჩევნებში მისი გამარჯვების შემთხვევაში საფრანგეთი გამოვა ნატოდან და სამმხრივ კავშირს შექმნის გერმანიასა და რუსეთთან**. მისი ძმის შვილი, მარიონ მარეშალ-ლე პენი არის ნაციონალურ ასამბლეაში

ნაციონალური ფრონტის დეპუტატი, საპარლამენტო ჯგუფის — საფრანგეთი-ევროპა-რუსეთის გავლენიანი წევრი და მრავალპოლარული მსოფლიოს მხარდაჭერით გამოდის.

უფრო ზუსტად რომ ითქვას, ეს იდეა ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის შესუსტებას ითვალისწინებს. 2012 წლის დეკემბერში მარიონ მარეშალ-ლე პენი, როგორც ამტკიცებენ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს, ალექსეი პუშკოვს, შეხვდა. ამგვარი შემობრუნება რუსეთისკენ აუხსნელია, რადგან თავად **ვ. პუტინის პოზიციის იდეოლოგიური ფესვები გარკვეული არ არის. მისი გაგება შეიძლება არა იმით, თუ რას უჭერს მხარს, არამედ იმით, თუ რის წინააღმდეგია; კერძოდ — დასავლეთის და დასავლური დემოკრატიის, ლიბერალიზმის, კომუნიზმის და ინდივიდუალიზმის.**

დასავლური მედიის შეფასებით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მსოფლიოში ცნობილია, როგორც კაცი, რომელმაც იცის, როგორ მიაღწიოს დასახულ მიზნებს. მის ერთ-ერთ სერიოზულ მიღწევად ინგლისური ენის შესწავლას ასახელებენ, რაც საშუალებას აძლევს, უცხოელ პარტნიორებთან იოლად შევიდეს კონტაქტში.

CNN-ის კორესპონდენტი საგანგებოდ მიუთითებდა ვ. პუტინის ლინგვისტურ მონაცემებზე. მას პრეზიდენტ ობამასა და ბრიტანეთის ექსპრემიერ ტონი ბლერს ადარებდა, რომლებიც

© „ღვინისფერი ცისკარი“

უცხო ენების ცოდნაში აშკარად ჩამორჩებოდნენ რუსეთის პრეზიდენტს.

გარდა ამისა, პუტინი სრულყოფილად ფლობს გერმანულ ენას. 2001 წლის 21 სექტემბერს გერმანიის ბუნდესტაგში გამოსვლისას დეპუტატები ფეხზე იდგნენ აპლოდისმენტებისას. გაზეთი წერდა: **„იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გამოიყურებოდა ვლადიმერ პუტინი ტელეეკრანზე, მას ნებისმიერ ტელევარსკვლავთან მეტოქეობა შეეძლო“.**

ცნობილია, რომ უცხო ენების არცოდნა ან არასათანადო ფლობა პოლიტიკოსებს ხშირად აყენებს უხერხულ მდგომარეობაში. მაგალითად, 2009 წლის მარტში აშშ-ისა და რუსეთის საგარეოპოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელების შეხვედრაზე სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა სერგეი ლავროვს საჩუქრად გადასცა ღილაკი, რომელიც ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის „გადატვირთვის“ სიმბოლო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ სიტყვის (Перезагрузка) ნაცვლად წარწერა ასეთი იყო: Перегрузка (მეტისმეტად დატვირთული)!

იმის შემდეგ, როცა ლავროვმა კლინტონს აუხსნა ამ სიტყვის მნიშვნელობა, სახელმწიფო მდივანმა ხუმრობა სცადა: „არ მოგცემთ საშუალებას, ამერიკის შეერთებულ შტატებს ასე მოექცეთ. გპირდებით“. მოგვიანებით ვაშინგტონმა მოსკოვს გასწორებული წარწერით დამშვენებული ღილაკი გაუგზავნა.

2011 წელს ვ. პუტინი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ჩინური ანალოგით

დაჯილდოვეს. ამან დასავლურ პრესაში იქედნური პუბლიკაციები გამოიწვია. იწერებოდა, რომ ჩინეთმა ამით დასავლეთს სამაგიერო გადაუხადა, რადგან ერთი წლით ადრე დისიდენტ ლიუ სიაობოს დაუსწრებლად მიანიჭეს ნობელის პრემია. იმასაც უსვამდნენ ხაზს, რომ კონფუცის სახელობის პრემია ვ. პუტინს უბრალო ჩინელებმა კი არა, „ჩინეთის კომუნისტმა ხელმძღვანელებმა მიანიჭეს“. რა უშავს, რომ არც ნობელის პრემიის კომიტეტში სხედან „უბრალო“ შვედები ან ამერიკელი ფერმერები? მთავარია, ჩინეთის კომუნისტები დროულად ახსენო, თორემ დასავლეთი, როცა სჭირდება, იმაზეც ხუჭავს თვალს, რომ ჩინურ „მაკდონალდსებში“ პირველადი კომუნისტური ორგანიზაციებია შექმნილი! ერთი სიტყვით, მთავარი საკუთარი ინტერესების დაცვაა და არა „კომუნისტური საფრთხობელა“!

დასავლურმა მედიამ კიდევ ერთხელ გაათამაშა „ანტიპუტინური“ კარტი და გაიხსენა, რომ „ეს ადამიანი ხელისუფლებაში ჩეჩნეთში სეპარატისტების განადგურებით მოვიდა“. ფრანგული Liberation ევროპის „პუტინიზაციის“ საფრთხეზე ალაპარაკდა. The New York Times-მა საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ პრემიის გამცემმა ჩინურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა 1999 წელს ვ. პუტინის გადაწყვეტილებას, ჩეჩნეთში ომი დაეწყო. გაზეთმა ციტატაც მოიტანა კომიტეტის განცხადებიდან: **„მისმა (პუტინის) რკინის ხელმა და სიმტკიცემ ამ ომში რუსეთის მოსახლეობაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.**

© „ღვასრბაზეზ ეზე ესნაოგაზეი“

იგი აღიქვეს იმ ადამიანად, რომელსაც ძალუძს, მისცეს რუსეთს უსაფრთხოება და სტაბილურობა. იგი №1 ანტიტერორისტი და ეროვნული გმირი გახდა“.

The Wall Street Journal-ის ჟურნალისტი ირონიულად წერდა: „პრესას, მათ შორის, ჩინურსაც, უყვარს ვ. პუტინი. აბა, რომელ რედაქტორს არ მოეწონება ლიდერი, რომელიც არბალეტიდან ესვრის ვეშაპს?“ სტატიას ილუსტრაცია ახლავს: ვ. პუტინი რაღაცას უმტკიცებს ბუშს, ორივეს ტრადიციული ჩინური ხალათი აცვია. ჩინელების განსაკუთრებულ განწყობას პუტინისადმი ავტორი იმითაც ხსნის, რომ მან „დაამტკიცა მზადყოფნა, პეკინთან ერთად დაუპირისპირდეს დასავლურ სახელმწიფოებს გაეროს უშიშროების საბჭოში“.

ამავე ვერსიას იზიარებს Globe and Mail-ის კორესპონდენტი. ორგანიზატორების განცხადებით, ვ. პუტინი აირჩიეს იმის გამოც, რომ ცდილობდა, არ დაეშვა ნატოს ჩარევა ლიბიის სამოქალაქო ომში. მაგრამ **რუსეთმა გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოსგან თავი შეიკავა, ხოლო მოგვიანებით ლიბიელ ამბოხებულებს დაუჭირა მხარი, პუტინის ძალისხმევა ჩაითვალა „გამორჩეულ წვლილად მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში“.**

გამოცემა სარკასტულად ამატებს, რომ, თუ კადაფის არ მოკლავდნენ, მას შანსი ექნებოდა, პუტინთან ერთად კონფუცის პრემია მიეღო. ერთერთი ბლოგერი პორტალზე sina.com წერდა, რომ შემდეგი ლაურეატები შეიძლება იყვნენ ახ-

მადი ნეჯადი (ირანის პრეზიდენტი), ჩავესი (ვენესუელის პრეზიდენტი) და კიმ ჩენ ირი (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი). „დასანანია, რომ კადაფი ამ ამბავს ვერ მოესწრო“, — დაამატა მან.

უკვე ამ ჩამონათვალით ნათელია, რომ **დასავლური მედიის თავდასხმები სწორედ იმ ლიდერებზე მოდის, რომლებიც ცდილობენ, დასავლეთის კარნახით არ იცხოვრონ და საკუთარი სახელმწიფოს სუვერენიტეტი დაიცვან.**

2012 წლის 6 სექტემბერს აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტის წინ Russia Today-სთვის მიცემულ ინტერვიუში შეკითხვაზე — **სირიაში უკვე წელიწად-ნახევარია, საშინელი პროცესი მიმდინარეობს. ამ დროის განმავლობაში რუსეთის პოზიცია უცვლელია. თქვენ უცხოური ჩარევის წინააღმდეგ გამოდიოდით და მოუწოდებდით, რომ სირიელმა ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს საკუთარი მომავალი მოლაპარაკებების გზით. თავისთავად მშვენიერი იდეაა, მაგრამ ორივე მხარეს ყოველდღიურად ადამიანები იღუპებიან. იქნებ რუსეთმა საკუთარ პოზიციას უნდა გადახედოს?**

ვ. პუტინმა უპასუხა:

— რატომ უნდა გადახედოს საკუთარ პოზიციას მხოლოდ რუსეთმა? იქნებ მოლაპარაკებებში ჩვენმა პარტნიორებმაც უნდა გადახედონ საკუთარ პოზიციებს? თუ უკანასკნელი წლების მოვლენებს მივუბრუნდებით, ჩვენი პარტნიორების ყველა ინიციატივა როდი მთავრდებოდა ისე,

როგორც მათ სურდათ! ავიღოთ ის ქვეყნები, რომლებშიც კონფლიქტები მიმდინარეობს. შეერთებული შტატები (მოგვიანებით მოკავშირეებთან ერთად) ავღანეთში შევიდნენ.

ახლა ყველა იმას ფიქრობს, როგორ გამოასწროს იქიდან. თუ რაიმეზე ვსაუბრობთ, ეს არის ავღანეთიდან ადამიანებისა და ტექნიკის ტრანზიტში დახმარება. დარწმუნებული ხართ, რომ იქ სიტუაცია ათწლეულობით დასტაბილურდება? ამის რწმენა ჯერჯერობით არავის აქვს.

ან რა ხდება არაბეთის ქვეყნებში? მოხდა გარკვეული მოვლენები, მაგალითად, ეგვიპტეში, ლიბიაში, ტუნისში, იემენში. განა იქ წესრიგი და კეთილდღეობა დამყარდა? ან ერაყში რა ხდება?

ლიბიაში დღემდე სხვადასხვა ტომებს შორის, პრაქტიკულად, შეიარაღებული დაპირისპირება

მიმდინარეობს. იმაზე აღარ ვილაპარაკებ, როგორ მოხდა ხელისუფლების შეცვლა... ჩვენ გვაწუხებს, რა თქმა უნდა, ძალადობა სირიაში, მაგრამ არანაკლებ გვაღელვებს, რა იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ. ჩვენის აზრით, სადღეისოდ ყველაზე მნიშვნელოვანია, შეჩერდეს ძალადობა, ვაიძულოთ კონფლიქტის მხარეები (სამთავრობოც და შეიარაღებული ოპოზიციაც), დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან და განსაზღვრონ მომავალი, რომელიც შიდაპოლიტიკური პროცესების ყველა მონაწილის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ქვეყნის შიდა მოწყობის მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. შესანიშნავად გვესმის, რომ ცვლილებები აუცილებელია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ცვლილებები სისხლიანი უნდა იყოს.

ჟურნალისტის კითხვა: — რას იტყვით გაეროზე? კერძოდ, როგორი რეაქცია ჰქონდა გაეროს სირიაში შექმნილ ვითარებაზე? ბევრი აკრიტიკებს მას იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყო ერთიანი ფრონტით გამოსვლა და ფიქტიურ ორგანიზაციად იქცა. იზიარებთ ამ თვალსაზრისს?

ვ. პუტინი: — მე პირიქით ვფიქრობ. ჩემი აზრი იმის საპირისპიროა, რაც ახლა თქვენ ჩამოაყალიბეთ. გაერო, მისი უშიშროების საბჭო რომ ისეთ კანტორად გარდაქმნილიყო, რომელიც ერთი დაინტერესებული მხარის გადაწყვეტილებას დაუკრავს კვერს, მაშინ იგი მართლაც შეწყვეტ-

© „ღამისფრთიანი ფრინველი“

და არსებობას, როგორც თავის დროზე ერთა ლიგა. უშიშროების საბჭო და გაერო მთლიანად არის ორგანიზაცია კომპრომისების მოსაძებნად. ეს რთული პროცესია, მაგრამ მხოლოდ მუხლჩაუხრელ შრომას შეუძლია შედეგის მოტანა.

ჟურნალისტის კითხვა: — ბატონო პრეზიდენტო, ცალკეული დასავლური და არაბული სახელმწიფოები მთელი ამ დროის განმავლობაში საიდუმლოდ უჭერდნენ მხარს სირიის განმათავისუფლებელ არმიას, ახლა კი ზოგიერთი ღია მხარდაჭერაზე გადავიდა. არსებობს ეჭვი, რომ სირიის განმათავისუფლებელ არმიაში „ალ ქაიდას“ ბოევიკები არიან და ისტორია ისე ტრიალდება, რომ ქვეყნები, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვნიეს ტერორიზმის საშინელება, ახლა სირიაში, ფაქტობრივად, ტერორიზმს უჭერენ მხარს. ეთანხმებით ასეთ შეფასებას?

ვ. პუტინი: — ყოველთვის, როცა ვიღაცას, მისი აზრით, ოპტიმალური რეზულტატის მიღწევა სურს, როგორც წესი, არანაირ საშუალებას არ ერიდება. ყველა შესაძლებლობას იყენებს სასურველი შედეგის მისაღწევად. რა იქნება მერე, ამაზე არ ფიქრობენ. ასე იყო ავღანეთის მოვლენების დროს, როცა საბჭოთა კავშირმა იქ ჯარი შეიყვანა. მაშინ ჩვენი დღევანდელი პარტნიორები იქ ამბოხებულებს უჭერდნენ მხარს და, ფაქტობრივად, მათ შექმნეს „ალ ქაიდა“, რომელმაც შემდეგ სწორედ შეერთებულ შტატებზე განახორციელა დარტყმა. დღეს ვიღაცას უნდა „ალ ქაიდას“ და მსგავსი ორგანიზაციების გამოყენება სირიაში. ეს სახიფათო და ახლომხედველი პო-

ლიტიკაა. მაშინ გავაღოთ გუანტანამოს კარი და იქ მყოფები სირიაში შევუშვათ — იომონ! ეს ხომ იგივეა. უბრალოდ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შემდეგ ეს მოქალაქეები საკუთარ კეთილისმყოფელს დაარტყამენ. ამ მოქალაქეებს კი არ უნდა დაავიწყდეთ, რომ მერე მათთვის ახალი ციხე შეიქმნება, იმის მსგავსი, რომელიც ახლა კუბის სიახლოვეს არის. ეს მიდგომა, როგორც წესი, ძალიან მძიმე შედეგებს იძლევა“.

2013 წლის 17-19 ივნისს ირლანდიულ ლოხ-ერნში დაგეგმილი „დიდი რვიანის“ სამიტის წინ დასავლური მედია ასეთ პროგნოზს აკეთებდა: სამიტზე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი „საყოველთაო ოპონენტი“ იქნება და საბოლოოდ ყველას მოუგებს.

ბრიტანული The Independent-ის მიმომხილველმა „დიდი რვიანისთვის“ ცუდი პროგნოზი დაინახა ლონდონში ვ. პუტინისა და დევიდ კემერონის მოლაპარაკების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. ბევრმა გამოცემამ ბრიფინგის ტონი „ყინულოვნად“ აღიქვა: **„ყველასთვის ნათელი იყო, რომ რუსეთის პრეზიდენტი საუკეთესო განწყობით არ არის. დიდი ძალისხმევის გარეშე მან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. პუტინი მზერით ხვდებოდა ჟურნალისტებს და საჭიროზე მეტხანს უყურებდა, შემდეგ კი სხვა ობიექტებზე გადაჰქონდა მზერა**“.

როდესაც ვ. პუტინი ლაპარაკობდა, მისი მიმიკა და ჟესტები გულგრილობას გამოხატავდა, თუმცა მისი სიტყვები თბილი იყო. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მას შეახსენა კემერონის სიტყვე-

© „ღონისძიების ეროვნული“

ბი, რომ, **„ვინც პრეზიდენტ ასადს უჭერს მხარს, მის ხელებზე სირიელი ბავშვების სისხლია“, რაზეც, ავტორის სიტყვებით, ვ. პუტინმა „ისეთი არადიპლომატიური მრისხანება გამოხატა, რომელსაც ვერც ერთი თარჯიმანი ვერ შეალამაზებდა“.**

მისი ფრაზის შემდეგ: **„ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲕᲔᲠ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲦᲘᲠᲡ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲮᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲛᲢᲠᲔᲑᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲣᲪᲔᲚᲡ ᲣᲤᲐᲢᲠᲐᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲨᲘᲒᲜᲔᲣᲚᲡ ᲭᲐᲛᲔᲜ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲙᲐᲛᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ“**, კემერონი აშკარად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ფაქტობრივად, პუტინის მხარე დაიჭირა ლონდონის მერმა ბორის ჯონსონმა და სირიელი ამბოხებულებისთვის იარაღის მიწოდება დაგმო. The Daily Telegraph-ის ფურცლებიდან მან გააფრთხილა კემერონი, რომ „მანიაკების შეიარაღება კატასტროფა იქნება“. ბრიტანეთმა არ უნდა გამოიყენოს სირია, როგორც „არენა კუნთებით თამაშისთვის“, ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი, ლონდონის მერის აზრით, ცეცხლის საერთო შეწყვეტაა.

ამერიკული პრესა შიშობდა, რომ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მოქმედება, რომლებიც ამბოხებულთა მხარდაჭერის გაფართოებას გეგმავდნენ, „შეიძლება მეტისმეტად წვრილმანი და დაგვიანებული აღმოჩენილიყო, ობამას მიერ გამოცხადებული მიზნის — ასადის ხელისუფლებიდან ჩამოშორების საქმეში“. ეს ნაბიჯი (სამხედრო მხარდაჭერა) რომ წელიწად-ნახევრის

წინ გადადგმულიყო, მას შეეძლო, გარდატეხა შეეტანა სამოქალაქო ომში სირიის რეჟიმის წინააღმდეგ და თავიდან აეცილებინა „ალ ქაიდასთან“ დაკავშირებული ექსტრემისტული ძალების გამოჩენა, რომლებიც ახლა აქტიურობენ სირიაში“, — წერდა The Washington Post.

„რუსეთი ობამას სირიაში ჯოგნის“, — წერდა The Wall Street Journal. გაეროში აშშ-ის ყოფილი წარმომადგენლის, ბოლტონის, სიტყვებით, **„ვიდრე ობამა სომნამბულასავით დადის, პუტინი ახლო აღმოსავლეთში რუსეთის მიზნებს აღწევს. პუტინის ნეოიმპერიალისტურ მიზნებს უკვე გლობალური გაქანება აქვს“. „ვიდრე ამერიკა ამოდის თეზისიდან, თითქოს სირიაში, ლიბანში, ირანსა და საერთოდ, ახლო აღმოსავლეთში აშშ-ისა და რუსეთის ინტერესები მთლიანად ემთხვევა, მოსკოვის გავლენას გაზრდის, ხოლო ამერიკისა — შემცირდება“,** — დაასკვნის ბოლტონი.

არგუმენტის სახით გაეროში აშშ-ის ყოფილ წარმომადგენელს რუსეთის მიერ სირიისთვის საზენიტო-სარაკეტო დანადგარის — C-300-ის მიწოდების გეგმები მოაქვს. ბოლტონის გაფრთხილება ასე ჟღერს: ამ სისტემას შეუძლია შეცვალოს ძალთა სტრატეგიული ბალანსი სირიაში, ლიბანსა და ირანში „ისრაელისა და ამერიკის საზიანოდ“. მისი რწმენით, კრემლის განზრახვა სწორედ ის არის, რომ „შეცვალოს ეს ფართო სტრატეგიული ბალანსი“ და ამიტომ მოსკოვი ექსპლუატაციას უწევს ობამას პოლიტიკას — „დაბრუნდი შინ, ამერიკავ“!

საყოველთაო შეფასებით, ვ. პუტინმა მარტო და პირწმინდად მოუგო „დიდი რვიანის“ ლიდერებს.

ბრიტანული პრესა წერდა, რომ რუსეთის ლიდერზე ზეწოლას პრემიერმინისტრი დევიდ კემერონი და აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ახდენდნენ, რათა დაეყოლიებინათ, მიეღო გეგმა, რომლის თანახმად, სირიის ლიდერი ბაშარ ასადი უნდა გადამდგარიყო, ხოლო ქიმიური იარაღის გამოყენება უნდა დაეგმოთ. მიუხედავად იმისა, რომ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ ინფორმაცია ისევე არასარწმუნოა, როგორც ერაყში შეჭრის საბაბად გამოყენებული „მასობრივი განადგურების იარაღის საწყობების აღმოჩენა“ ერაყის ტერიტორიაზე, ამ საბაბით დასავლეთი სირიელი ამბოხებულებისთვის იარაღის მიწოდებას ამართლებს.

საპასუხოდ, ვ. პუტინმა არ გამორიცხა იარაღის მიწოდებაზე ახალი კონტრაქტების გაფორმება ასადისთვის, რადგან ეს კანონიერია და მორალურ პრინციპებს არ არღვევს. ამასთანავე, რუსეთის პრეზიდენტმა გააფრთხილა სამიტის მონაწილეები, რომ ამბოხებულებისთვის დასავლეთის მიერ მიწოდებული იარაღი ერთხელაც ევროპაში იქნება გამოყენებული. ამის შესახებ გაფრთხილება ბაშარ ასადმაც გააკეთა გერმანულ პრესაში.

საბოლოო კომუნიკეში სირიის საკითხზე არ შევიდა მოთხოვნა ასადის გადადგომის შესახებ, რაც რუსეთის დამსახურებაა. მოსკოვი სწორედ სირიის კონფლიქტში დასავლეთის ჩარევისა და ამბოხებულების იარაღით მომარაგების წინააღმდეგ გამოვიდა.

ამერიკული გამოცემა Foreign Policy-ს ჟურნალისტმა სამიტის დასრულების შემდეგ ჰკითხა რუსეთის პრეზიდენტს, მარტოობას ხომ არ განიცდიდა, რადგან იგი „ერთი, მცირერიცხოვან მოკავშირეთაგანია, რომლებიც დარჩა პრეზიდენტ ასადს“. ვ. პუტინის პასუხი დიპლომატიური იყო: „საერთო დისკუსია იყო. ვიღაც თანხმდებოდა, ვიღაც კამათობდა, მაგრამ არც ერთხელ არ ყოფილა ისე, რომ რუსეთს მარტოს დაეცვა თავისი მიდგომები სირიის პრობლემის მოგვარების საკითხისადმი“.

სამიტზე რუსეთის იზოლაციის შესახებ საუბრები მას შემდეგ დაიწყო, რაც კანადის პრემიერ-მინისტრმა, სტივენ ჰარპერმა, განაცხადა, რომ რუსეთი ამ თანამეგობრობაში „ვერ ეწერება“:

„მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ეს სამიტი „დიდი შვიდიანი პლუს ერთია“, მაგრამ, Foreign Policy-ს ჟურნალისტის შეფასებით, ამ მიდგომამ დასავლეთს „დიპლომატიური გარღვევა“ ვერ მოუტანა. „პუტინმა მიაღწია იმას, რომ ასადი არ ფიგურირებს შემაჯამებელ კომუნიკეში, რომელშიც „რვიანის“ წევრებმა მხარი დაუჭირეს სამშვიდობო მოლაპარაკებებს ჟენევაში და მოუწოდეს „ალ ქაიდასთან“ დაკავშირებულ ოპოზიციურ ჯგუფებს, დატოვონ სირიის ტერიტორია“, — წერს ელიას გროლი.

The New Yorker იზიარებს Foreign Policy-ის შეფასებას და წერს, რომ პუტინმა მოიგო. **„ეს იმიტომ, რომ, „დიდი რვიანის“ დანარჩენი ლიდერებისგან განსხვავებით, რუსეთის პრეზიდენტმა ზუსტად იცის, რა უნდა და რაზე წასასვლელად არის მზად მიზნის მისაღწევად.**

საინტერესოა, რომ სამიტის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია თურქეთის პრემიერმინისტრის მოულოდნელი გადაწყვეტილების შესახებ; მან 19 ივნისს დაურეკა აშშ-ის პრეზიდენტ ობამას და შეატყობინა, რომ თურქეთი ხურავს სირიელი ამბოხებულებისთვის ნატოსა და აშშ-ის მიერ იარაღის მისაწოდებელ დერეფანს. ერდოღანმა ობამას განუცხადა, რომ მას რუსეთის შურისძიების ეშინია, თუკი ნატოს და ამერიკულ იარაღს სირიელი ამბოხებულებისკენ გაატარებს.

კიდევ უფრო საინტერესოდ გამოიყურება ის, რომ ამბოხებულთათვის აშშ-ის, ნატოსა და ევროპული წყაროების მიერ მიწოდებული იარაღი

საერთაშორისო ბაზრებზეა შეძენილი. და არა მარტო იმიტომ, რომ ასე უფრო იაფი ჯდება, არამედ იმიტომაც, რომ ეს ძირითადად რუსული წარმოების იარაღია. ამგვარად, **ამბოხებულები რუსული იარაღით უპირისპირდებიან სირიის არმიას, რომელიც ასევე რუსული იარაღით იბრძვის. ამან ყველაფერზე მეტად გააგულისა მოსკოვი.**

თუ ერდოღანი მანამდე სირიულ ოპოზიციას სწყალობდა და თურქეთის ტერიტორიაზე ზურგის ბაზების განლაგების საშუალებას აძლევდა, ამჯერად ფეხქვეშ ნოხი გამოაცალა და ასადს არსებითი ფორა მისცა. ეს შემობრუნება სტრატეგიული მიწისძვრაა არა მარტო სირიის ომის თვალსაზრისით, არამედ შეერთებული შტატებისთვის და, დროთა განმავლობაში, ისრაელისთვის.

ათი წლის წინ ერდოღანმა ზუსტად ასეთი მანევრი განახორციელა, როცა თურქეთიდან ერაყში ამერიკული ჯარი არ გაატარა სადამ ჰუსეინისთვის მეორე ფრონტის გასახსნელად.

სირიის საკითხი არ შეიძლება განვიხილოთ იზოლირებულად იმ ტრანსფორმაციული პროცესებისგან, რომლებიც, უკვე მესამე წელია, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარეობს. დასავლური მედია და საზოგადოება უკვე გამოხატავს შეშფოთებას ამის გამო. ჯერჯერობით, მათი შეფასებით, მინუსები მეტია, ვიდრე პლუსები, იმის გათვალისწინებით, რომ დულილი თურქეთსაც გადაედო.

რეგიონის სხვადასხვა ნაწილში უკვე გაჩნდა

© „ღვასკვანიჭეგე ესნაოკაფეი“

„ნაცრისფერი ზონები“, რომელთა გავლით დაქირავებული მებრძოლები და იარაღი თავისუფლად გადაადგილდება. ამის თვალსაჩინო მაგალითი მალისა და სომალის კრიზისებია.

საგრძნობლად გამწვავდა ეთნოკონფესიური ურთიერთობები: მუსლიმანებსა და კოპტებს შორის ეგვიპტეში; არაბებს, ბერბერებსა და შავკანიან აფრიკელებს შორის ლიბიაში. მწვავდება დაძაბულობა სუნიტებსა და შიიტებს შორის, რასაც სირიის მოვლენები უწყობს ხელს.

სირიის კონფლიქტის ექო ხელს უწყობს რელიგიური შეუწყნარებლობის ზრდას ლიბანში და რეგიონის სხვა ქვეყნებში. ამას ერაყში დაუსრულებელი დაპირისპირებაც ემატება. ბრიტანელ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ახალი ძალით შეიძლება წამოიჭრას ე.წ. ქურთული საკითხი და თანაც — არა მარტო ერაყში. ეს პროცესი, ბევრი პოლიტიკოსის აზრით, არავინ იცის, რით დამთავრდება დასავლეთისთვის. **დასავლეთი უნდა ჩამოყალიბდეს თავის პოლიტიკაზე ისლამურ სამყაროში, რათა, როგორც ბრიტანელებს უყვართ თქმა, „ისტორიის სწორ მხარეს“ აღმოჩნდნენ.**

რაც შეეხება რუსეთს, ბრიტანული დისკურსის გათვალისწინებით, მისი პოზიცია მეინსტრიმის ნაწილია. მიზეზი კი მარტივია — იგი საღ აზრს ეფუძნება.

ვის უყვარს ვ. პუტინი?

ვლადიმერ პუტინის შესახებ უამრავი გამონათქვამი არსებობს; ერთნი მას აქებენ, მეორენი კი მის მიმართ სიძულვილს ვერ ან არ მალავენ. საბოლოო ჯამში, ყველა პოლიტიკურ ლიდერს ისტორია განსჯის, მაგრამ მაინც საყურადღებოა რუსეთის შიგნიდან და გარედან დანახული პუტინი; არა მხოლოდ პოლიტიკოსების ან ცნობადი სახეების, არამედ ბლოგერების მიერ დანახული. ბლოგოსფეროს გადმოცემის სტილი უამრავ პირობითობას უვლის გვერდს და ამდენად, ბევრად უფრო უშუალოა. აი, ორი ფართოდ გავრცელებული ჩანაწერი პუტინის შესახებ, რომლებიც მშვენივრად ხსნის მის პოპულარობას და მის მიმართ მადლიერების მიზეზებს:

© „ღვასტაბაზეგნე ანსაფაფეი“

Куришь, пьешь и не женат –
Это Путин виноват!

ასეთი ქვესათაურით რუსმა ბლოგერმა გამოაქვეყნა სტატია „რატომ ვუჭერ მხარს პუტინს“. შესავალში წერს, რომ კარგად ესმის, რამდენი „თეთრლენტიანი“ ბლოგერის თავდასხმის მოგერიება მოუწევს, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, რასაც გულწრფელად ფიქრობ, ის უნდა თქვა:

„როგორი რეაქცია უნდა გქონდეს კითხვაზე – რატომ ემადლიერებით მეხანძრეს, რომელმაც თქვენი სახლი დაწვას გადაარჩინა, რატომ არ გძულთ იგი? აქვე ვიტყვი — პირადად მე, როგორც ადამიანი, პუტინი არ მაინტერესებს, მას განვიხილავ მხოლოდ რაკურსში „პუტინი — რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი“.

მაშ ასე: **რა გააკეთა კარგი რუსეთისთვის პუტინმა, რატომ ვცემ პატივს და ვუჭერ მხარს, რატომ მივეცი ხმა უკანასკნელ არჩევნებზე?**

1. ყველაზე მთავარი – შეაჩერა რუსეთის თითქმის შეუქცევადი დაშლის პროცესი (გეოპოლიტიკური თვალსაზრისით);

2. დაასრულა ომი ჩეჩნეთში და სეპარატიზმის შემდგომი გავრცელება (ეს რომ არ გაეკეთებინა, შემდეგ ალი თათარსტანსა და ბაშკირეთს მოედებოდა, ციმბირი ჩამოცილებას დაიწყებდა და სეპარატიზმის პროცესი რუსეთში მართლაც შეუქცევადი გახდებოდა);

3. დაასრულა ბანდიტური „ბესპრედელი“ და ქვეყანაში წესრიგი დაამყარა (გაიხსენეთ 90-იანი წლები);

4. მსხვილი ბიზნესიდან უცხოელები და განსაკუთრებით გათავხედებული პროდასავლური ოლიგარქები გარეკა, რის ხარჯზეც ბიუჯეტის შევსება დაიწყო (პუტინმა გააუქმა ე.წ. შეთანხმება პროდუქციის გაყოფაზე, რამაც ბუნებრივი რესურსები უცხოური იურისდიქციიდან რუსეთის იურისდიქციაში დააბრუნა);

5. რუსეთი საშინელი საგარეო ვალისგან დაიხსნა;

6. აამაღლა (თანაც, საგრძნობლად!) რუსეთის მოქალაქეების კეთილდღეობის დონე;

7. შექმნა პირობები მცირე და საშუალო ბიზნესის ნორმალურად კეთებისთვის (რაზეც რეკეტირულ 90-იან წლებში ვერც ვიოცნებებდით);

8. დაიწყო ლიბერასტების მიერ განადგურებული არმიისა და თავდაცვითი მრეწველობის აღორძინება;

9. დაიწყო პოსტსაბჭოთა რეინტეგრაციის პროცესი (საბაჟო კავშირი პირველი ზარია);

10. დაიწყო და სათავეში უდგას რუსეთის სრული სუვერენიტეტის აღდგენის მოძრაობას, რომელიც ცივ ომში დამარცხების შემდეგ ორი მესამედით დაკარგული იყო...

და ა. შ და ა. შ.

100 პუნქტის მოტანა შემიძლია, მაგრამ მიმაჩნია, რომ მოტანილი 10 პუნქტი სრულიად საკმარისია.

მომენტით ვისარგებლებ და აქვე ვუპასუხებ „თეთრლენტიანთა“ კომენტარებს, რომლებიც ამ პოსტის ქვეშ დანამდვილებით გაჩნდება და რომელთა შინაარსი ასეთი იქნება: „**თუ პუტინი**

© „ღვასრბაზეგნე ესნაოსაფი“

ასეთი კარგია, ხელისუფლებაში ყოფნის 12 წელიწადში რატომ ვერ აქცია რუსეთი მეორე შვეიცარიად ან აშშ-ის მსგავს სამოთხედ?“

ჯერ ერთი, ვ. პუტინი ხელისუფლებაში არა 12, არამედ 8 წელია, რის შემდეგაც მედვედევმა ოთხ წელიწადში მოახერხა ვ. პუტინის ორ საპრეზიდენტო ვადაში მიღწეულის ჩამოწერა. მეორეც, ჩემო გულუბრყვილო „თეთრლენტიანო“ „მეგობრებო“, პუტინი არც ღმერთია და არც მეფე, მხოლოდ ერთი ადამიანია (თანაც, ხელ-ფეხ შეკრული 1993 წლის პროპინდოსური კონსტიტუციით). და ერთი ადამიანისთვის ამ სიტუაციაში, უბრალოდ ბევრი კი არა, წარმოუდგენლად ბევრი გააკეთა — სულ ცოტა, ჩვენი ქვეყანა, რუსეთი შეინარჩუნა!

მეტიც, ვ. პუტინსა და მის თანამოაზრეთა მცირე გუნდს უპირისპირდება ისეთი მძლავრი სახელმწიფო, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც ცივ ომში საბჭოთა კავშირზე გამარჯვების შემდეგ მთლიანად დაიმორჩილა სახელმწიფოს მართვის რუსული სისტემა და, არსებითად, ჩვენი ქვეყნის რბილი ოკუპაცია მოახდინა.

დიახ, იმის მთავარი მიზეზი, რომ, კანონების მიღების ჩვენი მცდელობებისა და სხვა ნაბიჯების მიუხედავად, რუსეთი წინ ნელა მიიწევს, თავად სისტემაშია, რომელიც ჩვენთან ამერიკელებმა შექმნეს „ცივ ომში“ ჩვენი მარცხის შემდეგ და რომელსაც დღემდე ისინი აკონტროლებენ და ინარჩუნებენ. ამ სისტემაში ყველა ჩვენი დეპუტატი, მსხვილი ბიზნესმენი, მთავრობა,

პრეზიდენტი ნახევრადნომინალური ფიგურები არიან. თუ რომელიმე ეს „ჭანჭიკი“ რაიმე ისეთის კეთებას იწყებს, რაც სისტემის ინტერესებს ეწინააღმდეგება, სისტემა მას უბრალოდ ამოაგდებს და ახალი, დამჯერი და კონტროლირებადი „ჭანჭიკით“ შეცვლის.

სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ჩვენს დეპუტატებს, მოხელეებს, შესაძლოა, სურთ კიდეც, იყვნენ დამოუკიდებელნი და იმუშაონ საკუთარი ქვეყნის და არა ოკუპანტების ინტერესებისთვის, მათ ბანალურად ამის შესაძლებლობა არ ეძლევათ. სისტემა, რომელიც დასავლეთს ეკუთვნის და მისგან კონტროლდება, მათ ამის საშუალებას არ აძლევს!

სისტემისთვის (ამერიკელებისთვის) ამ ფონზე სრულ მოულოდნელობად იქცა ვ. პუტინი!

2000 წელს პრეზიდენტის პოსტზე მოსულმა ვ. პუტინმა (როგორც ელცინის უკანასკნელმა ოინმა ამერიკელების მიმართ) ხელის რეჟიმში დაიწყო სისტემის დემონტაჟი და მისი გარდაქმნა, ისე, რომ მას რუსეთის ინტერესებში ემუშავა და არა დასავლეთის! და პირველი ორი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში ძალიან ბევრი გააკეთა ამ მიმართულებით.

ოღონდ სისტემა ამას ძალიან ეწინააღმდეგება და ვ. პუტინის მიერ წინ გადადგმულ ყოველ ორ ნაბიჯზე ერთი ნაბიჯით უკან გვწევს. „პლუშის“ მედვედევის მმართველობის ოთხი წლის განმავლობაში კი ყველაფერი, რაც პუტინმა ორ ვადაში გააკეთა, სისტემამ 2003–2004 წლების დონემდე

© „ლიანგრამული ეროვნული ანბანი“

დააბრუნა უკან. და ახლა, პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნების შემდეგ, ვ. პუტინი კვლავ იწყებს ამ პარტიის ჩვენს სასარგებლოდ გათამაშებას.

ეს ძალიან რთულია! ამის უცბად გაკეთება შეუძლებელია!

მაგრამ პუტინი ამას აკეთებს!!!

და მასზე თავდასხმები კი არ არის საჭირო, იდიოტობების ყვირილით „პუტინი ქურდია! პუტინ, წადი!“, არამედ მხარდაჭერა და დახმარება.

ხოლო თუ ყოველგვარ „თეთრლენტიან“ გიჟებს, ოპოზიციას, მეხუთე კოლონას და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს საშუალებას მივცემთ, ჩამოაშორონ ვ. პუტინი ხელისუფლებას, მეორე ასეთი პიროვნება რუსეთის პოლიტიკურ ჰორიზონტზე არ არსებობს

და ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი, სულ ცოტა, 20–30 წლით დაბრუნდება იმ უკანალში, რომელშიც 90-იან წლებში იმყოფებოდა და რომლიდანაც თავი მხოლოდ ვ. პუტინის წყალობით დააღწია! როგორც მაქსიმუმი კი, ამერიკელები საბოლოოდ მოგვიღებენ ბოლოს და დაგვშლიან (90-იანი წლების შეცდომის გათვალისწინებით, როცა მიიჩნიეს, რომ ჩვენ თვითონ დავიშლებოდით).

იმედია, ნათქვამი საკმარისზე მეტია, რათა გაიგოთ, რატომ ვუჭერ მხარს პუტინს და რატომ არ მიყვარს ისინი, ვინც მას უყეფენ.

რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებაზე ბოლო ინსტანციაში პრეტენზია არ მაქვს.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრი, რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესისა და მასში ვლადიმერ პუტინის როლის ჩემეული მოკრძალებული ხედვაა.

© „ღვასაბაძეების ოჯახისათვის“

ვის სძულს ვ. პუტინი?

(აშშ-დან დანახული)

სოციალისტებს სძულთ ვ. პუტინი, რადგან იგი თავისუფალ მეწარმეობას ავითარებს.

ვ. პუტინი: „მეოცე საუკუნეში საბჭოთა კავშირმა სახელმწიფოს როლი აბსოლუტური გახადა. საბოლოო ჯამში, ამან საბჭოთა ეკონომიკა არაკონკურენტუნარიანად აქცია. ეს გაკვეთილი ძვირად დაგვიჯდა. დარწმუნებული ვარ, არავის უნდა ამის გამეორება“...

ყალბი ფულის მჭრელ კეისიანელებს სძულთ ვ. პუტინი, რადგან იგი სახელმწიფო ვალებისა და ფულის უკონტროლო ბეჭდვის წინააღმდეგია.

ვ. პუტინი: „საბიუჯეტო დეფიციტის დაუსაბუთებელი ზრდა და სახელმწიფო ვალების დაგროვება ისევე დამანგრეველია, როგორც ავანტიურული საფონდო თამაში. სამწუხაროდ, ჩვენ შორს ვართ კრიზისის ჭეშმარიტი მასშტაბების რეალური აღქმისგან“.

ვ. პუტინი: „შეხედეთ მათ (ამერიკის) სავაჭრო ბალანსს, ვალებს და ბიუჯეტს. ისინი საბეჭდ დაზგას ამუშავებენ და მთელ დოლარის ზონას, სხვა სიტყვებით, მთელ მსოფლიოს სახელმწიფო ობლიგაციებით ტბორავენ. ახლო პერსპექტივაში ჩვენ ასე ვერ ვიმოქმედებთ. ჩვენ თავს ასეთი ხულიგნობის უფლებას ვერ მივცემთ“.

ათეისტებს სძულთ ვ. პუტინი, რადგან ქრისტიანობას (და ყველა რელიგიას) იცავს.

ვ. პუტინი: „ეს დღესასწაული (აღდგომა) აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია ეროვნული ტრადიციები და სულიერი ფასეულობები ჩვენი ხალხისთვის. სახელმწიფო მომავალშიც ყოველმხრივ დაუჭერს მხარს ეკლესიას მის მუშაობაში, რუსეთის მოქალაქეების განათლებისა და ზნეობრივი აღზრდის მიმართულებით“ (გამოსვლა მაცხოვრის ტაძარში 2008 წლის აღდგომას).

ვ. პუტინი: „მართლმადიდებელი ქრისტიანობა ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ჩვენი სახელმწიფოებრიობის, ჩვენი კულტურის, ჩვენი ზნეობის ფორმირებაში. ეკლესია შეიძლება სახელმწიფოსგან ცალკე იდგეს, მაგრამ ჩვენი ხალხის სულსა და ისტორიაში ეს ყველაფერი ერთადაა, ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება“.

გადაგვარებულებს სძულთ ვ. პუტინი, რადგან მან სავალდებულო მორალური და ეთიკური აღზრდა შემოიღო.

ვ. პუტინი: „იმისთვის, რომ რუსეთი სუვერენული და ძლიერი იყოს, ჩვენ მეტნი უნდა ვიყოთ და უკეთესები: ზნეობაში, კომპეტენციაში, მუშაობაში, შემოქმედებაში“.

ჰომოსექსუალებს სძულთ ვ. პუტინი, რადგან მან მოსკოვში გეიპარადების ჩატარება აკრძალა.

ფემინისტებს სძულთ ვ. პუტინი, რადგან ის აბორტების წინააღმდეგია.

ლიბერალებს, რომლებიც ოჯახის წინააღმდეგ გამოდიან, სძულთ ვ. პუტინი, რადგან მისი მმართველობისას დემოგრაფიული მონაცემები გაუმჯობესდა.

© „ღვასტაბაძეს ეროვნული“

ვ. პუტინი: „ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერი საშუალებით გავამყაროთ დადებითი დემოგრაფიული ტენდენციები. ჩვენთვის ეს აუცილებელია, რათა რუსეთის მოსახლეობა შევინარჩუნოთ“.

ვ. პუტინი: „მნიშვნელოვანია, რომ ოჯახმა მესამე ბავშვი იყოლიოს და, მიუხედავად ზოგიერთი ექსპერტის აზრისა, მათ პატივს ვცემ, მაგრამ მიმაჩნია, რომ რუსეთში ნორმად უნდა იქცეს ოჯახი სამი შვილით“.

ISRAEL FIRSTERS-ს (თვალსაზრისის — „ისრაელი, უპირველეს ყოვლისა“ ლობისტები) სძულთ ვ. პუტინი, რადგან ის სირიასთან და ირანთან ომის წინააღმდეგია.

გლობალისტებს სძულთ ვ. პუტინი, რადგან ის მსოფლიო მთავრობის წინააღმდეგია.

ვ. პუტინი: „არიან ისეთები, რომელთაც სურთ ერთპოლუსიანი მსოფლიოს მშენებლობა, მთელი კაცობრიობის მართვა, მაგრამ ასე არ ყოფილა და არ იქნება კაცობრიობის ისტორიაში... ზოგიერთებს თავი უხურთ და ჩვენი ქვეყნის გაყოფა უნდათ. არიან ისეთებიც, რომლებსაც ჩვენი ბუნებრივი რესურსების გაყოფა სურთ, მიაჩნიათ, რომ მეტისმეტად ბევრი გვერგო“.

კმარა სიძულვილი! ვინ არიან ის ადამიანები, რომელთაც ვ. პუტინი უყვართ? — რუსი ხალხის 70 პროცენტი, აი, ვინ!

შემდეგში, როცა გაიგებთ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პუტინს ლაფს ესვრიან, გახსოვდეთ, ვინ არიან მისი მტრები!

ვლადიმერ პუტინი და «ახალი მსოფლიო წესრიგი»

მწერალი **პეპე ესკობარი** 2012 წლის მარტში ირონიით წერდა: „დაივიწყეთ წარსული (სადამ ჰუსეინი, უსამა ბინ ლადენი, მუამარ კადაფი) და აწმყო (ასადი, ახმადინეჯადი). შეგვიძლია დავნაძლევდეთ, რომ **უახლოეს მომავალში ვაშინგტონის, მისი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების თაღლითი პარტნიორებისა და მათი ათასი ჯურის მედიისთვის მთავარი საფრთხობელა რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი იქნება.**

ანგლო-ამერიკულ ელიტას დღემდე ამწარებს 2007 წლის მიუნხენის ლეგენდარული სიტყვა. მაშინ ვაშინგტონი და მისი დამქაშები გააფრთხილეს. პრეზიდენტად არჩევამდე ვ. პუტინმა თა-

ვისი „საგზაო რუკა“ გამოაქვეყნა: „არა — ომს სირიასთან!“, „არა — ომს ირანთან!“, „არა — „ჰუმანიტარულ დაბომბვებს“ და „ფერადი რევოლუციების“ ხელშეწყობას!“ — ეს ყველაფერი ახალ კონსტრუქციაში გაერთიანდა: „რბილი ძალის უკანონო ინსტრუმენტები“. **3. პუტინისთვის ვაშინგტონში დაპროექტებული ახალი მსოფლიო წესრიგი უვარგისი ვარიანტია. მისთვის კანონია „დროით გამოცდილი სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპი“.**

პუტინის „საგზაო რუკის“ სხვა საკვანძო დებულებები ასე გამოიყურება: „არა — ამერიკულ ბაზებს რუსეთის გარშემო!“, „არა — აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას წერილობით მისი მკაფიოდ ჩამოყალიბების გარეშე, რომ სისტემა არ იქნება რუსეთისკენ მიმართული და ბოლოს, მჭიდრო თანამშრომლობა განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში BRICS“.

ესკობარი ევრაზიის კავშირზეც წერს და აცხადებს, რომ ატლანტისტები უბრალოდ ცოფდებიან, როცა ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს ხედავენ. ავტორის სიტყვებით, **3. პუტინმა, პრაქტიკულად, მარტო შეძლო რუსეთის აღორძინება, როგორც ენერგეტიკული სუპერ-მეგა–ზესახელმწიფოსი.** ჩინეთთან და ევროპის სამ სახელმწიფოსთან დაწყებული ენერგეტიკული პროექტები კიდევ ერთი საბაბია ვაშინგტონის მრისხანებისთვის. თუ „სამხრეთის ნაკადი“ ამუშავდება, ეს ქიში და შამათი იქნება გაზსადენ „ნაბუქოსთვის“ და რუ-

სეთის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება ვაშინგტონისა და ბრიუსელის მოხელეებზე.

ახლა ბრძოლის ხაზი გეოპოლიტიკისა და მილების გზაჯვარედინზე გადის. აქ პუტინს ვაშინგტონის კიდევ ერთი „საგზაო რუკა“ — არც ისე წარმატებული „ახალი აბრეშუმის გზა“ ეღობება. თუმცა მას ჯოკერიც აქვს — **შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია.** ვ. პუტინს სურს, რომ პაკისტანი მისი სრულუფლებიანი წევრი გახდეს, ისევე, როგორც ჩინეთს უნდა ირანის ჩართვა. ამის შედეგი იყო სრულიად ახალი კონფიგურაცია — რუსეთის, ჩინეთის, პაკისტანისა და ირანის კოორდინაცია და ინტეგრაცია არა მარტო ეკონომიკაში, არამედ საერთო უსაფრთხოების მხრივ. **ორგანიზაციის დევიზია „მიუმხრობლობა, კონფრონტაციასა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევაზე უარის თქმა“.**

ვ. პუტინს მიაჩნია, რომ რუსეთის, ირანისა და ცენტრალური აზიის ინტეგრაცია, რომლებიც გაზის მსოფლიო მარაგის 50 პროცენტს ფლობენ, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას ეკონომიკური გავლენის ცენტრად და უსაფრთხოების წყაროდ აქცევს. შემდეგ კი რეგიონის ქვეყნებმა თავად გადაწყვიტონ, რა ჯობია მათთვის — ეს გზა თუ ვაშინგტონში შეთხზული „ახალი აბრეშუმის გზა“.

პეპე ესკობარი ხაზს უსვამს: „თავს ნუ მოიტყუებთ, — ვ. პუტინის დემონიზაციისა და მისი არჩევის დელეგიტიმაციის მცდელობების უკან ვაშინგტონისა და ანგლო-ამერიკული ელიტის მეტად გაბრაზებული, ძალიან გავლენიანი წრეები

© „ღონისძიების ცენტრი“

დგანან. მათ იციან, რომ **ვ. პუტინი ხისტი მომლაპარაკებელი იქნება ყველა ფრონტზე.** იციან, რომ **მოსკოვი სულ უფრო მჭიდრო კოორდინაციაში იქნება ჩინეთთან, რათა გამოდევნოს ნატოს ბაზები ავღანეთიდან, ხელი შეუწყოს პაკისტანის სტრატეგიულ ავტონომიას, უზრუნველყოს ირანის უსაფრთხოება და არ დაუშვას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგება მისი საზღვრების სიახლოვეს.** მას სატანად გამოაცხადებენ, რადგან მსოფლიო არენაზე ვაშინგტონს არ შეიძლება უფრო მრისხანე მოწინააღმდეგე ჰყავდეს, უფრო საშიში საფრთხე მისი გეგმისთვის, რაც არ უნდა ერქვას მას — „ახალი ახლო აღმოსავლეთი“, „ახალი აბრეშუმის გზა“, „დომინირების სრული სპექტრი“ თუ „ამერიკის წყნარი ოკეანის საუკუნე“.

თურქული გაზეთის „ზამანის“ მიმომხილველი **ფიქრეთ ერთანი** 2013 წლის მაისში სტატიაში „რუსეთი და სერბეთი“ წერდა, რომ, თუმცა რუსეთი სირიის საკითხში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, არასწორი იქნებოდა ამის დაკავშირება სტრატეგიასთან, რომელიც მსოფლიო სცენაზე გავლენიანი ძალის სახით დაბრუნებაზეა გათვლილი; იგი უკვე მრავალი წლის განმავლობაში წონას ინარჩუნებს სხვადასხვა რეგიონში. ბირთვული, დიპლომატიური, სამხედრო და ენერგეტიკული ძლიერების წყალობით, **რუსეთი, ნებისმიერ შემთხვევაში, მსხვილი ძალაა, რომელიც სირიის საკითხში საკუთარი პოზიციის განმტკიცებას ცდილობს.**

ყველასთვის თვალსაჩინოა, რომ **ვლადიმერ**

პუტინი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლას უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფას უწოდებს, 2000 წლიდან ყველა საშუალებას მიმართავს, რათა რუსეთი დიადი ზესახელმწიფოს უფლებებში აღადგინოს. ამიტომ რუსეთის სირიულ გარღვევას არა აქვს ისეთი მიმართულება, რომელიც მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს.

რუსეთი მნიშვნელოვან სვლებს განახორციელებს არა მარტო სირიაში, არამედ შუა აზიაში, კავკასიასა და ბალკანეთში. ამის ერთი მაგალითია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რუსეთისა და მისი ძველი მეგობრის — სერბეთის არნახული დაახლოება.

საფინანსო და საკრედიტო დახმარების, ეკონომიკური, სავაჭრო და ინფრასტრუქტურის დარგში თანამშრომლობის გარდა, რუსეთი ბელგრადს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად ახალ სარადარო სისტემებსა და სამხედრო თვითმფრინავებს მიაწვდის. რუსეთის მიერ 500-მილიონიანი საკრედიტო ხაზის გახსნის შემდეგ, რუსეთი კიდევ 800 მილიონი დოლარის სესხს აძლევს სერბეთს. მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ენერგეტიკულ სფეროშიც. „სამხრეთის ნაკადის“ გაზსადენის ამოქმედებაში (რუსეთმა 1,7 მილიარდი დოლარი ჩადო), რომელიც უახლოეს წლებში იგეგმება, სერბეთს მნიშვნელოვანი დატვირთვა ექნება.

2009 წელს რუსულმა „გაზპრომმა“ სერბეთის სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანია NIS-ი შეიძინა (1,5 მილიარდი დოლარი ჩადო), რომელიც,

© „ღონისძიების ისტორიები“

აგრეთვე, მაკედონიაში, ჩერნოგორიაში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მუშაობს. რუსეთი ასევე აპირებს სერბეთის უმსხვილესი მეტალურგიული კომბინატის შეძენას. ერთი სიტყვით, **ბალკანეთში საკუთარი პოზიციების განმტკიცებისთვის მოსკოვი სერბეთთან ურთიერთობის დივერსიფიცირებას მიმართავს და თანდათანობით უახლოვდება მას იმ ანგარიშით, რომ ყოველთვის შეუძლია დაეყრდნოს საკუთარ პარტნიორს.** თავის მხრივ, სერბეთისთვის რუსეთთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ევროკავშირთან ურთიერთობებში მას უპირატესობას მიანიჭებს. ბელგრადი რუსეთსა და ევროკავშირს შორის ბალანსის პოლიტიკას აწარმოებს, რუსეთი კი სერბეთის მეშვეობით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ბალკანეთში საკუთარი გავლენის დემონსტრირებას ახდენს.

2012 წელს სერბეთში ხუმრობდნენ, რომ ვ. პუტინი აუცილებლად მოიგებდა არჩევნებს სერბეთში. სოციოლოგიური კვლევები ცხადყოფს, რომ სერბი საზოგადოება ვ. პუტინს ნებისმიერ ადგილობრივ პოლიტიკოსზე მეტად აფასებს. პირველ რიგში, ეს იმას უკავშირდება, რომ სერბეთი რუსეთს მეგობარ ქვეყნად და მის დამცველად მიიჩნევს. ბევრი ფიქრობს, რომ სერბეთის პრობლემა „ძლიერი ხელის“ უქონლობაა, პუტინს კი სწორედ ასეთად აღიქვამენ. გარდა საერთო სლავური და მართლმადიდებლური ფესვებისა, პუტინი მიმზიდველია სერბებისთვის, რად-

გან მან რუსეთი გადაარჩინა. სერბეთში ძლიერია იმის განცდა, რომ მათ გაუსწორდნენ, როცა რუსეთი უმწეო იყო და, „თუ რუსეთი ფეხზე წამოდგება, წამოდგება სერბეთიც“.

ლეგენდარულმა კინორეჟისორმა **ემირ კუსტურიცამ** 2013 წლის ივნისში მისცა ინტერვიუ, რომელიც ასეთი სათაურით დაიბეჭდა: **„პუტინი რომ არა, სერბეთს მიწასთან გაასწორებდნენ.“** კუსტურიცა, ისევე, როგორც ვ. პუტინი ამბობდა საბჭოთა კავშირის დაშლაზე, რომ ეს უდიდესი გეოპოლიტიკური ტრაგედიაა, აცხადებს: **„იუგოსლავიის დაშლა გასული საუკუნის უდიდესი ტრაგედიაა“.** იგი იხსენებს ნატოს ძალების მიერ ბელგრადის დაბომბვას და ამბობს, რომ სერბეთის პოლიტიკურ პარტიებს, მათ შორის მათაც, რომლებიც დასავლეთთან თანამშრომლობენ, არაფერი უნდა ჰქონდეთ საერთო ნატოსთან. ამ საკითხში ყველა ერთიანია.

„შეერთებული შტატები და ევროპა სერბეთზე თავხედურად ვარჯიშობდნენ, რადგან მაშინ არავინ იყო ისეთი, ვინც მათ წინ აღუდგებოდა. ჩვენ იმისთვისაც დაგვსაჯეს, რომ ყოველთვის რუსეთის მოკავშირე ვიყავით ბალკანეთში; იმისთვისაც, რომ რუსეთივით მართლმადიდებლები ვართ. კოსოვო საუკუნეების განმავლობაში დარჩება მოუშუშებელ იარად და ცივილიზაციის ისტორიის სამარცხვინო ფურცლად... ვ. პუტინმა საკუთარ ხალხს ღირსება და სული დაუბრუნა. რუსეთი ახლა იბრუნებს იმ ადგილს მსოფლიო იერარქიაში, რომელიც მას ეკუთვნის“.

© „ღვასტრამაზრ ენგ ასნაოსაფრ“

კუსტურიცა ისტორიას იხსენებს და ამბობს, რომ XVIII საუკუნეში ეკატერინე მეორემ აღმოსავლეთ ევროპის თურქებისგან განთავისუფლება დაიწყო. მან ავსტრიასთან შეკრა კავშირი და ორივე მხარე შეთანხმდა, რომ სერბეთი ევროპის ნაწილია და, შესაბამისად, ევროპულმა სახელმწიფოებმა ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ ძალები უნდა გააერთიანონ, თუმცა იმპერატორმა იოსებ მეორემ სერბეთის ნაწილი თურქებს დაუტოვა. **„ბელგრადი ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგრამ საბოლოოდ ავსტრია დუნაის იქით გადავიდა და ბედის ანაბარა მიგვატოვა. მაშინ შეიქმნა წინაპირობა 1803-1804 წლების პირველი სერბული აჯანყებისთვის და ამ მომენტიდან იწყება ჩვენი ორი ხალხის ისტორიული, კულტურული და რელიგიური ერთობის იდეის განვითარება. ვ. პუტინის გამოჩენამ**

ეს იდეა აღადგინა და ჩვენ ისევ ვიცით, რომ მარტონი არა ვართ დედამიწაზე“, — ამბობს კუსტურიცა.

კითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა იუგოსლავიის დაშლის თავიდან აცილება, კუსტურიცამ უპასუხა: **„შანსი არ იყო. იუგოსლავიის დაშლის გეგმა დიდი ხნის წინ დაიწერა, მისი ინიციატორები და შთამაგონებლები გერმანია და ვატიკანი იყვნენ. კათოლიკურმა ეკლესიამ, რომელმაც გავლენა დაკარგა, მიზნად დაისახა, აღედგინა ძველი დიდება კონტინენტზე სკანდინავიიდან ადრიატიკამდე. იუგოსლავია დაანგრიეს იმიტომ, რომ სერიოზული და აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. იგი მსხვილ მოთამაშეს წარმოადგენდა იარაღის მსოფლიო ბაზარზე. იგი დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა, რაც XX საუკუნის მიწურულს, ერთპოლუსიანი მსოფლიოს პირობებში, არანაირად აღარ პასუხობდა დასავლეთის ქვეყნების და, უპირველესად, გერმანიის ინტერესებს. ყურადღება მიაქციეთ: ბულგარეთი და რუმინეთი გაცილებით უფრო მოწყალედ მიიღო დასავლეთმა, თუმცა ყველა — საგარეო თუ საშინაო ნიშნით, ისინი უფრო შორს არიან ევროპისგან, ვიდრე ჩვენ. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს ისინი გერმანიის მოკავშირეები იყვნენ, იუგოსლავიისგან განსხვავებით. ევროპაში იმიტომ არ გვიღებენ, რომ დამოუკიდებელი ხასიათი გვაქვს. ჩვენ ბალკანეთში პატარა რუსეთს ვგავართ“.**

კუსტურიცა, რა თქმა უნდა, პოლიტიკოსი არ

© „ღუსუფბაზეგმე ასნაფაფე“

არის, მაგრამ ყველაფერი, რაც მის სამშობლოს დაატყდა თავს, ერთი დიდი პროცესის ნაწილია და სულაც არ წარმოადგენს შემთხვევითობას. ეს პროცესი მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შემდეგ შექმნილი რეალობის გადახედვისკენ იყო მიმართული. კუსტურიცა ამაზეც ამახვილებს ყურადღებას: **„მთელი ევროპა ახლა ღრმა სისტემურ კრიზისშია. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მთელი სიმძლავრით მუშაობს, მის პროდუქციაზე კი მოთხოვნა არ არის, მყიდველი არ ჰყავს. მსოფლიო იცვლება. პირველ როლებზე გამოდის ჩინეთი და ინდოეთი. რუსეთი მდიდრდება და მასაც ანგარიში უნდა გაუწიონ. გგონიათ, დასავლეთს ეს მოსწონს? ავიღოთ ამასწინანდელი ვითარება კვიპროსზე; იქ თავისი ევროპული პრობლემების გადაწყვეტა რუსეთის ხარჯზე მოინდომეს.**

ევროპა, რომელიც ევრაზიის კონტინენტზეა, ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში ცხოვრობს. ეს სახიფათო წინააღმდეგობაა. კონფლიქტი, შენელებული მოქმედების ნაღმივით, შიგნით არის ჩადებული. საუბრებიც ახალ მსოფლიო გადანაწილებაზე სრულიად რეალურია, ასეთ გეგმებს აწყობენ. რუსეთის დაშლაზეც და ახლო თუ შორეული აღმოსავლეთის ახალ თარგზე მოჭრაზეც“.

რამდენიმე წლის წინ დიდი სკანდალი მოჰყვა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მადლენ ოლბრაითის, განცხადებას ერთ-ერთ კონფერენციაზე, რომელშიც მან ციმბირის ბუნებრივი რესურსე-

ბის მხოლოდ რუსეთის საკუთრებაში არსებობა არასამართლიანად მიიჩნია. მძაფრი რეაქციის გამო ოლბრაითმა ეს გამონათქვამი უარყო, თუმცა ამ უარყოფას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მისი მასწავლებელი — **ზბიგნევ ბჟეზინსკი** დაუფარავად წერს: **„ციმბირის აურაცხელი ბუნებრივი რესურსები — აი, რა ჰპირდება რუსეთს საუკეთესო პერსპექტივებს, მაგრამ დასავლეთის დახმარების გარეშე რუსეთი ვერ იქნება დარწმუნებული ამ მიწაზე საკუთარი სუვერენიტეტის შენარჩუნებაში (!).**

შესაბამისად, ტრანსნაციონალური ძალისხმევა ციმბირის განვითარებისა და დასახლებისთვის ევროპისა და რუსეთის დაახლოების მასტიმულირებელი იქნება. ევროპელებისთვის ციმბირს შეუძლია იგივე გახდეს, რაც ალიასკა და კალიფორნია, ერთად აღებული, — ამერიკელებისთვის: უზარმაზარი სიმდიდრის წყარო, კაპიტალის მომგებიანი დაბანდების ველი, ერთგვარი „ელდორადო“ ყველაზე მოხერხებული ჩასახლებულებისთვის. ციმბირის შესანარჩუნებლად რუსეთს დახმარება დასჭირდება; მას ამ ამოცანის დამოუკიდებლად დაძლევის ძალა არ შესწევს თავისი დემოგრაფიული დაქვეითებისა და მეზობელ ჩინეთში არსებული ახალი ტენდენციების პირობებში. მასშტაბური ევროპული შეღწევის წყალობით, ციმბირი შეიძლება საერთო ევრაზიულ მონაპოვრად იქცეს, რომლის გამოყენებაც მრავალმხრივობის საფუძველზე მოხდება“.

© „ეროვნული ენციკლოპედია“

აი, ასეთია შეერთებული შტატების დაუფარავი ზრახვები რუსეთის მიმართ და მათთვის გასაკვირი ნამდვილად არ უნდა იყოს, რომ რუსეთს სულაც არ ხიბლავს საკუთარი მიწა-წყლისა და სიმდიდრის სხვათათვის დათმობა! ამ თვალსაზრისით, **ვ. პუტინის ფაქტორი განსაკუთრებულ საფრთხედ აღიქმება დასავლეთის თვალში, რადგან, წინამორბედისგან განსხვავებით, იგი „დემოკრატის“ წოდების ხათრით ნამდვილად არ აპირებს დასავლეთის მაამებლობას და საკუთარი ქვეყნის ღალატს.**

დღეს ევროკავშირში შესვლის მოსურნე სერბეთი იმ დილემის წინაშე დააყენეს, რომ მისთვის ჩამოჭრილი კოსოვო აღიაროს. ურიგო არ იქნება, ამ კონფლიქტის ანატომია გავიხსენოთ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთელ მსოფ-

ლიოში გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 1998 წელს კოსოვოში „სერბეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩაატარეს ეთნიკური წმენდის სერია, რის გამოც კოსოვოს ალბანელთა ნახევარი დევნილობაში აღმოჩნდა... ხანგრძლივმა სისხლისღვრამ აშშ-ის ხელისუფლება და მისი მოკავშირეები აიძულა, დაეწყოთ მასირებული დაბომბვა... რის შედეგადაც ალბანელმა ლტოლვილებმა შინ დაბრუნება შეძლეს". ერთი სიტყვით, ნატოს დაბომბვა 24 მარტს წარმოჩენილი იყო, როგორც „მოწყალების აქტი".

სინამდვილეში კი, თავად ამერიკელი ექსპერტების მონაცემებით, დაბომბვებამდე ერთი წლით ადრე ორივე მხრიდან დაღუპული იყო დაახლოებით 2 ათასი ადამიანი. სერბების მიერ 500 ალბანელი იყო მოკლული, ხოლო ალბანელების მხრიდან — 1500 სერბი. მხოლოდ ეს ციფრები ნათელყოფს, თუ რა მანიპულაციებს მიმართეს აშშ-მა და ნატომ, რათა მსოფლიოსთვის მათი სასურველი ვერსია დაემტკიცებინათ!

27 მარტს, დაბომბვის დაწყებიდან მესამე დღეს, ნატოს გაერთიანებული დაჯგუფების სარდალმა, უესლი კლარკმა, ჟურნალისტებს აცნობა, რომ სერბეთის ხელისუფლების სამარცხვინო რეაქცია მოსალოდნელი იყო და დასავლეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის წუხილის საფუძველს არ წარმოადგენდა. მოგონებების წიგნში კლარკი წერს, რომ ჯერ კიდევ 6 მარტს აცნობა სახელმწიფო მდივან მადლენ ოლბრაითს, რომ, თუ ნატო გააგრძელებს დარტყმებს სერბეთის მისამართით, „სერბეთის ხელი-

© „ღონისძიების ეროვნული“

სუფლება, დიდი ალბათობით, სამოქალაქო მოსახლეობის ტერორს მიმართავს“, ნატო კი მშვიდობიან მოსახლეობას ვერ დაიცავდა.

ამ წიგნის რეცენზიაში **მაიკლ იგნატიეფი** აღნიშნავდა, რომ **ნატოს შენაერთების მიერ დაბომბვის მთავარი მიზეზი მილოშევიჩის მიერ კოსოვოში დაშვებული ადამიანის უფლებების დარღვევა კი არ იყო, არამედ „ნატოს სწრაფვა, თავს მოეხვია ქვეყნის ხელმძღვანელისთვის საკუთარი ნება, რომლის ღია დაუმორჩილებლობა ბოსნიასა და კოსოვოში ამერიკული და ევროპული დიპლომატიის ავტორიტეტს ამცირებდა და თვით ნატოს გავლენას ასუსტებდა“.**

ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორის, **ენდრიუ ბაჩევიჩის,** აზრით, **ეს დაბომბვები „უნდა ქცეულიყო გაკვეთილად ყველა ევროპული სახელმწიფოსთვის, რომელთაც ილუზიები აქვთ, რომ მათზე არ ვრცელდება ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემის ნორმები და წესები“, რომლებიც ვაშინგტონმა დაამკვიდრა. უმნიშვნელოვანესი იყო აშშ-ის ჰეგემონიის დამყარება გაერთიანებულ, ინტეგრირებულ და თავისუფალ ევროპაში.**

9 წლით ადრე დაწყებული საქმე შეერთებულმა შტატებმა 2008 წლის თებერვალში დააგვირგვინა სერბეთის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და საერთაშორისო სამართლის არნახული დარღვევით — ყოველმხრივ შეუწყო ხელი „გაალბანელებული“ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივ აღიარებას. ეს, ერთი

შეხედვით, ლოგიკას მოკლებული მხარდაჭერა რამდენიმე კურდღლის დაჭერას ისახავდა მიზნად: ახალი მსოფლიო წესრიგისთვის პრეცედენტის შექმნას, ეროვნული სახელმწიფოების სუვერენიტეტის ბოლომდე „გამორეცხვას“, ევროპისთვის „საკუთარი ადგილის მიჩენას“, მსოფლიოს იმაში დარწმუნებას, რომ მუსლიმების მიმართ მოწყალენი არიან, როცა ისინი მსხვერპლს წარმოადგენენ, რუსეთისა და ისლამური სამყაროს დაპირისპირებას, მეორე მსოფლიო ომის შედეგების სრულ გადახედვას და ა.შ.

გაეროს უშიშროების საბჭოს 2008 წლის 17 თებერვლის სამარცხვინო სხდომის შემდეგ სერბეთში სახალხო მღელვარების ტალღამ აშკარად ანტიამერიკული ხასიათი მიიღო. საოცარია, მაგრამ ამგვარი განწყობილებები ყველაზე მკვეთრ სახეს სწორედ იმ ქვეყნებში იღებს, რომელთა „დახმარებას“ და დემოკრატიზაციასაც ამერიკელები პრიორიტეტულ ამოცანად აცხადებენ. **აშშ-მა ისიც კი მოახერხა, რომ ანტიამერიკული განწყობილებები დაეთესა არა მარტო ყოფილ იუგოსლავიაში, არამედ უამრავ ქვეყანაში, სადაც ადეკვატურად შეაფასეს ამერიკის „კეთილშობილი განზრახვები“ და სათანადო დასკვნებიც გამოიტანეს, რომ ილუზორული „ამქვეყნიური სამოთხის შესახებ“ დაპირებების უკან სინამდვილეში სისხლი, უკანონობა და უბედურება იმალება.**

ამ უკანონობისა და უსამართლობის ხილული მიზეზები თითქოს არ ჩანს, თუმცა კარგად იკითხება სამი მოტივი: მუსლიმებისთვის თავის

© „ღვასტამაძეების ეროვნული“

მოქონვა შუაგულ ევროპაში ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბების სახით, რუსეთისთვის კიდევ ერთი სერიოზული დარტყმის მიყენება მართლმადიდებელი ხალხისთვის ტერიტორიის თავხედური ჩამოჭრით და ევროპისთვის იმის დემონსტრირება, თუ ვინ არის მსოფლიოს მმართველი.

თუმცა ამერიკელებს კიდევ ერთი მიზანი ჰქონდათ კოსოვოში; ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გარდა, არსებობდა კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების კიდევ ერთი მარშრუტი — ნავთობსადენი კოსოვოს გავლით ადრიატიკის სანაპირომდე, საიდანაც ნავთობი ტანკერებით გადაიზიდებოდა დასავლეთ ევროპის ბაზარზე. ნიკოლას ჰაგერის გამოკვლევით, 2001 წელს დაიწყო 920-კილო-

მეტრიანი ტრანსბალკანური ნავთობსადენის მშენებლობა, რომელიც 2005 წელს უნდა ამოქმედებულიყო. პროექტის ღირებულება 1,2 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ბაქოდან სუფსაში ტრანსპორტირებული ნავთობი ტანკერებით უნდა გადაზიდულიყო ბურგასამდე და შემდეგ ბალკანეთისა და მაკედონიის გავლით ადრიატიკის პორტ ვლორამდე ალბანეთში.

ნავთობსადენის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს საერთაშორისო სამშვიდობო ძალები გენერალ მაიკლ ჯექსონის ხელმძღვანელობით. დღეში ნავთობსადენის დაგეგმილი სიმძლავრე 750 ათასი ბარელია. ამ ნავთობსადენის მშენებლობაზე ალბანელებთან, მაკედონიელებთან და ბულგარელებთან (AMBO აშშ კომპანიაა) ერთად მუშაობენ ისეთი გიგანტები, როგორებიცაა Texaco, Chevron, Exxon, Mobil, BP, AMOCO, Agip და Total Fina elf. კომპანია Halliburton-მა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აშშ ვიცეპრეზიდენტ დიკ ჩეინის სახელს, 1999 წელს უდიდესი ამერიკული სამხედრო ბაზა Camp Bondsteel ააშენა, რომელიც ბალკანეთში განთავსებულ სამხედროებს ემსახურება. იგი 360.000 კვ.მ ტერიტორიას იკავებს და მისი პერიმეტრი 11,2 კმ-ია. ბაზას 2,5 მ სიმაღლის მიწაყრილი აქვს შემოვლებული. **ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, კოსოვოს აღიარების მთავარი მიზეზი ეს სამხედრო ბაზაა, თუმცა საქმე უფრო იმასთან უნდა გვქონდეს, რომ ეს სამხედრო ბაზაც და კოსოვოს დამოუკიდებლობაც მხოლოდ ნავთობსადენის დასაცავად გახ-**

© „ღონისძიებები ეროვნული“

და საჭირო. ნავთობსადენის გასწვრივ ამერიკული პროტექტორატები უნდა შეიქმნას. ზოგიერთი ექსპერტის ინფორმაციით, აშშ-მა ალბანეთს აღუთქვა „დიდი ალბანეთის“ შექმნა, რომელსაც, კოსოვოს გარდა, საბერძნეთის ტერიტორიის ნაწილსაც შეჰპირდა. **ალბანელების მეშვეობით ამერიკას სურს, მაკედონია, ბულგარეთი და ალბანეთი, ევროკავშირის წევრობის მიუხედავად, წმინდა ამერიკულ პროტექტორატებად აქციოს.**

ამ ისტორიას გაგრძელებაც აქვს. აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა, ბილ კლინტონმა, ტრანსბალკანურ ნავთობსადენში წილი მიიღო, როგორც ექსპერტები ხუმრობენ, ბელგრადის დაბომბვის საფასურად. კლინტონი ამ შემთხვევაში იურიდიული ფირმის — White and Case LLT-ს მრჩეველი გახლდათ, რომელიც პირდაპირ კავშირშია პროექტ AMBO-სთან. **ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მართული ტრანსბალკანური ნავთობსადენის იდეოლოგად ზბიგნევ ბჟეზინსკი მიიჩნევა, რომელიც 90-იან წლებში ამერიკული ნავთობკომპანია AMOCO-ს დირექტორთა საბჭოში შედიოდა.**

ვ. პუტინმა ალტერნატიული ტრანსბალკანური ნავთობსადენის მშენებლობა წამოიწყო. 2007 წელს რუსეთმა, საბერძნეთმა და ბულგარეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას 300-კილომეტრიანი ნავთობსადენის მშენებლობაზე ბურგასიდან ეგეოსის ზღვის პორტ ალექსანდრუპოლისამდე. მისი წლიური სიმძლავრე 35 მილიონი ტონა უნდა ყოფილიყო, 50 მილიონ ტონამდე გაზრდის

შესაძლებლობით. ნავთობსადენი 2011 წელს უნდა ამუშავებულიყო, მაგრამ ამერიკელი მეგობრების ზეწოლით ბულგარეთი მუდმივად ამუხრუჭებდა მას. დღეს სერბეთის ჩართვით ამ „ნავთობსადენების ომში“ რუსეთმა კიდევ ერთი უპირატესობა მოიპოვა. ცხადია, დასავლეთი ამითაც უკმაყოფილოა.

საერთოდ, სერბეთი მთელი ისტორიის განმავლობაში საკვანძო როლს ასრულებდა ბალკანეთში, ევროპასა და მსოფლიოში. არავინ იცის, მისტიკური დამთხვევაა თუ რაღაც სხვა, მაგრამ სერბულ „დიდგორს“ — კოსოვოს ბრძოლას, რომელიც 1383 წელს მოხდა, თარიღით ზუსტად ემთხვევა 1914 წელს გავრილო პრინციპის მიერ ავსტრიის ერც-ჰერცოგის მკვლელობა, რასაც პირველი მსოფლიო ომი მოჰყვა. 11 სექტემბრის ტერაქტი ზუსტად იმ დღეს მოაწყვეს, რომელსაც უკავშირდება მუსლიმების განადგურება ვენასთან. ამდენად, ერთიც და მეორეც ერთგვარი რევანშის სახეს ატარებდა.

რაც შეეხება ერაყზე თავდასხმას, რომელსაც პრეზიდენტი ბუში და მისი გუნდი 11 სექტემბრის ტერაქტს უკავშირებენ, აქაც ისეთივე მითთან გვაქვს საქმე, როგორც 1999 წელს ყოფილი იუგოსლავიის დაბომბვისას. ჯერ კიდევ 1992 წელს (11 სექტემბრამდე 9 წლით ადრე!), როცა პოლ ვულფოვიცი თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო, მისი უწყებიდან ინფორმაციამ გაჟონა; ვულფოვიცმა და მისმა თანაშემწემ, ლუის ლიბიმ, მინისტრ დიკ ჩეინის სახელზე მოამზადეს დოკუმენტი სახელწოდებით **„ეროვნუ-**

© „ღასაბუთებული“

ლი სამხედრო სტრატეგიის საფუძვლები“. მასში დასაბუთებული იყო აშშ-ის შეიარაღებული ძალების ყოფნის აუცილებლობა ექვსივე კონტინენტზე, რათა არ დაეშვათ რომელიმე ქვეყნის მცდელობაც კი, უფრო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ რომელიმე რეგიონში ან მსოფლიოში. შეკავების სტრატეგია მოძველებულად იქნა მიჩნეული და იგი იცვლებოდა ახალი სტრატეგიით: **„ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება და განმტკიცება“.** ვულფოვიცის მიხედვით, აშშ არ მისცემს უფლებას არავის — რუსეთს, გერმანიას, იაპონიას, ჩინეთს ან ინდოეთს, რომ რეგიონული ზესახელმწიფო გახდეს. **პენტაგონი ომებისთვის მზადებას გეგმავდა, რომელთა მიზნები შორს სცილდებოდა აშშ-ის ინტერესების დაცვის სფეროს.**

„შეერთებული შტატები ვერ გახდება მსოფლიოს პოლიციელი და ვერ აიღებს საკუთარ თავზე მსოფლიოში ყველა ბოროტების ამოძირკვას, მაგრამ ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, მივაყენოთ პრევენტიული წერტილოვანი დარტყმები მათ, ვინც არა მხოლოდ ჩვენს ინტერესებს, არამედ ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების ინტერესებს დაემუქრება და ვისაც მსოფლიოში ვითარების დესტაბილიზაციის ძალა შესწევს“. როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტში უკვე ფიგურირებს **„პრევენტიული დარტყმები“** და **„ბოროტების ამოძირკვა“.**

დოკუმენტმა მაშინ მძაფრი რეაქცია გამოიწვია და მამა-ბუში იძულებული გახდა, უარი ეთქვა

მასზე. დოკუმენტი დაივიწყეს 2002 წლამდე, როცა უმცროს ბუშთან ერთად ხელისუფლებაში ჩეინი, ვულფოვიცი და ლიბიც დაბრუნდნენ.

11 სექტემბრის ტრაგედიამდე 4 წლით ადრე (!) პრეზიდენტ კლინტონს წერილით მიმართეს ელიოტ აბრამსმა, ბილ ბენეტმა, ჯონ ბოლტონმა, პოლ ვულფოვიცმა, რობერტ კაგანმა, უილიამ კრისტოლმა, რიჩარდ პერლმა და დონალდ რამსფელდმა (სხვათა შორის, ამ წერილის ხელმომწერთა შორის ფრენსის ფუკუიამაც არის, რომელიც დღეს უკვე ემიჯნება ერაყის მიმართ ამერიკის პოლიტიკას). მათ მოითხოვეს აშშ-ის შეჭრა ერაყში. **„11 სექტემბრის ტერაქტები მხოლოდ ხელსაყრელი საბაბი იყო ომისთვის, რომელსაც ისინი ათწლეულის განმავლობაში გეგმავდნენ“,** — წერს პატრიკ ბიუკენენი.

პრეზიდენტის თანაშემწე ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში — **რიჩარდ კლარკი** იხსენებს, რომ 12 სექტემბერს, როცა თეთრ სახლში მივიდა, იმის ნაცვლად, რომ ტერაქტების შესაძლო გამეორების საფრთხეზე ეთათბირათ, ერაყზე საუბრით დახვდნენ. **„როგორც იქნა, მივხვდი, რომ რამსფელდსა და ვულფოვიცს უნდოდათ, ეროვნული ტრაგედიით ესარგებლათ და სისრულეში მოეყვანათ საკუთარი ჩანაფიქრი ერაყის მიმართ“.** ადმინისტრაციაში მოსვლის დღიდან და უფრო ადრეც ორივენი ერაყთან ომისკენ მოუწოდებდნენ. როცა კოლინ პაუელმა აღნიშნა, რომ სჯობს, უფრო არსებით პრობლემებზე, მაგალითად, „ალ ქაიდაზე“ ემსჯელათ, რამსფელდმა წაუყრუა. კლარკი იხსენებს:

© „ღვასრბაზეგნე ესნაფაფეი“

„რამსფელდი ჩიოდა, რომ ავღანეთში არ მოიძებნა დაბომბვის ღირსი ობიექტები; მისი სიტყვებით, ერაყი უნდა დაგვებომბა, სადაც ამგვარი სამიზნეები უხვად იყო“.

პატრიკ ბიუკენენის შეფასებით, ნეოკონსერვატორებმა იპოვეს „ღირსეული“ მტერი — რადიკალური ისლამი. გაჩნდა ახალი იდეოლოგია – იმპერიის იდეოლოგია და ახალი დოქტრინა — დემოკრატიზმი, „მეოთხე მსოფლიო ომის“ მომზადება „მსოფლიო მასშტაბით დემოკრატიული რევოლუციის“ უზრუნველსაყოფად“.

განა სამარცხვინო არ არის, იმ ადამიანებისგან, რომლებიც საკუთარი ნავთობ-დოლარებისთვის მიწასთან ასწორებენ სუვერენულ სახელმწიფოებს და მათ მოსახლეობას, დემოკრატიის გამო საყვედურები ისმინო? განა რუსეთს ოდესმე ჩაუდენია ის, რაც ბოლო ათწლეულებში აშშ-მა და მისმა მომსახურე ნატომ თუნდაც მხოლოდ სერბეთსა და ერაყში ჩაიდინეს?

დასავლეთი ყოველთვის ცდილობს, ვ. პუტინის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ნატოს გაფართოების მიმართ უსაფუძვლოდ წარმოაჩინოს, თუმცა ვ. პუტინის ამ დამოკიდებულებას რეალური და საფუძვლიანი მიზეზები აქვს. სულ რამდენიმე წლის წინ გახსნილი რუსული საიდუმლო არქივები ნათელყოფს, რომ 1952 წლის მარტში სტალინმა (გარდაცვალებამდე ზუსტად ერთი წლით ადრე) შესთავაზა აშშ-ს ორად გაყოფილი გერმანიის გაერთიანება იმ პირობით, რომ ახალი გერმანული სახელმწიფო არ შეუერ-

თდებოდა სამხედრო ალიანსს, ნატოს, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ვაშინგტონმა უყოყმანოდ უარყო ეს წინადადება, თუმცა ითვლებოდა, რომ აშშ-მა მთელი ძალისხმევა სწორედ გერმანიის გაერთიანებას მიუძღვნა 1989 წლის ჩათვლით. რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებულმა საარქივო დოკუმენტებმა ამ სფეროს მრავალი სპეციალისტი გააოცა. ისინი შეიცავდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ ლავრენტი ბერია მიმართავდა დასავლეთის ქვეყნებს წინადადებით, გერმანია გაეერთიანებინათ და ექციათ იგი სამხედრო თვლსაზრისით ნეიტრალურ ქვეყნად. მან ღიად გამოხატა სურვილი, „დაეთმოთ ევროპაში კომუნისტური საყრდენი, რათა შეესუსტებინათ დასალეთისა და კომუნისტების წინააღმდეგობანი და მტრობა“ და გაეუმჯობესებინათ პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები საბჭოთა კავშირის შიგნით. **ჯეიმს უორბურგის** აზრით, „იმ პერიოდის საერთაშორისო პოლიტიკაში ამგვარი შესაძლებლობა არსებობდა, მაგრამ არჩევანი გაკეთდა დასავლეთ გერმანიის ნატოში წევრობის სასარგებლოდ“. 1955 წელს დასავლეთ გერმანია ნატოში შევიდა.

ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა, ჯულიან ემერიმ ერთხელ ასე იხუმრა: „ნატო იმისთვის შეიქმნა, რომ ამერიკელები ევროპაში ყოფილიყვნენ, გერმანელები — ევროპის ქვეშ, ხოლო რუსები – ევროპის მიღმა“. ახლა რუსები ევროპაში დაბრუნდნენ და ეს პირადად ვ. პუტინის სახელს უკავშირდება.

© „ღვასრმუნერ ეგე ოუნაოყაფლი“

გეოპოლიტიკის კანონები ჯერ არავის გაუუქმებია. შეიძლება, რაღაც დროით ისარგებლო და ხელოვნური ერთობები შექმნა, თუმცა დრო ყველაფერს საკუთარ ადგილს მიუჩენს. რამდენჯერაც უნდა დაარღვიო პირობა და ევროკავშირისა თუ ნატოს უსაზღვრო გაფართოებას ეცადო, არსებობს ცივილიზაციური ხაზები, რომელთაც ადგილს ვერ შეუცვლი.

სემუელ ჰანტინგტონი, როდესაც ნატოსა და ევროკავშირის შემდგომ გაფართოებაზე მსჯელობდა, ხაზგასმით მიუთითებდა: „ყველაზე მკაფიო პასუხს, რომელსაც ძნელია, შეეწინააღმდეგო, იძლევა დიდი ისტორიული გაყოფის ის ხაზი, რომელიც ასწლეულობით არსებობს და რომელიც ყოფს დასავლეთის ქრისტიანულ ხალხებს მუსლიმი და მართლმადიდებელი ხალხებისგან. ეს ხაზი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ IV სა-

უკუნეში რომის იმპერიის გაყოფისა და წმინდა რომის იმპერიის შექმნისას X საუკუნეში. ეს ხაზი დაახლოებით იქვეა უკანასკნელი 500 წლის განმავლობაში.

ჩრდილოეთიდან დაწყებული, იგი მიჰყვება რუსეთის საზღვრებს ფინეთსა და ბალტიისპირეთთან, დასავლეთ ბელარუსს, უკრაინას ჰყოფს უნიატურ დასავლეთად და მართლმადიდებელ აღმოსავლეთად; გასდევს რუმინეთს უნგრელი კათოლიკეებით დასახლებულ ტრანსილვანიასა და ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შორის, შემდეგ ყოფილ იუგოსლავიას, ყოფს სლოვენიას და ხორვატიას დანარჩენი რესპუბლიკებისგან. ბალკანეთში ეს ხაზი ემთხვევა ავსტრია-უნგრეთისა და ოსმანთა იმპერიის ისტორიულ საზღვრებს. ეს არის ევროპის კულტურული საზღვარი, ხოლო ცივი ომის შემდეგ იგი გახდა ევროპისა და დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვარი... **ევროპა მთავრდება იქ, სადაც მთავრდება დასავლური ქრისტიანობა და იწყება ისლამი და მართლმადიდებლობა“.**

ვიდრე დასავლეთი ისლამისგან საფრთხოგელას ქმის, ვ. პუტინი აცხადებს, რომ მართლმადიდებლობას და ისლამს გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე მართლმადიდებლობას და დასავლურ ქრისტიანობას. დასავლეთის მოაზროვნეები სულ უფრო ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ დასავლურმა ქრისტიანობამ რაღაც მთავარი დაკარგა. დიდი ფრანგი ფილოსოფოსი-პოსტმოდერნისტი **ჟან ბოდრიარი** წერდა: „დასავლეთი იქცა დომი-

© „ღასაბაზეგნე ასანაფაფე“

ნირებულ ძალად და ეს დამამცირებელია სხვა ცივილიზაციებისთვის. არ ვლაპარაკობ პრიმიტიულ კულტურებზე, რომლებმაც თავისი დრო მოლიეს და გაქრნენ. საუბარია უძველეს, მძლავრ, ტრადიციულ კულტურებზე, რომლებიც უკანა პლანზე გადაწეულებად გრძნობენ თავს: მათ მარგინალებად აქცევენ. მათ შორის თვით დასავლეთის ქვეყნებშიც. არსებითად, ჩვენ გამოვდევნეთ ფასეულობათა ყველა სხვა სისტემა. მაგრამ ყველაზე სასაცილო აქ ის არის, რომ თავად დასავლური ღირებულებები აღარ წარმოადგენს ფასეულობებს — ჩვენ თვითონ გავანადგურეთ ისინი. მუსლიმანებს ისინი აქვთ, ჩვენ კი — არა“.

ისლამისა და მართლმადიდებლობის მშვიდობიანი თანაარსებობა რუსეთში კიდევ ერთი გამაღიზიანებელი ფაქტორია დასავლეთისთვის. მკაფიო ხაზი, რომელიც ვ. პუტინმა ისლამსა და ტერორიზმს შორის გაავლო, არ ტოვებს ადგილს იმ ორმაგი სტანდარტებისთვის, რომელთაც დასავლეთი საკუთარი ჰეგემონიის შესანარჩუნებლად იყენებს. ამ ორმაგ სტანდარტებზე სულ უფრო ხშირად წერს თავად დასავლური პრესა. The Guardian 2012 წელს მიუთითებდა: „არავის ეპარება ეჭვი, რომ ვ. პუტინი, რომელიც მაისში კრემლში დაბრუნდება, იგივე პუტინია, რომელიც ეფექტურად მართავდა რუსეთს უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში. ისეთივე ეკლიანი და უკომპრომისო, ხელიდან რომ არ უშვებს შანსს, დასცინოს და-

სავლურ ფარისევლობას და ორმაგ სტანდარტებს“.

ნებისმიერი სერიოზული დისკუსია საგარეო პოლიტიკაზე გულისხმობს იმ დათქმის მიღებას, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგი“ პოლიტიკური ძალაუფლების დომინანტურ რეგულატორს წარმოადგენს. ასეა მიღებული დასავლეთში. ნეოკოლონიალისტები და ნეოლიბერალები მსოფლიოს დამორჩილებისკენ ისწრაფვიან. სახელმწიფოები ფინანსურ უპირატესობას ემონებიან, მათ სათავეში კი მარიონეტები დგანან. ნებისმიერი ლიდერი, რომელიც მარიონეტის „საპატიო“ როლზე უარს ამბობს, მტრად ცხადდება.

ამ თამაშის დასასრული გლობალური მთავრობაა. ცალკეული სახელმწიფოები გაქრობისთვის არიან განწირულნი, ვიდრე „ახალი მსოფლიო წესრიგი“ საკუთარ მსოფლიო იმპერიას აფართოებს. ვ. პუტინის მიერ წამოყენებული ევრაზიული პროექტი ამ გეგმას უპირისპირდება, ამიტომაც იყო დასავლეთის რეაქცია მასზე ცალსახად ნეგატიური.

2012 წლის 24 სექტემბერს „ედინაია როსიას“ ყრილობაზე ვლადიმერ პუტინის წინასაარჩევნო პროგრამის მიღების შემდეგ, დაიწყო ოპერაცია „ანტიპუტინი“. საყურადღებოა, რომ ამ ოპერაციაში სიცრუისა და დეზინფორმაციის იგივე ტექნოლოგიები გამოიყენება, როგორიც ოპერაციაში „ანტისტალინი“. განსხვავება მხოლოდ მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებშია (ინტერნეტი, გლობალური ტელევიზია, სოციალური ქსელები, არასამ-

© „ეროვნული ინტერესი“

თავრობოთა ქსელი და დაფინანსებული ბლოგერები).

წინასაარჩევნო სტატიები პრეზიდენტობის კანდიდატმა ვ. პუტინმა დაასრულა გაზეთში „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ პუბლიკაციით „რუსეთი და ცვლადი მსოფლიო“. მასში **პუტინმა პირდაპირ თქვა, რომ რუსეთი არ აპირებს თვითიზოლაციას, მაგრამ გააგრძელებს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, რომელიც მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე მის უნიკალურ ადგილს, ისტორიაში და ცივილიზაციის განვითარებაში მის როლს ასახავს. მან პირობა დადო, რომ განაგრძობს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებას, წინ აღუდგება ბირთვული იარაღის გავრცელებას, რეგიონულ კონფლიქტებს, ტერორიზმსა და ნარკოტრაფიკს**. გარდა ამისა, **ვ. პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩამოაყალიბებს „მსოფლიო მოწყობის ახალ სისტემას, რომელიც თანამედროვე გეოპოლიტიკურ რეალიებს დაეყრდნობა“**.

სტატიაში იგი მკვეთრად აკრიტიკებს აშშ-სა და ნატოს, რომლებიც არ ცნობენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. კიდევ ერთი საფრთხე, რომლის წინაშეც მსოფლიო აღმოჩნდა, „ჰუმანიტარული საბაბით შეიარაღებული კონფლიქტების გამართლებაა“, რაც საუკუნეებით არსებული სუვერენიტეტის პრინციპის დარღვევას წარმოადგენს. ვ. პუტინი აცხადებს, რომ **დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ უნდა დაისაჯოს, მაგრამ სახელმწიფო სუვერენიტეტის**

დარღვევა, როდესაც ადამიანის უფლებებს ქვეყნის გარედან შერჩევით იცავენ, დემაგოგიას წარმოადგენს.

„გაერომ და მისმა უშიშროების საბჭომ წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ცალკეული ქვეყნების დიქტატს და განუკითხაობას საერთაშორისო არენაზე. მეტიც, გაერომ არ უნდა მისცეს ნატოს უფლება, მიითვისოს მისი უფლებამოსილება. ნატოელებს, უპირველესად კი ამერიკელებს, უსაფრთხოების თავისებური გაგება ჩამოუყალიბდათ, რომელიც ჩვენი გაგებისგან ფუნდამენტურად განსხვავდება. ამერიკელები შეპყრობილნი არიან იდეით, უზრუნველყონ საკუთარი აბსოლუტური დაცულობა, რაც უტოპიურია და ვერ განხორციელდება ვერც ტექნოლოგიურად, ვერც გეოპოლიტიკურად“, — წერდა ვ. პუტინი.

პრემიერის სიტყვებით, „არაბულმა გაზაფხულმა“ თვალნათლივ აჩვენა, რომ ინტერნეტი და სოციალური ქსელები როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პოლიტიკის ინსტრუმენტად იქცა. ეს ახალი ფაქტორია, რომელსაც გააზრება სჭირდება. კერძოდ, ინტერნეტში თავისუფალი ურთიერთობის განვითარების კვალდაკვალ, საჭიროა ზომები, რათა ტერორისტებისა და დამნაშავეების მიერ ინტერნეტის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენების რისკი შემცირდეს.

ამ სტატიაში **პირველად ითქვა ღიად და პირდაპირ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილი, უცხოეთის მხარდაჭერით, ამა თუ იმ ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციას ეწევა.** „რუსეთი არ აფინანსებს უცხოეთში

© „ღონისძიებები საერაფერი“

არასამთავრობოებს, — აღნიშნა პუტინმა, — მიგვაჩნია, რომ საშინაო პოლიტიკაზე და საზოგადოების განწყობაზე გავლენა უნდა იყოს ღია, როცა მოთამაშეები საკუთარ მოქმედებას პასუხისმგებლობით მოეკიდებიან“.

ვ. პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის, ფულით დაეხმაროს ევროპას. მან ისევ გაახმოვანა საკუთარი იდეა ატლანტიკიდან წყნარ ოკეანემდე ერთიანი ეკონომიკური სივრცის შესახებ: „ჩინეთის, ინდოეთის, სხვა ახალი ეკონომიკების აღმავლობის ფონზე მძაფრად აღიქმება ფინანსურ-ეკონომიკური რყევები ევროპაში — სტაბილურობისა და წესრიგის ადრინდელ ოაზისში. ევროზონის კრიზისი შეუძლებელია არ შეეხოს რუსეთს. ისიც თვალსაჩინოა, რომ ევროპელების საქმეთა მდგომარეობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთელი გლობალური ეკონომიკური კონსტრუქციის განვითარების პერსპექტივა. არ გამოვრიცხავთ, რომ მოსკოვი პირდაპირ ფინანსურ დახმარებას გაუწევს ბრიუსელს“.

ამავე დროს, ვ. პუტინმა ხაზი გაუსვა, რომ ურთიერთობა აშშ-თან უწინდებურად არასტაბილურია. ორ ქვეყანას შორის არ არსებობს მჭიდრო ეკონომიკური კავშირები. „ურთიერთგაგებას არ უწყობს ხელს აშშ-ის „პოლიტიკური ინჟენერიის“ რეგულარული მცდელობები, მათ შორის, ისეთ რეგიონებში, რომლებიც ტრადიციულად მნიშვნელოვანია რუსეთისთვის. **„აშშ-თან ურთიერთობაში ჩვენ მზად ვართ, ხარისხობრივი ნახტომი განვახორციელოთ, მაგრამ იმ პი-**

რობით, თუ ამერიკელები თანასწორუფლებიანი და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული პარტნიორობის პრინციპებით იხელმძღვანელებენ“, — აღნიშნა ვ. პუტინმა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა იმაზეც მიუთითა, რომ **დასავლეთი ადამიანის უფლებებს რუსეთზე ზეწოლისთვის იყენებს. ამავე დროს, საკუთარი მისამართით აშშ-სა და ევროპას კრიტიკის მოსმენაც არ უნდათ.** „რუსეთი საკუთარ თავზე გრძნობს კრიტიკანობის არაობიექტურობას, ახირებულობას და აგრესიულობას, რომელიც ზოგჯერ ზღვარს გადადის“.

რუსეთი აპირებს, კვლავაც უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება და ეროვნული ინტერესები მსოფლიო პოლიტიკაში, გლობალური და რეგიონული პრობლემების მოგვარებაში ყველაზე აქტიური და კონსტრუქციული მონაწილეობით. „ჩვენ მზად ვართ, საქმიანი, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისთვის, ყველა უცხოელ პარტნიორთან ღია დიალოგისთვის. ჩვენ ვცდილობთ, გავიგოთ და გავითვალისწინოთ ჩვენი პარტნიორების ინტერესები, მაგრამ მოვითხოვთ, პატივი სცენ ჩვენსას“, — წერდა პუტინი 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე.

გერმანიის საგარეო პოლიტიკის საბჭოს რუსეთისა და ევრაზიის ცენტრის დირექტორი **ალექსანდრე რარი** თავის კომენტარში ამბობს: **„რუსეთი საკმარისად ძლიერი გახდა, რათა მსოფლიო პოლიტიკაში თავისი როლი ითამაშოს. ის დრო, როცა ქვეყანა დასავ-**

© „ღვასტრამბიჭ ეგე ოსნაოსაფე“

ლეთის უმცროს პარტნიორად განიხილეგოდა, დამთავრდა“. ექსპერტის აზრით, განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ევროკავშირისთვის ევროზონაში არსებული ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში დახმარების შეთავაზება. **„პუტინს სჯერა საერთო ევროპული სახლის იდეის, რომელიც, მისი გაგებით, საერთო ინტერესებსა და სარგებელზე უნდა იყო დაფუძნებული. ამავე დროს იგი ოდნავ ეხება „ფასეულობათა კონფლიქტს“, რომელიც დღეს გაერთიანებული ევროპისთვის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს“.**

„ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომლის განსაზღვრაზე მეცნიერები ჯერაც ვერ შეთანხმებულან, სხვადასხვა კონფესიის მორწმუნეებში სამყაროზე დემონური ძალის გამეფებას უკავშირდება. ერთიანი მთავრობა, რომელმაც ყველა ხალხი

უნდა დაიქვემდებაროს, თითქოს არ არსებობს, მაგრამ მისი კონტურები თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ ისტებლიშმენტში და უფრო მეტად მის უკან მდგომი ძალების ქმედებაში ადვილად ამოიცნობა. ყველა, ვინც მათ უწევს წინააღმდეგობას, მუდმივი თავდასხმებისა და ძალაუფლებიდან ჩამოშორების კანდიდატი ხდება.

რაც უფრო ძლიერია ლიდერი, რაც უფრო დიდი მხარდაჭერა აქვს საკუთარი ხალხის მხრიდან, მით უფრო მძაფრდება მასთან ბრძოლა. თანამედროვე მსოფლიო მოწყობის პირველი კონტურები მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ჩამოიქნა, როცა პოსტინდუსტრიულ საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლა დაიწყო. უნივერსალური ფასეულობები — სიტყვის თავისუფლება, აღმსარებლობის თავისუფლება, სექსუალური ორიენტაციის თავისუფლება და ამის პარალელურად ადამიანების ქცევაზე ტოტალური კონტროლი საოცრად ერწყმის ერთმანეთს. „რომის კლუბის“ ამ ჩანაფიქრის განხორციელება 1982 წლიდან დაიწყო. **ინდუსტრიული საზოგადოების ნგრევა აშშ-ში, ევროპასა და საბჭოთა კავშირში რეიგანმა, ტეტჩერმა და გორბაჩოვმა განახორციელეს.**

3. პუტინი არანაირად არ ჯდება ამ სტრატეგიაში. ინდუსტრიული, ძლიერი რუსეთი არავის სჭირდება. მიუხედავად კაპიტალიზმის გამოცხადებული საბოლოო გამარჯვებისა, მსოფლიო უკვე მერამდენეჯერ სისტემურ კრიზისში აღმოჩნდა. ერთი საინტერესო ციტატა: **„გაიხსენეთ მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში**

© „ღასასრულის ეპილოგი“

ორწლი-ნახევრის წინ. თითქმის ყველგან სამრეწველო წარმოებისა და ვაჭრობის ზრდაა, ნედლეულისა და სურსათის წარმოების ზრდა — ყველა აგრარულ ქვეყანაში, გამარჯვების სიმღერები „აყვავებაზე“, დოლარის წინაშე მუხლის მოდრეკა, ახალი ტექნიკის, კაპიტალისტური რაციონალიზაციის განდიდება, კაპიტალიზმის „გაჯანსაღების“ ეპოქისა და კაპიტალისტური სტაბილიზაციის შეურყეველი სიმტკიცის გამოცხადება...

ახლა ეკონომიკური კრიზისია კაპიტალიზმის ყველა დაწინაურებულ ქვეყანაში: „აყვავების“ ნაცვლად – მასების სიღატაკე და უმუშევრობის კოლოსალური ზრდა... იმსხვრევა ზოგადად კაპიტალიზმის ყოვლისშემძლეობის ილუზია და კერძოდ, ჩრდილოამერიკული კაპიტალიზმისა განსაკუთრებით. სულ უფრო სუსტია დოლარის სადიდებელი სიმღერები, სულ უფრო ძლიერდება პესიმისტური ყმუილი კაპიტალიზმის შეცდომების შესახებ“.

ეს ციტატა მსოფლიო კრიზისის შესახებ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშიდანაა, რომელიც იოსებ სტალინმა 1930 წლის 27 ივნისს პარტიის მეთექვსმეტე ყრილობას წარუდგინა. 80 წელზე მეტი გავიდა, ხოლო „გამარჯვებული“ კაპიტალიზმი ისევ კრიზისშია. ის, რომ კრიზისი კაპიტალიზმის დამახასიათებელი ნიშანია, რატომღაც დაივიწყეს. ყველა კრიზისიდან გამოსვლას დღევანდელი განვითარებული სახელმწიფოები სხვა

ქვეყნების სიმდიდრეთა ძარცვითა და მსოფლიოსთვის თავს მოხვეული საფინანსო სისტემის წყალობით აღწევდნენ.

საბჭოთა კავშირის დაშლამ იმხელა „ბეღელის“ კარი გაუღო დასავლეთს, რომ კარგა ხნით გადავადებული ეჩვენათ მოსალოდნელი კრიზისი, მაგრამ 1999 წელს ელცინის ადგილზე ვ. პუტინის მოსვლამ თანმიმდევრულად დაასამარა მათი ოცნებები. **2000 წელს წინასაარჩევნოდ მან ახალი იდეოლოგიის თეზისები წამოაყენა: „პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრიობა, სოციალური სოლიდარობა“. მან კიდევ ერთი ტერმინი იხმარა — Державность, რომელიც საკმაოდ სცილდება სახელმწიფოებრიობას და რომლის ნოსტალგიაც რუსეთში მეტად მწვავედ იგრძნობოდა 90-იან წლებში. თუმცა იდეოლოგიას საფუძველი და საყრდენი სჭირდება და ხელისუფლებაში ყოფნის პირველი წლები ვ. პუტინმა სწორედ ამ საძირკვლის ჩაყრას მოანდომა.**

ფრაგმენტულად შეფასებული პოლიტიკა ან სპეკულაციის საგანია, ან მანიპულაციის. პოლიტიკური ლიდერის რომელიღაც ჩარჩოში ჩამწყვდევა კი უმადური საქმეა. ოცდამეერთე საუკუნისთვის დამახასიათებელი გამარტივება და ზედაპირული ანალიზი, როგორც გონების ძილი, ურჩხულებს წარმოშობს. ასეთი ურჩხულებით სავსეა დასავლური პრესა; მათ ჯერ იგონებენ, შემდეგ კი თავად ეშინიათ საკუთარი გამონაგონის.

The New York Post-ის მიმომხილველი **რალფ პიტერსი:** „ვლადიმერ პუტინი არა მარტო სახიფათოა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და ავღანეთის საზღვარზე, არამედ იგი ჩვენი მოღვაწეობის სფეროში ერევა. მან ხელშეკრულება დადო უგო ჩავესთან ვენესუელაში 9 მილიარდი დოლარის იარაღის მიწოდებაზე. სამხრეთ ამერიკის სტანდარტებით, ეს უზარმაზარი ციფრია. **რა მაწუხებს პუტინში... გულახდილად ვიტყვი, მე ის სულაც არ მომწონს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საკუთარ სამუშაოს გრწყინვალედ ართმევს თავს.** მისი კონკრეტული საქმეები აჩვენებს, რომ მას მკაფიო წარმოდგენები აქვს. იგი რონალდ რეიგანის „ბოროტების იმპერიის“ პირქუშ ვარიანტს ქმნის. რეიგანის ძალა იმაში იყო, რომ ერთ სახელმძღვანელო ხაზს მიჰყოლოდა: საბჭოთა „ბოროტების იმპერიის“ დამარცხებით იყო შეპყრობილი. **ვ. პუტინს კი ერთი ურყევი მიზანი აქვს: აღადგინოს რუსეთის იმპერია. არა საბჭოთა, არამედ რუსეთის იმპერია — დაიბრუნოს უკრაინა, მიიღოს კონტროლი ცენტრალურ აზიაზე.**

რუსეთის საზღვრებს გარეთ სულ უფრო მეტი პოლიტიკოსი აღიარებს პრეზიდენტ პუტინის ეფექტურობას. ბევრი თავს იტეხს იმაზე, რომ ეს ეფექტურობა საეჭვო ხასიათს ატარებს, რაღაც მეტისმეტად ეფექტურია იგი. **ვ. პუტინი ერთიანად შედეგზეა ორიენტირებული. რაღაც საეჭვო გარემოებით ყველა მისი ძალისხმევა წარმატებით გვირგვინდება, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ მოსალოდნელი არ ჩანდა. ყველაფერი ჯადოსნური ჯოხის შეხებით პუტინისთვის სასურველ სახეს იღებს.**

რა თქმა უნდა, ყველაფერი თავისთავად არ ხდება, ყველა წარმატების უკან ადამიანების, უწყებების სერიოზული შრომა დგას.

აშშ-ის თავდაცვის ყოფილი მინისტრი რობერტ გეიტსი ახლა ცდილობს, გაარკვიოს, როგორ არის ყველაფერი აწყობილი რუსეთში. ოდესღაც მან თავის მასწავლებელთან — ბჟეზინსკისთან ერთად საბჭოთა კავშირი ავღანეთთან ომში ჩაითრია. ეს მძიმე გაკვეთილი იყო, მაგრამ რუსებმა ის დაისწავლეს. ბებერი მელა გეიტსი ახლაც ცდილობს, რუსეთი რაიმე ძვირადღირებულ ომში ჩაითრიოს, მაგრამ ეს აღარ გამოსდის.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა რუსეთის პრეზიდენტის ქცევა. იგი დასავლეთს იმავე თამაშს ეთამაშება, რომელშიც დასავლეთს სურდა მისი ჩათრევა. ტრანზიტი ავღანეთში და ბაზა ულიანოვსკში ამ თამაშის ელემენტებია, რომლებიც უზარმაზარ ხარჯებს აკისრებს ამერიკის ეკონომიკას, თუმცა ამ თანამშრომლობით საქმე არ შემოიფარგლება.

იმ ქვეყნებში, სადაც აშშ და რუსეთი კონკურირებენ, არც ისე იოლად არის საქმე. ვ. პუტინი აშკარად ზრდის გავლენას ბოლო 20 წლის განმავლობაში დაკარგულ ტერიტორიებზე.

ამერიკელი პარტნიორები აშკარად ვერ ეწევიან ვ. პუტინის ინიციატივებს. სწორედ ამიტომ ჭკნება ასე მალე „ფერადი რევოლუციები“. რუსეთის გარეშე ცხოვრება მხოლოდ წარმატებულებსა და მდიდრებს უნდათ, ასეთების რაოდენობა კი 5-7 პროცენტს არ

© „ღვასრბაბეჩ ეაჩსაფაფრ“

აჭარბებს. დანარჩენ მოქალაქეებს, დიდი ხანია, ძველი ცხოვრება ენატრებათ. საქმე იქამდე მიდის, რომ აშშ მზადაა, უკრაინასა და საქართველოს თავი დაანებოს, ოღონდ ისინი რუსეთის ტვირთი გახდნენ და მისმა ეკონომიკამ ისევე ვერ გაუძლოს, როგორც საბჭოთა კავშირისამ.

თუმცა ვ. პუტინი სულაც არ აპირებს ეროვნული ეკონომიკების რუსებისთვის აკიდებას, სამაგიეროდ, საკუთარ თამაშს კარნახობს. რუსეთის შეიარაღებული ძალების გადაიარაღებაზე უახლოეს 10 წელიწადში ნახევარი ტრილიონი დოლარი დაიხარჯება. ეს არნახული თანხაა რუსეთის ბიუჯეტისთვის. აშშ-ს ოთხჯერ მეტის დახარჯვა მოუწევს. ასეთი ფული მათ არა აქვთ. ამგვარად, **ვ. პუტინი დასავლეთს აშიშვლებს.** ადრე აშშ უცხოეთის ფულს მშვენივრად იყენებდა.

2008 წელს ინვესტიციების სახით აშშ-ში ყოველდღიურად მილიარდ დოლარამდე შეედინებოდა. ახლა არც საკუთარი ფულია და არც სხვისი. დოლარის ზონა მცირდება, რუბლისა — იზრდება. თურქეთთან და დსთ-ს ქვეყნებთან რუსეთი ანგარიშსწორებას ეროვნულ ვალუტაში იწყებს, რაც ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის მრისხანებას იწვევს. არც ერთ სახელმწიფოს ამას არ აპატიებდნენ, მაგრამ რუსეთი, უბრალოდ, ბირთვული კი არა, ძალიან დიდი სახელმწიფოა.

ვ. პუტინს მშვენივრად ესმის, რომ ვერანაირი საერთაშორისო ხელშეკრულებები ვერ შეაკავებს აშშ-ს და ნატოს ცდუ-

ნებისგან, ხელში ჩაიგდონ რუსეთის ნედლეული და მიწები. საერთაშორისო ხელშეკრულებებმა ვერ იხსნა იუგოსლავია, ერაყი, ავღანეთი, ლიბია. ახლა საქმე სირიამდე მივიდა.

ვ. პუტინი მიხვდა, რომ რუსეთს მხოლოდ ერთი ამოცანა აქვს: რაც არ უნდა იყოს ამერიკასთან — თანამშრომლობა თუ მეტოქეობა, ეს ამერიკას ძვირი უნდა დაუჯდეს. პუტინს არაფერში სჭირდება, რომ ამერიკამ ჯარი გამოიყვანოს ავღანეთიდან, არ სჭირდება მთელ მსოფლიოში სიტუაციის გაცხელების აღკვეთა — ეს ყველაფერი აშშ-ის მთავარ იარაღს — მის ეკონომიკას ასუსტებს.

პრემიერმინისტრ პუტინის სტატია „ახალი ინტეგრაციული პროექტი ევრაზიისთვის — მომავალი, რომელიც დღეს იბადება“ გაზეთ „იზვესტიაში“ 2011 წლის 3 ოქტომბერს გამოქვეყნდა. პრეზიდენტობის კანდიდატის ამ საპროგრამო სტატიამ ფასეულობათა და ორიენტირთა კონფლიქტი გააშიშვლა არა მარტო რუსეთში, არამედ უცხოეთშიც. აყვირდნენ „საბჭოთა იმპერიის“ აღდგენაზე, სხვანი ამ პროექტის უტოპიურობაზე მიუთითებდნენ.

ეს რეაქციები ასახავდა დამოკიდებულებას რუსეთის ადგილისადმი მსოფლიო პოლიტიკაში. მაინც რამ შეაშინა დასავლური მედია? **ვ. პუტინის იდეას, მისი წარმატებული რეალიზაციის შემთხვევაში, სერიოზული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ცვლილებების გამოწვევა შეუძლია, რაც „ახალი მსოფლიო წესრიგის“ კონცეფციაში არ ჯდება.** ინტეგრაციული პროექტი ევრაზიისთვის წარმოადგენს განაცხადს დამო-

უკიდებელ პოზიციაზე, დამოუკიდებელს უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში დომინირებული ზეეროვნული სტრუქტურებისგან (ნატო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროკავშირი და ა. შ.), დამოუკიდებელს აშშ-ის ჰეგემონიზმისგან. **დღეს რუსეთს ახალი ზეეროვნული გაერთიანების არა მარტო ინიციირება, არამედ შექმნა შეუძლია, რომელიც ატლანტიზმისა და ნეოლიბერალიზმის პრინციპებს როდი დაეყრდნობა.**

2011 წელი მსოფლიოში ისეთი მასშტაბური ძვრებით ხასიათდებოდა, როგორიც არ ყოფილა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ. ამჟამად ბევრი დასავლური პროექტი პრაქტიკული რეალიზაციის სტადიაშია შესული. უპირველესად, ეს ევროპის გარდაქმნაა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ბალკანეთს და ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც გამწვავდა საბერძნეთსა და კვიპროსზე, „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ ფორმირების პროექტი — მთელი რიგი ქვეყნების პოლიტიკური რეჟიმების შეცვლის გზით და ე. წ. ახალი აზიური პროექტი, რომლის აქტიურ ფაზას იაპონიის ტრაგიკული მოვლენები წარმოადგენდა.

მიმდინარე მოვლენებში ყველა წამყვანი სახელმწიფო და ზეეროვნული სტრუქტურებია ჩართული. მსოფლიო პოლიტიკის ამა თუ იმ პრობლემის ძალისმიერი მოგვარება წესად იქცა. საკმარისია, გავიხსენოთ, თუ რა აღშფოთება მოჰყვა რუსეთის მიერ სირიის საკითხზე გაეროს რეზოლუციაზე ვეტოს დადებას. ამით აშკარად ჩაიშალა სირიაში ლიბიური სცენარის განხორციელების საშუალება. აშშ-მა რუსეთისა და ჩინეთის ვეტო სირიის რეზოლუციაზე შეაფასეს, როგორც „სირიელი ხალხისთვის სილის გაწვნა“, ხოლო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალენ ჟუპემ ამას „სირიელი ხალხისა და თავად გაეროს უშიშროების საბჭოსთვის სამწუხარო მოვლენა“ უწოდა.

სირიის წარმომადგენელმა მწვავედ გააკრიტიკა საფრანგეთი და გერმანია, ხოლო აშშ-ს ბრა-

© „ღასსრბისწ ეანაფფრ“

ლი დასდო გენოციდში ახლო აღმოსავლეთში. აშშ-ის წარმომადგენელმა სხდომის დარბაზი დატოვა. საფრანგეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში — ჟერარ არომ კი დაასკვნა: „არც ერთი ვეტო არ უნდა უხსნიდეს ხელ-ფეხს რეჟიმს საკუთარი ხალხის გასანადგურებლად“. **თუ იუგოსლავიის, ავღანეთის, ერაყისა და ლიბიის დაბომბვებს გავიხსენებთ, გამოდის, რომ ხალხის განადგურების უფლება ნატოს ექსკლუზივი ყოფილა!**

რუსეთი პრობლემებს უქმნის „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარებას და, თუ სირიის საკითხი კერძო შემთხვევაა, ევრაზიული კავშირის ამბიციური პროექტი დასავლეთისთვის უკვე მეტისმეტია. ამ წინადადებას შეუძლია დაანგრიოს დასავლეთის ბატონობა მსოფლიოზე. **ვ. პუტინის სიტყვებით, ეს „მძლავრი ზეეროვნული გაერთიანების მოდელია, რომელსაც შეუძლია გახდეს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი პოლუსი და ამავე დროს ევროპასა და დინამიურ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ეფექტური დამაკავშირებელი გახდეს**“. ვ. პუტინის განაცხადი ევრაზიის კავშირის კონკურენტუნარიანობაზე „ინდუსტრიულ და ტექნოლოგიურ რბოლაში, ინვესტორებისთვის შეჯიბრში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში“ ამ გაერთიანების უნარი, სხვა საკვანძო მოთამაშეებთან — ევროკავშირთან, აშშ-თან, ჩინეთთან, აზია-წყნარი ოკეანის თანამშრომლობის ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოს გლობალური განვითარების მდგრადობა“, საგანგაშო სიგნა-

ლი აღმოჩნდა დასავლეთის პოლიტიკური ელიტისთვის.

ბიპოლარული სისტემის დანგრევით, საბჭოთა კავშირის დაშლითა და დემოკრატიის „ტრიუმფალური სვლით“ ბრძოლა მსოფლიო ბატონობისთვის არ დასრულებულა. მას შემდეგ სამხედრო ინტერვენციების, საინფორმაციო ომებისა თუ „რბილი ძალის“ გამოყენებით არასასურველი რეჟიმების დამხობის მთელი კასკადი სწორედ ამას ადასტურებს. **ევრაზია მსოფლიო ლიდერობისთვის ბრძოლის არენად რჩება. დასავლეთის იდეოლოგებს უყვართ ხოლმე ამ გამოთქმის გამეორება: „ვინც მართავს მსოფლიო კუნძულს (ევრაზიას), ის ფლობს მსოფლიოს“.**

ზბიგნევ ბჟეზინსკი ამაზე დაუფარავად წერდა: „გლობალური ლიდერობა უშუალოდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ხანგრძლივად და ეფექტურად იქნება შენარჩუნებული უპირატესობა ევრაზიის კონტინენტზე“. ამ უპირატესობის შენარჩუნება კი ისეთ გეოსტრატეგიულ ცენტრებზე კონტროლის საშუალებით უნდა მოხერხდეს, როგორიცაა ევროპა, რუსეთი, ჩინეთი, ახლო აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია.

მეოცე საუკუნის ბოლოდან, პირველად ისტორიაში, არაევრაზიული სახელმწიფო — აშშ იქცა არა მარტო მთავარ არბიტრად ევრაზიულ სახელმწიფოებს შორის, არამედ მსოფლიოში ყველაზე გავლენიან ზესახელმწიფოდ. **„ახალი მსოფლიო წესრიგის“ პირობებში აშშ და დასავლეთი მთლიანად ევრაზიას განიხილავენ, რო-**

© „ღვასუბუხეფი ესნაფუაფი“

გორც საკუთარი ეკონომიკური განვითარების და მზარდი პოლიტიკური გავლენის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ცენტრს. მსოფლიო ბატონობა, როგორც ევროატლანტიკური თანამეგობრობის ინტერესთა რეალიზაცია, არა მხოლოდ დეკლარირებულია, არამედ გეგმაზომიერად ხორციელდება სამხედრო-პოლიტიკური ძალებით (ნატო), საფინანსო ინსტიტუტებით (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი), ეკონომიკური ბერკეტებით (ტრანსნაციონალური კორპორაციები, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია), საზოგადოებრივი სექტორით (მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა. შ.).

უკანასკნელმა ათწლეულებმა თითქოს დიდი ხნით გაამყარა დასავლეთის ჰეგემონია ევროპაში, ცენტრალურ აზიაში, ნაწილობრივ ახლო აღმოსავლეთში და რუსეთშიც კი. თუმცა აღმოჩნდა, რომ ამას შეიძლება ბოლო მოეღოს. **„ახალი მსოფლიო წესრიგის“ ფუნდამენტად ქცეული გლობალიზაციის ნეოლიბერალური მოდელი კრახს განიცდის. ამაზე ჯერ მეცნიერები წერდნენ, ახლა კი უკვე პოლიტიკოსებიც ალაპარაკდნენ.**

თანამედროვე პირობებში ვერც რუსეთი, ვერც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები ცალ-ცალკე ვერ გადარჩებიან. **3. პუტინის ახალი ინტეგრაციული პროექტი საკუთარი კულტურის, ეროვნული უსაფრთხოების თუ სხვა სასიცოცხლო ამოცანების გადაჭრის საშუალებას იძლევა**. ცხადია, დასავ-

ლეთს ეს არ მოეწონებოდა. მას საკუთარი ინ-ტერესები აქვს, რომელიც ამ ქვეყნებისა და ხალხების ინტერესებთან თანხვედრაში არ მო-დის. არჩევანი მარტივია: გადარჩე, შეინარჩუ-ნო საკუთარი ცხოვრების გეოგრაფიული, მატე-რიალური და სულიერი საფუძვლები, საკუთა-რი კულტურა და ტრადიციები, ისტორიული მეხსიერება ან... უხეში ჩარევა გარედან – სანქ-ციებით დაწყებული, დაბომბვებით დამთავრე-ბული.

რუსეთი არათუ ისეთი აღარ არის, როგორიც ელცინის დროს იყო, არამედ აღარც იმას ჰგავს, რასაც ვ. პუტინმა პირველ და მეორე საპრეზი-დენტო ვადაში მიაღწია. დღეს იგი კვლავ პრე-ზიდენტია, ოღონდ 1999 წლის ახალი წლის ღა-მისგან განსხვავებით, აღარავის ებადება კითხ-ვა, ვინ არის ვლადიმერ პუტინი. ეს, რა თქმა უნ-და, სულაც არ ნიშნავს, რომ მისი ფენომენი ამოხსნილია. იგი არც ისე მარტივი ადამიანია და არც იუმორის გრძნობას უჩივის. **ვ. პუტინის „წამოკიდება“ იმაზე, რომ კურილიის ერთ-ერთ კუნძულს მისი სახელი ეწოდოს, არც ისე იოლია. იგი მშვიდად პასუხობს, რომ რუსეთის ისტორიაში საამისოდ უამრავი სახელია, თუნ-დაც პუშკინის.**

ვლადიმერ პუტინს, მისი პოპულარობის გათვალისწინებით, საკუთარი პიროვნე-ბის განდიდება ნამდვილად არ გაუჭირ-დებოდა, მას კი არც სახელმწიფო ჯილ-დოები ხიბლავს და არც სიცოცხლეშივე დადგმული ბიუსტები. მისი ცხოვრება

© „ღვასრბაზეზეგ ესნაოგაფეი“

ისეთივე დახურულია უცხო თვალისთვის, როგორც კარიერის დასაწყისში. ის ფოტოსესიებიც, რომლებზეც თანხმდება, სავალდებულო დატვირთვის ხასიათს ატარებს, რადგან საკმარისია, ცოტა ხანს არ გამოჩნდეს, რომ მაშინვე ათასი მითქმა-მოთქმა ატყდება.

პირველი ინაუგურაციისას კრემლის გიორგის დარბაზამდე გრძელი ანფილადის გავლას მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ რუსეთის პირველმა პირმა სწრაფად, დაუღლელად შეძლო ამ დისტანციის დაფარვა. თუმცა მას მაშინაც კარგად ესმოდა, რომ ეს ხანგრძლივი მარათონის დასაწყისი იყო. მარათონი კი სპრინტი არ არის, მით უფრო საჩვენებელი გამოსვლა. აქ ძალაც სხვაგვარად უნდა გაანაწილო, სუნთქვაც შეინარჩუნო და ფინიშამდე მიაღწიო. მან ორჯერ უკვე მოიგო მარათონი. შემდეგ ოთხი წელი მეორე ადგილის პოზიციიდან გამოადგა საკუთარ ქვეყანას. ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, მესამედ იყრიდა თუ არა კენჭს, როცა 2011 წელს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მოურიდებლად უთხრა, რომ რუსეთი მისგან დაიღალა და უმჯობესია, კიდევ ერთხელ საკუთარი კანდიდატურა აღარ წამოაყენოს.

ვინ იცის, იქნებ სწორედ იმ დღეს გადაწყვიტა პუტინმა, რომ დიახაც, კენჭს იყრის. **ის ხომ 12 წელი სწორედ ამას ებრძოდა — რომ დასავლეთიდან არ ესწავლებინათ რუსეთისთვის, რა და როდის ეკეთებინა!** ადამიანურად ამის გაგება

რთული არ არის, თუმცა ამ ყველაფრის შემდეგ ამერიკული დაზვერვის ტექნიკური თანამშრომლის — ედვარდ სნოუდენისთვის თავშესაფრის მიცემის შემდეგ იგი აცხადებს, რომ მას ერთი პირობით შეიფარებენ, — თუ იგი ამერიკის წინააღმდეგ არ იმოქმედებს!

თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში კი სნოუდენის გაქცევას ტრაგედიად აღიქვამენ. ობამას გაუხსენეს თეთრი სახლის ინკოგნიტო თანამშრომლის სიტყვები, რომ **„ამერიკის პრეზიდენტი შეგნებულად ამბობს უარს აშშ-ის ხელმძღვანელ როლზე მსოფლიოში“.** რა საოცრად ჰგავს ეს სიტყვები ჩანაწერს საბჭოთა კონსტიტუციაში კომუნისტური პარტიის „ხელმძღვანელ როლზე!“

კონსერვატიული პუბლიცისტები ამ ეპიზოდს ხსნიან, როგორც საერთაშორისო არენაზე ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციების დასუსტების სიმპტომს. Washington Post-მა კი სტატია გამოაქვეყნა სათაურით **„ობამას მემკვიდრეობა: მეორეხარისხოვანი სახელმწიფო“.** სტატიის ავტორი **ჯენიფერ რუბინი** წერს: „პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკა საცოდავ შთაბეჭდილებას ტოვებს. რუსეთი იგნორირებას გვიკეთებს სნოუდენის დაბრუნების საკითხში და სირიაში ბაშარ ასადის ხელისუფლებიდან გაშვებაში. ჩინეთი იგნორირებას გვიკეთებს სნოუდენისა და კიბერტერორიზმის საკითხში. ჩვენ გამოვდივართ ავღანეთიდან და თალიბები იგნორირებას უკეთებენ ჩვენს მოთხოვნებს. ირანი იგნორირებას გვიკეთებს და ბირთვული იარა-

© „ღვასაბაძეების ოჯახი“

ღის შექმნას განაგრძობს. პალესტინის ავტონომია იგნორირებას გვიკეთებს და გაეროს მიმართავს სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნით... დაცემა არჩევანია და ჩვენ ეს არჩევანი გავაკეთეთ. ზესახელმწიფოს ინსტრუმენტარსა და ჩვევებზე უარის თქმა ჩვენს უსაფრთხოებას ვერ გაზრდის. პირიქით, ჩვენ მოვლენებს მივსდევთ და იქამდე დავეშვით, რომ არამეგობრულ სახელმწიფოებს ვეხვეწებით“.

საინტერესოა, როგორი რეაქცია ექნებოდათ ამერიკელებს, რომ გაეგოთ — პუტინი ობამას ურჩევს, გადადგეს, რადგან ამერიკა მისგან დაიღალა! ამერიკელები ისე გაერთნენ საკუთარი განსაკუთრებულობის რწმენით, რომ მართლაც ვერ უშვებენ იმას, რომ დანარჩენი მსოფლიო შეიძლება მათგან სულაც არ იმართებოდეს. და სწორედ პუტინია დღეს ამის განსახიერება. სახელმწიფო მდივან ჯონ კერის ეყო სიბრძნე, განეცხადებინა, რომ ვაშინგტონი არ ეძებს კონფრონტაციას მოსკოვთან, თუმცა საყვედურნარევი კილოთი ისიც დაამატა, რომ უკანასკნელ ხანს აშშ-მა რუსეთს შვიდი დამნაშავე გადასცა და საპასუხო ნაბიჯის იმედი აქვს.

თუმცა ეს ახლა, 2013 წელს ხდება, ხოლო 2007 წელს მოსკოვმა არალეგალური მიგრანტების დეპორტაცია მოახდინა. მათ შორის, საქართველოს 2.047 მოქალაქე გამოაძევა, იმავე წელს თურქეთიდან 5.139 (2,5-ჯერ მეტი!) ქართველი გამოადეპორტეს, უკრაინიდან — 920, გერმანიიდან — 297, ბელარუსიდან — 209, საბერძნეთიდან — 204, ისრაელიდან — 203. თუმცა იმჟამინ-

დელი პოლიტკონიუნქტურიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებაც და მედიაც მხოლოდ რუსეთიდან დეპორტაციის საკითხებს აშუქებდნენ. დღეს სხვა კონიუნქტურაა და თვით ჩვენი „უფროსი მეგობარი“, აშშ, წუწუნებს იმაზე, რომ მას რუსეთი ანგარიშს არ უწევს. განა ვინმე წარმოიდგენდა ამას, როცა ახალი, 2000 წლის დამდეგს რუსეთის ფედერალურ ტელეარხებზე სრულიად უცნობი მამაკაცის საახალწლო მილოცვას ისმენდა? მაშინ ვ. პუტინი 49 წლის იყო. იგი კვლავ რუსეთის პრეზიდენტია. სააკაშვილი კი 46 წლის ასაკში უკვე პოლიტიკურ პენსიაზე გადის (თუ სხვა რაიმე განსაცდელი არ შეემთხვა) და, პუტინისგან განსხვავებით, ქვეყანას იმაზე უარეს მდგომარეობაში ტოვებს, ვიდრე ჩაიბარა.

ერთი ცხადია — „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ვ. პუტინის გამოჩენის შემდეგ იმ სახით ვეღარ იარსებებს, როგორც ჩაფიქრებული იყო. რაღაც სახით რაიმე წესრიგი იარსებებს, მაგრამ რუსეთის დაუკითხავად — ვეღარ.

© „ღვანცარმაზრეგნე ანანიაფაფი“

პოლოთქმა

თანამედროვე მსოფლიოში ძნელია ისეთი ლიდერის პოვნა, როგორიც ვლადიმერ პუტინია. მისი უეცარი შესვლა უმაღლეს პოლიტიკურ ეშელონებში სწრაფი და თავბრუდამხვევი წარმატებებით გაგრძელდა. იშვიათობაა, რომ ასეთმა წარმატებებმა თავბრუ არ დაახვიოს პოლიტიკოსს, მაგრამ ვ. პუტინი არასოდეს აყოლია ემოციებს და გაცილებით დიდ მნიშვნელობას დასახული მიზნების მიღწევას უთმობდა, ვიდრე საკუთარი წარმატებების კომენტირებას ან პოპულარიზაციას.

ხასიათი და ცხოვრების სკოლა მას მკაფიო

ჩარჩოს კარნახობდა. ეს წიგნიც ამ ჩარჩოში პორტრეტის ოდენ შტრიხებს წარმოადგენს. ვ. პუტინს წინ უამრავი ამოცანა და, როგორც ჩანს, კიდევ ორი საპრეზიდენტო ვადა აქვს. არცერთ მცდელობას, შექმნილიყო მისი სრულყოფილი პორტრეტი, წარმატება არ მოჰყოლია. ეს, ალბათ, მაინც მომავლის საქმეა. თავად არ კითხულობს, რასაც მასზე წერენ. დრო ენანება, თუმცა, დროის გარდა, მისთვის, ალბათ, სასაცილოც არის მწერლებისა თუ ჟურნალისტების მცდელობა, გაარკვიონ, მაინც ვინ არის ვლადიმერ პუტინი.

მას ბევრი რამის გაკეთება მოუწია პირველად ან დიდი ისტორიული წყვეტის შემდეგ. რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა არა მარტო ტერიტორიით, არამედ ისტორიით, კულტურით, ტრადიციებით. იგი არა ერთხელ მდგარა ისტორიის გზაგასაყარზე და ბედმა პუტინსაც ასეთ ეპოქაში ანდო რუსეთის ლიდერობა. დაჩოქილი რუსეთის წამოყენება არც ისე იოლი აღმოჩნდა. ბევრი ვ. პუტინს იმპერიულ ზრახვებში ადანაშაულებს, მაგრამ უკან მივიხედოთ და გავიხსენოთ, როგორი რუსეთი ჩაიბარა მან 1999 წელს, არათუ იმპერიის, მას სუვერენული სახელმწიფოს ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა. და, რა თქმა უნდა, მაშინ დასავლეთი მხოლოდ აქებდა და ადიდებდა მორჩილ და მიწაზე გართხმულ ყოფილ ზესახელმწიფოს.

მიუნხენის კონფერენციაზე ვ. პუტინმა პირველად უთხრა მსოფლიოს ის, რაც ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ რაზეც ლაპარაკი მიღებული არ

© „ღვასაბაძეების ეროვნული“

იყო: **„უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე არ შეიძლება არ შევეხოთ ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მოღვაწეობას. იგი, როგორც ცნობილია, შეიქმნა უსაფრთხოების ყველა, ვიმეორებ, ყველა ასპექტის განსახილველად: სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული ასპექტების, თანაც მათი ერთმანეთთან კავშირში განსახილველად. რას ვხედავთ ამის ნაცვლად? ბალანსი აშკარად დარღვეულია. ცდილობენ, ეუთო ვულგარულ ინსტრუმენტად აქციონ სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის საგარეოპოლიტიკური ინტერესების უზრუნველსაყოფად დანარჩენი სახელმწიფოების მიმართ“.**

ასეთი პირდაპირი მითითება დასავლეთს, დიდი ხანია, არ მოუსმენია, მით უფრო აღარ ელოდა ამას რუსეთისგან, რომელიც ელცინის დროს უკვე საბოლოოდ დამორჩილებული ეგონა, და მით უფრო არ ელოდა იმ ადამიანისგან, რომელიც მსოფლიო პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის სრულიად უცნობი იყო, როცა 1999 წლის ივლისის ბოლოს ჯერ პრემიერმინისტრი, ხუთი თვის შემდეგ კი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახდა.

იმ დღეებში (1999 წლის ივლისის ბოლოს) ისრაელის პრემიერი ეჰუდ ბარაკი ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე ელცინთან მოსალაპარაკებლად მოსკოვში ჩაფრინდა. უკან დაბრუნებულმა ბარაკმა ბილ კლინტონს დაურეკა: „ახალი პრემიერმინისტრი, რომლის სახელიც ჩემ-

თან საუბარში ელცინმა ახსენა, გახდა ვიღაც კაცი — გვარად პუტინი“.

ეს „ვიღაც კაცი“, შესაძლოა, დასავლეთმა თავიდან სათანადოდ ვერ შეაფასა. უკანასკნელ წელიწად-ნახევარში ელცინმა ოთხი პრემიერმინისტრი დაითხოვა. მძიმეწონოსანი ჩერნომირდინის შემდეგ, 1998 წლის მარტიდან აგვისტომდე პრემიერი სერგეი კირიენკო იყო, 1998 წლის სექტემბრიდან 1999 წლის მაისამდე — ევგენი პრიმაკოვი, მაისიდან აგვისტომდე კი — სერგეი სტეპაშინი. როგორც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს იმჟამინდელი სპიკერი გენადი სელეზნიოვი აცხადებდა, „თუ ელცინი ვინმეს საკუთარ შემცვლელად ასახელებს, ეს ნიშნავს, რომ ამ ადამიანის პოლიტიკურ მომავალზე ჯვარია დასმული. ასე არაერთხელ მომხდარა“.

როგორც ჩანს, თავიდან ვ. პუტინიც კიდევ ერთ, მორიგ და დროებით ფიგურად აღიქვეს, თუმცა უახლოესმა თვეებმა დაადასტურა, რომ იგი სულ სხვა წონისა და დიაპაზონის პოლიტიკოსი აღმოჩნდა. მაგრამ პოლიტიკასაც რომ დავანებოთ თავი, ძალიან ცოტას თუ ესმოდა დასავლეთში, როგორ ადამიანთან ჰქონდათ საქმე. უშიშროების კადრის ოფიცერი თავიდანვე უნდობლობას იწვევდა მათში. მართალია, ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ მის თვალებში სული დაინახა, მაგრამ საბჭოთა პატრიოტიზმის სულით აღზრდილი ადამიანის სულის დანახვა მისთვის არც ისე იოლი იყო.

ქრესტომათიული საბჭოთა ფილმი „ცირკი“ თვალსაჩინოდ აჩვენებს ამას: ამერიკელი იმპრე-

© „ღვასრულებელ ესნალოგიე“

სარიოს მიერ გაცხადებული „სამარცხვინო“ ამბავი, რომ ცირკის ვარსკვლავ მერის ზანგი შვილი ჰყავს, საბჭოთა მაყურებლისთვის სრულიად გაუგებარი იყო. არათუ გასული საუკუნის 30-იან წლებში, არამედ კიდევ 30 წლის შემდეგაც რასიზმის საკითხი ერთობ მძიმედ იდგა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ის, რაც დასავლეთმა საკმაოდ გვიან აღმოაჩინა, მთელ დანარჩენ სამყაროში ახლა შეაქვს დემოკრატიის სახელით. საბჭოთა სისტემის მთელი სიმძიმის მიუხედავად, მასში ადამიანი ადამიანისთვის მართლაც ძმა და მეგობარი იყო. ასკეტიზმი და თავგანწირვა დღესაც უცხოა დასავლეთისთვის. არადა, სწორედ მან გადაარჩინა რევოლუციური ძვრების შედეგად შერყეული რუსეთი. ერთი საუკუნის განმავლობაში რუსეთი ორჯერ დააჩოქეს: ერთხელ — უცხოეთიდან დაფინანსებული თებერვლის და ოქტომბრის რევოლუციით, რომელმაც მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა და ცხოვრების წესი შეცვალა; მეორედ — საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის სიმდიდრის ხელში ჩაგდებით და სოციალურ სამართლიანობას მიჩვეული ხალხის ერთ წამში გაღატაკებით.

როდესაც ვ. პუტინი მეოცე საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფაზე ლაპარაკობდა, იგი, უპირველესად, სწორედ მილიონობით ადამიანის ცხოვრების კალაპოტიდან ამოგდებას გულისხმობდა და არა საბჭოთა კავშირის აღდგენის აუცილებლობას. ადამიანები, რომლებსაც

ხვალინდელი დღის შიში არ ჰქონდათ, უცებ აღმოჩნდნენ გაძარცვულები, არაფრის მქონენი და, რაც მთავარია, არაფრის ღირსები. ვიღაცამ მათ ნაცვლად გადაწყვიტა, რომ ისინი არ იმსახურებენ ადამიანურ ცხოვრებას.

დღევანდელ მსოფლიოში იდეოლოგიებით მანიპულირება ჩვეული გახდა. ის სახელმწიფოები, რომლებიც საბჭოეთს ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტ ჩარევას ედავებოდნენ, ახლა უკვე თავად მიმართავენ რეგულირებას. რას იზამ, როცა მსოფლიო კრიზისია (არადა, კლასიკოსები გვასწავლიდნენ, რომ კაპიტალიზმის პირობებში პერიოდული კრიზისები გარდაუვალია), მაშინ მტრულ იდეოლოგიასაც შეიძლება დაესესხო.

ვ. პუტინს არასოდეს დაუმალავს, რომ იგი სპეცსამსახურებიდან მოვიდა. წლების შემდეგაც მას მიაჩნია, რომ ძლიერი სპეცსამსახურები მისი სამშობლოს სუვერენიტეტის გარანტი იყო. სუვერენიტეტი კი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რუსეთმა ისევე დაკარგა, როგორც ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ.

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ვ. პუტინის მიერ გამოყენებულმა ტერმინმა **„სუვერენული დემოკრატია“,** თუმცა სიმართლე რომ ითქვას, ეს გამოთქმა რუსეთში პირველად პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, ვლადისლავ სურკოვმა, გამოიყენა. დასავლეთიდან მყისვე გაისმა კრიტიკა, თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, „სუვერენული დემოკრატია“ სულაც არ იყო რუსული გამოგონება; პირველად ეს ტერ-

© „ღვასრბაზეგნე ასანაყაფი“

მინი ჟან ჟაკ რუსომ ახსენა მისი თანამედროვე შვეიცარული დემოკრატიის აღწერისას.

XIX საუკუნეში ეს ტერმინი ინგლისურ ენაში ხშირად გამოიყენებოდა ზოგადად დემოკრატიის, კერძოდ კი, მისი ადგილობრივი სახეების აღწერისთვის. XXI საუკუნის დასაწყისამდე ამერიკულ პოლიტიკაში „სუვერენული დემოკრატიის“ ცნება აღნიშნავდა ხალხის ძალაუფლებას, რომელიც ადგილობრივ კანონებს იღებდა, მაგალითად, შტატის კანონებს, ამერიკის ფედერალური ხელისუფლებისგან განსხვავებით. ეს ტრადიცია „მეორე პარტიული სისტემის“ თანადროულია, როდესაც „სუვერენული დემოკრატიის პარტიად“ აშშ-ის დემოკრატიული პარტია ითვლებოდა.

საქართველოსთვის კარგად ცნობილმა ამერიკელმა ისტორიკოსმა **რიჩარდ პაიპსმა** 2009 წელს განაცხადა, რომ არ იცის, რას წარმოადგენს „სუვერენული დემოკრატია“: **„მე არ მესმის ეს ტერმინი — დემოკრატია ან არის, ან არ არის“.** როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ისტორიაზე ფოკუსირებული პროფესორი საკუთარი ქვეყნისა და ევროპის ისტორიას აშკარად ნაკლებ ყურადღებას უთმობდა.

რუსეთში კი ამ ტერმინის გაგება უკიდურესად ნათელია: სუვერენული დემოკრატია საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ისეთი წესია, როდესაც ხელისუფლება, მისი ორგანოები და ქმედებანი აირჩევა, ყალიბდება და მიმართულება ეძლევა მხოლოდ და მხოლოდ რუსი ერის მიერ მთელი მისი მრავალფეროვნებითა და ერთიანობით, რათა მიღწეული იყოს მატერიალური

კეთილდღეობა, თავისუფლება და სამართლიანობა ყველა მოქალაქის, სოციალური ჯგუფისა და ხალხისთვის, რომლებიც ქმნიან რუს ერს.

ამ განმარტებაში საკვანძო სიტყვებია **„მხოლოდდამხოლოდ რუსი ერის მიერ“.** თუ რაიმე არის მიუღებელი დასავლეთისთვის, ეს სწორედ ხალხის ნების აღსრულებაა და არა დასავლეთიდან ნაკარნახევის მონური შესრულება. ამიტომაც აკრიტიკებენ პუტინს და არა ელცინს, რომელმაც რუსეთის „დემოკრატიზაცია“ ამერიკული რეცეპტით წარმართა და დასავლეთმა თვალი დახუჭა თეთრი სახლის დახვრეტაზე. პრაქტიკულად, დემოკრატიული ინსტიტუტის — პარლამენტის წინააღმდეგ ტანკებისა და ჭურვების გამოყენება იოლად ჩაეწერა არასუვერენული დემოკრატიის მოდელში. რა ბედენაა ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის ალყაში მოქცევა და სროლა, როცა ყველაფერ დანარჩენს სწორედ დასავლეთის მითითებით ასრულებ? ამ მითითებებით **განადგურებული, გაძარცული და დაჩოქილი რუსეთის წამოყენებისთვის ვ. პუტინს წლები დასჭირდა. სწორედ ამას ვერ პატიობენ მას.**

მართლაც, განა უცნაურია, გინდოდეს დემოკრატია შენი ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვის გარეშე? და განა დემოკრატია მხოლოდ იმას ჰქვია, რაც დასავლეთს აძლევს ხელს? როდესაც ბრიტანეთმა ლუგოვოის გადაცემა მოითხოვა, ვ. პუტინმა ერთადერთი შესაძლო პასუხი გასცა: რუსეთის კონსტიტუცია კრძალავს საკუთარი მოქალაქის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცე-

© „ღვასტაბაძეების ეროვნული“

მას. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **დევიდ მილიბენდმა,** უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრა, თქვა: **„თქვენც აიღეთ და შეცვალეთ კონსტიტუცია“!**

არის თუ არა ეს უხეში ჩარევა სხვა ქვეყნის სუვერენიტეტში? რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ, როგორც პუტინი ამბობს ხოლმე (და ამაში, ძნელია, არ დაეთანხმო), **ზოგიერთ ქვეყანას საკუთარი ინტერესების გატარება სხვათა სუვერენიტეტის ხარჯზე სურს. და თუ ეს არ გამოსდით, მაშინ იმ ქვეყანას არადემოკრატიულობის გამო აკრიტიკებენ.** ლაპარაკიც არ ღირს იმაზე, რომ თავად ლონდონმა ტერორიზმში ან ტერორისტების მხარდაჭერაში ეჭვმიტანილი არცერთი პირი მოსკოვს არ გადასცა. გამოდის, რომ **სუვერენიტეტიც, დემოკრატიაც და სხვა სიკეთეებიც რამდენიმე განვითარებულ ქვეყანას მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად სჭირდება. სწორედ ამას დაუპირისპირდა პუტინი და ამით გამოიწვია კრიტიკის ქარცეცხლი.**

„მაგნიტსკის სიის“ მიღებით აშშ-ის კონგრესმა რუსეთს იმაზე მიუთითა, რომ იქ, ციხეში ადამიანებს კლავენ და აწამებენ. დღეს საქართველოში ბევრს უკვირს, რომ ჩვენი ამერიკელი მეგობრები ხმას არ იღებენ ქართულ ციხეებში პატიმრების გაუპატიურებასა და წამებაზე, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებები მხოლოდ მათი საკუთარი ინტერესების დასაცავად გამოყენებული იარაღია!

ვ. პუტინმა ერთ-ერთ ინტერვიუში ამას სა-

განგებოდ გაუსვა ხაზი: **„რაზე ზრუნავენ ჩვენი პარტნიორები შტატებში და ამერიკელი კანონმდებლები? ადამიანის უფლებებზე ჩვენს ციხეებში. კარგი საქმეა, მაგრამ საკუთარი პრობლემები თავზე საყრელი აქვთ. აბუ-გრეიბი, გუანტანამო — იქ მათ წლობით ჰყავთ ადამიანები ბრალის წაუყენებლად გამომწყვდეული. ეს საერთოდ წარმოუდგენელია. თანაც ბორკილები ადევთ, როგორც შუა საუკუნეებში. საკუთარ ქვეყანაში წამების ლეგალიზაცია მოახდინეს. წარმოგიდგენიათ, ჩვენთან რომ რაიმე ამის მსგავსი ყოფილიყო?! ცოცხლად შეგვჭამდნენ! მთელ მსოფლიოში ბაკქანალიას მოაწყობდნენ! იქ კი ჩქამი არ ისმის, სიჩუმეა. რამდენჯერ იყო დაპირება, რომ გუანტანამოს დახურავდნენ, ციხე კი ისევ მუშაობს. ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს საკუთარი საიდუმლო ციხეები აქვს. ვინმემ აგო პასუხი? და კიდევ: ჩვენ მიგვითითებენ, რომ რაღაც პრობლემებია!“**

ამგვარი ორმაგი სტანდარტებით შეერთებული შტატები მშვენივრად ახერხებს მისი მორჩილი რეჟიმების დაცვასა და შენარჩუნებას (იხ. სააკაშვილის მაგალითი), ხოლო თუ ხელისუფალი მათ ინტერესებს არ ატარებს, მისი დემონიზაცია იწყება. ვ. პუტინს ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, პრემიერმინისტრობის შემდეგ, 2012 წლის მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, როცა ამ თემაზე აჟიოტაჟი დაიწყო. რაკი რუსეთის მოსახლეობა პრემიერ პუტინს ენდობოდა და მისი დისკრედიტაცია მოსახლეობის

© „ღუნარაძეების ოჯახი“

თვალში არც ისე იოლი ჩანდა, ამიტომ, ძირითადად, მესამე ვადით არჩევის დაუშვებლობაზე კეთდებოდა აქცენტი.

2012 წელს ვრცელ პრესკონფერენციაზე „იზვესტიას“ კორესპონდენტმა საკმაოდ მკაცრი შეფასება მისცა ვ. პუტინის 12-წლიან მოღვაწეობას და მას ავტორიტარული უწოდა. ვ. პუტინის პასუხი ასეთი იყო: „ამ სისტემას ავტორიტარულს ვერ ვუწოდებ და ყველაზე ნათელი მაგალითი იმისა, რომ ეს ასე არ არის, იყო ჩემი გადაწყვეტილება — პრეზიდენტობის ორი ვადის შემდეგ მეორე პოზიციაზე გადამენაცვლა. მე რომ მიმაჩნდეს, რომ ტოტალიტარული ან ავტორიტარული სისტემა ჩვენთვის უკეთესი იქნება, მაშინ უბრალოდ კონსტიტუციას შევცვლიდი. როგორც გესმით, ეს ადვილი გასაკეთებელი იყო. ამას საყოველთაო კენჭისყრა არ სჭირდებოდა, საკმარისი იყო პარლამენტის გადაწყვეტილება, რომელშიც 300-ზე მეტი ხმა გვქონდა. მე შეგნებულად წავედი მეორე პოზიციაზე, რათა ხელისუფლების მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფა მომეხდინა, კონსტიტუციისა და კანონების მიმართ პატივისცემა გამომევლინა.

ხომ გესმით, მაშინ არ შეიძლებოდა, მიზნად დამესახა, რომ ოთხ წელიწადში აუცილებლად დავბრუნდებოდი. ეს სასაცილო იქნებოდა, მით უმეტეს, რომ კრიზისი დაიწყო, გაურკვეველი იყო, რა და როგორ იქნებოდა. ჩვენ, ყველამ მძიმე განსაცდელი გამოვიარეთ, ამიტომ ამ სისტემას ავტორიტარულს ვერ დავარქმევ. **თუ ვინმეს ჰგონია, რომ დემოკრატია და კანონის აღ-**

სრულება სხვადასხვა რამ არის, მას ძალიან ეშლება.

დემოკრატია, უპირველესად, კანონის შესრულებაა. ჩვენში რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დემოკრატია ტროცკიზმია, ანარქიაა. ეს ასე არ არის! ბაკუნინი შესანიშნავი ადამიანი იყო, თანაც ჭკვიანი, მაგრამ ანარქია არ გვჭირდება, ისევე, როგორც ტროცკიზმი".

საფიქრებელია, რომ ვ. პუტინს ტროცკიზმი, თანაც ორჯერ, შემთხვევით არ უხსენებია. მას შეეძლო ბაკუნინსა და ანარქიზმზე გაჩერებულიყო, მაგრამ ისტორიის გადაწერის მცდელობები, რომლებიც ასე მომრავლდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, დიდწილად სწორედ დასავლელ ტროცკისტებს უკავშირდება. **საიდუმლო არ არის, რომ ტროცკისა და ლენინის მიერ ჩადენილი უამრავი დანაშაული დასავლეთმა შემდგომ სწორედ სტალინს აჰკიდა, ხოლო ფაქტებითა და ციფრებით მანიპულირებას თანამედროვე ტროცკისტები რომ საკმაოდ ადვილად ახერხებენ, ნათელია.**

პირველი მასობრივი დახვრეტები და საკონცენტრაციო ბანაკები სწორედ ტროცკის შემოქმედებაა. დღეს სტალინის მსხვერპლად აღიარებული ტროცკის იდეური შვილები მის მიერ განუხორციელებელ „მსოფლიო პერმანენტულ რევოლუციას" აწყობენ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში „ხავერდოვანი რევოლუციების" სახელით. მართალია, მათ ტროცკისტები აღარ ჰქვიათ — ნეოკონებად იქცნენ, მაგრამ, როგორც იტყვიან, იდეებს რას უზამ?

© „ღვასტაბაძეების ოჯახური“

1999 წლის სექტემბერში **ვ. პუტინმა** ერთი ფრაზა წარმოთქვა, რომელსაც დღემდე უხსენებენ: **„Мы будем преследовать террористов везде, где бы они ни находились, в аэропорту — в аэропорту... Если мы найдем их, вы уж меня извините, в туалете — и в сортире замочим, в конце концов“.**

ვერავინ ახსნა, რატომ ახსენა მან „სორტირი“. რატომღაც ეს ყველას ხუმრობის ხასიათზე აყენებდა, მაგრამ, თუ ლეგენდარულ ფილმს „მიმინო“ გავიხსენებთ, მაშინ ბევრი რამ გასაგები გახდება. მისი გმირი, მფრინავი მიზანდარი, მოსკოვში მცხოვრებ თანამემამულეს სწორედ უნიტაზში ჩააყოფინებს თავს. სასამართლოზე იგი კატეგორიულად არ ხსნის ამ საქციელის მიზეზს და მხოლოდ ახალგაზრდა ადვოკატის მიერ მოძიებული საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ მიზანდარმა ამ კაცს უკვე მეორედ ჩააყოფინა თავი უნიტაზში. ნებისმიერი მამაკაცი, რომელიც ფილმს უყურებდა, ღირსების აღდგენად აღიქვამდა საკუთარი დის შემცდენელისა და მიმტოვებლის მიმართ ამ საქციელს. **პუტინისთვისაც, ტერორისტების მიერ მასხრად აგდებული ხელისუფლების ღირსების აღდგენის საკითხი იყო მთავარი იმ მომენტში.**

დასავლეთში ყოველთვის უკვირდათ, რომ ვ. პუტინი მკაცრად იცავდა საკუთარ ოჯახს და პირად ცხოვრებას. მას არაერთხელ უთქვამს, რომ მისი მშობლების ოჯახშიც არ იყო მიღებული ყველაფერზე ლაპარაკი. როგორი მკაცრიც არ უნდა ყოფილიყო დედ-მამა, პუტინის მოგონებე-

ბიდანაც ჩანს, რომ მშობლები ერთადერთ შვილს არ ანებივრებდნენ, მაგრამ ხელს უწყობდნენ. როდესაც ლატარიის ბილეთით „ზაპოროჟეცი“ მოიგეს, უამრავი გეგმა გაჩნდა. მანქანის გაყიდვით საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას აპირებდნენ, მაგრამ საბოლოოდ შვილს აჩუქეს. მაშინ ახალგაზრდა კაცისთვის მანქანა ძალიან ბევრს ნიშნავდა.

საბჭოთა კავშირში მართლაც არ იყო მიღებული საკუთარი გრძნობებისა და პირადი ცხოვრების გამოფენა ან ოჯახის წევრების მიმართ სიყვარულის საჯაროდ დემონსტრირება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პუტინის ბაბუა ჯერ ლენინის, ხოლო შემდეგ სტალინის აგარაკზე მუშაობდა, მაშინ ზედმეტი ლაპარაკის მიმართ სიძულვილი გასაგები უნდა იყოს.

ისიც ცხადია, რომ მეტისმეტად ფემინიზებულ საბჭოეთში, სადაც ცოლები ქმრებს პარტიულ კომიტეტში უჩიოდნენ, სინამდვილეში მამაკაცურ აღზრდას განსაკუთრებით აფასებდნენ. **ზოგჯერ ვ. პუტინზე ამბობენ, რომ ის „მაჩოა“, მაგრამ ერთი ავიწყდებათ, რომ რუსეთში (და არა მარტო იქ) სწორედ მამაკაცსა და მამაკაცურობაზეა მოთხოვნა. ვ. პუტინის მიმართ მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულებას ესეც განსაზღვრავს. სამშობლოს დაცვა მხოლოდ ნამდვილ მამაკაცს შეუძლია, ელცინის შემდეგ კი ყველაზე აქტუალური რუსეთისთვის სწორედ ეს საკითხი იყო.**

1999 წლის აგვისტოდან სექტემბრის ბოლომდე ვ. პუტინის რეიტინგი 2 პროცენტიდან 15-მდე

© „ღვასტამხიჩეგი ესნალოფაფი“

გაიზარდა. ოქტომბრის ბოლოს ეს ნიშნული 25 პროცენტზე ავიდა, ხოლო ნოემბრის ბოლოს — 40 პროცენტზე. ვლადიმერ პუტინი, ერთი შეხედვით, პურიტანული აღზრდის კაცი, იუმორის გრძნობით აღმოჩნდა დაჯილდოებული. იმ შემოდგომით, პრიმორსკის მხარეში ყოფნისას მას გუბერნატორმა ნაზდრატენკომ იმდენი კომპლიმენტი უთხრა, რომ პუტინმა უპასუხა: „ისე მაქებთ, რომ მეჩვენება, თითქოს უკვე მოვკვდი“.

ვ. პუტინის მეგობრები იხსენებენ, რომ იგი ნაპოლეონ ბონაპარტის ისტორიით იყო დაინტერესებული. 2000 წელს ემიგრაციიდან დაბრუნებულმა **ანატოლი სობჩაკმა** ინტერვიუში განაცხადა: **„პუტინს იგივე პრინციპები და მიზნები აქვს, რაც თავის დროზე ნაპოლეონს — სახელმწიფო ძალაუფლების აღდგენა“.** სათქმელად ადვილი იყო, მაგრამ ჩიხიდან რუსეთის გამოყვანას წლები დასჭირდა.

როდესაც ელცინმა პრემიერობა „ზრდის პერსპექტივით“ შესთავაზა, პუტინის 88 წლის მამა უკურნებელ სენს ებრძოდა. პუტინი მის სანახავად ყოველ შაბათ-კვირას სანკტ-პეტერბურგში ჩადიოდა. 2 აგვისტოს მამა გარდაეცვალა, ოჯახის წევრებმა კი მისი დაწინაურების შესახებ ტელევიზიით გაიგეს. თვითმხილველები ამბობენ, რომ მას სახის მიმიკაც კი არ შეცვლია, როცა ელცინისგან წინადადება მიიღო. არ გაამჟღავნო ემოციები — ეს მარტო სპეცსამსახურების წესი როდია. ნამდვილი მამაკაცი არ დაუშვებს, რომ სხვებმა დაინახონ მისი ემოცია, არა აქვს მნიშვნელობა, — მწუხარებაა ეს თუ ბედნიერება.

თუმცა ბედნიერებად პრეზიდენტობას პუტინი არც აღიქვამდა. მას არა ერთხელ უთქვამს, რომ მისი დამოკიდებულება ასეთი იყო: „თუ ეს აუცილებელია, რას იზამ“... მისი შეურიგებელი ოპონენტებიც კი ვერ მალავენ, რომ იგი „მსახურობს“ და სკამის სიყვარული არ გააჩნია. ლიბერალი პოლიტიკოსები გაოცებას ვერ მალავენ იმის გამო, რომ იგი მარხვას ინახავს. ამის აფიშირება არასოდეს უცდია, მაგრამ ასეთი ამბები არ იმალება.

ბევრი დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ ვლადიმერ პუტინმა ჯორჯ ბუში სწორედ მორწმუნეობით მოხიბლა. სხვადასხვა წყაროში უთითებენ, რომ მან მხლებლები დაითხოვა და აშშ-ის პრეზიდენტთან ერთად სასახლის პარკში გაისეირნა. ვ. პუტინმა ბუშს თავისი უბრალო, თითბრის ჯვარი აჩვენა, რომელსაც პერანგის ქვეშ ატა-

© „ღუსუბუხეფი ეუნაფუფუნი“

რებდა და მოუყვა, როგორ მონათლეს უჩუმრად და ძალიან დიდი ხნის შემდეგ როგორ გაატანა დედამ ეს ჯვარი იერუსალიმში საკურთხებლად.

უკვე მოსკოვში გადმოსვლის შემდეგ სამთავრობო აგარაკზე, სადაც ვ. პუტინი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, ხანძარი გაჩნდა. ამ დროს ის აბანოში იყო. ზეწრით გამოვარდნილმა დაინახა, როგორ წაეკიდა ცეცხლი სახლს, შევარდა, ერთი გოგონა გამოიყვანა, მაგრამ მეორის გამოსაყვანად რომ შებრუნდა, ცეცხლმა გასასვლელი გადაკეტა. პუტინმა ბავშვი აივანზე გაიყვანა, უნდოდა ქვემოთ მყოფებისთვის ჩაეგდო, მაგრამ იგი ცოცხალი თავით არ ხტებოდა. მაშინ მამა ოთახში შებრუნდა, ზეწრები დახია, ერთმანეთს გადააბა. მოაჯირზე დაამაგრა და ბავშვიანად ჩამოსრიალდა. მხოლოდ შემდეგ აღმოაჩინა, რომ ჯვარი აღარ ეკეთა. **„მეგონა, სამუდამოდ დავკარგე“,** — თქვა მან, მაგრამ მასთან მეხანძრე მივიდა და მის გაშლილ ხელში სწორედ ნათლობის ჯვარი აღმოჩნდა. **„ეს ჯვარი ჩემი ბედისწერის ნაწილია“,** — უთხრა მაშინ პუტინმა ბუშს.

დასავლეთის ანალიტიკოსები მუდამ იმის რკვევაში არიან, თუ რა უნდა პუტინს და რას აპირებს იგი. კისინჯერის ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **თომას გრემმა** „რუსულ თემაზე“ მსჯელობა დაიწყო ეკონომისტ **ანდრეი შლეიფერთან** და ჟურნალისტ **იულია იოფესთან** ერთად პროექტის ფარგლებში **„რჩევები პრეზიდენტს“.** პროექტი ნიუ იორკის საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოში ხორციელდება. რადი-

ოსადგურმა „ამერიკის ხმა“ სპეციალური რეპორტაჟი მიუძღვნა ამ თემას და ქვესათაურად გამოიტანა: „წარმოსახვითი ბრიფინგი აშშ-ის პრეზიდენტისთვის — რა უნდა იცოდეს მან რუსეთზე.“

გრემმა დამაინტრიგებელი შეკითხვით დაიწყო: **„რას ეტყოდით აშშ-ის პრეზიდენტს რუსეთზე, აუდიენციისთვის მხოლოდ 15 წუთი რომ გქონოდათ“?** ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორმა **ანდრეი შლეიფერმა** სამ მომენტზე გაამახვილა ყურადღება:

იგი აშშ-ის პრეზიდენტს ეტყოდა, **რომ პრეზიდენტი პუტინი რუსეთში ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია და უახლოეს ხანებში არსად წავა;**

რუსეთის ეკონომიკის ზრდა ნელდება და პრეზიდენტ პუტინს მოუწევს, ეძებოს ალტერნატიული გზები პოპულარობის შესანარჩუნებლად. მან გაიხსენა, რომ გორბაჩოვმა და ელცინმა პოლიტიკური გავლენა ნავთობის ფასის დაცემისა და ეკონომიკური ზრდის შენელების გამო დაკარგეს.

The New Yorker-ის ყოფილი მოსკოველი კორესპონდენტი და ჟურნალ New Republic-ის უფროსი რედაქტორი **იულია იოფე** აშშ-ის პრეზიდენტთან აუდიენციისას რუსულ თავისებურებებზე გაამახვილებდა ყურადღებას. სასაცილოა, მაგრამ ჟურნალისტი სერიოზულად მსჯელობს, რომ **პუტინი დრაკონულ კანონებს იღებს** და მაგალითებიც მოჰყავს: **„გეიპროპაგანდის აკრძალვა, ორალური სექსის აკრძალვაზე მსჯელობა, ზედიზედ სამი ქორწინების აკრ-**

© „ღონისძიების ისტორიები“

ძალვაზე მსჯელობა, დიდი სამამულო ომის დროს წითელი არმიის მოქმედების კრიტიკის აკრძალვა ... ტრადიციონალიზმისკენ ეს დაბრუნება ხელოვნურად მეჩვენება“.

13 წლის წინ, როცა ვ. პუტინი ახალი მოსული იყო ხელისუფლებაში, დასავლეთში უყვარდათ მსჯელობა კითხვაზე **„Who is Mr. Putin?“** („ვინ არის მისტერ პუტინი“?). ახლა, თომას გრემის აზრით, ახალი შეკითხვის დრო დადგა: **„What does Putin want?“** („რა უნდა პუტინს?“).

იულია იოფე პუტინის დემონიზაციის ხაზს აგრძელებს და ამტკიცებს, რომ იგი ისევ კგბ-ს აგენტია, რომელსაც არ სწამს ამერიკის შეერთებული შტატების. რატომ უნდა სწამდეს? განა აშშ ღმერთია, რომ გწამდეს?

შლეიფერს მიაჩნია, რომ მთავარი, რაც პუტინს სურს, ხელისუფლებაში დარჩენაა. „მას უნდა რუსეთის პრეზიდენტად დარჩენა, მას მოსწონს ეს სამუშაო და მიაჩნია, რომ ყველაზე კარგი კანდიდატია ამ თანამდებობისთვის. ისევე, როგორც კრისტინა კირშნერს მიაჩნია, რომ საუკეთესო კანდიდატია არგენტინის პრეზიდენტის პოსტზე, ან როგორც რეჯებ ტაიპ ერდოღანს სჯერა, რომ იგი თურქეთის საუკეთესო პრემიერმინისტრია. **პუტინს ესმის, რომ მისი პოპულარობის შენარჩუნება ეკონომიკური ზრდის ხარჯზე მალე შეუძლებელი იქნება**. იგი, რა თქმა უნდა, განაგრძობს სახელმწიფო ასიგნებებს, რათა ეკონომიკის ზრდა შეინარჩუნოს. ენერგეტიკულ სექტორს ჩინეთზე გადააორიენტირებს. და ეს რაციონალური პოლიტიკაა, მაგრამ შეიძლე-

ბა ეს საკმარისი არ იყოს. როგორი იქნება დამატებითი სტრატეგია? უნდა უზრუნველყოს, რომ პოლიტიკურად ალტერნატივა არ ჰყავდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთში პოლიტიკური რეპრესიები გაგრძელდება“.

თუ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ასეთ მოსაზრებებს ეყრდნობა, მაშინ გასაკვირი არ არის, რომ იგი ვერც რუსეთს გაუგებს და ვერც პუტინს. ამ „წარმოსახვით ბრიფინგში“ არც ფაქტებია, არც მტკიცებულებები; ორი პირის რეფლექსები და პირადი დამოკიდებულებაა. **თუ პრეზიდენტი ობამა ამგვარი დამოკიდებულებებით ხელმძღვანელობს და მათზე დაყრდნობით აგებს საკუთარ პოლიტიკას რუსეთის მიმართ, მაშინ არ უნდა უკვირდეს, საკუთარი ამომრჩეველი სულ უფრო ხშირად რომ საყვედურობს მას პუტინთან წაგების გამო.**

თავად ვ. პუტინი კი გამოხდომებს მის წინააღმდეგ პრესკონფერენციებზე იუმორით ეკიდება. 2012 წლის 20 დეკემბრის პრესკონფერენციაზე Life News-მა მას ჰკითხა:

— თქვენზე ბევრი ანეკდოტი დადის. ალბათ, თანაშემწეები გიყვებიან?

— არა, მოყოლა ეშინიათ (*სიცილი დარბაზში*).

— ერთი ანეკდოტი სამყაროს აღსასრულს ეხება. „პუტინი იმდენ რამეს გვპირდება, რომ დანამდვილებით იცის, როდის დადგება სამყაროს აღსასრული“; ან ასეთი: „პრეზიდენტმა განზრახ დანიშნა პრესკონფერენცია სამყაროს აღსასრულის წინა დღეს, რადგან სურს, მთელი კაცობრიობის განვითარების შედეგები შეაჯამოს“.

© „ღასაბუნებელი ისაფრი“

— ერთი წამით, ჯერ ერთი, მე ვიცი, როდის დადგება სამყაროს აღსასრული.

— როდის?

— დაახლოებით 4,5 მილიარდი წლის შემდეგ, ვინაიდან, როგორც მახსოვს, მზის ფუნქიონირების ციკლი 7 ან 14 მილიარდი წელია. სადღაც 4,5 მილიარდი წელი უკვე გავიდა, ასე რომ, კიდევ 4,5 მილიარდი წლის შემდეგ ყველაფერი დამთავრდება, რეაქტორი უბრალოდ ჩაქრება. აი, ეს იქნება სამყაროს აღსასრული. თუმცა მანამდე მზეს ბევრი რამ შეემთხვევა: იგი თეთრ ჯუჯად გადაიქცევა, ანუ ამ მომენტისთვის სიცოცხლე აღარ იქნება. თუ სამყაროს აღსასრულს ამ თვალსაზრისით უდგებით, იგი უფრო ადრე დადგება.

— ესე იგი, ამის არ გეშინიათ?

— რის უნდა მეშინოდეს, თუ ეს გარდაუვალია?“

გაზეთის „მაგადანის პრავდა“ კორესპონდენტმა, რომელიც საკუთარი რეგიონის პრობლემებზე აპირებდა შეკითხვის დასმას, პუტინს უთხრა:

— წელან ინტერნეტში შევიხედე და ისევ ვნახე ინფორმაცია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ...

— ნაკლებად იყურეთ ინტერნეტში, იქ კარგს არაფერს გასწავლიან!

— მიწევს ხოლმე. ახლა კი გიყურებთ და თქვენ ისეთი ენერგიული, მიმზიდველი მამაკაცი ხართ... საიდან ჩნდება ასეთი ინფორმაცია და ვის აძლევს იგი ხელს?

— ვის და პოლიტიკურ ოპონენტებს, რომლე-

ბიც ხან ლეგიტიმურობას აყენებენ ეჭვქვეშ, ხან ქმედუნარიანობას. ჯანმრთელობის შესახებ შემიძლია ტრადიციულად გიპასუხოთ: ვერ მოესწრებით! *(სიცილი დარბაზში).*

კიდევ ერთი ასეთი შეხუმრება პუტინს „კომსომოლსკაია პრავდას“ წარმომადგენელთან ჰქონდა. ჟურნალისტმა საკუთარი თავი წარადგინა, როგორც რადიოს, ტელევიზიისა და გაზეთის წარმომადგენელმა.

ვ. პუტინი: — რადიოც, ტელევიზიაც, გაზეთიც?

— დიახ, ჩვენ იმპერია ვართ.

— როგორც მერდოკი, არა?

— თითქმის, ის ჩვენს უკან არის.

— ყურადღებით იყავით (*სიცილი დარბაზში*).

პოლიტკორექტულობით გამორეცხილი დასავლეთისთვის ხშირად მისი ამგვარი პასუხები შოკისმომგვრელია. არადა, რა არის უცნაური იმაში, რომ პოლიტიკურმა ლიდერმა ისევე იხუმროს, როგორც ნებისმიერმა ადამიანმა? **რაც უფრო ხშირად ცდილობენ დასავლეთის ინსტიტუტები თუ ექსპერტები, გაარკვიონ, ვინ არის და რას აპირებს ვლადიმერ პუტინი, მით უფრო ხშირად იბნევიან მათ მიერვე შექმნილ სქემებსა და ფორმულებში. ცხადია, ვ. პუტინი არ აპირებს, ამ სქემებში ჩაეწეროს ან ისე იმოქმედოს, რომ დასავლეთის ქება დაიმსახუროს. მან ასეთი ქების ფასი ჯერ კიდევ ელცინის ეპოქიდან იცის.**

Strategic Forecasting Inc. — ძირითადად ამ კერძო ამერიკულ სადაზვერვო-ანალიტიკურ

© „ღონისძიებები ეროვნებისთვის“

კომპანიას შემოკლებით მოიხსენიებენ, როგორც Stratfor. იგი წარმოადგენს გეოპოლიტიკური დაზვერვის ფირმას, რომელიც მთელ მსოფლიოში ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციებისთვის სტრატეგიული ანალიზისა და პროგნოზირების მომსახურებას უზრუნველყოფს. 2013 წლის ივნისში კომპანიის ანალიტიკოსებმა „პოსტპუტინურ რუსეთზე“ პირველი სტატია გამოაქვეყნეს.

ანალიტიკოსები ანონიმებად დარჩნენ. სტატიების სერია თემატიკის მიხედვით ასეა დაჯგუფებული: პირველ ნაწილში ვ. პუტინის ძალაუფლებაში მოსვლა არის აღწერილი და გაანალიზებული, მეორეში — რუსეთის დემოგრაფიული ვითარება, ენერგეტიკული სექტორი და პუტინის მიერ გატარებული პოლიტიკური გარდაქმნები; მესამეში შესწავლილი იქნება, იარსებებს თუ არა პუტინის შემდეგ მის მიერ შექმნილი პოლიტიკური სისტემები.

ავტორების აზრით, წლეულს რუსეთმა ფუნდამენტური ცვლილებები განიცადა. მოსალოდნელია შემდგომი ცვლილებებიც. **„ენერგომატარებლებზე დაფუძნებული ეკონომიკური მოდელი გამოცდის წინაშეა, სოციალური და დემოგრაფიული შემადგენლობა იცვლება, პოლიტიკური ელიტა ბერდება“.** სტატიის ავტორების აზრით, **კრემლი დაფიქრდა, თუ როგორ უნდა იმართებოდეს ქვეყანა პუტინის, „ბამაერთიანებელი ლიდერის“, წასვლის შემდგომ.**

მათ მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური ელიტის რესტრუქტურიზაცია რუსეთში უკვე დაწყებულია.

რუსეთს წარსულში სიძნელეები ჰქონდა ძალაუფლების გადაცემისას ავტოკრატი მმართველების შემდეგ. **„ახლა საკითხი ასე დგას: შეძლებს თუ არა პუტინი, შექმნას სისტემა, რათა თავად დატოვოს პოსტი ისე, რომ სისტემის დესტაბილიზაცია არ გამოიწვიოს“.**

სტატიის ავტორების აზრით, დესტაბილიზაცია რუსეთს იმთავითვე ახასიათებს: **„უზარმაზარი, არასტუმართმოყვარე ტერიტორია, საზღვრები, რომელთა დაცვა შეუძლებელია, მტრული მეზობელი სახელმწიფოები და ჭრელი მოსახლეობა“.** რუსეთი კეთილდღეობითა და სტაბილურობით ტკბება მხოლოდ მაშინ, როცა ავტოკრატები ქმნიან სისტემას, რომელშიც კონკურენტი ფრაქციები ერთმანეთს აწონასწორებენ. ასეთ ავტოკრატებად ავტორები ივანე მრისხანეს, პეტრე პირველს, ეკატერინე დიდს, ალექსანდრე მეორეს, სტალინს, ახლა კი უკვე ვ. პუტინსაც ასახელებენ.

მაგრამ სისტემა, რომელშიც კოლექტიური ერთგულება ერთი, უმაღლეს საფეხურზე მდგომი ადამიანისადმი ერთგულებას წარმოადგენს, პრობლემებს ბადებს მემკვიდრეობითობისთვის. **„ხელისუფლების გადაცემისას თუ არ არსებობს მკაფიო გეგმა, რუსეთი, ჩვეულებრივ, ქაოსში ვარდება და ზოგჯერ თავად იშლება“,** — ნათქვამია სტატიაში.

ერთიან ლიდერს უნდა შეეძლოს სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება და ქვეყნის საკეთილდღეოდ მათი დაბალანსება. **„პუტინის მოსვლა ძალაუფლებაში და შემდგო-**

© „ღონისძიების ეროვნული“

მი 13 წელი ბალანსირების მცდელობათა ნათელი მაგალითია“, — წერენ ავტორები.

სტრატფორელები თავად საუბრობენ იმაზე, რომ 1999 წელს რუსეთი კოლაფსთან იყო ახლოს: **„ელცინის მმართველობისას რამდენიმე უცხოური ჯგუფი და ახალი ბიზნესელიტა, ოლიგარქები, რუსეთის მსხვილ სტრატეგიულ სექტორებს ძარცვავდნენ“.** როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ავტორები აღიარებენ, რომ **პუტინმა შეძლო არა მხოლოდ „ძალოვანების“, არამედ „რეფორმატორების“ კეთილგანწყობის მოპოვება.**

„პუტინი ორივე იდეოლოგიას იზიარებდა. სულით ის უფრო ახლოს იყო ძალოვანებთან, რომელთათვისაც უმთავრესი ეროვნული უსაფრთხოება იყო, მაგრამ აცნობიერებდა, რომ დასავლეთთან ეფექტური კონკურენციისთვის მოდერნიზაცია იყო საჭირო... პუტინმა ძალოვანები და ლიბერალები დანიშნა პოსტებზე, რომლებიც მის სტრატეგიას პასუხობდნენ. შედეგად მან სტრატეგიული სექტორები კონტროლს დაუქვემდებარა, გააძლიერა თავდაცვა, გაზარდა შემოსავლები, ეკონომიკური სისტემა დაასტაბილურა“.

3. პუტინის მიღწევების ჩამონათვალი თავად მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთი დაშლასა და განადგურებას სწორედ მან გადაარჩინა, თუმცა სტრატფორელებს მხოლოდ ის აინტერესებთ, თუ როდის და როგორ წავა პუტინი.

მიუხედავად იმისა, რომ პუტინის სალანძღა-

ვი სტატიები დასავლეთში (და ჩვენშიც) ფართოდ არის ტირაჟირებული, ფორუმებსა და სოციალურ ქსელებში სრულიად საპირისპირო სურათია — **ვ. პუტინს თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწის ნიმუშად მიიჩნევენ.** მთავარი შოტლანდიური გაზეთი Scotsman-ის წამყვანმა მიმომხილველმა, **ჯერალდ უორნერმა**, გამოაქვეყნა სტატია **„პუტინის ახალი აღქმა“.** მას დასაწყისშივე მოაქვს ციტატები ინგლისურენოვანი „ფეისბუქიდან“: **„არასოდეს მეგონა, რომ მოვესწრებოდი მომენტს, როცა უფრო პუტინს დავეთანხმებოდი, ვიდრე დასავლეთის ნებისმიერ ლიდერს“... „ჩვენ პუტინი გვჭირდება“...**

უორნერი იძულებულია, აღიაროს: ასეთი პოსტები სულ უფრო ხშირად ჩნდება. ეს ასახავს ადამიანების უკმაყოფილებას აშშ-ისა და ევროპის ლიდერებით და პატივისცემას რუსეთის ძლიერი პრეზიდენტისადმი. ავტორი ამტკიცებს: **„ახლა ჩვენ ევროამერიკული პოლიტიკური კლასით იმედგაცრუების ისეთ დონეს მივაღწიეთ, რომ უნდა ვაღიაროთ — იგი სრულიად უვარგისია.** ხელისუფლებაში კემერონსა და ობამას მხოლოდ ხალხის აპათია აჩერებს, მაგრამ უახლოესი ეკონომიკური ცუნამი გადარეცხავს საპარლამენტო ფსევდოდემოკრატიის დისკრედიტირებულ მოდელს, რომელიც ძალაუფლებას უნარჩუნებს ნაძირლებსა და სულელებს.

ვ. პუტინსაც არც ისე იოლად აქვს ეკონომიკური საკითხები, მაგრამ „დიდი რვიანის“ ამასწი-

© „ეროსაბაზრის ეროსაფრი“

ნანდელ სამიტზე არ გაუწვა დასავლეთს, როცა სირიაში ამბოხებულთა შეიარაღებაზე დაიწყო საუბარი და უკომპრომისოდ უთხრა: „არა!“ უორნერი პირდაპირ აცხადებს: **„კგბ-ს ექსთანამშრომელ პუტინზე ჭორაობა უკვე ვეღარ ახდენს ზემოქმედებას დასავლეთის ადამიანებზე; ისინი თვალნათლივ აკვირდებიან ლიდერს, რომელსაც რეალისტურად ესმის საკუთარი ქვეყნის ინტერესები და მერყეობის გარეშე აღწევს მათ. იგი ებრძვის ისლამისტებს და მათ მხარდაჭერაზე არ ფლანგავს გადასახადის გადამხდელთა თანხებს“.**

საშინაო ფრონტზე, შოტლანდიელი მიმომხილველის აზრით, პუტინი კიდევ უფრო რაციონალურად მოქმედებს. „ვიდრე დასავლეთის ლიდერები ერთსქესიან ქორწინებას აკანონებენ, პუტინი, მართლმადიდებელი ეკლესიის თხოვნით, მთელ ქვეყანაში ანტიგეიკანონებს იღებს. სუსტი დასავლეთი კონტრასტშია რუსეთთან ლიბერალიზმის სიგიჟით, კულტურული მაზოხიზმით, ადგილობრივი მოსახლეობის გადაგვარებით, ოჯახური ცხოვრებისადმი ზიზღით და პირადი პასუხისმგებლობის ნაცვლად, გედონიზმის მიღებით. **რუსები კი მამაცი ერია. მას ძლიერი პოლიტიკური ნება მართავს, რომელიც ეროვნულ ინტერესებს იცავს**“.

ცალკეულ ჟურნალისტს, შესაძლოა, საკუთარი სიმპათიები ჰქონდეს, მაგრამ ყურადღებას იქცევს უორნერის ამ სტატიის პოზიტიური კომენტარების სიმრავლე. „ვერ წარმომიდგენია სხვა დრო, როცა ბრიტანეთს ისეთი ადამიანი

სჭირდებოდა, როგორიც პუტინია“; „საღი აზრისა და საერთაშორისო კონვენციების მიხედვით, პუტინი მართალია. რუსეთის საშინაო საქმეებში იგი ითვალისწინებს იმ საშინელებებს, რომლებიც დასავლეთში ხდება“.

ამერიკელი ბლოგერები კი გეიპროპაგანდის ამკრძალავი კანონის ხელმოწერის შემდეგ წერდნენ: **„სასიამოვნოა იმის დანახვა, რომ ამ სამყაროში ჯერ კიდევ არსებობს საღი აზრი“; „მადლობა რუსეთს იმისთვის, რომ საკუთარ ბავშვებს იცავს გარყვნილებისგან“; „მომწონს პუტინი, ის სწორედ იმ ტიპის პრეზიდენტია, როგორიც ჩვენ გვჭირდება“.**

ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის წინააღმდეგ მიღებული კანონის გამო, როგორც მოსალოდნელი იყო, დასავლეთში ხმაური ატყდა. რუსი პარლამენტარები უცხოელ ერთსქესიან პარ-

© „ღვინისფერი ცისკარი“

ტნიორებზე რუსი ბავშვების გაშვილების აკრძალვას მოითხოვენ. ფინეთში ვიზიტად ყოფნისას პუტინმა ამ თემაზე განაცხადა: **„ჩვენ არ ვერევით სხვა ქვეყნებში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის საკითხებში და რუსეთი, თავის მხრივ, მოითხოვს, ნუ ჩაერევიან ამ სფეროს რეგულირებაში უცხოეთიდან“.**

შემდეგ პუტინმა საკმაოდ გამჭვირვალედ მიანიშნა, რომ იმავე ფინეთის ან სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად, არ აპირებს, ბავშვების უმწეობით სარგებლობის საშუალება მისცეს ვინმეს: **„საუბარი არ არის რაიმე სანქციებზე ჰომოსექსუალიზმის გამო. საუბარია იმაზე, რომ დავიცვათ ბავშვები შესაბამისი ინფორმაციისგან. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ფინეთში, მიაჩნიათ, რომ ამის შეზღუდვა არ არის საჭირო. კი, ბატონო, ნუ შეზღუდავთ, ჩვენ თქვენს საქმეებში არ ვერევით. ჩვენ შევზღუდავთ, როგორც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა გადაწყვიტეს. გთხოვთ, ნუ ჩაერევით ჩვენს რეგულირებაში“,** — განაცხადა ვ. პუტინმა.

როდესაც ფრანგმა მსახიობმა ჟერარ დეპარდიემ ვლადიმერ პუტინს რუსეთის მოქალაქეობა სთხოვა, ამას ირონიული ჟივილ-ხივილი მოჰყვა. ყველა არ არის დეპარდიეს დონის კინოვარსკვლავი, მაგრამ 15 წლით ადრე ასევე მოიქცა ფრანგი ბანკირი და ფინანსური სტრატეგი ერიკ კრაუსი. იგი მოსკოვში 1998 წლის კრიზისის წინ გადავიდა საცხოვრებლად. კრაუსი წერს: „რუსეთის პრობლემა, დემოკრატიის არქონა კი არა,

ჭარბი დემოკრატიაა. 90-იან წლებში რუსები სახელმწიფოსგან არაფერს ელოდნენ, ოღონდ მათთვის თავი დაენებებინა. ყველაფერი შეიცვალა და ახლადდაბადებული საშუალო კლასი ძლიერდება, წარსულის საშინელი რყევები კი მეხსიერებიდან იშლება. მთავრობას უკვე ადარდებს პოპულარობის რეიტინგები და იგი მგრძნობიარე ხდება საზოგადოებრივი განწყობებისადმი. ხორცს ისხამს „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ იდეა და, თუმცა რუსეთი ცნობილია მისი განუჭვრეტლობით, ევროპული მომავალი რეალურად გამოიყურება, მართალია, კონტრინტუიტიური არჩევანით, მაშინ, როცა ევროპული სოციალური მოდელი გარდაუვალი აფეთქების საფრთხის წინაშე დგას.

მაგრამ ეს მომავლის საკითხია, ჯერჯერობით კი მოსკოვი ერთადერთი ევროპული ქალაქია, სადაც ჯერ კიდევ შეგიძლია, თავისუფლად იგრძნო თავი. **ჩემს რუს მეგობრებს, რომელთაც ევროპაში გაქცევაზე უჭირავთ თვალი, ვეტყოდი, რომ ამ ევროპიდან 15 წლის წინ გამოვექეცი მის ბიუროკრატიას და უძრაობას, თვითმკვლელ პოლიტკორექტულობას და გამანადგურებელ ფისკალურ ინკვიზიციას. დასავლეთს დიადი მომავალი აქვს... წარსულში! მიეცით საკუთარ თავს შანსი, მაგრამ დაგენიძლავებით, რომ გაცილებით სწრაფად დაბრუნდებით უკან, ვიდრე გგონიათ“.**

პოლიტიკურ ბრძოლაში ყველაფერი ნებადართულია; რა არ დაუბრალებიათ პუტინისთვის,

© „ღასსრბისწმ ისნიაფაფი“

მაგრამ ყველაზე აბსურდულ ბრალდებებსაც კი იგი არასოდეს პასუხობდა უარყოფით და ეს გასაგები უნდა იყოს: აბა, ვის სიამოვნებს, ამტკიცოს, რომ აქლემი არ არის? ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ბრალდება — უშიშროების ყოფილი თანამშრომლის, ალექსანდრე ლიტვინენკოს, მკვლელობა იყო. იგი ლონდონში, სუში-რესტორანში ვახშმის შემდეგ მოიწამლა.

ლიტვინენკო სამი კვირის განმავლობაში კვდებოდა, ეს კი სრულიად საკმარისი დრო იყო იმისთვის, რომ ყოფილ აგენტს რუსეთის ხელისუფლება დაედანაშაულებინა. ექსპერტებმა მაშინვე მიაქციეს ყურადღება ამ ფაქტს, რადგან სპეცსამსახურები არ აძლევენ ბევრის მცოდნე აგენტებს სამი კვირის განმავლობაში ლაპარაკის საშუალებას. გარდაცვალების მეორე დღეს გაკვეთის შემდეგ პათოლოგანატომებმა განაცხადეს, რომ ლიტვინენკო პოლიონიუმ 210-ით იყო მოწამლული. რისთვის გახდა საჭირო ასეთი, მეტისმეტად ჩახვეული სცენარის გათამაშება, როცა სპეცსამსახურებს (ამერიკის, ბრიტანეთის, ისრაელის, რუსეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ!) გაცილებით უფრო კარგად აპრობირებული და ბუნებრივ სიკვდილთან მიახლოებული მეთოდები აქვთ?

იმ სამი კვირის განმავლობაში, ვიდრე სულს განუტევებდა, ლიტვინენკომ ბრალი დასდო რუსულ სპეცსამსახურებს მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებაში, მთელ რიგ ტერორისტულ აქტებში, რომლებმაც ჩეჩნეთში ომის საფუძველი შექმნა და საოცრად გაიმეო-

რა ყველა ის კონსპიროლოგიური თეორია, რომლის თანახმადაც აშშ-ის სპეცსამსახურებმა თავად მოაწყვეს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი, რათა ერაყზე ლაშქრობის საბაბი ჰქონოდათ!

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში უშიშროების ფედერალური სამსახურის პოდპოლკოვნიკი ბორის ბერეზოვსკის კოლეგა გახდა. ეს უკანასკნელი კი უკვე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩართული ვ. პუტინის წინააღმდეგ. სხვათა შორის, მოგვიანებით, ლიტვინენკოს მამამ, რომელიც თავიდან შვილის ვერსიას იზიარებდა, ბოდიში მოუხადა პუტინს და შვილის გარდაცვალება პირდაპირ დაუკავშირა ბერეზოვსკის.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რუსეთის დისიდენტი **ბორის კაგარლიცკი** ეჭვქვეშ აყენებს ვერსიას, თითქოს ლიტვინენკოს სიკვდილის რეჟისურა რუსეთის ხელისუფლებას ეკუთვნის. „რუსეთის ხელისუფლებას ეს სარგებელს კი არა, ზიანს აყენებს. ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ ამის არდანახვა სპეცსამსახურების არაკომპეტენტურობის ნიშანი იქნებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს მთელი ევროპის თვალწინ ხდებოდა და, რბილად რომ ვთქვათ, დადებითად არ აისახებოდა არც რუსეთის, არც მისი ხელმძღვანელობის რეპუტაციაზე“, — აცხადებს კაგარლიცკი. მისი აზრით, **არ არის გამორიცხული, გარკვეულ პირებს მართლაც მოეწამლათ ლიტვინენკო კრემლის დისკრედიტაციის მიზნით.**

© „ღასაბუნებელ ისაბაფლი“

ბრიტანელი მწერალი და ისტორიკოსი **რუპერტ ოლასონი** ასევე წერდა, რომ გაოცებული იქნებოდა, თუკი რუსული სპეცსამსახური ლიტვინენკოს მკვლელობას შეეცდებოდა, რადგან ეს 65-წლიანი პრაქტიკის ჩარჩოებში არ ეტევა. „არც კგბ, არც ფსბ არ კლავდნენ დეზერტირებს უცხო მიწაზე. მათი წინამორბედები კი სტალინის დროს ასე მხოლოდ 1941 წელს ვაშინგტონში ვალტერ კრივიცკის მოექცნენ“.

ანდრეი ლუგოვოის ბრალდება იმაში, რომ მან სასტუმროს ბარში ლიტვინენკოს ყავის ფინჯანში პოლონიუმი ჩაუსხა, აბსურდულად გამოიყურება. ნებისმიერ ფიზიკოსს შეუძლია, ამის მთქმელს უპასუხოს, რომ **პოლონიუმი ატომურ ბომბში დეტონატორის ფუნქციას ასრულებს და ამ საწვავს უზარმაზარი გამანადგურებელი ძალა აქვს. პოლონიუმის ერთ გრამს მოწინააღმდეგის მთელი დივიზიის განადგურება შეუძლია. ეს ერთი გრამი პოლონიუმი 26 მილიონი ევრო ღირს. ლუგოვოის რომ მხოლოდ ერთი მილიგრამი პოლონიუმი ჰქონოდა, ისიც, სასტუმროში მყოფი და ქუჩაში მოსიარულე ადამიანებიც, მაქსიმუმ, ათ დღეში დაიხოცებოდნენ. ხოლო ლუგოვოის რომ ყავის ფინჯანში ჩაესხა პოლონიუმი, იგი ნამსხვრევებად იქცეოდა. მაგიდა, რომელსაც ისინი უსხდნენ, მომენტალურად დაიწვებოდა, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ფაქტებს?**

ჟურნალისტ **ანა პოლიტკოვსკაიას** შემთხვევაშიც, ვ. პუტინის მოწინააღმდეგეებმა ხელიდან არ გაუშვეს შანსი, მისთვის დაედოთ ბრალი.

მარკ ეიმსმა გაზეთ The eXile-ში გამოაქვეყნა სტატია **„სად არის ამერიკის პოლიტკოვსკაია?“**. მან ჟურნალისტის მკვლელობა აღწერა, როგორც **„რუსეთისა და პუტინის გაშავების მიმზიდველი შანსი“** და მწარედ დასცინა ვითომდა იმ სამხილებს, რომელთაც ვ. პუტინის ოპონენტები ეყრდნობოდნენ. მან დასვა კითხვა: **„რატომ ჩვენთან არ მოიძებნა ასეთივე გულადი ადამიანი, რომელიც მოგვითხრობდა, როგორ გაასწორეს მიწასთან ფალუჯა ჩვენმა სამხედროებმა? რატომ არ არის მზად არც ერთი ამერიკელი, სიცოცხლით გარისკოს სიმართლისა და კაცთმოყვარების ძიებაში? დაბოლოს, რა ვუყოთ იმ ჟურნალისტებს, რომლებიც ელცინის ეპოქაში დაიღუპნენ?“**

რაც უფრო ძლიერია ლიდერი, მით უფრო მეტი მიეწერება მას, მტრები კი, რა თქმა უნდა, მთელი სამყაროს ბოროტებას მას აბრალებენ. ცნობილია, რომ დასავლეთის საყვარელი „დემოკრატის“, ელცინის, მმართველობისას რუსეთში განუზომლად უფრო მეტი სისხლი დაიღვარა, მაგრამ მისი მისამართით იმ კრიტიკის მეასედიც კი არ გამოუთქვამს დასავლეთს, რამდენიც პუტინის მიმართ. ათეისტ ელცინს ფეხიც არ შეუდგამს სამლოცველოში, რომელიც პრეზიდენტის ოფისთან ახლოს მდებარეობს. პუტინი კი იქ ყოველდღე ლოცულობს, მიუხედავად იმისა, რომ ათეისტური სახელმწიფოს გუშაგის — კგბ-ს რიგებში წლები იმსახურა.

არქიმანდრიტმა ტიხონმა, რომელსაც „პუტინის მოძღვრად“ მოიხსენიებენ, ერთხელ თქვა:

„პუტინი ძალიან მნიშვნელოვან მაგალითს გვაძლევს ჩვენ და რუსეთს მთლიანობაში, რადგან იგი პირველი ჭეშმარიტად ქრისტიანი სახელმწიფოს მეთაურია უკანასკნელი მეფის, ნიკოლოზ მეორის შემდგომ“. არქიმანდრიტმა ტიხონმა პირველმა მიულოცა ვ. პუტინს გაპრეზიდენტება და „ელცინის ერა“ დაგმო.

არქიმანდრიტი ტიხონი (საერო ცხოვრებაში გიორგი შევკუნოვი) სცენარისტი იყო, კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სასცენარო განყოფილება დაამთავრა. იგი არქიმანდრიტ იოანეს (კრესტიანკინის) სულიერი შვილი გახდა, რომელიც უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სასულიერო მოღვაწე იყო. საბჭოთა რეპრესიებს სულის სიმტკიცით გაუძლო. მორჩილი ტიხონი თავის მოძღვარს ფსკოვ-პეჩორის მონასტერში შეხვდა. პირველად იგი ცნობილი 90-იან წლებში გახდა, როგორც რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის კონსერვატიული ფრთის იდეოლოგიური აქტივისტი. ტიხონმა დაწერა წიგნი „სახელმწიფო და ეკლესია“, რომელშიც დემოკრატიის მიმართ წინააღმდეგობრივი პოზიცია გამოხატა.

ითვლება, რომ ვ. პუტინმა მამა ტიხონი 1993 წელს გაიცნო, როცა მისი მეუღლე, ლუდმილა, ბავშვთან ერთად ავტოავარიაში მოჰყვა. მაშინ მან საკუთარ ცხოვრებას საფუძვლიანად გადახედა. არქიმანდრიტი ტიხონი არასოდეს ლაპარაკობდა ვ. პუტინთან სიახლოვეზე, მაგრამ ჟურნალ „პროფილისთვის“ მიცემულ ინტერვი-

ში განაცხადა: „უკანასკნელ ხანს არაერთი სტატია წავიკითხე, რომლებიდანაც გავიგე, რომ ძალიან ახლოს ვარ პრეზიდენტთან და მასზე გავლენას ვახდენ. ამ საგაზეთო „ფაქტებზე“ დაყრდნობით კი შემდეგ ანალიტიკოსები კონცეფციებსა და გლობალურ პროგნოზებს აგებენ.

რა უნდა ვთქვა? უპირველესად, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში განმტკიცებულია რწმენა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვიღაცამ უნდა მართოს. ასეც იყო უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში. გავლენის ჯგუფები იცვლებოდა და მათი განსაზღვრა რთული არ იყო, მაგრამ დღეს სულ სხვა რამ ხდება. ისინიც, ვინც წლების განმავლობაში წინა პრეზიდენტს მართავდნენ და ისინიც, ვინც მის ინტერესებს ემსახურებოდნენ (არც საკუთარ ინტერესებს ივიწყებდნენ!), ცხელებიანებივით ეძებენ პუტინზე გავლენის წყაროს და ვერ პოულობენ. მაინც ვინ მართავს მას? ოლიგარქები? არა! ოჯახი? არა. სამხედროები? ფსბ? არა. იქნებ დასავლეთი, საერთაშორისო წრეები, მედია? საწყენია, მაგრამ არა. დაბოლოს, იპოვეს! თურმე ეს მამა ტიხონი, თქვენი მონა-მორჩილი ყოფილა. სინამდვილეში ვ. პუტინი დამოუკიდებელია და მისი ეს თვისება სულ უფრო კრისტალიზდება, რითაც ერთნი ხარობენ, მეორენი კი პანიკაში ვარდებიან. ღვთის წყალობით, ეს პრეზიდენტი მხოლოდ ღვთის, საკუთარი სინდისის, რუსე-

© „ღვასტაბაძეების ოჯახური“

თის სიყვარულითა და საღი აზრით იქ-ნება მართული“.

ბევრი მათგანი, ვინც ვ. პუტინს აკრიტიკებდა, დღეს აღარ წყვეტს მსოფლიოს ბედს. სხვანი აღარც საკუთარი ქვეყნის ბედს წყვეტენ. მათი უდიდესი უმრავლესობა არც არასოდეს იყო დამოუკიდებელი საკუთარ მოქმედებებში. **ვ. პუ-ტინი ის იშვიათი ლიდერია, რომელიც საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან ამოდის და არავის აძლევს უფლებას, მისი მართვის ილუზია ჰქონდეს. პუტინმა ფიცი საკუთარი ხალხის წინაშე დადო და ამ ფიცს ასრულებს. ხალხი კი ამას ხედავს და აფასებს.**

დასავლეთის მორიგი მცდელობა, „ხავერდოვანი რევოლუციის“ ექსპორტი განეხორციელებინათ რუსეთში, ჩაიფუშა. საფიქრებელია, რომ მცდელობები კვლავაც იქნება, მაგრამ რუსეთი არც უკრაინაა და არც საქართველო — იქ ხალხის სახელით ქვეყნის გარედან მართული რევოლუცია ვერ მოხდება. ეს გაკვეთილი რუსეთმა 100 წლის წინ უკვე იწვნია, მეორედ იმავე ორმოში თავს აღარ ამოყოფს.

და მაინც, ვინ არის ვ. პუტინი?

რუსი მართლმადიდებელი პოლიტიკური ლიდერი... რაც მთავარია, იგი ეროვნული ლიდერია, ამ წოდებას კი დასავლეთში არ არიგებენ, იგი საკუთარი ხალხის აღიარებით მოდის.

სარჩევი

წინათქმა	5
შტრიხები პორტრეტისთვის	11
პირადი ცხოვრება	39
უშიშროებასა და დემოკრატებს შორის	58
ბელადი თუ ეროვნული ლიდერი?	68
უპრინციპობა დიდ პოლიტიკაში მიუღებელია!	74
ვ. პუტინი და ოლიგარქები	100
ეკონომიკის წინსვლა	122
2012 წლის 12 დეკემბერი – 12 წლის შემდეგ	140
რას საყვედურობენ ოპონენტები ვლადიმერ პუტინს?	174
მიუნხენის გარდატეხა	182
მითები ვ. პუტინის შესახებ	198
აგვისტოს ომი	213
ვ. პუტინი და ПРО	258
ევროპის „პუტინიზაცია“ და სირია	286
ვის უყვარს ვ. პუტინი?	304
ვის სძულს ვ. პუტინი?	311
ვლადიმერ პუტინი და „ახალი მსოფლიო წესრიგი“	314
ბოლოთქმა	363

ISBN 978-9941-0-5923-0
9 789941 059230